675-1/2
1982

ISSN—0132—6058

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

(28)

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3.1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი

ТБИЛИСИ

3.1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 30.VI.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.XI.1982; შეკვ. 3868; ანაწყობის ზომა 7×11; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 17.5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.8;

უე 05808 ტირაჟი 1100;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## წერილები


გ. დარჯანია, სოციალისტური კონტროლის ორგანოების მოღვაწეობა საბჭოთა სახელმწიფოს განსამტკიცებლად (1921—1937 წწ.) . . . . . . . 5
მ. კიკაბიძე, საქართველოს ქალთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობა სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პერიოდში . . . . . . . . 19
ზ. მენთეშაშვილი, ბერბერული ტომების სოციალური ორგანიზაცია მაროკოში საფრანგეთის პროტექტორატის პერიოდში . . . . . . . . 35
მ. დუმბაძე, ამიერკავკასიის გლეხობა XVII საუკუნესა და XVIII ს-ის პირველ ნახევარში 48
მ. ტაიარი, ირან-ოსმალეთის კონფლიქტები და სასაზღვრო გამიჯვნის პირველი ცდები 67


## ცნობები და შენიშვნები


რ. ხუციშვილი, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობის ისტორიიდან . . . 78
ი. ტაბაღუა, ბათუმის საკითხი სან რემოს კონფერენციაზე (1920 წ.) . . . . . 88
ზ. შარაშენიძე, იოსებ-ხან გურჯი — XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ირანის გამოჩენილი სპასალარი და სახელმწიფო მოღვაწე . . . . . . 98
ა. კილასონია, ტყვეებით ვაჭრობის ორგანიზაცია და ცენტრები გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში . . . . . . . . 107
მ. კიკნაძე, ტერმინ „ჯალალის“ მნიშვნელობისათვის XVII—XVIII სს ქართულ წერილობით ძეგლებში . . . . . . . . . . . . . 115
რ. მეფისაშვილი, XI საუკუნის საქართველოს ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის კომპოზიციური აგებულების ზოგიერთი თავისებურების შესახებ . . . . . 122
მ. მოწერელია, ოჯახში სტუმრის მიღების ჩვეულება . . . . . . . 128
თ. ბიბილური, საქართველოში თიხის ფილასამარხების გავრცელების საკითხისათვის 136
ნ. ურუშაძე, პირველყოფილი გამომსახველობითი სიმბოლიკის წარმოშობის საკითხისათვის . . . . . . . . . . . . : : 144
გ. ყიფიანი, საირხის კაპიტელი . . . . . . . . . . 159


## დისკუსია და განხილვა


ა. აბდალაძე, XI—XV სს. საქართველოს სახელმწიფო წყობილების ისტორიიდან . 166


## კონსულტაცია


ვ. გუჩუა, მთვარისმიერი ჰიჯრის ერის ჩვენს ერაზე გადაყვანის შესახებ . . . 184


## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია


ა. სონღულაშვილი, ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები . . . 198


## ქრონიკა და ინფორმაცია


ქ. კახაძე, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია . . . . . . . . . , . 200

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ

Б. ДАРДЖАНИЯ, Деятельность органов социалистического контроля в деле укрепления советского государства (1921—1937 гг.) . . . 5
М. КИКАБИДЗЕ, Трудовая и политическая активность женщин Грузии в период завершения строительства социализма . . . . . . . 19
З. МЕНТЕШАШВИЛИ, Социальная организация берберских племен Марокко в период французского протектората . . . . . . 35
М. ДУМБАДЗЕ, Крестьянство Закавказья в XVII—первой половине XVIII вв. 48
М. ТАЯРИ, Ирано-османские конфликты и первые попытки определения границ . . . . . . . . . 67

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Р. ХУЦИШВИЛИ, Из истории грузино-венгерских связей . . . . 78
И. ТАБАГУА, Батумский вопрос на конференции в Сан Ремо (1920 г.) . 88
З. ШАРАШЕНИДЗЕ, Юсеф-хан Гурджи — выдающийся спасалар и государственный деятель Ирана первой четверти XIX века . . . . 98
А. КИЛАСОНИЯ, Организация и центры торговли людьми Западной Грузии в позднее средневековье . . . . . . . . . 107
М. КИКНАДЗЕ, Значение термина «джалали» в грузинских письменных памятниках XVII—XVIII веков . . . . . . . . 115
Р. МЕПИСАШВИЛИ, О некоторых особенностях композиционного построения крестовокупольных церквей Грузии XI века . . . . 122
М. МОЦЕРЕЛИЯ, Традиция приема гостей в семье . . . . . . 128
Т. БИБИЛУРИ, К распространению гробниц, составленных керамическими плитами в Грузию . . . . . . . . . . . . 136
Н. УРУШАДЗЕ, К вопросу о происхождении первобытной изобразительной символики . . . . . . . . . . . 144
Г. КИПИАНИ, Капитель из Саирхе . . . . . . . . . 159

## ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

А. АБДАЛАДЗЕ, Из истории государственного строя Грузии XI—XV вв. . 166

## КОНСУЛЬТАЦИИ

В. ГУЧУА, О переводе дат лунной хиджры на н. э. . . . . . . 184

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. СОНГУЛАШВИЛИ, А. Иоселиани, Хроники истории Грузии . . . 198

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

К. КАХАДЗЕ, Научная сессия Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили . . . . . . . . . 200

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წ ე რ ი ლ ე ბ ი

17354

ბორის დარჯანია

## სოციალისტური კონტროლის ორგანოების მოღვაწეობა საბჭოთა სახელმწიფოს განსამტკიცებლად (1921—1937 წწ.).

### ა. სოციალისტური კონტროლის ორგანოების როლი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებაში

სოციალისტური გარდაქმნების დაწყებისა და გატარებისათვის, როგორც ცნობილია, აუცილებელი პირობაა, ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა და მის ნაცვლად ახალი, პროლეტარული სახელმწიფო აპარატის შექმნა. კ. მარქსი ნაშრომში „სამოქალაქო ომი საფრანგეთში" წერდა. რომ „მუშათა კლასს არ შეუძლია მზამზარეულ სახელმწიფოებრივ მანქანას უბრალოდ დაეპატრონოს და იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს[1]". კ. მარქსს „სახალხო რევოლუციის აუცილებელ პირობად, — წერდა ფ. ენგელსი,—მიაჩნია სამხედრო ბიუროკრატიული მანქანის ერთი ხელიდან მეორეში გადაცემა კი არა, არამედ მისი დამსხვრევა"[2].

ვ. ი. ლენინი ახალ ისტორიულ ეპოქაში ავითარებდა რა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრებას წერდა: „პროლეტარიატისათვის აუცილებელია სახელმწიფო ძალაუფლება, ძალის ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ძალდატანების ორგანიზაცია ექსპლუატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვისათვისაც და სოციალისტური მეურნეობის „მოწესრიგების" საქმეში მოსახლეობის უზარმაზარი მასის, გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიისა და ნახევრად პროლეტარების მიმართ ხელმძღვანელობის გასაწევადაც"[3].

ამგვარად, სოციალისტური რევოლუციის ამოცანაა დაამსხვრიოს ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა და შექმნას ახალი, სოციალისტური სახელმწიფო მანქანა.

ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის მსხვრევა და ახლით შეცვლა საქართველოში დაიწყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდანვე. მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო რევკომის 24 მარტის დადგენილება დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ. 21 აპრილს სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის შესახებ რევკომის დეკრეტი გამოიცა. საქართველოს რევკომი გამოცხადდა რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო, განმკარგულებელ და მაკონტროლებელ ორგანოდ.

საქართველოს რევკომმა უკვე 1921 წლის მარტში დაშალა მენშევიკების

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1950, გვ. 594.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1950, გვ. 560.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 25, გვ. 496.

კ. მარქსის სახ. ს... სსრ
სახელმწიფო ... საჯარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმია — ეგრეთწოდებული ეროვნული გვარდია და რევოლუციური არმიით შეცვალა იგი. მან გააუქმა ძველი ბურჟუაზიული სასამართლო და სახალხო სასამართლოები შექმნა. დამხობილი ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგობის ჩახშობისათვის, საბოტაჟთან და სპეკულაციასთან გადამჭრელი ბრძოლისათვის შეიქმნა საგანგებო კომისია. რევკომმა 1921 წელს განახორციელა მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია. 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტით გაუქმდა მიწის კერძო საკუთრება. ფაბრიკა-ქარხნებში შემოღებულ იქნა 8 საათიანი სამუშაო დღე, შეიქმნა შრომის დაცვის ინსპექცია[4]..

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის პროლეტარიატის დიქტატურის ბედისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტას, მჭიდრო ძმური ურთიერთდამოკიდებულების დამყარებას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა შორის.

საქართველოს კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა: აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს. 1921 წლის 21 მაისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის სსრ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ. იგი მალე შევიდა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში სათანადო ხელშეკრულებით, ხოლო შემდეგ იგი გარდაიქმნა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. საქართველოს რევკომის 16 ივლისის დეკრეტით საქართველოს სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიქმნა აგრეთვე აჭარის ასსრ, ხოლო 1922 წლის აპრილში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

შემდგომში სოციალიზმის ინტერესები მოითხოვდნენ სახელმწიფო ხელისუფლება რევკომიდან გადასცემოდა საბჭოებს — მშრომელთა ყველაზე დემოკრატიულ, მასობრივ და ყოვლისმომცველ ორგანიზაციებს. 1921 წლის დეკემბერში დაიწყო მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები, რომლებმაც ცხადყვეს საქართველოს მშრომელთა მაღალი შეგნებულობა და ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. 1922 წლის 25 თებერვალს გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო საქართველოს სსრ პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, და საკანონმდებლო წესით დაამკვიდრა პროლეტარიატის დიქტატურა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ფორმით.

სოციალისტური სახელმწიფო გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის. კომუნისტური პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სოციალისტური სახელმწიფო აპარატის გამარტივების, გაუმჯობესებისა და განმტკიცების საქმეს. ამ მიმართულებით საბჭოთა რუსეთში მრავალი ღონისძიება განხორციელდა უპირველეს ყოვლისა აქ უნდა აღინიშნოს სოციალისტური კონტროლის ორგანოების მოღვაწეობა, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი. ამიტომ ვ. ი. ლენინმა ამ კარდინალური ამოცანის გადასაწყვეტად თავის უკანასკნელ წერილებსა და სტატიებში დასახა მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი, რომელიც გამოიხატებოდა პარტიული და სახელმწიფოებრივი კონტროლის გაერთიანებაში, რომელსაც ხორცი შეასხა პარტიის XII და XIII ყრილობებმა და შეიქმნა გაერთიანებული პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლი (ცსკ-მუშგლეხინი).

---

4 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევი, თბ., 1971, გვ. 496.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის რკპ(ბ) XIII კონფერენციამ საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინის ინსპექციის მუშაობის წარმატების ძირითად პირობად აღიარა პარტიისა და მისი ორგანიზაციების როლი და თვით მშრომელი მასების ჩაბმა ამ მუშაობაში.

რკპ(ბ) XIII ყრილობა თავის რეზოლუციაში აღნიშნავდა, რომ „ამ დიადი ამოცანის შესრულება პარტიას შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის „ახალ ძალებს მოძებნის იქ, სადაც ჩვენს დიქტატურას ყველაზე უფრო ღრმად აქვს ფესვები გადგმული“. ე. ი. თუ „მოახდენს ჩვენი საუკეთესო მუშების მობილიზაციას“ სახელმწიფო აპარატის შესწავლისა და გაუმჯობესებისათვის ყველა ნაკლის აღმოსაფხვრელად“[5].

პარტიის XIII ყრილობამ დასახა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისათვის.

ყრილობამ მუშგლეხინისა და საკონტროლო კომისიების წარმატებითი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ პირობად აღიარა მათი უზრუნველყოფა სათანადო კადრებით, სპეციალისტებით. ამიტომ დასახა ღონისძიებანი კონტროლის ორგანოების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში.

საქ. კპ(ბ) XIV ყრილობამ ყურადღება გაამახვილა ისეთ ძირითად საკითხებზე როგორიცაა: კონტროლის ორგანოებში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის აუცილებლობა, მუშებიდან და გლეხებიდან მუშაკთა შერჩევა და დაწინაურება, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია, შესრულების შემოწმება და სახელმწიფო აპარატის საქმიანობისადმი კონტროლი და სხვ.

საქართველოში მუშათა და გლეხთა ინსპექცია და მისი ადგილობრივი ორგანოები მათი შექმნის დღიდანვე შეუდგნენ მუშაობას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის.

კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სოციალისტური კონტროლის სრულყოფის საკითხს. მუშგლეხინის ინსპექციას მიენიჭა საკანონმდებლო ინიციატივის, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების და მმართველობის სისტემის სფეროში ძირეული რეფორმების უფლება.

მუშგლეხინის შემადგენლობაში 1923 წლის ივლისში შეიქმნა სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელი განყოფილება, რომლის სათავეში იდგა კოლეგიის წევრი. იგი მუშგლეხინის დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და მის ამოცანას შეადგენდა შრომითი პროცესების რაციონალურ საშუალებათა შემუშავება, წარმოების ტექნიკური რაციონალიზაცია, სტანდარტიზაცია, რაციონალურ ღონისძიებათა გამოყენება ადმინისტრაციულ მუშაობაში და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პლენუმის მუშაობაში, რომელიც 1924 წლის ნოემბერში ჩატარდა, მთავარი ადგილი დაიკავა საქართველოში მენშევიკების ავანტიურასთან დაკავშირებით სოფლად მუშაობის საკითხმა, რომლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფ. მახარაძე.

პლენუმზე საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კპ(ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდი-

[5] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში (1898—1954), 1955, ნაწ., II, გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმის თავმჯდომარე და მუშგლეხინის კომისრიატის სახალხო კომისარი ა. დოლიძე, ხოლო პარტკოლეგიის მუშაობის შესახებ შ. ლექავა.

პლენუმზე ყურადღება იქნა გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ ქვემდგომი ორგანოები ხშირად არ ასრულებდნენ ზემდგომი ორგანოების განკარგულებებსა და დირექტივებს და რომ ამიერიდან ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოღებოდა. ამავე დროს პლენუმზე აღინიშნა, რომ „დღეს ჩვენი საბჭოთა დაწესებულებები მოიკოჭლებენ და მშრომელ მასას სათანადოდ ვერ უახლოვდებიან, ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ისეთი ელემენტების თავმოყრა, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ ეღობებიან ამ საქმეს, ამეფებენ შიგნით (დაწესებულებებში) ბიუროკრატიზმს, აჭიანურებენ საქმეს. ვერ იჩენენ ერთგულებასა და თავდადებას პროლეტარული სახელმწიფოსადმი“[6]. აღნიშნული ვითარების გამო პლენუმმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი საბჭოთა დაწესებულებებში უვარგისი ელემენტების შეცვლის შესახებ ისეთი პიროვნებებით, რომლებიც სრული ნდობით იქნებოდნენ აღჭურვილნი მუშებსა და მშრომელ გლეხობაში და ამ ნდობას საქმით გაამართლებდნენ.

ა. დოლიძემ პლენუმზე სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელი განყოფილების მუშაობაზე ყურადღება გაამახვილა და აღნიშნა, რომ მიუხედავად მის მუშაობაში არსებული მრავალი ნაკლოვანებისა, 1924 წლის მარტიდან მისი მუშაობა არსებითად გარდაიქმნა. მან შეისწავლა და დაამუშავა მუშგლეხინის სამოქმედო გეგმა და შეუფარდა იგი ამიერკავკასიის მუშგლეხინის ინსპექციის სახალხო კომისარიატის საერთო გეგმას, განახორციელა საუწყებო კონტროლის პროექტის დებულების თანახმად თბილისის აღმასკომის მუშგლეხინის ინსპექციის რეორგანიზაცია; გარკვეული მუშაობა ჩაატარა სტუდენტ-პრაქტიკანტების მუშგლეხინის საქმიანობაში ჩასაბმელად; სპეციალური დავალებით შეისწავლა მდგომარეობა მარგანეცის ექსპორტთან დაკავშირებით და წამოაყენა საკითხი „ჩემოს“ საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ. მან დიდი მუშაობა ჩაატარა სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის გაწმენდისათვის სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების მიზნით და ა. შ.

ცსკ-მუშგლეხინი იკვლევდა და სწავლობდა ქვემდგომი (სამაზრო, ადგილობრივი) სახელმწიფო აპარატის მდგომარეობას და სათანადო ღონისძიებებს ღებულობდა მისი განმტკიცებისა და გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, 1924—25 წლებში მუშგლეხინის მიერ გამოკვლეულ იქნა სახელმწიფო აპარატი ახალციხის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში, რის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ მაზრებში არ იყო განხორციელებული საქართველოს კომპარტიის III ყრილობის დადგენილება სამაზრო აპარატის რეორგანიზაციის შესახებ. აგრეთვე დადასტურდა, რომ არ არსებობდა ცოცხალი კავშირი ცენტრსა და მაზრებს შორის. აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მუშგლეხინის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო ღონისძიებათა გატარების აუცილებლობა.

მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ 1925 წლის 9 იანვარს ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის გამოკვლევის შედეგები განიხილა და მიიღო დადგენილება: იმის გამო, რომ ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის გამგემ მ. შელიამ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ბოროტმოქმედება

---

[6] გაზ. „კომუნისტი“, 1924, № 275.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიდინა თანამდებობიდან მოიხსნა და მასალები საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიას გადაეცა განსახილველად. კოლეგიის სხდომამ საჭიროდ ჩათვალა ზუგდიდის სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგის გ. ჩიჩუას თანამდებობიდან მოხსნა, როგორც არა სპეციალისტისა და წინადადება წამოაყენა მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ, რის შესახებაც ეცნობა საქ. კომპარტიის საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიას.

ცსკ-მუშგლეხინის გაერთიანებულ სხდომაზე 1925 წლის 18 მაისს მოსმენილ იქნა თელავის მაზრის გამომკვლევი კომისიის მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო, რომ თელავის ორგანისაციაში ადგილი ჰქონდა ინტრიგას. მასში მონაწილეობის მიღებისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა პროკურორის თანაშემწეს თოლორდავას, კომუნალური განყოფილების გამგეს კოჩუაშვილს და სახალხო სახლის გამგეს მოსიაშვილს. თელავის მაზრის პარტკომის მდივანს ელისაბედაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური იმის გამო, რომ მან თავის დროზე ვერ მიიღო გადამჭრელი ზომები თელავის ორგანიზაციაში ინტრიგის ალსაკვეთად. მაზრიდან გამოწვეულ იქნენ კოჩუაშვილი და თოლორდავა, როგორც კინკლაობის ორგანიზატორები. ხოლო ელისაბედაშვილი გამოძახებულ იქნა საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში და წინადადება მიეცა მას მიეღო ზომები თელავის ოოგანიზაციაში კინკლაობის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად, რათა მომავალში შეთანხმებულად ემუშავა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ქურციკიშვილთან[7].

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით მუშგლეხინმა გამოიკვლია ახალქალაქის მაზრა, რის შედეგადაც დადასტურდა პარტიული, საბჭოთა და კოოპერაციული დაწესებულებებისა და პასუხისმგებელი მუშაკების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: უხეშად ეპყრობოდნენ გლეხობას, ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ხელისუფლების მოსამსახურენი იჩენდნენ თვითნებობას. სოფლებს შორის, ასევე სოფლის შიგნით მიწათმოწყობის დამახინჯება, გადასახადების გაწერაში დარღვევები, ნაცუმცირესობის წარმომადგენელთა სუსტად ჩაბმა საბჭოთა მშენებლობაში.. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ახალქალაქის მაზრაში პროფკავშირული მუშაობა თითქმის მივიწყებული იყო.

ზემდგომმა ორგანოებმა, რომლებმაც დაწვრილებით შეისწავლეს გამოკვლევის მასალები, მიიღეს გადამჭრელი ღონისძიებანი, რომელიც უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო პარტიული და საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლად. ახალქალაქის მაზრიდან 20 ულირსი მოიხსნა და პასუხისგებაში მიეცა.

მუშგლეხინმა გამოიკვლია საოლქო და სახალხო სასამართლოების მუშაობაზე აღმოსავლეთ საქართველოში. დადასტურდა, რომ სახალხო სასამართლოები თავიანთ მოვალეობას ნორმალურად არ ასრულებდნენ. მაგალითად, ხშირად ადგილი ჰქონდა სხდომების გადადებას სასამართლოს წევრების გამოუცხადებლობის გამო. ინსტრუქტორები, რომლებსაც ევალებოდათ სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ თბილისიდან უწევდნენ მათ ინსტრუქტაჟს და იშვიათად მიდიოდნენ პროვინციებში, რის გამოც ადგილებზე გროვდებოდა განუხილველი საქმეების დიდი რაოდენობა, სასამართლოს გადადების ხშირი შემთხვევები მშრომელი მასების თვალში იწვევდა პროლეტარული სასამართლოების ავტორი-

---

[7] სსსრ ცსია, ფ. 295, აღ. 1, საქ. 311, ფურც. 95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტისა და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დაცემას და სხვ. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დასახა შემდგომი ღონისძიებანი: დაევალა აღმასრულებელ კომიტეტებს საჩივრების დროულად გადაცემა სახალხო სასამართლოებისათვის და მათი სისტემატური განხილვა. ინსტრუქტორებს დაევალათ მუშაობის ცენტრის გადატანა პროვინციებში; საჭიროდ ჩაითვალა სათანადო კურსების მოწყობა სასამართლოს მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად[8]. აღნიშნულ ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის მშრომელი მასების თვალში.

საქართველოს კომპარტიის ცსკ-ის პლენუმმა 1924 წლის 7 ივლისს თავის სხდომაზე მოისმინა საკითხი „სოფლის ძირითად საბჭოთა ორგანოებში მომუშავეთა კადრის პრაქტიკულად მომზადების შესახებ". აღნიშნულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ა. დოლიძის მიერ შემუშავებული თეზისები. თეზისებში აღნიშნული იყო, რომ ცსკ-მუშგლეხინის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენს, როგორც ცენტრალური ისე ძირითადი საბჭოთა აპარატების გაუმჯობესება. „ჩვენ უნდა შევძლოთ, — აღნიშნულია თეზისებში, — იმდენის გაკეთება სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში, რომ მშრომელი გლეხობა, ქალაქის მუშებთან ერთად, ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდეს და თქვან: დიახ, არსებული ხელისუფლება ნამდვილი ჩემი ხელისუფლება არის, იგი ჩვენს ინტერესებს იცავს, აშენებს ახალ სახელმწიფოს და მუშაობს ისე, როგორც შეეფერება ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ რევოლუციონერებს, საბჭოთა ხელისუფლება არაფერში გავს არც ერთს წინანდელ ხალხის მიერ ჩამოგდებულ მთავრობებს, რომლებიც მე უხეშად მეპყრობოდნენ, მამცირებდნენ დაბალ ღობედ მცნობდნენ, მტუქსავდნენ, არაფერს მეკითხებოდნენ. თვითონ ქეიფსა და გარყვნილებაში ატარებდნენ დროს. პირადი ბედნიერებისა, ბატონობისა და ბრძანებლობის გულისათვის იბრძოდნენ. აი ამას უნდა ამბობდეს ყოველი მშრომელი გლეხი და მუშა საბჭოთა ხელისუფლების შესახებ. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა"[9].

აღნიშნული ამოცანის განხორციელებისათვის, მითითებული იყო თეზისებში, საკონტროლო ორგანოები იკვლევს, სწავლობს თანდათანობით და ყოველმხრივად, როგორც ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ისე სახელმწიფო აპარატს, მათ წყობას, მოსამსახურეთა პირად შემადგენლობას, საქმიანობის უნარს და სხვ. ებრძვის ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, მშრომელებისადმი უხეშ მოპყრობას, უფლების გადაჭარბებას, ბოროტმოქმედებას, სიზარმაცეს, დაუდევრობას და უსაქმურობას, და ბოლოს, თავიდან იშორებს უღირს ელემენტებს, პასუხისგებაში აძლევს დამნაშავეებს, ახალისებს და ასწორებს იმას, რისი გადახალისება და გამოსწორება საჭიროა და შესაძლებელი.

სახელმწიფო აპარატი, რომ იყოს მოწოდების სიმაღლეზე, — აღნიშნულია თეზისებში, — საჭიროა სოფლად საკმაო კადრების შექმნა და მათი პრაქტიკულად მომზადება. აღნიშნული კადრი უნდა მომზადდეს ადგილობრივი ძალებისაგან თითოეული თემისა და რაიონისათვის ისე, რომ მშრომელმა გლეხმა პოვოს მასში მისი მეგობარი, საბჭოთა ხელისუფლების ბუნების მცოდნე, წინ-

---

[8] სსსრ ცსია, ფ. 804, აღ. 1, საქ. 605, ფურც. 129.

[9] სსსრ ცსია, ფ. 295, საქ. 302, ფურც. 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახედული, დინჯი, მომწიფებული, დაუღალავი და ენერგიით სავსე მუშაკი. შემდეგ, აღნიშნულია, რომ რაც უნდა კარგი იყოს აღმასკომის შემადგენლობა, თუ ადგილობრივ თემებში და რაიონებში არ გვეყოლება შესაფერისი ძალები რომელთა თითოეულ ნაბიჯს, მიხვრა-მოხვრას, ყოფაქცევას და საქმიანობას ყოველ წუთში აკვირდება და ხედავს მშრომელი გლეხი, ჩვენ გაგვიძნელდება ქალაქსა და სოფელს შორის, საბჭოთა ხელისუფლებასა და მშრომელ გლეხობას შორის მჭიდრო კავშირის დამყარება და მათთან დაახლოება და სხვ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო საქართველოს ცსკ-ის პლენუმმა აუცილებელ საჭიროებად აღიარა სოფლად საბჭოთა ორგანოებში პრაქტიკულად მომზადებული მუდმივი ისეთი კადრების შექმნა, რომელიც ხორცს შეასხამდა და განახორციელებდა საბჭოთა ხელისუფლების იდეების განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეს სოფლის მშრომელ მასებში[10].

პლენუმმა პრეზიდიუმს დაავალა, დაესვა ეს საკითხი პარტიის ცკ-ის პლენუმზე ან მისი პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც შემუშავდებოდა პრაქტიკული მოქმედების პროგრამა და საჭირო ღონისძიებანი განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომელსაც გამოყოფდა ცენტრალური კომიტეტი და საკონტროლო კომისია ამ დადგენილების გასატარებლად.[11]

აღნიშნული თეზისებიდან ნათელია ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარების მნიშვნელობა სოფლად სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის. ამ ღონისძიებებს მუშგლეხინი განუხრელად ახორციელებდა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში მუშგლეხინმა, ხოლო შემდეგ გაერთიანებულმა ორგანომ ცსკ-მუშგლეხინმა დიდი როლი შეასრულა სახელმწიფო აპარატიდან უცხო, მტრული, ბიუროკრატიული ელემენტების განდევნისა და მათ ნაცვლად სახელმწიფო აპარატში საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული და თავდადებული მუშაკების მოზიდვისათვის, საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების ზედა და ქვედა აპარატის გაიაფების, გამარტივების და გაუმჯობესებისათვის.

## ბ. ცსკ-მუშგლეხინის როლი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გარდაქმნაში

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა მიმდინარეობდა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ნეპმანები, კულაკები და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ჯურის მტერი ცდილობდა ჩაეშალა სოციალიზმის მშენებლობა და მიეღწია კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის.

სოციალიზმის აშენების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა საბჭოთა სახელმწიფო იყო, ამიტომ დღის წესრიგში დგებოდა მისი გაწმენდა მტრული ელემენტებისაგან, რომლებიც ბიუროკრატიულად უდგებოდნენ მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტის ინტერესებიდან გამოდიოდა სკკპ(ბ) XVI კონფერენცია, რომელმაც ერთ-ერთ ძირითად საკითხად განიხილა „ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებისა და უახ-

[10] სსსრ ცსია, ფ. 295, საქ. 302; ფურც. 34.

[11] იქვე, ფურც. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლესი ამოცანების შესახებ“ და ამ მიმართულებით დასახა სათანადო ღონისძიებანი.

როგორც კონფერენციის რეზოლუციაშია აღნიშნული გარკვეული წარმატებები იყო მოპოვებული სახელმწიფო აპარატის გამარტივების, გაიაფებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. „მაგრამ, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში პარტიის წინაშე მდგარ ამოცანებთან შედარებით, ეს მიღწევები წარმოადგენდნენ მხოლოდ პირველ, ამასთან ჯერ კიდევ მეტისმეტად არასაკმარის მიდგომას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმისადმი“[12].

ყოველივე ამის გამო სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში, პარტიის ძირითადი ამოცანები იყო: შესრულების შემოწმება, სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესება, მართვის სისტემის შეფარდება ჩვენი მეურნეობის სისტემასთან და იმ მოთხოვნებთან, რომლებსაც სამეურნეო განვითარება უყენებდა სახელმწიფო აპარატს.

საკ. კპ(ბ) XVI კონფერენცია მიუთითებდა იმ უდიდეს ამოცანებზე, რომელიც იდგა სახელმწიფო აპარატის განმტკიცების საქმეში, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფო აპარატის უვარგისი და მტრული ელემენტებისაგან გაწმენდის განხორციელებით.

საქართველოში სახელმწიფო აპარატის წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობა 1929 წლის ივნისიდან დაიწყო, შეიქმნა სახელმწიფო აპარატის გამწმენდი რესპუბლიკური კომისია[13]. საქართველოს მუშგლეხინის სახელმწიფო აპარატის წმენდის ჩამტარებელი კომისია არჩეულ იქნა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე დევდარიანი, მოადგილე გოლდბაუმი. წევრები: მათიკაშვილი, მზარეულაშვილი, ანთაძე და ორჯონიკიძე.

საქ. კპ(ბ) ცკ-ის პრეზიდიუმმა 1929 წლის 24 ივლისის სხდომაზე განიხილა საბჭოთა და სამეურნეო აპარატის წმენდის საკითხი და აღინიშნა შემდეგი: საბჭოთა და სამეურნეო აპარატის შემადგენლობის შემოწმების და წმენდის მიზანს შეადგენს ამ აპარატის გაჯანსაღება, მისი განთავისუფლება უვარგისი და მტრული ელემენტებისაგან. პრეზიდიუმის სხდომაზე განსაკუთრებით აღნიშნული იყო, რომ წმენდა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით უნდა ჩატარებულიყო. ამასთანავე მითითებული იყო, რომ წმენდა გეგმიანად განხორციელებულიყო და ადგილი არ უნდა ჰქონოდა ზედმეტ სიფიცხეს და აჩქარებას[14],

საქ. კპ(ბ) ცსკ-ის პრეზიდიუმმა 1930 წლის ივლისში მოისმინა საკითხი სახელმწიფო აპარატის წმენდის მიმდინარეობის შესახებ. პრეზიდიუმზე აღინიშნა, რომ სახელმწიფო აპარატის წმენდა მიმდინარეობდა არადამაკმაყოფილებლად და ამ საქმეს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. აქვე აღინიშნა, რომ პარტიისა და კომკავშირის უჯრედებში არ წარმოებდა პარტიის დირექტივების განმარტება წმენდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რომ მთელ რიგ დაწესებულებებში სახელმწიფო აპარატის წმენდის ჩატარება ვერ იძლეოდა

---

12 სკკპ რეზოლუციებში.... ნაწ. II, გვ. 767.

13 სსსრ ცსია, ფ. 295, აღ. 1, საქ. 1981, ფურც. 7.

14 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 1, საქ. 3159, ფურც. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეალურ შედეგებს მისი უცხო და მტრული ელემენტებისაგან გაწმენდის საქმეში. ამიტომ პრეზიდიუმზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ წმენდა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა ქვემდგომ საბჭოთა აპარატში და სუსტად იყო ჩაბმული ამ საქმეში მსუბუქი კავალერია, სოფლის აქტივი, მოჯამაგირე და ღარიბი გლეხობა.

ცსკ-იის პრეზიდიუმმა გაითვალისწინა რა აღნიშნული ნაკლოვანებანი სახელმწიფო აპარატის წმენდის საკითხებზე მიიღო დადგენილება, რომლითაც სახელმწიფო პარატის გამწმენდ კომისიას დაევალა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება წმენდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, სახელმწიფო აპარატის წმენდაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის მეთოდებისა და ფორმების შესახებ[15].

საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები თავიანთ დადგენილებებში ადასტურებდნენ მოსამზადებელი მუშაობის სისუსტეს და კატეგორიულად მოითხოვდნენ პასუხისმგებლობის გაძლიერებას პარტიული და სხვა ორგანოებისაგან სახელმწიფო აპარატის წმენდისადმი. აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების შედეგად მდგომარეობა უმჯობესდებოდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მუშგლეხინმა საკოლმეურნეო მოძრაობის გაფართოებასთან ერთად კვლავ შეასუსტა ყურადღება წმენდისადმი. ყოველივე ამის გამო ცსკ-ამ ადგილობრივი ორგანოების ყურადღება კვლავ მიაქცია სოფლად სახელმწიფო აპარატის წმენდის საქმეს. ამის შედეგად კოოპკავშირულმა და მსუბუქი კავალერიის ჯგუფებმა შედარებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო აპარატის წმენდაში.

წარმოების ზოგიერთი ხელმძღვანელი უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა წმენდისადმი. შეიმჩნეოდა შემთხვევები, როდესაც წარმოების ხელმძღვანელი მალავდა თავის აპარატის ნაკლოვანებებს. ადგილებზე ხშირად უგულებელყოფდნენ რესპუბლიკური კომისიების ყოფნას და მითითებას, ოქმებში ჩაწერის უფლებებს არ იცავდნენ და არ შეჰქონდათ აუცილებელი და არსებითი ცნობები წმენდაში მოყოლილი პირების შესახებ. შემმოწმებელ კომისიებში ხშირად ირჩევდნენ გამოუცდელ მუშაკებს, ზოგჯერ კომისიებში ხვდებოდნენ ისეთები, რომლებიც წარმოების ხელმძღვანელის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და ა. შ. ამის გამო ხშირად დარღვევებს ჰქონდა ადგილი. მაგალითად ქუთაისის ოლქის საფინანსო განყოფილებაში წარმოების ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა უსაფუძვლოდ, მათდამი უნდობლობისათვის მოეხსნა ყველა ფინინსპექტორი. განმეორებით შემოწმების შედეგად 20-ის ნაცვლად მოხსნილ იქნა მხოლოდ 6 კაცი. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სამხრეთ ოსეთში, რის შედეგად პირველი წმენდის შედეგები გაუქმდა[16].

1930 წლის მაისში რესპუბლიკურ კომისიაში შემოსულ იქნა 119 განცხადება მოხსნილი მუშაკებისაგან. ამის გამო რესპუბლიკური კომისია ფრთხილად უდგებოდა შემოსული განცხადებების განხილვას და ხშირად ირკვეოდა, რომ შემმოწმებელ კომისიათა დადგენილებანი დაუსაბუთებელი იყო, რომელიც შემდეგ სწორდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ 1930 წლის 2 სექტემბრის სხდომაზე საინფორმაციო ცნობა მოისმინა ქვემდგომი საბჭოთა აპარატის წმენდის მიმ-

15 სსსრ ცსია, ფ. 295, აღწ. 1, საქ. 1981, ფურც. 3—4.

16 სსსრ ცსია, ფ. 295, აღწ. 1, საქ. 1981, ფურც. 9—10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინარეობის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ რესპუბლიკური კომისიის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს. კომისიის მთელ რიგ წევრებს: სასანიშვილს, კახნიაშვილს, თოფჩიშვილს და სხვ. გამოეცხადათ საყვედური სხდომებში მონაწილეობის მიუღებლობისა და სხდომების ჩაშლისათვის. საბჭოთა აპარატის წმენდის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის მობილიზებულ იქნა მთელი რიგი მუშაკები[17]. ცოტა უფრო გვიან, 1930 წლის 15 სექტემბერს, მუშგლეხინის კოლეგიის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საბჭოთა აპარატის წმენდის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობის შესახებ. კოლეგიის დადგენილებით რესპუბლიკურ კომისიაში შეყვანილ იქნა 10 კაცი, ხოლო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ენუქიძე და პასუხისმგებელ მდივნად საბაშვილი (ორივე მუშგლეხინიდან)[18]. იმავე კოლეგიის სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი პასუხისმგებელი მუშაკების ადგილებზე გაგზავნის შესახებ საბჭოთა აპარატის წმენდის ჩასატარებლად. დადგენილებაში ჩაიწერა რომ საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საკონტროლო კომისიის დადგენილებით საბჭოთა აპარატის წმენდისათვის მობილიზებულ იქნა 22 პასუხისმგებელი ამხანაგი[19].

საქ. კპ(ბ) ცსკ-მუშგლეხინის მოღვაწეობას სახელმწიფო აპარატის წმენდის საქმეში ყოველდღიურ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევდა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ცსკ-მუშგლეხინი.

1930 წლის 15 დეკემბერს საქ. კპ(ბ) ცსკ-იის პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა პარტიის ამიერკავკასიის ცსკ-მუშგლეხინის ცნობა საქართველოს რესპუბლიკური კომისიის მუშაობის შესახებ საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხზე, რომლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. ორჯონიკიძე. მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკურმა კომისიამ ვერ უზრუნველყო სახელმწიფო აპარატის წმენდის გეგმის შესრულება, ადგილი ჰქონდა მუშაობის ჩაშლას. ყოველივე ამის გამო რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე ენუქიძე გაანთავისუფლეს კომისიაში მუშაობისაგან, ხოლო კომისიის ყველა წევრს აღნიშნული ამოცანებისადმი არა გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის მიეთითა. რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოს მუშგლეხინის წევრი ა. გიორგაძე და რესპუბლიკური კომისიას დაევალა დაუყოვნებლივ შედგომოდა ყველა იმ ნაკლოვანების გამოსწორებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათ მუშაობაში[20]. გატარებული ღონისძიების შემდეგ რესპუბლიკურმა კომისიამ გააუმჯობესა მუშაობა და მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულეს სახელმწიფო აპარატის განმტკიცებაში.

საქ. კპ(ბ) VII ყრილობამ სათანადო ყურადღება მიაქცია ცსკ-მუშგლეხინის მუშაობას საერთოდ, და კონკრეტულად, სახელმწიფო აპარატის წმენდის საქმეში. ამ საკითხზე ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კპ(ბ) ცსკ-იის პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მუშგლეხინის სახალხო კომისარი ივანოვ-კავკაზსკი. მოხსენებაში აღინიშნა, რომ ცსკ-მუშგლეხინმა გარკვეული ღონისძიებანი განახორციელა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ

[17] სსსრ ცსოა, ფ. 295, აღწ. 1, საქ. 2012, ფურც. 165.

[18] იქვე, ფურც. 168.

[19] იქვე.

[20] იქვე, საქ. 1056, ფურც. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღსანიშნავი იყო მთელი რიგი სახალხო კომისარიატების სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაცია, როგორიც იყვნენ: მიწათმოქმედების, განათლების, ფინანსთა და იუსტიციის, აგრეთვე ცეკავშირი და სხვ. აღნიშნულმა რეორგანიზაციამ უდიდესი ეკონომია მისცა სახელმწიფოს: შემცირდა შტატები, მუშაობა გახდა უფრო მკაფიო, გამონთავისუფლდა ფინანსიური საშუალებანი, რომელიც შემდეგ მოხმარდა რესპუბლიკის კულტურულ საჭიროებებს[21].

შემდეგ, ყრილობაზე ყურადღება იქნა გამახვილებული იმ გარემოებაზე რომ სახელმწიფო აპარატებში ჯერ კიდევ იყვნენ სრულიად უვარგისი ელემენტები, რომლებიც არ იყვნენ დაინტერესებულნი მისი მუშაობის გაუმჯობესებით. მოხსენებაში მოტანილ იქნა აღმაშფოთებელი ფაქტი იმის შესახებ, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატში წმენდის დროს აღმოჩნდა ერთი კონტრრევოლუციონერი გენერალი, სამხედრო პროკურორი, რომელმაც 1912 წელს მონაწილეობა მიიღო აჯანყებული ჯარისკაცების ჩამოხრჩობაში[22]. მომხსენებელი მიუთითებს, რომ იგი ამჟამად დაპატიმრებულია და საკადრის სასჯელს მიიღებსო.

ყრილობაზე გაკრიტიკებულ იქნა თვით ცსკ-მუშგლეხინის მუშაობაც, აღინიშნა, რომ ინსპექციაში ადგილი ჰქონდა ბიუროკრატიზმს, რაც მოითხოვდა თვით კონტროლის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას. კონტროლის ორგანოებში ბიუროკრატიზმის არსებობის გამო მაზრებში მოხსნილ იქნა საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის 7 თავმჯდომარე. მაგალითად, ქუთაისში აფხაიძე კრიტიკის ჩახშობისათვის, სენაკის მაზრაში კარტოზია და გურიის მაზრაში მგალობლიშვილი დაჯგუფებებში მონაწილეობისათვის, ახალქალაქის მაზრაში — მეგრაბიანი, რომელიც ერთ-ერთ სოფელში ნასვამ მდგომარეობაში ეცნობოდა საკითხებს და სხვ.

ყოველივე ამის გამო ყრილობამ, ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისათვის ბრძოლის შემდგომ გაგრძელებისა და, მეორე მხრივ, თვით ცსკ-მუშგლეხინის აპარატის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობას.

ცსკ-მუშგლეხინის ინსპექციის მუშაობის საკითხზე საქ. კპ(ბ) VII ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ საკონტროლო ორგანოებმა მთელი თავისი მუშაობა უნდა აწარმოოს მასების ფართოდ მოზიდვის საფუძველზე და მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს პროფორგანიზაციებთან, განსაკუთრებით კი საწარმოო თათბირებთან, ეკონომიკურ კომისიებთან, მსუბუქ კავალერიასთან და სხვ. მან უფრო მეტად უნდა გააჩაღოს ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან, სახელმწიფო აპარატის გაიაფებისათვის და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გადაწყვეტილებების ფაქტობრივი შესრულების შემოწმებას და იგი თანდათან გადააქციოს თავის მუშაობის ცენტრად, რათა ამ გზით მიაღწიოს არა მარტო პარტიული დირექტივების და მთავრობის დადგენილებების შესრულებას, არამედ ამ დირექტივების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას, თვით დირექტივების სისწორის შემოწმებასაც[23].

შემდეგ, ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ

[21] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 1, საქ. 3456, ფურც. 122.

[22] იქვე, ფურც. 130—131.

[23] გაზ. „კომუნისტი“, 1930, 12 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო აპარატის წმენდაში ნაკლოვანებებს მთელ რიგ ორგანიზაციებში და რაიონებში, რაც იმის შედეგი იყო, რომ ამ მუშაობას ზოგჯერ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტორგანიზაციები და პროფკავშირები. ყოველივე ამის გამო პარტიულმა ყრილობამ დაავალა ყველა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიულ ორგანიზაციას, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სახელმწიფო აპარატის წმენდისათვის და შეეფასებინათ იგი როგორც უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებისა და პირველ ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის[24].

საქართველოს კომპარტიის VII ყრილობის შემდეგ სახელმწიფო აპარატის წმენდა წარმატებით მიმდინარეობდა, თუმცა, მაინც არ იყო იგი დაზღვეული ზოგიერთი შეცდომებისაგან.

საქ. კპ(ბ) VIII ყრილობამ, რომელმაც მოისმინა ცსკ-იის პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მუშგლეხინის კომისარიატის სახალხო კომისრის ვ. მზარეულაშვილის მოხსენება, აღნიშნა, რომ პარტიის VII ყრილობიდან წმენდა ჩატარდა 49 დაწესებულებაში. საჯარო წმენდა 3500 კაცმა გაიარა, აქედან სასჯელი დაედო 2158 კაცს. პირველი კატეგორიით გაწმენდილ იქნა 138 კაცი, მეორე კატეგორიით—502, მესამე კატეგორიით 138 კაცი, აპარატის გაჯანსაღების წესით — 408, სასჯელის დადებით 966, მავნებლობის მიზეზით 103 კაცი, ბიუროკრატიზმისათვის 90, კლასობრივად უცხო ელემენტი 968 კაცი. პარტიულ და კომკავშირელთა რიგებიდან სასჯელი დაედო 199 კაცს. საკონტროლო კომისიას 46 კაცის საქმე გადაეცა. სოციალური მდგომარეობის მიხედვით წმენდაში მოყვა 245 თავადი და აზნაური, 402 ვაჭარი, გაურკვეველი მდგომარეობის—469, დანარჩენი — 1345. საერთოდ აპარატის წმენდაში 85 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. იქვე აღინიშნა, რომ პროფკავშირების მონაწილეობა სახელმწიფო აპარატის წმენდაში არადამაკმაყოფილებელი იყო.

ყრილობაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ ცსკ-იის მიერ დაშვებული იყო შეცდომები კომისიის შემადგენლობის შერჩევის საქმეში. იყო შემთხვევები, როდესაც გამწმენდი კომისიის თავმჯდომარედ და მდივნად შეუფერებელ კადრს არჩევდნენ. მაგალითად, მუშკოოპის გამწმენდი კომისიის თავმჯდომარე გიორგაძეს თვითონ ჰქონდა ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული. ასევე საქართველოს კოოპმეურნეობის აპარატის გამწმენდი კომისიის თავმჯომარემ ისაკაძემ დაუშვა მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი. ყოველივე ეს აიხსნებოდა ცსკ-იის სუსტი მუშაობით, იმიტომ, რომ მან ვერ შეარჩია მთელი პასუხისმგებლობით სახელმწიფო აპარატის გამწმენდი კომისიები[25]. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ზოგიერთ კურიოზებს — წმენდაში მოყოლილი ზოგიერთი პიროვნება უკეთესს ადგილებზე ეწყობოდნენ სამუშაოდ. მაგალითად, სამრეწველო კავშირში წმენდაში მოყოლილი ვინმე ჭუმბურიძე, რომელიც წინათ ღებულობდა 140 მანეთს, წმენდის შემდეგ მოეწყო სამუშაოდ, სადაც ღებულობდა 350 მანეთს; ასეთივე მდგომარეობაში იყო ჟორდანია, რომელიც წმენდაში მოყოლამდე მუშაობდა ქიმკომბინატში და ღებულობდა 145 მანეთს, შემდეგ კი 250 მანეთს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში იყო მაისურაძე და სხვ. ყოველი-

[24] გაზ. „კომუნისტი", 1930, 12 ივლისი.

[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 1, საქ. 4235, ფურც. 156—157.

[26] იქვე, ფურც. 158.

ვე ეს მოწმობდა იმას, რომ სახელმწიფო აპარატის წმენდის დროს ადგილი ჰქონდა შეცდომებს.

შემდეგ, რაიონებში სახელმწიფო აპარატის წმენდის მიმდინარეობების შესახებ ყრილობაზე აღინიშნა: სულ სახელმწიფო აპარატის 14 რაიონი იქნა გაწმენდილი, სადაც მოსამსახურეთა საერთო რიცხვი უდრიდა 7790 კაცს, წმენდა კი გაიარა 3877 კაცმა. საერთო სურათი აქაც ისეთივე იყო როგორც ცენტრალურ აპარატში[26].

VIII ყრილობამ კვლავ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახელმწიფო აპარატის წმენდისა და მისი განმტკიცების საკითხებს. ამასთან ერთად ყრილობამ ხაზი გაუსვა შესრულების შემოწმების, შრომის დისციპლინის განმტკიცების და კადრებთან მუშაობის საკითხებს და ამ მიმართულებით დასახა მათი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სახელმწიფო აპარატის დაწყებული წმენდა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების პარტიული კურსი განუხრელად ხორციელდებოდა. ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული.

საქართველოს კომპარტიის IX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახელმწიფო აპარატის შემდგომი განმტკიცების საქმეს. ცსკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მუშგლეხინის სახალხო კომისრის გ. სტურუას მოხსენებაში ცსკ-მუშგლეხინის მუშაობის შესახებ აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებას და სხვ. მაგალითად, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შტატები შემცირდა 33%-ით, ცენტრალურ არქივში—30%-ით, დამზადების ტრესტში—32%-ით და ა. შ. გარდა ამისა განხორციელდა პერსონალური ხელფასების და ადმინისტრაციულ სამეურნეო ხარჯების შემცირება. ამ მხრივ საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატში გასავალი შემცირდა 35%-ით, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში—34%-ით, ცენტრალურ არქივში 36%-ით, საქართველოს აზრეშუმის მრეწველობაში 48%-ით და ა. შ.

ყოველივე ამის შედეგად,—აღნიშნავს მომხსენებელი, — მიღებულ იქნა შემდეგი სურათი: თბილისში, აფხაზეთში, აჭარასა და 33 რაიონში შტატები შემცირდა 5922 ერთეულით, რაც შეადგენდა საერთო რაოდენობის 16,5%-ს სულ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები ხელფასის ჩათვლით შემცირდა 22.322997 მანეთით, რაც შეადგენდა საერთო რაოდენობის 14,5%-ს. გარდა ამისა, 8 მილიონი მანეთით შემცირდა გასავალი საწარმოო დაწესებულებებში. თუ დავაჯამებთ მივიღებთ დაახლოებით 30 500 ათას მანეთს. ეს ეკონომია მოხმარდა ქვეყნის სახალხო მეურეობას[27].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინმა დიდი როლი შესრულა სოციალისტური სახელმწიფო აპარატის გარდაქმნასა და განმტკიცებაში. კომუნისტური პარტიის ყურადღება ყოველთვის მიპყრობილი იყო და არის სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისადმი.

სკკპ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალისტური კონტროლის ორგანოების მოღვაწეობას, რომელთა როლი განუხრელად იზრდება განვითარებული სოციალიზმის პირობებში. „საბჭოთა დემოკრატიის აუცილებელი

[27] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 1, საქ. 5372, ფურც. 164—165.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ.

შემადგენელი ნაწილია, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXVI ყრილობაზე —ყოვლისმომცველი სახალხო კონტროლი მმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა მუშაობისადმი. არც ერთი დარღვევა, ბოროტმოქმედება, მფლანგველობის, უდისციპლინობის არც ერთი ფაქტი არ უნდა გამოეპაროს სახალხო კონტროლიორთა მზრუნველ თვალს. იმოქმედეთ უფრო ენერგიულად, იმოქმედეთ უფრო შემართებით — აი რა მიზანს უსახავს მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტი“[28].

[28] ლ. ი. ბრეჟნევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1981, გვ. 109.

Б. Н. ДАРДЖАНИЯ

## ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ОРГАНОВ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО КОНТРОЛЯ В ДЕЛЕ УКРЕПЛЕНИЯ ГОСУДАРСТВА

## (1921—1937 гг.)

Резюме

В статье на основе изучения трудов классиков марксизма-ленинизма, решений съездов и пленумов КПСС и КП Грузии, в соответствии с данными советской периодики и архивных материалов показана роль органов социалистического контроля в деле укрепления социалистического государства.

В труде освещена деятельность органов социалистического контроля и его местных органов в деле укрепления социалистического государства.

წარმოადგინა ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარგარიტა კიკაბიძე

# საქართველოს ქალთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობა სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პერიოდში (1933—1937 წწ.)

საბჭოთა ხალხმა ვადაზე ადრე შეასრულა პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომლის შედეგადაც აშენდა სოციალიზმის საფუძვლები. ამ დიდ წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის მშრომელმა ქალებმა, რომლებიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობდნენ.

ამის შემდეგ დაიწყო სოციალიზმის მშენებლობის დამამთავრებელი ეტაპი, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს 1933—1937 წლებს. ესაა პერიოდი, როდესაც ჩვენი ხალხი იბრძოდა მეორე ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად. მეორე ხუთწლედში წყდებოდა უმნიშვნელოვანესი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანები. იგი გულისხმობდა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამყარებას, სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებას.

კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა მშრომელთა ბრძოლას, რომელიც გაიშალა მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის. სიმბოლურია ის, რომ მეორე ხუთწლედის პირველ დღეს, 1933 წლის 1 იანვარს, მთელს ქვეყანაში აღინიშნა შრომის დღესასწაული — დამკვრელის დღე. ეს დღე მშრომელთა მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩატარდა საქართველოშიც. ამ დღეს ფაბრიკებსა და ქარხნებში გაიმართა კრებები, მიტინგები, კონფერენციები, რომლებზეც მუშები აჯამებდნენ პირველი ხუთწლედის შედეგებს, უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას და კისრულობდნენ ახალ ვალდებულებებს მეორე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ეს იყო სოციალისტური შეჯიბრების დათვალიერების დღე. ათასობით მუშა ჩადგა დამკვრელთა რიგებში.

დამკვრელის დღე ორგანიზებულად ჩატარდა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. მისთვის მზადება ადრე დაიწყო. გამოიყო სპეციალური ბრიგადები დამკვრელი მუშების მონაწილეობით, რომლებმაც შეამოწმეს 1932 წლის საწარმოო გეგმის შესრულება მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები და შეიმუშავეს მეორე ხუთწლედისათვის საქმიანი პრაქტიკული წინადადებები. 1 იანვარს ფაბრიკაში მოეწყო მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი. 160 დამკვრელი დააჯილდოვეს, მათ შორის იყვნენ ნოვატორი ქალები: ემა კალანდარიშვილი, ჟენია ზაქარაშვილი, თამარ ლაზვიაშვილი, ბაბო პიშალოვა და სხვ.[1] მიტინგზე დაისახა მომავალი მუშაობისათვის პრაქტიკული ღონისძიებანი.

ასეთი მიტინგები ჩატარდა რესპუბლიკის თითქმის ყველა საწარმოში.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მუშა ქალების აქტივო-

---

[1] გაზ. „მუშა", 1933 წლის 2 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ამაღლების მრავალ ღონისძიებას ატარებდნენ. მაგალითად, საწარმოებში ხშირად ეწყობოდა შეხვედრები „ფინჯან ჩაიზე". ერთ-ერთი ასეთი პირველი შეხვედრა მოეწყო თბილისში 1934 წლის 20 იანვარს[2].

რესპუბლიკის საწარმოთა დამკვრელი და ვეტერანი მუშა ქალები დიდ მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა მუშების მომზადებაში, მათ დასპეციალებაში. ისინი მუდამ უზიარებდნენ მათ თავიანთ გამოცდილებას. მაგალითად, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დამკვრელმა მუშამ ვარდო გეგუჩაძემ 60-მდე ახალგაზრდა ქალს შეასწავლა პროფესია. მათგან ბევრი ისე დაოსტატდა, რომ შემდგომში ვარდოსაც კი სჯობნიდა.

1932 წელს წარჩინებით დაამთავრა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა და თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ხუთი წელიწადი იმუშავა მქსოველად და ქსოვის ინსტრუქტორად დამკვრელმა ქალმა თამარ ბირკაძემ. მან საუცხოოდ იცოდა ფეიქრის პროფესია, საფეიქრო საქმის ტექნიკა და პირველ რიგში საკუთარი დაზგა. ამიტომ მოწინავე ფეიქარი სისტემატურად ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს, იმაღლებდა პროფესიულ კვალიფიკაციას[3].

მრავალი თაოსნობის ინიციატორი იყო ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დამკვრელი მუშაქალი, კომუნისტი თეკლე ბაქრაძე. მან ათობით ქალს შეასწავლა ქსოვის ოსტატობა. მისი ინიციატივით საწარმოში დაზგებთან გაკრული იყო წარწერები: „სირცხვილი წუნის გამომშვებს", „ვიმუშაოთ სრული დატვირთვით!", „ მივცეთ სახელმწიფოს გეგმაზე მეტი პროდუქცია![4]"

მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს იძლეოდა ბათუმის არტელის „ქალთა გამარჯვება" კოლექტივი. რომლის უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. აქ ფართოდ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. მოწინავეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დამკვრელი ქალები ზ. აბაშიძე, მ. კარახასანგი, მ. შექისრიოლა და სხვ[5].

მეორე ხუთწლედში წარმატებით წყდებოდა ქვეყნის ძირითადი ამოცანა — სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება. ტექნიკის უნარიანად გამოყენებაზე დამოკიდებული იყო ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი ზრდა. ტექნიკის დაუფლებისა და მისი სრულად გამოყენების უნარის მქონე კადრების მომზადების პრობლემას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი „კადრები წყვეტენ ყველაფერს!"

კომუნისტური პარტიის მოწოდების საპასუხოდ, ტექნიკის დაუფლების შესახებ, მრეწველობის ყველა დარგში გაიშალა მოწინავე მუშათა მასობრივი მოძრაობა მოძველებული ტექნიკური ნორმების გადასინჯვისათვის, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლებისათვის. 1935 წელს ნოვატორთა ახალი, დიდი მოძრაობის ინიციატორი გახდა დონეცკის ოლქის კადიევკის რაიონის შახტ „ცენტრალნაია ირმინოს" მნგრეველი ალექსი სტახანოვი, რომელმაც ერთ ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი მოიპოვა და ამით 14-ჯერ გადააჭარბა ჩვეულებრივ ნორმას. ასე ჩაეყარა საფუძველი სტახანოვურ მოძრაობას, რომელიც გავრცელდა მთელ ქვეყანაში.

---

[2] ჟურნ. „მშრომელი ქალი", 1934, № 1, გვ. 11.

[3] სტახანოვური მოძრაობის პიონერები საქართველოში, თბ., 1975, გვ. 75—76.

[4] გაზ. „ლენინელი", 1934 წლის 12 ნოემბერი.

[5] გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი", 1935 წლის 26 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტახანოვური მოძრაობის პირველ ინიციატორთა და მონაწილეთა შორის იყო მრავალი მუშა ქალი მრეწველობის ყველა დარგში, განსაკუთრებით კი მსუბუქ მრეწველობაში. მაგალითად, საფეიქრო მრეწველობაში ა. სტახანოვის პირველი მიმდევრები იყვნენ ვიჩუგსკის (ივანოვოს ოლქი) ნოგინის სახელობის ფაბრიკის მუშები ევდოკია და მარია ვინოგრადოვები. ისინი უფრო ადრე მუშაობდნენ 35-42 დაზგაზე, მაგრამ სტახანოვური მოძრაობის დაწყების შემდეგ გადავიდნენ 100—100 დაზგის მომსახურებაზე. ეს იყო საკავშირო რეკორდი[6].

მარიამ და ევდოკია ვინოგრადოვებს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა საქართველოში. ყველაზე მეტი მათ შორის მუშაობდა აბრეშუმის საფეიქრო წარმოებაში. ამ დარგის საწარმოებში მრავალი მოწინავე ქალი გახდა მნიშვნელოვან თაოსნობათა ინიციატორი. ერთ-ერთი მათგანია ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მოწინავე კომკავშირელი მქსოველი სონია ხობუა. იგი ამისათვის სავსებით მომზადებული იყო. უფრო ადრე სახელმწიფო ტექნიკური გამოცდა ჩააბარა „ფრიადზე". თუ ადრე ერთ დაზგაზე მუშაობდა და ქსოვდა 10-11 მეტრ ქსოვილს, გამოცდების ჩაბარების შემდეგ გადავიდა 4 დაზგაზე და ცვლაში ქსოვდა 55 მეტრ ქსოვილს[7]. სონა ხუბუა აბრეშუმის კომბინატის პირველი სტახანოველი იყო.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში თავი გამოიჩინა სტახანოველმა ნატალია კანდელაკმა. იგი სტახანოვურ მეთოდზე გადასვლამდე მუშაობდა 30 ჯარაზე, სტახანოვურ მოძრაობაში ჩაბმის შემდეგ ემსახურებოდა 60 ჯარას, შემდეგ კი 90 ჯარაზეც მუშაობდა[8].

დიდ წარმატებებს მიაღწია სოხუმის საკონსერვო ქარხნის მუშამ თამარ სოხაძემ. იგი ტექნიკის კარგად შესწავლის შედეგად ერთი ქვაბის მომსახურებიდან 6 ქვაბის მომსახურებაზე გადავიდა.

ნოვატორული მუშაობის გაშლისათვის, მეორე ხუთწლედის ამოცანათა შესასრულებლად მასების დარაზმვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტახანოველთა პირველ სრულიად საკავშირო თათბირს, რომელიც 1935 წლის ნოემბერში გაიმართა. თათბირმა მაღალი შეფასება მისცა ნოვატორთა მოძრაობას, დასახა მისი ფართოდ გავრცელების ამოცანა მთელ ქვეყანაში.

მასობრივი ნოვატორული მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის პარტიულ ორგანიზაციებს კონკრეტული პროგრამა დაუსახა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1935 წლის დეკემბერში გაიმართა. პლენუმმა განიხილა მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების საკითხები სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით. სტახანოვური მოძრაობა პლენუმმა შეაფასა როგორც ღრმა რევოლუციური მოძრაობა და ჩამოაყალიბა მისი შემდგომი გაფართოების ღონისძიებანი. პლენუმის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ „სტახანოვური მოძრაობა არის შედეგი მთელი ჩვენი განვითარებისა სოციალიზმისაკენ"[9].

---

[6] Женщины страны Советов, М., 1977, გვ. 152.

[7] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი (შემდგომში: პარტიული არქივი (თბილისი). ფ. 96, ა. I, ს. 801, ფ. 173.

[8] ს. შ ა რ ი ქ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში (1933—1937 წწ), თბ., 1959, გვ. 140—141.

[9] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში (1898—1954) თბ., 1954, ნაწ. III, გვ. 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს ბრძოლა პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. მასობრივ სტახანოვური მოძრაობის გაფართოებას დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა სტახანოველთა პირველმა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც 1935 წლის 15 დეკემბერს თბილისში შედგა. თათბირის მონაწილეთა შორის მრავალი ახალგაზრდა მუშა ქალი იყო.

1935 წლის დეკემბერში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა „სტახანოვური მოძრაობის საკითხებზე პარტიის ხელმძღვანელობის შესახებ“[10] და მიიღო შესაბამისი დადგენილება დედაქალაქში ნოვატორთა მოძრაობის აღმავლობისათვის.

1936 წლის დასაწყისიდან საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში დაიწყეს სტახანოვური ხუთდღიურების და ათდღიურების ჩატარება. მასში მუშათა ფართო მონაწილეობა მეტყველებდა მასების დიდ პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობაზე[11].

წარმატებით ჩატარდა სტახანოვური ხუთდღიურები თბილისის აბრეშუმსაქსოვ და ბამბის სართავ ფაბრიკებში, №1 სამკერვალო ფაბრიკასა და სხვა საწარმოებში, სადაც ძირითადად ქალები იყვნენ დასაქმებულნი.

სტახანოველთა რიგებს მუშათა ახალი რაზმები შეემატა 1936 წლის დეკემბერში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებისა და შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში.

ხუთწლედის შესრულების დიდი ამოცანები მუშათა კლასისაგან მოითხოვდა მთელი ძალების მობილიზაციას. მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენებას, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, სტახანოვური მოძრაობის გაშლას, რაც მრეწველობის ცალკეული დარგების ჩამორჩენის ლიკვიდაციის ქმედითი საშუალება იყო.

ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის 15 იანვარს მიღებულ დადგენილებას საქართველოს სსრ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში 1937 წლის საწარმოო გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ამოცანად იყო დასახული, რომ რესპუბლიკაში არ უნდა ყოფილიყო არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო და მუშა.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ფართოდ გამოეხმაურა რესპუბლიკის მუშათა კლასი. საწარმოებში ჩატარდა კრებები, სადაც განიხილავდნენ ამ დადგენილებას და იღებდნენ გადიდებულ ვალდებულებებს გადაჭარბებით შეესრულებინათ გეგმები და არ დაეშვათ წუნდებული პროდუქციის გამოშვება. მოწინავე მუშები ვალდებულებას იღებდნენ დახმარება აღმოეჩინათ ჩამორჩენილი ამხანაგებისათვის და ჩაეყენებინათ ისინი მოწინავეთა რიგებში. ასეთი ვალდებულება აიღეს მაგალითად, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველმა ქალებმა ტატიანა რევიშვილმა, ანგელინა თედორაშვილმა, ქრისტინე ნემსიწვერიძემ, ზაირა გოგიტიძემ და სხვებმა.

საწარმოების კოლექტივები იღებდნენ ვალდებულებას ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება ყოველ საამქროსა და ბრიგადას შორის, მიეღწიათ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მაღალი საწარმოო მაჩვე-

---

[10] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, ა. I, ს. 2195, ფ. 3.

[11] მ. ნათმელაძე, საქართველოს მუშათა კლასის ისტორია, თბ., 1976, გვ. 16.

[2] გაზ. „სტალინელი“, 1937 წლის 22 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლებისათვის. შეჯიბრება გაჩაღდა რესპუბლიკის მონათესავე საწარმოთა შორისაც.

მეორე ხუთწლედში რესპუბლიკის წარმატებებში გარკვეული წვლილი შეიტანეს მძიმე მრეწველობის დარგში დასაქმებულმა ნოვატორმა ქალებმა. ავჭალის ფოლადისა და თუჯის ჩამომსხმელ ქარხანა „ცენტროლიტის“ წამყვან საამქროებში 1937 წლისათვის 60-ზე მეტი ქალი სტახანოვური მეთოდებით შრომობდა. ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხნის მარტო ერთ სადნობ საამქროში 70-მდე ქალი მუშაობდა.

ბევრი ქალი წარმატებით შრომობდა შახტებში, მაღაროებში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე.

მეორე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაძლიერდა სამრეწველო კოლექტივების შეფობა სოფელზე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები.

მეორე ხუთწლედში ტექნიკური ინტელიგენციის რიგებში გამრავლდა უმაღლესი განათლების მქონე ქალების რაოდენობა. ზოგიერთ მათგანს დიდ საპასუხისმგებლო უბანს ანდობდნენ. მაგალითად, შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის ოჩამჩირის უბნის ერთ-ერთ პუნქტს ხელმძღვანელობდა ინჟინერი კონკორდია პატუხოვა, ლუდმილა ჭანტურია კი ბათუმის რკინიგზის სადგურის უფროსად მუშაობდა. ინჟინერი ქალები წარმატებით შრომობდნენ რესპუბლიკის სხვა საწარმოებშიც.

* * *

პირველი ხუთწლედის წლებში განხორციელდა წვრილ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედების რელსებზე. მეორე ხუთწლედში კომუნისტურმა პარტიამ დასახა კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციული, სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების ღონისძიებები.

კოლმეურნეობებში ქალი ამ დროს უკვე დიდი ძალა გახდა. მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე არ შეიძლებოდა ბრძოლა სოფლად საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი აღმავლობისათვის. სისტემატურად იზრდებოდა კოლმეურნეობებში ქალების შრომითი წვლილი, მაღლდებოდა კოლმეურნე ქალთა შრომითი ენთუზიაზმი. რაც ასე აუცილებელი იყო კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

„კოლექტივიზაცია სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო. ისევე როგორც ყოველგვარი რევოლუციური საქმე, ისიც მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა. უნდა გაგვეტეხა უკანასკნელი და ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორული კლასის — კულაკობის წინააღმდეგობა“[13].

მართალია, მეორე ხუთწლედის დასაწყისში კულაკობა, როგორც კლასი განადგურებული იყო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ მოსპობილი. მისი გადმონაშთები კვლავ განაგრძობდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას. ზოგიერთ შემთხვევაში ყოფილი კულაკები სპობდნენ საკოლმეურნეო ქონებას, ხანძარს უჩენდნენ მას, თავიანთ მხარეზე იბირებდნენ ზოგიერთ ჩამორჩენილ კოლმეურნესაც[14]. კულაკობა განსაკუთრებით ცდილობდა ძირგამომთხრელი მუ-

[13] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, ლენინური კურსით, ტ. II, გვ. 94—95.

[14] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 95, ა. I, ს. 72, ფ. 77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობა ეწარმოებინა კოლმეურნე ქალთა შორის. პარტიული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში ამ გარემოებას დიდ ყურადღებას უთმობდნენ. კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში აგრეთვე დიდი როლი შეასრულეს პოლიტგანყოფილებებმა, რომლებიც სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან იყო ჩამოყალიბებული. მათ მუშაობაში ჩააბეს ბევრი ქალი.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზატორული განმტკიცების ამოცანები გადაუდებლად მოითხოვდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მასობრივად მომზადებას. ამ მიზნით ეწყობოდა აგროწრეები და მოკლევადიანი კურსები აგროტექნიკის ძირითადი საკითხების შესასწავლად. ამის გარდა, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის კადრებს ამზადებდნენ გლეხური ახალგაზრდობის საშუალო განათლების და სასოფლო-სამეურნეო სკოლები, ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლები.

კოლმეურნე ქალები მეორე ხუთწლედში კიდევ უფრო ფართო მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა სამეურნეო ხასიათის მასობრივ კამპანიებში. ამისი მაგალითი იყო 1933 წელს, თესვის კამპანიაში მასობრივი მონაწილეობა. ცენტრიდან რაიონებში გაგზავნეს პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სპეციალისტები, რათა დახმარება გაეწიათ ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის ქალების საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობის შემდგომ გაფართოებაში. 15 რაიონში ქალთა სექტორების მუშაკების ხელმძღვანელობით მოეწყო ქალთა კონფერენციები. კონფერენციებმა განიხილეს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის (1933 წლის 7-12 იანვარი), საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის გადაწყვეტილებანი და დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის დადგენილებანი.

სოფლის საბჭოებთან კონფერენციების მოწვევისა და მათი დადგენილებების დროულად შესრულების მიზნით გამოიყო ქალთა ბრიგადები, გაიშალა შეჯიბრება.

პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის და კოლმეურნე აქტივისტების მუშაობის შედეგად სისტემატურად მაღლდებოდა კოლმეურნეობებში ქალთა შრომითი წვლილი.

სოფ. რუხის (ზუგდიდი) კოლმეურნეობის წევრმა ლუბა შენგელიამ 1933 წელს კოლმეურნეობაში გამოიმუშავა 306 შრომადღე[16]. სოფ. ქვემო ახალსოფლის (გორი) კოლმეურნეობის № 2 ბრიგადაში 16 კოლმეურნეობიდან ქალი იყო 7. ისინი მამაკაცებთან ერთად აქტიურად იბრძოდნენ ჭარხლის უხვი მოსავლისათვის. განსაკუთრებით. გამოირჩეოდნენ ა. ლოლიშვილი, ბ. შუბითიძე, წკირიაშვილი და ბუხნიკაშვილი[17]. მათ შეასრულეს ყველა სამუშაოთა თითქმის ნახევარი.

საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქვემო სვანეთის მშრომელი ქალები. აქაური ქალები უფრო მეტს შრომობდნენ კოლმეურნეობებში, ვიდრე მამაკაცები, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გარე სამუშაოზე მიდიოდა.

---

[15] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ა. I, ს. 5301, ფ. 52.

[16] გაზ. „კომუნისტი“, 1934 წლის 8 მარტი.

[17] გაზ. „სოციალიზმის გზით“, 1933 წლის 17 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში შექმნილ 237 ბრიგადაში 4378 ქალი მუშაობდა, რაც კოლმეურნეთა საერთო რაოდენობის 42,2% შეადგენდა[18].

საკოლმეურნეო შრომაში ქალთა მონაწილეობის უკეთ ორგანიზაციის მიზნით, რესპუბლიკის მრავალ კოლმეურნეობაში შექმნილი იყო სპეციალური ქალთა ბრიგადები.

საკავშირო კპ (ბ) მე-17 ყრილობის შემდეგ მეცხოველეობის განვითარების ამოცანებმა ისეთივე მნიშვნელობა მოიპოვა, როგორც თავის დროზე მარცვლეულის პრობლემამ. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმებისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებას[19].

მათ საქმიანობაში უდიდესი როლის შესრულება შეძლო ქალთა შრომამ, რასაც ფართოდ იყენებდნენ რესპუბლიკაში.

საქართველოს კოლმეურნე ქალების დიდი შრომითი აქტივობა გამოიწვია დამკვრელ კოლმეურნეთა II სრულიად საკავშირო ყრილობამ, რომელიც 1935 წლის თებერვალში გაიმართა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 1435 კოლმეურნე, მათ შორის 442 ქალი (ე. ი. 31% ნაცვლად პირველ ყრილობაზე 14%-ისა)[20]. ეს მოწმობდა ქალის როლის შემდგომ ზრდას საკოლმეურნეო მშენებლობაში. ყრილობამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდება. მასში გათვალისწინებული იყო კოლმეურნეთა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ღონისძიებანი. იგი უზრუნველყოფდა კოლმეურნეთა პირადი ინტერესების უფრო სწორ შეხამებას საზოგადოებრივი წარმოების ინტერესებთან.

კოლმეურნეთა ახალი სანიმუშო წესდების მიღების შემდეგ კიდევ უფრო ამაღლდა კოლმეურნე ქალების აქტივობა. რესპუბლიკაში წარმატებით სრულდებოდა მეორე ხუთწლედის დავალებები, რაშიც დიდი წვლილი შეჰქონდათ კოლმეურნე ქალებს და საბჭოთა მეურნეობების მუშა ქალებს. მრავალი ქალთა ბრიგადა მოწინავეთა რიგებში იმყოფებოდა. მაგალითად, სოფ. ბერულის კოლმეურნეობის (სტალინირი) ქალთა ბრიგადაში დამკვრელურად შრომობდა 27 ქალი. ისინი ძირითადად მებაღეობასა და მებოსტნეობას მისდევდნენ[21]. კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში (ქობულეთი) ჩაის კრეფაში დაწინაურდა ქალთა ბრიგადა, რომელსაც სათავეში ედგა თუნთულ კესეიშვილი[22].

წარმატებით შრომობდნენ საქართველოს მეაბრეშუმე ქალები. მათ შორის იყვნენ მარო გიორგაძე (მახარაძე), აგრაფენა ჭაბუა, ელენე ტაბიძე, მინადორა მოსეშვილი (ფოთი) და სხვ.

სოფლის მეურნეობის ბევრი მნიშვნელოვანი დარგის დაწინაურება დაკავშირებულია მოწინავე კოლმეურნე ქალების სახელთან. საქართველოში, მაგალითად, ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა კიევის ოლქის „კომინტერნის“ სახელობის კოლმეურნეობის მეჭარხლე კომკავშირელ მარია დემჩენკოს, რომლის რგოლმა ერთ ჰექტარზე მიიღო 524 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ამით მან ორ-

---

[18] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, ა. I, ს. 1455, ფ. 44.

[19] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ III, გვ. 340.

[20] Женщины страны Советов, გვ. 167.

[21] გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1935 წლის 13 აპრილი.

[22] გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“, 1935 წლის 17 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯერ გადააჭარბა კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლის დონეს. მ. დამჩენკოს საქართველოში პირველი გამოეხმაურა მეჭარხლე მარიამ ჩადუნელი (სოფ. იგოეთი, გორის რ-ნი.)

მარია დემჩენკოს თაოსნობას მიბაძა აგრეთვე კარალეთელმა მეჭარხლემ სოფიო ბაზანდარაშვილმა.

საქვეყნოდ გაითქვეს სახელი მეჩაიე ქალებმა. ოჩამჩირელმა ცაცა ქარდავამ (სოფ. კოჩარა) და უშა ახუბამ (სოფ. ჰლოუ) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს ჩაის ფოთლის ორივე ხელით კრეფის მეთოდი. ამ მეთოდს მალე მრავალი მეჩაიე დაეუფლა.

1935 წელს ჩატარდა ჩაის საუკეთესო მკრეფავთა კონკურსი. გეგმების სისტემატურად გადაჭარბებითა და მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფით უშა ახუბამ მეორე პრემია დაიმსახურა[23]

სოფლის მეურნეობის აღმავლობაში მეორე ხუთწლედის პერიოდში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეურნეობების მუშა ქალებმა. მაგალითად, წარმატებით შრომობდნენ ქალები სოხუმის „ილიჩის" სახელობის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოთის კოლხიდმშენის ციტრუსების მეურნეობის მუშა გალინა ლევსკაია ხელმძღვანელობდა ქალთა ბრიგადას. ბრიგადა, რომელიც უმთავრესად ნერგების ამოღებასა და დამზადებაზე მუშაობდა, გეგმებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებდა.

მეცხოველე ქალებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს ხუთწლედის მესამე წელს. სოფ. რუკში (ჯავის რ-ნი, სამხრეთ ოსეთი) მესაქონლეობა კოლმეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენდა. ცნობილი მეცხოველე მართა პლიევა ოცზე მეტ ძროხას უვლიდა. მან მიაღწია წველადობის მნიშვნელოვან ზრდას. წარმატება ჰქონდა მთელ კოლმეურნეობასაც. 1935 წელს ხბოების გამოყვანის წლიური გეგმა კოლმეურნეობამ 150 პროცენტით შეასრულა, ხოლო თიკნებისა 110%-ით. ამ წარმატებაში დიდი იყო მარია პლიევას წვლილიც.

სოფ. მეჯვრის (ცხაკაია) კოლმეურნეობის ფერმის მწველავი მართა ჯოჯუა საათში ათი ძროხის ნაცვლად წველიდა 15-20 ძროხას.

წარმატებით შრომას განაგრძობდნენ მეაბრეშუმე ქალებიც. 1935 წელს რესპუბლიკაში აბრეშუმის საუკეთესო მოსავალი იყო. ასობით მეაბრეშუმე ქალმა 250-300%-ით შეასრულა პარკის ჩაბარების გეგმა. განსაკუთრებით თავი ისახელეს ჯუღელის[24] რაიონის მშრომელმა ქალებმა. რაიონში 2619 ქალი ეწეოდა მეაბრეშუმეობას. მარტო პრემიის სახით მათ მიიღეს 36 ათასი მანეთი. წარმატებით შრომობდნენ აგრეთვე ქუთაისის, ამბროლაურის, მახარაძის და სხვა რაიონების მეაბრეშუმე ქალები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებები მეორე ხუთწლედის მეოთხე წელსაც მოიპოვეს. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სტახანოვური მოძრაობის შემდგომმა გაფართოებამ. კოლმეურნეობებში იზრდებოდა სტახანოველთა და დამკვრელთა რიგები.

1936 წელს ნაყოფიერად იმუშავეს რესპუბლიკის მეთამბაქოე ქალებმაც. სოფელ ტიბაანის (სიღნაღი) კოლმეურნე ქალის ელენე ნატროშვილის, როგორც თამბაქოს მოსავლის ოსტატის სახელი უფრო ადრეც იყო ცნობილი. იგი

---

[23] Журн. «Советская субтропика», 1935, № 12, გვ. 5.

[24] სტახანოვური მოძრაობის პიონერები..., გვ. 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავეში ედგა ბრიგადას, რომელშიც 22 მოწინავე კოლმეურნე ქალი იყო გაერთიანებული. ბრიგადა 1936 წელს სტახანოვური შრომის მეთოდზე გადავიდა. სანიმუშო და მუყაითი მუშაობის შედეგად ბრიგადამ 1936 წელს მაღალხარისხოვანი თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა 300%-ით შეასრულა[24].

წარმატებით შრომობდნენ აგრეთვე აფხაზეთის მეთამბაქოე ქალები ე. ენუქიძე, ნ. ბარბაროვა (გაგრა) და სხვ.

მეორე ხუთწლედში შესამჩნევად გამრავლდა პროფესიონალ ქალთა რაოდენობა. ქალები სწავლობდნენ მექანიზატორის რთულ პროფესიას, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა პირველი ქალთა სატრაქტორო ბრიგადები, რომლის ინიციატორი იყო კომკავშირელი პაშა ანგელინა (სტარო-ბეშევსკი). მას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა, 1937 წლის 1 იანვრისათვის სსრ კავშირში თითქმის 44 ათასი ტრაქტორისტი ქალი იყო.

პ. ანგელინას მრავალი მიმდევარი გაუჩნდა საქართველოშიც. მაგალითად, სოფიო უსანაიშვილი (სიღნაღი), გუგული გელაზონია, ლუდმილა გუბელაძე, ელენა ნუცუბიძე (ქუთაისი) და სხვ.

1937 წელს, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, სოფლად კიდევ უფრო გაფართოვდა ნოვატორთა მოძრაობა და გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. სოფლის მშრომელთა შემოქმედებითმა საქმიანობამ, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ, შექმნა პირობები ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად.

სარეკორდო მაჩვენებლები მოიპოვეს მეჩაიე ქალებმა. უ. ახუბა თუ 1936 წელს დღეში კრეფდა 50-60 კგ ჩაის ფოთოლს, 1937 წელს ჩაის კრეფა მან 260-300 კილოგრამამდე აიყვანა. უ. ახუბამ ჩაის კრეფის სტახანოვური მეთოდი შეასწავლა 12 კოლმეურნეობის და 2 საბჭოთა მეურნეობის 465 მშრომელს[26].

წარმატებით შრომობდნენ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვა დარგში მომუშავე ქალებიც.

მეორე ხუთწლედში გათვალისწინებული ისტორიული ამოცანების გადაჭრაში მუშა და კოლმეურნე ქალებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს კულტურულ და სახელმწიფო მშენებლობაში დასაქმებულმა ქალებმა.

კულტურული რევოლუციის განხორციელების მთავარ ამოცანად კვლავ რჩებოდა უწიგნურობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიმართულებით მოპოვებული იყო მნიშვნელოვანი წარმატებანი. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო. მეორე ხუთწლიანი გეგმა სახავდა ამოცანას საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

უწიგნურობა ყველაზე მეტად იყო ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში. ამიტომ 1934 წლის 31 მაისს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1934 წლის 15 აგვისტოს მიიღეს დადგენილება ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის 120 მასწავლებელი ქალის მომზადების შესახებ.

წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის პედაგოგი ქალები კულტურულ ლაშქრობათა მოწინავეთა რიგებში იყვნენ. ისინი აბამდნენ მოსახლეობას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების

[25] Женщины страны Советов, გვ. 168.

[26] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 1938, წლის 5 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობაში. თბილისის ლენინის რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციისათვის უფასოდ მუშაობდა 22 მასწავლებელი და 41 ფრიადოსანი მოსწავლე. მათ შორის იყვნენ პედაგოგები სიდონია კალანდია, ელენე კუპატაძე, ნადია ჯორბენაძე და სხვ[27].

მეორე ხუთწლედში (1934 წლისათვის), 1928 წელთან შედარებით წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა რესპუბლიკაში 50%-ით გაიზარდა[28]. ამაში დიდი იყო ქალი პედაგოგების და მოსწავლეების დამსახურება.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა აჭარაში ქალების ცოდნის ასამაღლებლად. აჭარაში მარტო 1934-1935 სასწავლო წელს წერა-კითხვა შეისწავლა 2877 ქალმა. 1936 წელს ქალთა ლიკსკოლებში ჩაბმული იყო 2191 ქალი[29]. ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა სამხრეთ ოსეთში. ამის შედეგად წერა-კითხვის უცოდინარი მხოლოდ 13% იყო[30].

აფხაზეთის ასსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ავტონომიურ რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო დიდი გარდაქმნები სახალხო განათლების დარგში: საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების გატარების დამთავრება, მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა, სკოლისგარეშე მასობრივი მუშაობის ფართოდ განვითარება, რაც მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მშრომელი მასების კულტურული დასვენების ორგანიზაციასთან და ა. შ.[31] ყოველივე ეს მოითხოვდა პედაგოგთა კადრების დაძაბულ შრომას.

ჩვენს რესპუბლიკაში მეორე ხუთწლედში იყვნენ სახალხო განათლების დიდი მოამაგენი, რომლებმაც თავისი მოღვაწეობითა და თავდადებული საქმიანობით კეთილი კვალი დატოვეს, მათგან ბევრი ქალი იყო. ასეთ პედაგოგთა და სახალხო განათლების დარგის მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნიან გამოჩენილი პედაგოგი ქალები მარიამ ვარდანიძე, ნინო ძიძიგური, მარიამ გაჩეჩილაძე, მარიამ ბურჭულაძე და სხვ.

მეორე ხუთწლედში განსაკუთრებით გაფართოვდა პედაგოგიური კადრების მომზადება.

ამავე პერიოდში საბჭოთა ქვეყნის დაწყებით და საშუალო სკოლების მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ისინი საუკეთესო აღმზრდელები იყვნენ. მაგალითად, მთელ რესპუბლიკაში გახდნენ ცნობილი თბილისელი პედაგოგები ქეთო თოხაძე (34-ე საშუალო სკოლა), ლარისა გაბუნია (მე-18 საშუალო სკოლა), მავრა გეგეჭკორი (მე-8 პოლიტექნიკური ათწლედი).

ასევე სანიმუშოდ შრომობდა რესპუბლიკის სხვა ბევრი პედაგოგი ქალი.

განსაკუთრებით დიდი იყო იმ მასწავლებელთა მოვალეობა, რომელთაც სოფლად უხდებოდათ მუშაობა. ისინი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდასთან

---

27 გაზ. „კომუნისტური განათლება", 1934 წლის 15 გავისტო.

28 მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ანგარიში საბჭოთა მე-7 ყრილობათვის (1913ის—1934 წწ.), გვ. 151.

29 აჭარის ასსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის სახელმწიფოს არქივი, ფ. რ-4,. ა. I, ს. 946, ფ. 100.

30 გაზ. „საბჭოთა ოსეთი", 1935 წლის 7 მარტი.

31 სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. III, გვ. 302.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად დიდ საზოგადოებრივ-საავიტაციო მუშაობასაც ეწეოდნენ გლეხობაში და ხელს უწყობდნენ მათ შეგნებაში წარსულის გადმონაშთების თანდათანობით აღმოფხვრას.

მეორე ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ამოცანები. ცხოვრება მოითხოვდა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მკვეთრ გაუმჯობესებას, მომუშავე დედებისადმი დახმარების გაუმჯობესებას. ამ ამოცანების განხორციელებისათვის მებრძოლთა მაგალითი იყო თბილისის 1-ლი საჩვენებელი საბავშვო კერა, რომელსაც ნატალია უნაფქოშვილი ხელმძღვანელობდა. მან საბავშვო კერის მუშაობაში ფართოდ ჩააბა მშობლებიც[32].

ასევე სანიმუშოდ მუშაობდნენ სკოლამდელი აღზრდის სხვა მოწინავე მუშაკებიც.

მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგშიც მუშაობის შემდგომი საგრძნობი გაძლიერება და პირველ რიგში სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ფართოდ გატარება[33].

ამ ამოცანებიდან გამომდინარე ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს რესპუბლიკაში. მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის მოქმედებდა 97 სამშობიარო სახლი 1350 საწოლით, 210 საბებიო პუნქტი, ბავშვთა საბაგო საწოლები: მუდმივი — 8349, სეზონური — 8175, დედათა და ბავშვთა კონსულტაცია — 105, ბავშვთა პოლიკლინიკა — 19, ბავშვთა საავადმყოფო — 20[34].

მეორე ხუთწლედის ბოლოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის ორგანოებში მუშაობდ 1403 ექიმი ქალი, რაც შეადგენდა ექიმთა საერთო რაოდენობის 38,4 %-ს.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და სწრაფი განვითარების ამოცანებმა შექმნეს დიდი მოთხოვნილება სამეცნიერო კადრებზე, კერძოდ მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშაკებზე.

მეცნიერ მუშაკთა შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა ხვედრითი წილი. მაგალითად; თუ 1927-1928 წლებში რესპუბლიკაში 17 მეცნიერი მუშაკი ქალი იყო, 1933 წლისათვის მათი რიცხვი 137-მდე გაიზარდა[35].

დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ ქსენია ბახტაძე (სოფლის მეურნეობის დარგში), ვერა ბარდაველიძე (ეთნოგრაფიაში), დარეჯან ვაშაკიძე (მათემატიკაში), ნინო ციციშვილი (ქიმიაში), დარიკო ბერეჟიანი (მედიცინაში) და სხვ.

მეორე ხუთწლედში თავი გამოიჩინეს ლიტერატურის დარგში მოღვაწე ქალებმა ეკატერინე გაბაშვილმა, დესპინე გელოვანმა, მარიამ ალექსიძემ, დომნიკა ერისთავმა, ლიდა მეგრელიძემ, დარია ახვლედიანმა, როზა თავდიდიშვილმა და სხვ.

1934 წელს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. ყრილობამ აღიარა სოცალისტური რეალიზმი საბჭოთა ლიტერატურის მეთოდად.

---

32 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, 1938, № 11, გვ. 3—4.

33 სკკპ რეზოლუციებში., ნაწ. III, გვ. 302.

34 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, 1938, № 3, გვ. 2.

35 ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობა“, 1932, № 1—2, გვ. 656.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ხუთწლედში მწერალმა ქალებმა შექმნეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ასახავდნენ სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს, ახალი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებას. დრამატურგმა ანა ალაძემ დაწერა პიესები „სამი ქურდი“, „თანამედროვე ქალი“, „გულნარა“. ეს უკანასკნელი დრამატურგმა რკინიგზელებს მიუძღვნა. მისი პიესა „თერგის კომისარი“ ასახავდა ს. ორჯონიკიძის მოღვაწეობას სამოქალაქო ომში. პიესამ დრამატურგ ქალს დიდი აღიარება მოუტანა.

ამავე პერიოდში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ნიჭიერი პოეტი მარიკა ბარათაშვილი. მისი პირველი ლექსი „ჭიათურის მაღაროებში“ დაიბეჭდა 1936 წელს, ამავე ხანებში გამოიცა მისი „პირველი წიგნი „ყაჩაღანა“.

საყოველთაო აღიარება ხვდათ წილად პოეტებს მაყვალა მრევლიშვილს, რუთა ბერიძეს, ნადიდე გვარიშვილს და სხვ.

1936 წელს მოსკოვში მოეწყო ქართული საბავშვო ლიტერატურის გამოფენა, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ნინო ნაკაშიძე იყო.

ამ პერიოდში განსაკუთრებით ნაყოფიერია ნ. ნაკაშიძის შემოქმედებითი მუშაობა. ამ დროს იქმნება მისი შესანიშნავი საბავშვო ნაწარმოებები: „ლაოჩან“, „რთველი“, „უღუ და თეთ“ და სხვ. ამავე პერიოდში წერს იგი პიესას „ჩვენ გავიმარჯვებთ“, რომელშიც აღწერილია რევოლუციონერი ახალგაზრდობის შეუპოვარი ბრძოლა მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

მეორე ხუთწლედის პერიოდში დიდი შემოქმედებითი წარმატება ჰქონდათ ხელოვნების დარგში მოღვაწე ქალებს. მაგალითად, მარჯანიშვილის თეატრში ვერიკო ანჯაფარიძემ მრავალი ღირსშესანიშნავი სცენური სახე შექმნა. 1935 წლის სეზონში მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ლუიზას როლი შილერის პიესაში „ვერაგობა და სიყვარული“. გაზეთი „Заря Востока“ იმ დღეებში წერდა „... ანჯაფარიძის ლუიზა სპექტაკლის ცენტრია, მისი აზრი და მისი მთავარი ღირსებაა“[36].

ქუთაისის თეატრში წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე. 1934 წელს თეატრმა დადგა ვ. კირშონის „სასამართლო“, რომელშიც ნინომ ფრაუ კეტვიგის როლი განასახიერა. მის თამაშს მაღალი შეფასება მისცა გაზეთმა „სტალინელმა“[37].

ასევე წარმატებით გამოდიოდნენ მსახიობი ქალები: თ. ჭავჭავაძე, ნ. ლაფაჩი, თ. ბაქრაძე, ნ. ჯავახიშვილი (თბილისის რუსთაველის თეატრი), მ. დავითაშვილი, მ. ქორელი, ნ. წინამძღვრიშვილი (ქუთაისის თეატრი), თ. თვალიაშვილი, გ. კუპრაშვილი (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი), ეკ. სატინა, ლ. ბელეცკაია (თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი) და სხვ.

საბჭოთა კინემატოგრაფიაში უდიდესი გარდატეხა მოახდინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ცნობილმა დადგენილებამ ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ. იგი გადაიქცა საბჭოთა კინომუშაკების მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობის სტიმულად. ქართველი კინომუშაკების პირველი შემოქმედებითი პასუხი პარტიის მიერ მიღებულ ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაზე იყო სიკო დოლიძის მხატვრუ-

---

[36] Газ. «Заря Востока», 26 марта 1935 г.

[37] გაზ. „სტალინელი“, 1934 წლის 24 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ფილმი „უკანასკნელი ჯვაროსნები" (1933 წ.)[38]. ფილმში ნატო ვაჩნაძემ ხევსური ქალის როლი განასახიერა.

ნ. ვაჩნაძეს დიდი წარმატება ხვდა მ. ჭიაურელის ფილმებში „არსენა" (ნინო), „უკანასკნელი მასკარადი" (თამარი), ნ. შენგელაიას ფილმში „ნარინჯის ველი" (კოლმეურნე ქალი) და სხვ.

ამ პერიოდში გამოსული ქართული ფილმებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ს. დოლიძის „დარიკო". მთავარ როლს ამ ფილმში ასრულებდა მსახიობი თამარ ციციშვილი.

ასევე მნიშვნელოვანი სახეები შექმნეს ეკრანზე მსახიობმა ქალებმა ნ. ჩხეიძემ, ც. წუწუნავამ, ვ. ანჯაფარიძემ, დ. წეროძემ, ა. თოიძემ და სხვ.

სოციალიზმის მშენებლობის წლებში ძლიერ განვითარდა ქართული მუსიკალური ხელოვნება. პირველ რიგში აღსანიშნავია საოპერო ხელოვნების აღმავლობა. მრავალი შესანიშნავი მომღერალი აღზარდა ოლღა ბახუტაშვილ-შულგინამ, რომლებიც შემდეგ წარმატებით გამოდიოდნენ თბილისის საოპერო თეატრში. მათ შორის აღსანიშნავია ეკატერინე სოხაძე, ნადეჟდა ცომაია, მერი ნაკაშიძე და სხვ.

ხუთწლედებში დიდად განვითარდა სახვითი ხელოვნება. ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში ახალი პერიოდის დასაწყისს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მხატვრების პირველ ყრილობაზე (1933 წლის 5 იანვარი).

ქართველ მხატვართა შემოქმედებითი ნაყოფიერებასა და აქტიურობაზე მეტყველებდა 1933 და 1934 წლების გამოფენა. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ქართული სახვითი ხელოვნების უძვირფასეს ფონდს ეკუთვნის.

დიდ შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია ამ პერიოდში ელენე ახვლედიანმა. იგი ახლა სავსებით ჩამოყალიბებულ რეალისტ ოსტატად გვევლინება, მისი ნამუშევრებიდან შედევრად უნდა ჩაითვალოს ტილოები „ჩელუსკინელთა მოედნის ხედი" (1936 წ.). „აგარაკი აბასთუმანში" (1937 წ.) და სხვ.

ასევე წარმატებით შრომობდნენ თ. აბაკელია, ქ. მაღალაშვილი, ქ. ქინქლაძე და სხვ.

სოციალიზმის მშენებლობის წლებში დიდად განვითარდა ფიზიკური კულტურა და სპორტი საბჭოთა საქართველოში. გახშირდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში ქალების მონაწილეობით.

1935 წლის 1 მარტისათვის ამიერკავკასიაში ფიზკულტურის კოლექტივში ირიცხებოდა 7071 ქალი. საერთო რიცხვის 20%. საქართველოში მშთ-ს ნორმატივები ჩაბარებული ჰქონდა 781 ქალს[39].

ლენა გოკიელმა 1935 წლის 14 ოქტომბერს 200 მეტრზე რბენაში დაამყარა ამიერკავკასიის ახალი რეკორდი. ასევე დიდი წარმატებით გამოდიოდა მისი და რიტა.

ქართული სპორტის ღირსებას იცავდნენ ალპინისტი ქალებიც. ალექსანდრა ჯაფარიძე 1936 წელს ავიდა უშბაზე[40]. ამავე წლის თებერვალში ტვიბერის გადასასვლელით გადავიდნენ ყაბარდო-ბალყარეთში და შემდეგ ავიდნენ იალ-

---

[38] კ. გ ო გ ი ძ ე, ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის 40 წელი, თბ. 1961, გვ. 11.

[39] გაზ. „საქართველოს ფიზკულტურელი", 1936 წლის 18 ინვარი.

[40] Газ. «Тбилисский рабочий», 8 марта 1936 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუზზე ექსპედიციის წევრები, რომელთა შორის იყვნენ ოლია ფარჯიანი ევა მარგიანი და ირა კახიანი[41].

ოცდაათიანი წლების შუა პერიოდში სწრაფად ვითარდებოდა საფრენოსნო საქმე. 1935 წლისათვის საქართველოში იყო 41 მფრინავი, მათ შორის 10 ქალი. თბილისში აღიზარდნენ შემდეგი სახელმოხვეჭილი მფრინავი ქალები: ნინო ხუბულავა, რუსუდან ჟორდანია, მერი ავიძბა და სხვ.

ამგვარად, საქართველოს მშრომელმა ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაშიც ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ განათლების, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაში, სპორტის განვითარებაში, ისინი იყვნენ კულტურული რევოლუციის გამარჯვების აქტიური მონაწილენი და შემოქმედნი.

* *

სოციალიზმის მშენებლობის წლებში „ამოცანა მარტო ის როდი იყო, რომ ხალხისათვის წერა-კითხვა გვესწავლებინა, უნდა დაგვემკვიდრებინა ახალი, სოციალისტური იდეოლოგია საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში[42].

ამ ამოცანების გადაჭრაში დიდი იყო ქალების პოლიტიკური აქტივობის მნიშვნელობა.

ქალების პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთი ფორმა ქალთა სადელეგატო კრებები იყო, რომელთა მუშაობას ორგანიზებულად წარმართავდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა სექტორი.

1933 წელს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა სექტორისა და ჟურნალ „მშრომელი ქალის“ რედაქციის მიერ გამოცხადებული იყო კონკურსი საუკეთესო სადელეგატო კრებებზე. სულ კონკურსში მონაწილეობდა 45 რაიონი[43], 437 დეპუტატი ქალი, 418 სადელეგატო კრება, რომელიც აერთიანებდა 19983 კოლმეურნე და 597 ერთპიროვნულ მეურნე ქალს[44]. ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ კონკურსის მასობრივ ხასიათს.

კონკურსის მთავარი ამოცანა იყო საგაზაფხულო თესვის კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარება. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების და ქალთა დაწესებულებების (სადელეგატო კრებები დეპუტატთა ჯგუფები და სხვ.) ხელმძღვანელები ქალთა სარაიონო კონფერენციებზე, შეკრებებზე, თათბირებზე და ბოლოს კოლმეურნე და გლეხ ქალთა კრებებზე ფართოდ განუმარტავდნენ მშრომელებს ამ სამეურნეო კამპანიის უდიდეს მნიშვნელობას.

კონკურსის შედეგად საგაზაფხულო თესვის სამუშაოებზე გამოყენებული იქნება გაცილებით მეტი ქალთა შრომა, ვიდრე ეს იყო ადრე. გაიზარდა ქალების მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა.

რესპუბლიკის მშრომელი ქალები მრავლად იყვნენ არჩეული ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შემადგენლობაში. მაგალითად, 1935 წლისათვის საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლო-

---

41 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, ა. 1, ს. 3217, ფ. 8.

42 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, ლენინური კურსით, ტ. II, გვ. 96.

43 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ა. I, ს. 5301, ფ. 23.

44 ჟურნ. „მშრომელი ქალი“, 1933, № 8—9, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში არჩეული იყო 43 ქალი, მათგან მუშა — 19, კოლმეურნე — 20, 4 ინტელიგენტი ქალი. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში მარტო საქართველოდან არჩეული იყო 16 ქალი[45].

1937 წელს სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად საქართველოდან აირჩიეს 8 ქალი.

მშრომელი ქალების პოლიტიკური აქტივობა ნათლად გამოვლინდა კომუნისტური პარტიის, კომკავშირის და პროფკავშირის შემადგენლობაში მათი ხვედრითი წილის ზრდით. მაგალითად, თუ 1931 წელს პარტიის წევრთა შორის ქალი იყო 7%, 1937 წლისათვის პარტიის წევრ ქალთა წილი 9,7%-მდე გაიზარდა[46].

სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელი ქალების ფართოდ ჩაბმის საქმეში კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე კომკავშირი იყო. ახალგაზრდა კომკავშირელ და კავშირგარეშე ქალებს შორის კომკავშირის რესპუბლიკური, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციები დიდ აღმზრდელობით, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდნენ.

1935 წლის ზაფხულში კომკავშირელ ქალებს შორის მუშაობის საკითხი სპეციალურად განიხილა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმმა, რომელმაც დასახა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ახალგაზრდა ქალებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად[47].

დიდი ყურადღება დაეთმო არა მარტო ქალების წარმოების სფეროში ჩაბმას, არამედ მათ დაწინაურებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. მაგალითად, მეორე ხუთწლედის პირველ წელს კვალიფიკაცია აიმაღლა და დაწინაურდა 1858 ქალმა, დაწინაურებულ მუშაკთა საერთო რაოდენობის 8%-მა[48].

პარტია და მთავრობა დიდად აფასებდა მშრომელი ქალების აქტიურ მონაწილეობას სოციალიზმის მშენებლობაში. ამის ნათელი დადასტურება იყო ის, რომ 1936 წლის მარტში კრემლში, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით გაგზავნილ საქართველოს დელეგაციაში 146 წევრიდან 21 ქალი იყო. მთავრობის დადგენილებით დელეგატებმა მიიღეს ჯილდოები და საჩუქრები. ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 14, მათ შორის 2 ქალი, შრომის წითელი დროშის ორდენით 25, ქალი — 4, წითელი ვარსკვლავის ორდენით 99, ქალი — 14[49].

ამგვარად სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პერიოდში საგრძნობლად ამაღლდა ქალების პოლიტიკური აქტივობა, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათს შრომითს აქტივობასთან.

---

45 ჟურნ. „მშრომელი ქალი", 1935. № 2, გვ. 7.
46 Коммунистическая партия Грузии в цифрах, 1921—1970, Тб., 1971, გვ. 62, 83.
47 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1935 წლის 21 ივლისი.
48 გაზ. „კომუნისტი", 1934 წლის 8 მარტი.
49 ჟურ. „მშრომელი ქალი", 1936, № 4, გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა



М. К. КИКАБИДЗЕ

# ТРУДОВАЯ И ПОЛИТИЧЕСКАЯ АКТИВНОСТЬ ЖЕНЩИН ГРУЗИИ В ПЕРИОД ЗАВЕРШЕНИЯ СТРОИТЕЛЬСТВА СОЦИАЛИЗМА (1933 — 1937 гг.).

Резюме

В дело строительства социализма в Грузии, так же, как и в других советских республиках, большой вклад внесли трудящиеся женщины.

Партийные, профсоюзные и комсомольские организации проводили множество мероприятий для повышения активности женщин. Среди них нужно отметить: «День ударника», встречу «За кружкой чая» и др. Все больше женщин получали техническое образование.

Активно участвовали тысячи женщин в стахановском движении не только на производствах, но и в колхозах.

Особая роль принадлежит женщинам в ликвидации безграмотности. Многие из них оставили благородный след в деле народного образования — М. Варданидзе, Н. Дзидзигури, М. Гачечиладзе, М. Бурчуладзе и др.

Большую научную работу вели женщины К. Бахтадзе, В. Бардавелидзе, Д. Вашакидзе, Н. Цицишвили, Д. Бережиани и др.

В это время в системе здравоохранения работали 1403 женщины, что составляло 38,4 процента всех врачей; на литературном поприще —писательницы Е. Габашвили, Н. Накашидзе, М. Алексидзе и др.

Значительный успех имели женшины, работавшие в области искусства, артисты театра и кино: Н. Чхеидзе, В. Анджапаридзе, Т. Чавчавадзе, Н. Вачнадзе, Т. Цицишвили и др.

О плодотворной работе грузинских художников говорили выставки в 1933 и 1934 гг., на которых были представлены картины женщин-художников, среди них выделялись работы Е. Ахвледиани.

В период завершения строительства социализма возросла и политическая активность женщин, они участвовали в делегатских собраниях, советах, партийных, профсоюзных и комсомольских организациях и т. д.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა მენთეშაშვილი

# ბერბერული ტომების სოციალური ორგანიზაცია მაროკოში საფრანგეთის პროტექტორატის პერიოდში

მაროკო ბერბერებით უძველესი დროიდან იყო დასახლებული. ბერბერული მოსახლეობის უმრავლესობამ ჩვენს დრომდე შეინარჩუნა ენისა[1] და კულტურის ერთიანობა. დღეისათვის მათ მიიჩნევენ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-დასავლეთი რაიონის ერთ-ერთ უძველეს ხალხად.

თანამედროვე ანთროპოლოგები ბერბერებს (მეტისების გამოკლებით) თავიანთი სომატური ნიშნებით ყოველთვის მიიჩნევდნენ ევროპეოიდული რასის სამხრეთ შტოს ხალხად. სპეციალისტები გამოყოფენ ბერბერების რამდენიმე ტიპს, მაგალითად, ალჟირში მკვეთრად გამოიყოფა კაბილური ტიპი, ხოლო მაროკოში ფიზიკური მონაცემების ერთიანობას რიფელები ინარჩუნებენ[2].

მიუხედავად ბერბერულ დიალექტთა და კილოთა სიმრავლისა, ენის ძირეული ერთიანობა მაინც შენარჩუნებულია. დღეისათვის ცნობილი ბერბერული დიალექტები ჩამოყალიბდნენ საუკუნეთა განმავლობაში ჯერ პუნიკურ, ხოლო მოგვიანებით არაბულ ენებთან ურთიერთობის შედეგად. ისინი სემიტურ ენათა ჯგუფის მონათესავეები აღმოჩნდნენ. მეცნიერები აღნიშნავენ მათ სიახლოვეს ძველ ეგვიპტურ ენასთანაც[3].

ზოგიერთი დიალექტი ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ სხვადასხვა რაიონის ბერბერები ძნელად უგებენ ერთმანეთს[4].

ატლანტის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ მდებარე მაროკოს ოაზისებში, ბერბერები კონტაქტში იყვნენ უძველეს ფერადკანიან ხალხთან ხარატინებთან,

---

[1] ბერბერები თავიანთ სალაპარაკო ენაზე თითქმის არასოდეს არ წერდნენ (თუარეგების ენის გამოკლებით) რადგან არ გააჩნიათ საკუთარი დამწერლობა. ბერბერული დიალექტები, რომლებზედაც ლაპარაკობენ მაღრიბის ქეყნებში, წარმოიშვნენ ძველი ლიბიური ენიდან: მაგალითად, ლიბიური წერილობითი ძეგლების გაშიფვრა, შესაძლებელი ხდება მხოლოდ თანამედროვე ბერბერული ენის დახმარებით, ხოლო თარგის ანბანი წარმოიშვა ამ წერილობითი ძეგლების ანბანისაგან (იხ. Jeremy H. Keenan, Social change among the Tuareg, «Arabs and Berbers», Duckworth, 1973, გვ. 347).

[2] Henri Terasse, Histoire du Maroc Editions Atlantides, Casablanca, 1954 გვ. 16—17.

[3] იქვე, გვ. 18—19.

[4] ეს აიხსნება იმით, რომ ბერბერული ენა, როგორც აღვნიშნეთ, იმყოფებოდა სხვა ენების გავლენის ქვეშ იქაც კი, სადაც ბერბერებმა შეძლეს შეენახათ თავიანთი ენა, წეს-ჩვეულებები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ხელოვნება; იქ, სადაც ენა აღარ იხმარებოდა, ქრებოდა ბერბერების ძირითადი ეროვნული ნიშნები (იხ. G. L. E. Bremond, La Berberie est un pays europeen, Paris, 1938, გვ. 30).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც დასახლებულნი იყვნენ საჰარის ოაზისებში, სანამ მას უდაბნოს ბერბერები დაიპყრობდნენ[5].

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ბერბერულ ტომებს ყოფდნენ სამ ჯგუფად: მასმუდა, სანხაჯა და ზენათა. მასმუდა დიდ ჯგუფებად დაყოფილნი, სახლობდნენ ატლანტის ოკეანის მიმდებარე დაბლობებსა და მაროკოს მთაგორიანი ადგილების დიდ ნაწილში[6].

მასმუდები იყვნენ ბინადარი გლეხები და სახლობდნენ მრავალრიცხოვან სოფლებსა და ქალაქებში. ისინი მიწაზე მტკიცედ იყვნენ მიმაგრებულნი და საჭიროებისას ყოველთვის ერთიანდებოდნენ კონფედერაციაში. არაბთა ბატონობის მთელ მანძილზე მასმუდას თავისი ტერიტორია არ მიუტოვებია, მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად თავს ესხმოდნენ სხვა ბერბერული ტომები და, განსაკუთრებით, არაბები[7].

ამჟამად სოფლებში მცხოვრები ბინადარი გლეხები თავიანთი ყოფაცხოვრებითა და საზოგადოებრივი ინსტიტუტებით ძალიან ახლოს დგანან მაროკოელ მასმუდებთან.

კომპაქტურად დასახლებული მასმუდასაგან განსხვავებით, სანხაჯას ერთი შტო, რომელიც ჩრდილო მაროკოს მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენს. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იყო გაბნეული და სულ სხვანაირ ცხოვრებას ეწეოდა.

რაც შეეხება სანხაჯას მეორე შტოს, სწორედ სანხაჯის კონფედერაციაში შემავალი ხაუარას, ლამტას და მათი მონათესავე ე. წ. თეთრი ბერბერების ტომების მიერ III ს. ჩვ. წ. აღ-მდე დაიწყო საჰარის დაპყრობა. უმეტესად ისინი იყვნენ მომთაბარეები, აქლემების მეხრეები და მათი მთამომავლები საჰარიდან[8].

ზენათის კონფედერაციაში გაერთიანებული ტომები აღმოსავლეთიდან

---

[5] ხარატინებს ხშირად უწოდებენ ყველა ოაზისში მოსახლე ფერადკანიან ხალხს, მაგრამ ეს სახელწოდება სინამდვილეში ეკუთვნის მხოლოდ ჩრდილოეთ საჰარის უძველეს ხალხს. ისმის კითხვა: იყვნენ თუ არა ხარატინები უძველეს დროში მეტისები, რომელთაც შეძლეს თავის გადარჩენა, თუ ისინი განსაკუთრებულ რასას წარმოადგენენ? მაროკოს ოაზისების გამოკვლევისას, — — აღნიშნავს ფრანგი ავტორი ანრი ტერასე — შეიძლება შევნიშნოთ, რომ მიუხედავად ნაგვიანევი მეტიზაციისა ხარატინები კვლავ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს. სამხრეთ მაროკოს ხალხებს, ადრე თუ გვიან, უნდა მიეღოთ ფერადი ელემენტი; მაგალითად, შლეუხებს, რომელთაც მთლიანობაში შეინარჩუნეს ბერბერული ნიშან-თვისებები, აქვთ წენგოსფერი კანი და აზიური ტიპის სახე, რაც დამახასიათებელია ხარატინებისათვის. რაც შეეხება მაროკოს თეთრ ბერბერებს, ისინი არ შეცვლილან, მიუხედავად იმისა, რომ შეერწყნენ ფერად რასას (იხ. Henri Terasse, დასახ. ნაშრ., გვ. 20).

[6] მაგალითად, გომარები — ატლასის მასმუდთა თანატომელები და თანამოძმეები — განლაგებული იყვნენ ჯებელისა და რიფის ტერიტორიების დიდ ნაწილში, ბერგუატა დასახლებული იყო მდ. ბუ რეგრეგისა და უმ-ერ-რბიას შორის მდებარე ტერიტორიაზე, ხოლო დუკალა მდ. უმ-ერ-რბია და ბუ რეგრეგის სამხრეთით ტანსიფტში.

[7] Villes et Tribus du Maroc, Rabat et sa region, Les tribus, Editions Ernest Leroux, Paris, 1920, t. III, გვ. 64—65.

[8] მიუხედავად სანხაჯთა დაქსაქსულობისა, მათ კონფედერაციას აერთიანებდა მტკიცე სოლიდარობა, რის შედეგადაც ბერბერმა ეროვნულობამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის (ბერბერეთის) შუა საუკუნეების ისტორიაში. მთელ რიგ შემთხვევაში იგი ბატონობდა როგორც მასმუდაზე, მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნებისა და კონცენტრაციისა, ასევე ზენათის მომთაბარე და მებრძოლ ტომებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოვიდნენ XIV საუკუნეში. ზოგიერთი მათგანი ოჯახურ ან სისხლით კავშირში იმყოფებოდა ბედუინებთან[9].

ზენათელები უმეტესად მომთაბარე ცხენოსნები იყვნენ და ყოველთვის მუსლიმური დასავლეთის საუკეთესო მხედრებად ითვლებოდნენ[10].

პოლიტიკური ბატონობისათვის ბერბერული ტომების ბრძოლების შედეგად, წარმოიშვებოდნენ დინასტიები, რომელთა გამოჩენაც ნიშნავდა ბერბერული ტომების მთელი ჯგუფების მისწრაფებას ძალაუფლებისაკენ.

თითოეული პრეტენდენტი ეყრდნობოდა იმ ტომების ჯგუფს, საიდანაც იგი გამოსული იყო. შემდგომში ისინი ქმნიდნენ სამეფოს[11].

თუკი დინასტია მრავალრიცხოვან მეომარ ტომებს არ ეყრდნობოდა, მაშინ იგი დახმარებისათვის შემოერთებულ ტომებს ან დაქირავებულ მებრძოლებს მიმართავდა[12].

ბერბერთა მთელი თემის ინტერესების გამომსახველი—ცენტრალური ხელისუფლება დასაწყისში მოქმედებდა თავისი საკუთარი ინტერესებისათვის და თანდათანობით უცხო ხდებოდა იმ ტომებისათვის, რომელსაც იგი მართავდა. ამავე დროს იგი სულ უფრო და უფრო დაქსაქსული და სხვადასხვა ჯურის ხალხებისაგან შემდგარი ხდებოდა იმ მეტოქეობის გამო, რომელიც ჩაღდებოდა მის წევრებს შორის. მმართველი გვარი ან სახლი (მახზენი) თანდათანობით შორდებოდა პირვანდელ შემჭიდროვებასა და დარაზმულობას.

თუკი რომელიმე სხვა პრეტენდენტს შესაძლებლობა მიეცემოდა შემოეკრიბა თავის გარშემო ბერბერთა სხვა გვარი, რომელიც გაწამებული იყო დამპყრობთა ულლისაგან, ან პირიქით, იყო აღსავსე ძალით და მმართველობასა და ექსპანსიის მოწყურებული, მაშინვე იქმნებოდა ახალი დინასტია[13].

მომთაბარე ხალხებთან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ უჯრედს, სახელმწიფო სახით ორგანიზებულს წარმოადგენს არა ტომი, არამედ მისი ცალკეული განშტოებანი, ბერბერულ ენაზე მას უწოდებენ „თაკბილტს“, ხოლო არაბულად „ხომსს“.

ტომების ცალკეული განშტოებანი იკავებდნენ ექვსიდან ათამდე კილო-

---

[9] ზენათა უფრო ძალიან იყო დაქსასული, ვიდრე მასმუდა ან სანხაჯა. საქმე ის არის, რომ არაბთა დაპყრობების პირველ საუკუნეებში, ზენათას ტომები მიგრაციას განიცდიდნენ. ისინი იყვნენ ველის ბინადარნი, რომლებიც ნელა, მაგრამ შეუპოვრად მოიწევდნენ დასავლეთისაკენ, საჰარის უდაბნოს ავლით (იხ. Villes et tribus du Marcc, t. III, გვ. 65 აგრეთვე Villes et tribus du Maroc, Le Gharb (Les Djebala), Editions Ernest Leroux, Paris, 1918, t. IV, გვ. 208—216.

[10] VIII საუკუნეში ზენათელები დასახლებულნი იყვნენ ჩრდილოეთ აფრიკის ველების ორ მესამედ ნაწილში.

[11] იხ. Villes et tribus du Maroc, t. IV, გვ. 240.

[12] ამავე დროს მმართველი დინასტია მაშინვე უარყოფდა თავის ძველისძველ ბერბერულ საწყისს, რათა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა. გაბატონებულ გვარს ყოველთვის სჭირდებოდა წინ წამოეწია მუსლიმობა, ხშირად რელიგიური რეფორმის სახით. ისლამი ეხმარებოდა არისტოკრატიულ გვარს ძაულაუფლების შენარჩენებაში და ბევრი რამით პასუხობდა მის ინტერესებს (იხ. R. Levy, The Sccial structure of Islam, Cambridge, 1962, გვ. 210.)

[13] რობერტ მონტანის წიგნი „ბერბერები და მახზენი სამხრეთ მაროკოში“ საინტერესოდ მოგვითხრობს არა მხოლოდ მთებში მცხოვრებ ტომებზე, არამედ მახზენის მოღვაწეობაზეც დაუმორჩილებულ ქვეყანაში. გამსაკუთრებით აღსანიშნავია თხრობა მსხვილი ბელადების მმართველობის აღმოცენებასა და გაძლიერებაზე, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ ცალკეული დინასტიები (იხ. Robert Montagne, Les Berberes et le Makhzen dens le Sud Maroc, Paris, 1930, გვ. 6—10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრი რადიუსის მქონე ტერიტორიას[14], აერთიანებდნენ 200—300 კარავს და ქმნიდნენ ცალკე სოფელს. ისინი გაფანტული იყვნენ მრავალრიცხოვან მთიან ველებზე. როგორც წესი, ორი-სამი მსხვილი სოფელი მდებარეობდა უფრო მეტად მდიდარ, ნაყოფიერ რაიონებში, თაკბილტის ყველა წევრი თავის თავს მიიჩნევდა ერთი და იმავე წინაპრის შთამომავლად, რომლის სახელსაც ისინი ატარებდნენ.

ყოველი განშტოების სათავეში იდგა პატარა ოლიგარქიული ჯგუფი, საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც ყოველი გვარი აგზავნიდა თავის ერთ წარმომადგენელს.

ზოგჯერ ამ საბჭოს ერთი წევრი რამდენიმე გვარის წარმომადგენელი იყო.

ტომის საბჭოს მთავარ საქმიანობას შეადგენდა კონტროლი სხვადასხვა გამოსაღებებსა და ვალდებულებათა შესრულებაზე, გადასახადების აკრეფა და შემოსავლის განაწილება. ამ პატარა საზოგადოებაში მუსლიმური სამართლის დამკვიდრებამდე საბჭო ფლობდა აგრეთვე იურიდიულ უფლებებსაც, რომელიც დაფუძნებული იყო მათი წინაპრების ტრადიციებზე. ამ ტრადიციებს აუცილებლობის შემთხვევაში თავისუფლად უცვლიდნენ სახეს.

მიღებულ გადაწყვეტილებებზე კონტროლის გასაწევად, აგრეთვე დავის გასარჩევად და მართმსაჯულების შესასრულებლად, ტომის საბჭოს კრებებს შორის ინიშნებოდა ბელადი (ბერბერულად ამგხარი, არაბულად შეიხი)[15]. მას მიიჩნევდნენ საბჭოს ისეთივე წარმომადგენლად, როგორც დანარჩენებს, მაგრამ ამავე დროს ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მისი ძალაუფლება არ გაძლიერებულიყო და დიდხანს არ გაგრძელებულიყო. როგორც წესი, ცდილობდნენ არ დაენიშნათ ამ თანამდებობაზე ძალზე ძლიერი პიროვნება. ამგხარის ფუნქციები ატარებდნენ დროებით ხასიათს: ჩვეულებრივად არა უმეტეს ერთი წლისა. ხელმძღვანელების ასეთი ცვლა, საშუალებას აძლევდა ყველაზე მნიშვნელოვანი გვარების წარმომადგენლებს სათავეში მდგარიყვნენ რიგ-რიგობით. ომების დროს ბელადის ძალაუფლება ძლიერდებოდა. ზოგჯერ ბელადებს ომები ყოველთვის აძლევდათ იმის შესაძლებლობას, რომ მათი ქვეშევრდომების სურვილის საწინააღმდეგოდ, წინ წამოეწიათ საკუთარი პიროვნებები და გაეძლიერებინათ პირადი ძალაუფლება.

ცალკეული ტომობრივი და საგვარეულო განშტოებები წარმოადგენდნენ არა მხოლოდ ერთიან ადმინისტრაციულ დ იურიდიულ ორგანიზმს, არამედ სამეურნეოსაც.

თითქმის ყველა თაკბილტს ჰქონდა საკუთარი, კოლექტიური ბაზარი—აგადირი, რომელსაც მართავდნენ საგულდაგულოდ შემუშავებული წესებით. ტომის თითოეულ წევრს მოჰქონდა თავისი მოსავალი. იგი ასრულებდა ტომის საბჭოს კრებების ადგილის როლსაც.

ასე, რომ ტომის ან გვარის საბჭო ეს იყო მინიატურული „ბერბერული რესპუბლიკა“, რომელსაც ჰქონდა ერთიანი სტრუქტურა და ძალაუფლება.

---

[14] ტომობრივი განშტოებების ტერიტორია დიდი არ იყო, ასე რომ ყველაზე დაშორებული სოფლის მცხოვრებიც ყოველგვარი სიძნელის გადალახვის გარეშე მიდიოდა შეკრების ადგილზე, მონაწილეობდა მსგავს შეკრებებში და იმავე დღეს ბრუნდებოდა უკან სახლში (E.E. Evans-Pritchard: The Sanusi of Cyrenaica, Oxford, 1949, გვ. 59—60).

[15] ხანდახან მას იხსენიებენ უფრო მოკრძალებული ტიტულით „მუკადდამ“

[16] Henri Terasse, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რელიგიური დღესასწაული, რომელშიც ყველა განშტოების წევრი მონაწილეობდა, მიმდინარეობდა მხიარული ცეკვებითა და სიმღერებით, რომელშიც აისახებოდა ამ პატარა საზოგადოების ხასიათი.

თითოეული თაკბილტი იყოფოდა რამდენიმე გვარად, რომელსაც აგრეთვე პატარა საბჭო მართავდა. ამ საბჭოში შედიოდნენ ცალკეული ოჯახის უფროსები, რომლებიც წყვეტნენ მხოლოდ პირად და ისეთ საკითხებს, რომელთაც არ ჰქონდათ პრინციპული მნიშვნელობა[17].

რამდენიმე თაკბილტი (განშტოება) სამიდან თორმეტამდე—ერთიანდებოდა და ქმნიდა ტომს.

ტომის შემადგენელი ყველა განშტოება, იყოფოდა ორ ჯგუფად, როგორც წესი, საერთო წინაპრის პრინციპის მიხედვით. ნებისმიერ ჩაგრულ ან უფლებებით შევიწროებულ განშტოებას შეეძლო დახმარება ეთხოვა თავისი ლეფის[18] მხრიდან, რომლის წევრებიც ვალდებულნი იყვნენ დახმარებოდნენ მას[19].

ტომთა ასეთი დანაწილების სისტემა საშუალებას აძლევდა ცალკეულ განშტოებებს შეენარჩუნებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა და თავი აერიდებინათ აბსორბირებისათვის, ან რომელიმე ბელადის პიროვნების კულტის ქვეშ მოქცევისათვის.

ლეფების სისტემა საიმედოდ უზრუნველყოფდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, მაშინაც კი, როდესაც რომელიმე ტომი იშლებოდა.

ასეთია დიდი ატლასის მთების ბინადარი ხალხების საზოგადოებრივი ცხოვრება. ამის მსგავსი რამ შეინიშნება მთის მესაქონლეთა და მომთაბარეთა საზოგადოებაშიც.

მესაქონლეთა ყველაზე ქმედით საზოგადოებრივ უჯრედს წარმოადგენდა „დუარი"[20], რომელიც შედგებოდა ოჯახური ჯგუფების განუსაზღვრელი რაოდენობისაგან. თითოეული მათგანი მოიცავდა რამდენიმე კარავს. დუარი დიდი გვარის ანალოგიურია. იგი ქმნიდა გარკვეულ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც განაგებდა საბჭო. მასში შედიოდა ადგილობრივი გვაროვნულ-ტომობრივი ზედა ფენა.

ტომის განშტოებას, რომელსაც ყოველთვის არ ჰქონდა მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურა, ჰყავდა თავისი საბჭო, რომელიც შედგებოდა დუართა წარმომადგენლებისაგან. ეს საბჭო განიხილავდა მხოლოდ ტომებს შორის ომისა და მშვიდობის საკითხებს.

მთის მესაქონლე ტომები ლეფებად იყოფოდნენ და მშვიდობიან დროს ისევე დაქსაქსული ცხოვრობდნენ როგორც ბინადარნი. მაგრამ როგორც კი ტომთა შორის ბრძოლა ჩაღდებოდა ისინი ხდებოდნენ მონოლითური, ქმნიდნენ მის საბჭოს და მათ სათავეში ბელადი ექცეოდა. ასეთ შემთხვევაში ტომის

---

17 იმ ადგილებში, სადაც მკვეთრად იყო გამოხატული საზოგადოებრივი დაყოფა საგვარეულო ჯგუფები პოლიტიკურად ისე იყვნენ ორგანიზებული როგორც ტომობრივი განშტოებები ე. ი. ჰქონდათ თავიანთი საბჭო, აგადირი და ჰყავდათ თავიანთი მუკადდამი (იხ. Henri Terasse, დასახ. ნაშრომი, გვ. 31) აგრეთვე Villes et tribeus du Maroc, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, გვ. 112).

18 ლეფი — ტომების კონფედერაციას ეწოდებოდა.

19 ლეფის მხრიდან თანამოძმეების ჩარევა ხდებოდა არა კონფლიქტის, არამედ გარიგების სახით. ლეფების ასეთი სისტემა ვრცელდებოდა ტომების დიდ ნაწილზე და ხანდახან ფართო რაიონებზეც კი (იხ. Robert Montagne, დასახ. ნაშრომი გვ. 20.

20 „დუარი" წარმოებულია არაბული სიტყვიდან—„დარ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარი, რომელიც ერთი წლის ვადით ინიშნებოდა, თვითონ ირჩევდა ნდობით აღჭურვილ პირებს ტომში, ანდა მის განშტოებებში.

მომთაბარე ტომებს შორის მომხდარი ომები ღრმა კვალს ტოვებდნენ. როგორც წესი, გამარჯვებულები გაბატონებული ტომები ხდებოდნენ, ხოლო დამარცხებულები დამორჩილებულნი. როგორც ერთი, ისე მეორე ქმნიდნენ საკმაოდ რთულ იერარქიულ სისტემას.

მთაში მცხოვრები მესაქონლენი და მომთაბარეები, რომლებიც მომთაბარეობის გამო იძულებული იყვნენ დაყოფილიყვნენ უფრო წვრილ ჯგუფებად, ვიდრე ბინადარნი, უკეთესად იყვნენ ორგანიზებულნი და ხშირად ქმნიდნენ ძირითად საზოგაოებრივ გაერთიანებებს.

მომთაბარეები ყოველთვის ომობდნენ და ერთიანდებოდნენ თავიანთი გადაადგილების სივრცის უზრუნველსაყოფად. ამასთან, მსხვილი მომთაბარე ტომები, რომლებიც ერთ ადგილას მიჯაჭვულნი არ იყვნენ და დიდ სივრცეზე იშლებოდნენ, არა მარტო საკუთარი თავის, არამედ თავიანთი ქონების დაცვას საჭიროებდნენ. ეს კი ტომის შემჭიდროებას კიდევ უფრო განამტკიცებდა და აძლიერებდა.

ბინადარი მცხოვრებნი (ოაზისის მცხოვრებნი), თავიანთი შემადგენლობით სხვადასხვაგვარი იყვნენ. მათში ჭარბობდნენ არაბერბერული წარმოშობის ხალხები, აგრეთვე ე. წ. დამარცხებულები, რომლებიც თავის მხრივ, ერთიანდებოდნენ და ქმნიდნენ ციხე-სოფლებს ანუ ქსარის. ორი-სამი ასეთი სოფელი შეადგენდა პატარა ქალაქს, რომელიც მოგვაგონებდა ბინადარ მცხოვრებთა ტომობრივ განშტოებას, მაგრამ ურბანიზაციის უფრო მაღალი ხარისხით. ასეთ ქალაქებში, როგორც წესი, არსებობდა ორი საბჭო: ერთი მაღალი არისტოკრატიული, რომლის სათავეში მისი ორი შეუნაცვლებელი წევრი იდგა და მეორე დაბალი, რომელსაც ერთი მეთაური ჰყავდა. იგი მხოლოდ მაღალი საბჭოს გადაწყვეტილებებს ასრულებდა.

ქსარებსა და მომთაბარე ტომებს შორის იდებოდა შეთანხმება ურთიერთდახმარებისა და თავდაცვის შესახებ. მაგრამ არც თუ იშვიათად, მომთაბარეთა აბსოლუტური ბატონობისაკენ მისწრაფების გამო, ეს შეთანხმება ქსარების მცხოვრებთათვის ნამდვილ კაბალად იქცეოდა ხოლმე.

1912 წ., როდესაც საფრანგეთმა და ესპანეთმა თავისი პროტექტორატი დაამყარეს მაროკოში, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის სამი ერთმანეთის საწინააღმდეგო კავშირი არსებობდა: **1.** არაბულ-ბერბერული, **2.** ქალაქურ-ტომობრივი და **3.** მახზენ-სიბა.

პირველი კავშირი ლინგვისტურია. როგორც ცნობილია, არაბული-ქვეყნისათვის ეროვნული ენაა, მაგრამ მასზე ლაპარაკობს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 3/5. ბერბერულ ენაზე ლაპარაკობენ სხვადასხვა ტერიტორიულად გათიშული ტომები (რიფელები, ცენტრალური ატლასის ბერბერები და სუსი). არაბული ენა ამ სამი ჯგუფიდან ნებისმიერი წევრებისათვის ურთიერთობის საშუალება იყო და არის.

მეორე ქალაქურ-ტომობრივი[21]—სოციალურ-ეკონომიკურია.

მაროკოს ყველა ქალაქში არაბულ ენაზე მეტყველებდნენ. ის ჯგუფები, რომლებიც არაბულად ლაპარაკობდნენ სახლდებოდნენ ქალაქის ცენტრში, ან

[21] 1912 წლამდე მაროკოში სახელწოდება „ტომობრივი“ და „სოფლური“ (მოსახლეობა) სინონიმები იყვნენ. გამონაკლისს შეადგენდნენ „შავკანიანი“ გლეხები, რომლებსაც ხარატინებს უწოდებდნენ. ისინი საჰარის ოაზისებში სახლობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მათთან ახლოს, ხოლო ბერბერულ ენაზე მოლაპარაკენი ცდილობდნენ დასახლებულიყვნენ ქალაქად ან ცოტა მოშორებით.

უკანასკნელი კავშირი მახზენ-სიბა, თავისი ხასიათით იყო პოლიტიკური. რელიგია (ორთოდოქსალური სუნიტური ისლამი) გამაერთიანებელი ძალა იყო მაროკოს მთელი ტერიტორიისათვის; პოლიტიკურ ძალაუფლებას დინასტიური ხასიათი ჰქონდა და სულთნის ხელში იყო თავმოყრილი, სულთანი თეორიულად მაროკოს მუსლიმური საზოგადოების სულიერი და საერთო მეთაური იყო. იგი გარშემორტყმული იყო სასახლის ხალხით, მრავალრიცხოვანი მინისტრებითა და მუდმივი ჯარით, რომელიც გადასახადებს კრეფდა.

ვინაიდან სულთანი „მშვიდობისა და წესრიგის" შენარჩუნების მიზნით, ხშირად მოგზაურობდა თავის სამფლობელოებში და ერთი საქალაქო ცენტრიდან მეორეში გადასვლისას უხდებოდა ტომების კუთვნილი ტერიტორიების გადალახვა, ჯარი და სამეფო სახლი მას ყოველთვის თან დაჰყვებოდა.

ყველა საქალაქო ცენტრი და მათ გარშემო მდებარე არაბული ტომების მიწები მთლიანად მთავრობის კონტროლის ქვეშ იყო. ისინი ცნობილი იყვნენ როგორც „ბლედ ალ-მახზენი" ანუ „სულთნის მიწები". ბლედ ალ-მახზენის მოსახლეობა არა მარტო წესიერად უხდიდა გადასახადებს სულთანს, არამედ მისი ჯარის ხერხემალსაც წარმოადგენდა.

გეოგრაფიულად ბლედ ელ-მახზენს ეკავა მხოლოდ ატლანტის ოკეანის სანაპირო დაბლობი და მისი მიმდებარე რაიონები მაროკოში, ე. ი. ქვეყნის მთელი ტერიტორიის ნახევარზე გაცილებით ნაკლები.

ბლედ ელ-სიბა, ბლედ ელ-მახზენის საპირისპიროდ, მთლიანად ტომების კუთვნილ ტერიტორიას ეწოდებოდა და იქ მოსახლე ტომების დიდი ნაწილი ბერბერულ ენაზე ლაპარაკობდა. აქ სულთანს ცნობდნენ როგორც ქვეყნის სასულიერო მეთაურს და არა როგორც საეროს. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალრიცხოვანი დამსჯელი ექსპედიციებისა, თავისუფალი ტომები იშვიათად უხდიდნენ გადასახადებს ცენტრალურ მთავრობას. სიბას ტერიტორიაზე ორი მკვიდრი ტომია—აიტ ატტა და აიტ ვარიაგარი[22]. არც ერთი მათგანი არასოდეს არ ცნობდა მახზენის ანუ სულთნის მთავრობის ძალაუფლებას. ასე გაგრძელდა 1926 წლამდე, როდესაც ისინი დაამორჩილეს ესპანელებმა, და 1933 წლამდე, როდესაც ისინი ფრანგმა კოლონიზატორებმა დაიმორჩილეს.

ვიწრო გაგებით განსხვავება მახზენსა და სიბას შორის გამოიხატებოდა გადასახადების გადახდასა და მის არ გადახდაში. ფართო გაგებით, მათ შორის არსებული განსხვავება და დაპირისპირება მთავარი მომენტია მაროკოს პოლიტიკურ ცხოვრებაში საფრანგეთის პროტექტორატის დამყარებამდე. მუჰამედ ლაჰბაბის ნაშრომში მთელი ეს საკითხი წარმოდგენილია ისე, როგორც „სოციალური კონტრაქტის" სიტუაცია, როდესაც „ამა თუ იმ

---

[22] 1960 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, აიტ ვარიაგარის ტომი ცენტრალურ რიფებში (ელ-ჰოსეიმის პროვინცია) ყველაზე დიდი იყო ჩრდილოეთ ზონაში და მისი წევრების რაოდენობა 75 895 წვაცს შეადგენდა (عبد الله العروى ، تريخ المغرب ، الرباحا ، ١٩٧٧ ، ص. ٣٤٩) 1977, გვ. 349).

რაც შეეხება აიტ ატტას, იგი განლაგებული იყო ცენტრალურ ატლასების სამხრეთ ნაწილში (ჯბილ საგხრუს მთები) და მის მომიჯნავე საჰარის ოაზისებში (ბენი მელალის, უარზაზატის და კსარ ეს-სუკის პროვინციებში) იხ. Ross E. Dunn, Berber Imperialism: the Ait Atta Expansion in Southeast Morocco. «Arabs and Berbers». Duckworth. 1973, გვ. 89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდივიდუმს შეეძლო ყოფილიყო ან ბინადრობის ზოლში, ანდა მის საზღვრებს გარეთ“[23]. ერნსტ გელნერის გამოთქმით, მთელი საკითხი დამოკიდებული იყო მთავრობისა და დამორჩილებულის თანხმობაზე[24].

ყველა ჩრდილო-აფრიკული ტომი (არაბული თუ ბერბერული), მათი სეგმენტები ჩვეულებრივად იწოდებიან ან აღინიშნებიან მამრობითი ხაზით, თანახმად მამრობითი სქესის საერთო წინაპრის პირდაპირი შთამომავლობის გავრცელებული სისტემისა[25].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაბული შეიხი თეორიულად შეიძლება იყოს „ბელადი“, მაგრამ ფაქტობრივად მხოლოდ „პირველია თანასწორთა შორის“. ყოველწლიურად ტარდებოდა ტომის ბელადის არჩევნები ცენტრალური ატლასის ბერბერებთან, ხოლო აიტ-ატას ტომში მთელი ტომის უმაღლესი ბელადის არჩევნებიც. მაგრამ, ეს უმაღლესი ბელადი აირჩეოდა მხოლოდ საომარი პერიოდის დროს და მისი გადაყენება („ცუდი ქცევისათვის“) ძალზე იოლად შეიძლებოდა ვადის გასვლამდე, რადგანაც ძალაუფლება არსებითად ტომის ან განშტოების საბჭოს ხელთ იყო. ისინი კი წარმოადგენდნენ მმართველ ორგანოს ხელმძღვანელის გარეშე[26].

როგორც აღვნიშნეთ, მაროკოს მთელ ტერიტორიაზე არსებული ტომობრივი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია — სუკის ანუ ყოველკვირეული ბაზრის ინსტიტუტის არსებობა, თითქმის ყოველ ტომობრივ ჯგუფს ქვეყანაში ჰქონდა თავისი საკუთარი ბაზარი[27].

საბაზრო დღე[28] განკუთვნილი იყო არა მარტო ვაჭრობისათვის, არამედ მეგობრული და საქმიანი შეხვედრებისათვისაც. ნებისმიერ ბაზარზე ტომის წევრი ხვდებოდა თავის მეგობრებს, თანატოლებს, აქ ისინი ერთმანეთს ახალ ამბებს უამბობდნენ, გარდა ამისა, ბაზრობის დღე მშვიდობის დღეც იყო[29]. ტომების ან განშტოებათა საბჭოები იკრიბებოდნენ ბაზარზე, ან მის ახლოს და წყვეტდნენ კვირის განმავლობაში წამოჭრილ საკითხებს. ამრიგად, ბაზარს პოლიტიკური ფუნქციაც ჰქონდა.

---

23 Mohammed Lahbabi, Le Gouvernement marccain a l'aube du XX-e siecle, Rabat, 1958, გვ. 41.

24 Ernest Gellner, Patterns of rural rebellion in Morccco during the early years of independence, «Arabs and Berbers», Duckworth, 1973, გვ. 361—362.

25 თუმცა, ზოგჯერ, ისინი შეიძლება იწოდებოდნენ აგრეთვე დაკავებული ტერიტორიების მიხედვითაც, სადაც სეგმენტარული პრინციპები და მემკვიდრეობის პრინციპები მამრობითი ხაზით არ იცვლებოდნენ და მუდმივი რჩებოდნენ.

26 იხ. David M. Hart, Clan lignage et Communaute lccale dans une tribe rifaine in Douars et centres ruraux: «Revue marccaine de gecgraphie». № 8, 1965, გვ. 25—33; David M. Hart, Emilio Blanco Izaga and the Berbers of the Central Rif. «Hesperis Tamuda». 4. 2. 1958, გვ. 171.

27 გამონაკლისს წარმოადგენდნენ მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომელთაც შეეძლოთ სხვისი ბაზრებით ესარგებლათ.

28 დამოუკიდებლობის მიღებამდე (1956 წ. მარტი) ბაზრის დღე შეიძლებოდა კვირის ნებისმიერი დღე ყოფილიყო, მაგრამ 50-იანი წლების დასაწყისში ბაზრების მუშაობა პარასკეობით „ისთიქლიალის“ („დამოუკიდებლობის“) პარტიის მიერ აიკრძალა, რადგანაც პარასკევი მუსლიმებისათვის დასვენების დღეა.

29 ხშირად ბაზრობის დღესთან დაკავშირებით მოინახულებდნენ ხოლმე წმინდანის საფლავს, სადაც შეიძლებოდა ფიცის მიცემა და შეწირულების გაღება. (იხ. Francisco Benet, Explos ive markets: the Berber highlands. Karl Polanyi, Conrad M: Arensberg and Henry W. Pearson, Trade and Market in the Early Empires, Glencoe, 1957, გვ. 188.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბაზრები ძალზე სხვადასხვანაირი იყო თავისი მოცულობით. ბაზრის სიდიდე დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენ ტომს ემსახურებოდა იგი, ერთს, ორს, თუ ერთბაშად რამდენიმეს, აგრეთვე იმ რაიონის მოსახლეობის სიმჭიდროვეზე, სადაც ეს ბაზარი მდებარეობდა[30].

რაც შეეხება ბაზრების სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათს, ფრანცისკო ბენეტი სრულიად მართალია, როდესაც ბერბერულ ბაზრებს მთიან რაიონებში „ფეთქებად ნივთიერებას“ უწოდებს[31].

ბაზრობის დღე ბერბერთა საზოგადოებაში წარმოადგენდა მშვიდობიან დღეს. რიფში, ნებისმიერი მამაკაცი, რომელიც მოკლავდა ბაზარში მიმავალს, ვალდებული იყო მოკლულის ნათესავებისათვის[32] გადაეხადა არა მარტო ე. წ. სისხლის გამოსაღები, არამედ დიდი ჯარიმაც ტომის საბჭოსათვის[33]. მაგრამ თუ მკვლელობა პირდაპირ ბაზარში ხდებოდა, მაშინ ჯარიმა ორკეცდებოდა, ვინაიდან ბაზრის მშვიდობა, როგორც მაშინ ბერბერები ამბობდნენ დარღვეული იქნა. თუ მკვლელი ჯარიმას ვერ გადაიხდიდა, მაშინ მთელი ტომი თავს ესხმოდა, წვავდნენ მის სახლს, ჭრიდნენ ხეხილს და ართმევდნენ პირუტყვს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე იძულებული ხდებოდა გაქცეულიყო სხვა ტომში, რათა თავი დაეღწია მოკლულის ნათესავების შურისძიებისაგან[34].

აღსანიშნავია, რომ ჭრილობის მიყენებისათვის ჯარიმა არსებობდა; ტომის საბჭო აჯარიმებდა აგრეთვე პირუტყვის მოპარვისათვის (თუმცა რიფებში ქურდობა უფრო იშვიათი ამბავია, ვიდრე კაცის მოკვლა)[35]. ადამიანის მკვლელობა უპირატესად გავრცელებული იყო ცენტრალურ ატლასში, სადაც მისდევდნენ ცხვრის მოშენებას.

ტომის საბჭო რიფებთან და დასავლეთ-ატლასის ბერბერებთან, პოლიტიკური ორგანო იყო. ამასთან მას ხელმძღვანელი არა ჰყავდა, რამდენადაც არც ერთი მისი წევრი არ ითვლებოდა სხვაზე უფრო მაღლა მდგომად, თუმცა ცალკეული წევრები ამას ცდილობდნენ ხოლმე[36].

ზოგიერთი განსხვავება არაბსა და ბერბერს შორის შეიძლება განვიხილოთ

---

[30] ჩვეულებრივად ყიდვა-გაყიდვის ყველა საგანი, თუ საქონელი (პირუტყვი, ბოსტნეული, ხილი, შინაური მოხმარების საგნები და ა. შ.) ბაზრის ერთი და იმავე ადგილას იმყოფებოდა, განსაკუთრებით იმ დროიდან, რაც საფრანგეთისა და ესპანეთის პროტექტორატის ხელისუფლებამ ბაზარი ტომების ეფექტური კონტროლის პუნქტებად გადააქციეს. პროტექტორატის დამყარებამდე ბაზრის ადგილი სრულიად არ მიუთითებდა მის როგორც ბაზრის ხასიათზე. მაგრამ, როდესაც ბაზარზე ესპანელებმა შექმნეს თავიანთი საშუამავლო საგუშაგოები, ხოლო ფრანგებმა თავიანთი ბიუროები ადგილობრივი მოსახლეობის საქმეების გასარჩევად, ბაზარზე დაიწყეს მუდმივი დუქნების მშენებლობა.

[31] Francisco Benet, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

[32] ჩვეულებრივად ნათესავები გამოსასყიდს არ ღებულობდნენ, მათ ერჩივნათ შური ეძიათ პირადად მკვლელზე, ანდა მის უახლოეს ნათესავებზე.

[33] ეს ჯარიმა თანაბრად იყოფოდა ტომის საბჭოს წევრებს შორის, რომელთაც ეკუთვნოდათ ბაზარი.

[34] David M. Hart. An ethnographic survey of the Rifian tribe of Ait Waryagher. «Hesperis Tamuda». 4. 1. 1957. გვ. 51—86 (იხ. აგრეთვე J. F. Troin. Une nouvelle generation de centres ruraux ou Marcc: les aglomerations commerciales. Trois exemples de centres ruraux en pays Zemmour, in Douars et centres ruraux. Revue de geographie du Marcc. № 8, 1965, გვ. 109—117; 118—132.)

[35] რიფის ტომს აიტ ვარიაგარს აქვს სპეციალური ბაზარი ქალებისათვის, სადაც მამაკაცებს გამოჩენა ეკრძალებათ. ეს ფაქტი ფრიად იშვიათი რამ არის.

[36] R. Montagne, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მაგალითზეც. იმ შემთხვევაში თუ ქურდობაში ან მკვლელობაში ეჭვი ტომის არაბულ ენაზე მოლაპარაკე წევრში შეჰქონდათ, თავისი უდანაშაულობის დასადასტურებლად მას მეჩეთში ყურანზე უნდა დაეფიცა. რიფელი ბერბერიც სდებდა ფიცს მეჩეთში ყურანზე თავის უდანაშაულობის დასადასტურებლად, მაგრამ ამას იგი აკეთებდა 5 უახლოესი ნათესავის (მამაკაცის) თანდასწრებით[37].

როდესაც მკვლელობა ეხებოდა სხვა ტომის წევრებს, მაშინ ეჭვმიტანილ მხარეს უნდა გამოეყვანა 50 ფიცის დამდები. ცენტრალურ ატლასში მცხოვრებ ბერბერს ქურდობის შემთხვევაში სასამართლოში უნდა წარმოედგინა 10 კაცი[38].

ფიცი საჯარო ხასიათს ატარებდა, და თუ მოსარჩლე (ფიცის დროს) მოიოხოვდა, მაშინ დამსწრენი ხშირად მსჯავრდადებულის და მის თავდებთ კითხვებს აყრიდნენ, რათა ემხილათ ისინი სიცრუეში. თუ მოპასუხეს, ან რომელიმე მის ნათესავს, არ შეეძლო სწორად გაემეორებინათ ფიცი, იგი „გატეხილად“ ითვლებოდა და მას უნდა ჯარიმა გადაეხადა[39]. ზოგიერთ ტომს ამ რაიონში სააპელაციო სასამართლოც კი ჰქონდა, მაგალითად, აიტ-ატას[40].

მაროკოს ტომობრივ ცხოვრებაში ქალები მონაწილეობას ნაკლებად ღებულობდნენ, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც[41]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შრომის განაწილება ძალზე არათანაბარი იყო: ქალები ხანგრძლივად შრომობდნენ და ამასთან ასრულებდნენ უფრო მძიმე სამუშაოებს. მაგრამ სამაგიეროდ მისნობაში მათი გავლენა დიდი იყო.

მაროკოში მამაკაცთა დიდ ნაწილს ერთი ცოლი ჰყავთ, უმთავრესად ეკონომიკური მოსაზრებით, თუმცა მათ შეუძლიათ იყოლიონ 4 ცოლი[42].

---

37 ასეთი წესი არსებობდა რიფის ხელსუფლების სათავეში აბდ ალ-ქერიმის მოსვლამდე, 1921—27 წწ, მან შეიტანა მთელი რიგი ცვლილებები რიფელთა ადათ-წესებში.

38 ეს 10 კაცი თან ახლდა ხოლმე თავის თანატომელს მისი რიტუალური გაქცევისას მტრების ბანაკში, როდესაც კლავდნენ თავის თანატომელებს და ბრუნდებოდნენ 3 დღის შემდეგ, რათა ეწარმოებინათ მოლაპარაკება შერიგების თაობაზე.

39 Georges Spillman, Les Ait Atta du Sahara et la pacification du Haut Dra· Publication de l'institut des Hautes Etudes Marocains. Rabat. 1936, გვ. 55.

40 საინტერესოა აიტ-ატაში დამკვიდრებული ზოგიერთი „გაუმჯობესებანი“: 1. ფიცის უარმყოფელთა და ბრალდებულთა არსებობა და 2. კაცს. რომელიც უკმაყოფილო იყო თანატომელებით (ნათესავებით) უფლება ჰქონდა გადასულიყო სხვა გვარში და შეეძლო ფიცის მიმცემთა სხვა ჯგუფი წარმოედგინა. ამასთან ერთად, მას უნდა შეეწირა ერთი ცხვარი, იგი ინარჩუნებდა საკუთრების უფლებას თავის ძველ გვარში (იხ. Georges, Spillman, დასახ. ნაშრომი, გვ. 58)

41 ქალები, რომლებიც თხოვდებოდნენ იმავე ტომის სხვა გვარის, ანდა სხვა ტომის წარმომადგენელზე, ანდა ქორწინდებოდნენ ბიძაშვილებზე, უზრუნველყოფდნენ კავშირს გვარებს, ან ტომებს შორის ურთიერთობის დასამყარებლად. თუმცა ტომის სოციალურ სტრუქტურაში თვითონ პასიურ როლს ასრულებდნენ. მათ არც არჩევანის უფლება ჰქონდათ და არც ხმის. მაგრამ ასეთი კავშირები სულ უფრო ძლიერდებოდა მომდევნო ქორწინებების მეოხებით.

42 ყურანის მიხედვით ქალიშვილები სამემკვიდრეოდ იმის ნახევარს ღებულობდნენ, რასაც ვაჟიშვილები. ყურანი საერთოდ ქალებს უკრძალავს გაყრას, თუმცა ქმარს ეს შეუძლია გააკეთოს ძალზე იოლად. გაყრასთან დაკავშირებული მდგომარეობა ცალმხრივია, მაგრამ გაყრა არ არის იმდენად ჩვეულებრივი, როგორც ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ. ეს ეხება მრავალცოლიანობასაც.

ცენტრალური ატლასის ბერბერებს ამ მხრივ აქვთ ორი ვარიანტი, რომლებიც ერთმანეთს აწონასწორებენ: ზოგიერთ ტომში (აიტ-ატტა, აიტ-ხადიდუ) ცოლებს უფლება აქვთ გაეყარონ თავიანთ ქმრებს.

საერთოდ აიტ ხადიდუს ტომში ამ მხრივ, არავითარი შეზღუდვა არ არის დადგენილი, რაც შეეხება აიტ-ატას აქ ყოფილ ქმრებს უფლება ეძლევათ აუკრძალონ ცოლებს დაქორწინება იმ მამაკაცებზე, რომლებიც მათი საყვარლები იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დროზე, ჩრდილო ზონაში აბდალ ქერიმმა[43] გაატარა მნიშვნელოვანი გარდაქმნები რიფის ტომებს შორის. მან მემკვიდრეობითი შუღლი და მტრობა კანონგარეშე გამოაცხადა, დაანგრევინა ყველა საცეცხლე ნაგებობა, რომელიც წინათ ყოველ სახლთან იდგა; გააუქმა კოლექტიური ფიცის წესი და ა. შ. რამდენადაც აბდ ალ ქერიმი თვითონ ყადი იყო, მან შემოიღო შარიათი ყოველ ოლქში, სადაც ადრე ადათი იყო გაბატონებული. ესპანეთის ადმინისტრაციამ მის მიერ შემოღებული რეფორმები სამუდამოდ დააწესა. მაგრამ ფრანგებმა გააღრმავეს წინააღმდეგობანი არაბებსა და ბერბერებს შორის ფრანგულ ზონაში, სადაც 1930 წ. ცნობილი ბერბერული დაჰირის (კანონის)[44] გამოცხადების შემდეგ „დაჰყავი და იბატონე"-ს პრინციპმა ოფიციალური პოლიტიკის სახე მიიღო.

ეს პოლიტიკა ადასტურებდა და აძლიერებდა განსხვავებას ბერბერულ წეს-ჩვეულებებსა[45] და მუსლიმურ კანონს შორის. ამრიგად, ბერბერული დაჰირი იყო ნამდვილი იმპულსი მაროკოში არაბული და ბერბერული ნაციონალიზმის გაღვივებისათვის.

ამ ნაციონალიზმმა მომდევნო ოცი წლის მანძილზე უფრო გამოკვეთილი სახე ქალაქში მიიღო, მაგრამ ატლასის მთებში ფრანგი ოფიცრები ზრუნავდნენ იმაზე, რომ ბერბერული ჩვეულებანი ერთ წერტილზე გაყინულიყო და რომ თვით ტომის წევრები მათი კაიდის მეშვეობით იზოლაციაში დარჩენილიყვნენ. ესპანეთის ზონაში ესპანეთის სამოქალაქო ომის წლების გამოკლებით[46], მდგომარეობა ფაქტობრივად უცვლელი რჩებოდა: ნაციონალიზმი რჩებოდა „მახინჯ ქალაქურ მოვლენად".

უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციული სტრუქტურის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურება ორივე პროტექტორატში. ყველა კაიდი (ბელადი) ბერბერი თუ არაბი, რომელიც პირველი იყო თანასწორთა შორის, ორივე პროტექტორატის ადმინისტრაციამ დააყენა ტომობრივი მმართველობის მაღალ საფეხურზე. მეორე მხრივ, ფრანგი და ესპანელი არმიის კაპიტნები იდგნენ თავიანთი საკუთარი ადმინისტრაციული მმართველობის დაბალ საფეხურზე, ხო-

---

თუ ოჯახში ვაჟიშვილი არა ჰყავთ, მაშინ, მას შემდეგ, რაც ქვრივი მიიღებს მის კუთვნილ ქონების 1/8-ს, ანდა მას შემდეგ, რაც იგი ხელმეორედ გათხოვდება თავისი ქმრის უმცროს ძმაზე, გარდაცვლილის ძმები ღებულობენ მას ქალიშვილებით და მთელი მათი ქონებით. ეს საერთოდ მიღებულია როგორც რიფებთან, ისე აიტ-ატას ტომში (იხ. Georges Spillman, დასახ. ნაშრომი, გვ. 60—61)

43 აბდალ-ქერიმი ალ-ხატიბი თავის დროზე არჩეული იყო რიფის რესპუბლიკის პრეზიდენტად. იგი შეიქმნა მაროკოს რიფის ოლქის გაერთიანებული ტომების მიერ. (იხ. Н. С. Луцкая, Марокко вновь обретает независимость, М., 1958, გვ. 21—22).

44 ბერბერული დაჰირი გამოსცა მაროკოს სულთანმა 1930 წ. 16 მაისს საფრანგეთის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე. ამ დაჰირის პირველი მუხლის თანახმად, მაროკოელთა მიერ ბერბერულ ტომებში ჩადენილი ყველა დანაშაული უნდა განხილულიყო ტომის ბელადის მიერ, ისინი ამიერიდან უნდა დამორჩილებოდნენ სამხედრო დაზვერვის ფრანგულ ბიუროს (იხ. Н. С. Луцкая, Очерки новейшей истории Марокко, М., 1973, გვ. 195; Амин Саид, Восстания арабов в XX веке, М., 1964, გვ. 311—312.)

45 იგულისხმება ისეთი ადათ-წესები, როგორიც არის კოლექტიური ფიცი, მამრობითი ხაზით ნათესავების პრიორიტეტის უფლება მიწაზე, განსაკუთრებული დამოკიდებულება მემკვიდრეობისადმი და გაყრისადმი და ა. შ.

46 ამ ომში რიფის ტომები გამოდიოდნენ რეაქციონერთა მხარეზე. (იხ. Manfred Halpern, The Politics of Social change in the middle East and North Africa, Princeton, 1963, გვ. 200).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მათი უფროსები იმყოფებოდნენ რაბატსა და ტეტუანში (პროტექტორატების ორ დედაქალაქში), რომლებსაც მართავდნენ ფრანგი და ესპანელი პროკონსულები[47].

1956 წ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ტომებით დასახლებულ რაიონებში მმართველობის ახალ ჯაჭვში უმაღლესი ადგილობრივი პირი გახდა შეიხი მაგრამ, ჩვეულებრივ არა ტომის მეთაური, არამედ ტომის ერითი, ან რამდენიმე განშტოების მეთაური. ტომის კაიდის თანამდებობა გაუქმდა, როგორც კოლონიალიზმის გადმონაშთი. ეს ადგილი დაიკავა ახალი ყაიდის მაროკოელმა, რომელიც წლოვანებითაც უფრო ახალგაზრდა და ქალაქურ ცხოვრებასაც უფრო შეჩვეული იყო. ამასთან, იგი კარგად იცნობდა „ბიუროკრატიულ ტექნოლოგიას", ყოველივე ეს კიდევ უფრო ითრევდა ტომებს რაბატის ცენტრალური მთავრობის ორბიტაში.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ დაიწყო ე. წ. სასოფლო კომუნების შექმნა. მაროკოში ასეთი სულ 800 კომუნა შეიქმნა. ამ კომუნების ჩამოყალიბების მიზანი იყო ტომის ახალი ადმინისტრაციული ერთეულით შეცვლა, კომუნა უნდა გამხდარიყო მის ნაცვლად ადგილობრივი ცენტრი, რომელიც შეასუსტებდა მთელ ტომობრივ სისტემას.

ყოველ კომუნას ჰყავდა თავისი მეთაური, რომელიც კომუნის საბჭოს რჩევით ხელმძღვანელობდა. იგი შედგებოდა ყოველი ტომობრივი განშტოების სხვადასხვა რაოდენობის წევრებისაგან. ეს საბჭო პასუხს აგებდა ტომის ბაზრის მუშაობისათვის ე. წ. საეკლესიო გადასახადის აკრეფისათვის, ხიდების, წყალსადენების, გზების მშენებლობისათვის და საერთოდ კომუნის ტერიტორიაზე სხვა საზოგადოებრივ სამუშაოთა შესრულებისათვის[48].

სასოფლო კომუნების სისტემის ეფექტურობა ჯერ კიდევ დიდი არ არის, ყველაზე უკეთესი შედეგები მას აქვს ატლანტის ოკეანის სანაპირო რაიონებში, ხოლო ყველაზე სუსტი რიფის რაიონში და ცენტრალურ ატლასში, სადაც ბერბერული ენა, ტომობრივი წყობილების გადმონაშთები და ბერბერული ელემენტი ჯერ კიდე ჭარბობს.

ფრანგთა ბატონობის დროს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დასამყარებლად შედგენილი სპეციალური კორპუსების ოფიცრები გულმოდგინებით სწავლობდნენ ბერბერულ ენას, ისევე როგორც არაბულს მაღრიბის ძველი უმაღლესი განათლების ინსტიტუტში (ქ. რაბატში). თუ წინათ, სიტყვა „ბერბერს" რაბატში სალანძღავ სიტყვად მიიჩნევდნენ, ახლა უკვე ასე არ არის და ბერბერები, რომლებმაც მიიღეს ფრანგული განათლება, სიამაყით ლაპარაკობენ თავიანთი წარმოშობის შესახებ. განათლებული მაროკოელი არაბები ამჟამად აღიარებენ, თუმცა უხალისოდ, რომ სწორედ მაღრიბის ბერბერული საფუძველი ანიჭებს ამ რეგიონს მის უნიკალურ ხასიათს დანარჩენ არაბულ სამყაროსთან შედარებით.

---

[47] იხ. Robert Rezette, Les Partis politiques marocains, Paris, 1955, გვ. 67, 106, 207).

[48] David M. Hart, The tribe in Modern Morocco: Two case studies 1973, გვ. 40. «Arabs and Berbers». Duckworth.

ეროვნული ბიბლიოთეკა



З. А. МЕНТЕШАШВИЛИ

# СОЦИАЛЬНАЯ ОРГАНИЗАЦИЯ БЕРБЕРСКИХ ПЛЕМЕН МАРОККО В ПЕРИОД ФРАНЦУЗСКОГО ПРОТЕКТОРАТА

Резюме

Берберы жили конфедерациями или лефами, распадавшимися на отдельные племена и кланы («такбилт» по-берберски, «хомс» по-арабски). Каждый такбилт занимал территорию радиусом от 6 до 10 км и объединял 200 — 300 палаток.

Все члены такбилта считали себя потомками одного и того же предка, имя которого они носили. Управление такбилтом осуществляли выборные советы, которые после завоевания Марокко арабами получили название «джамаа». Каждый такбилт делился на отдельные роды («дуар»). Каждый род, разделенный на семейные группы, посылал одного представителя в джамаа. Основной функцией джамаа было взимание государственных податей, налогов и штрафов.

В период между заседаниями джамаа для управления делами племени (контроль за выполнением решений, разбор тяжб, а также совершение правосудия) назначали вождя («амгхар» по-берберски, «шейх» по-арабски). Иногда амгхар получал титул «мукаддам» (предводитель). Амгхар занимал свой пост не более года, что давало возможность представителям влиятельных родов находиться у власти по очереди. Каждый такбилт имел базар («агадир»), который предназначался как для торговли, так и для дружеских встреч, обмена новостями. Имел он и политическую функцию.

Жители оазисов для защиты от набегов кочевников объединялись и образовывали деревни-крепости («ксары»). Между ксарами и кочевыми племенами заключались соглашения о взаимопомощи и защите.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Член-корреспондент АН ГССР
М. К. ДУМБАДЗЕ

# КРЕСТЬЯНСТВО ЗАКАВКАЗЬЯ В XVII — ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XVIII вв.

**Крестьянство в борьбе против внешних завоевателей.** В XVII — первой пол. XVIII вв. страны Закавказья были разделены между двумя сильными государствами Передней Азии — Ираном и Турцией. Азербайджан и Восточная Армения непосредственно, а Восточная Грузия на правах вассала находились под властью Ирана. Западная Грузия, раздробленная на самостоятельные царство и княжества, считалась в орбите политического влияния Турции; южные провинции Армении и Грузии еще с конца XVI в. томились под игом турецких же ассимиляторов.

В отличие от Азербайджана и Восточной Армении, находившихся под владычеством государства Сефевидов в условиях кызылбашской социально-политической системы, царства и княжества как Восточной, так и Западной Грузии сохраняли свое социально-политическое устройство, выплачивая ирано-турецким насильникам ежегодную дань. Степень их зависимости от агрессоров менялась или исчезала в различные периоды — в связи с усилением или ослаблением завоевателей и активностью освободительной борьбы народов.

Иран, усилившись во время правления шаха Аббаса I, непрерывно ограничивая местную аристократию в Азербайджане и Армении, раздавал земли в этих странах представителям кызылбашских правящих кругов, насаждая в них свои социально-политические порядки. Укреплялась этнически новая знать — главная опора персидского владычества. Азербайджан полностью и большая часть Армении оказались в руках беглярбеков. Лишь в определенных горных районах местным меликам удалось сохранить свои старые потомственные привилегии[1].

Исконные провинции Армении и Грузии, захваченные Турцией, делились на пашалыки и непосредственно подчинялись ее военно-административной системе, проводившей жестокую политику ассимиляции христианского населения.

Жизнь закавказских народов в рассматриваемый период проходила большей частью в тягчайших условиях перманентных опусто-

---

* Написано для многотомника «История крестьянства СССР».

[1] И. П. Петрушевский, Азербайджан в XVII в. (см. Очерки ист. СССР, XVII в., М., 1955, стр. 959); С. Т. Еремян, Армения в XVII в. (см. там же, с. 948).

ეროვნული ბიბლიოთეკა

шительных войн между Ираном и Турцией, стремившихся окончательно завладеть этим краем. Местные народы — армяне, азербайджанцы, грузины и другие ненавидевшие поработителей, непрерывно боролись против них за свободу и независимость. В этой священной борьбе закавказским народам нередко удавалось общими силами выступать против насильников.

С начала XVII в. происходит постепенное вытеснение османских турков из Восточного Закавказья и утверждение иранцев в этом регионе.

Шах Аббас решил строго наказать Грузию за установление покровительственного союза с Россией в 80-х годах XVI в. В 1602 г., нарушив мир с Турцией, он вторгся в страну, отобрал у картлийского царя Лори Дебединский район, учредив там власть своего хана, а у кахетинского царя — Енисельский участок, подчинив себе на правах султаната. По его же инициативе были убиты сторонники России в Кахети — царь Александр II и его наследник[2].

В 1603 г. иранцы заняли города Тавриз, Джульфу, Нахичевань и Ереван. В борьбе с турками гибло местное население — шахские войска тысячами истребили крестьян Армении, опустошили долину Аракса. Сотни тысяч тружеников были насильственно оторваны от родины и переселены в далекий Иран. Оставшееся население было оттеснено в горы[3].

Замена турецкого господства иранским в Азербайджане вызвала смятение в кругах местной знати. Начались гонения последователей суннитской веры. Шах Аббас усиливал шиитов, освобождая их от налогов и раздавая им земли[4].

В 1606 г. иранцы, заняв г. Ганджу, направились в Картли. К этому времени под их властью оказались все провинции Восточного Закавказья, а турки стали укреплять свои позиции в южных и западных частях этого края. Восстания против захватчиков умножались. В ответ на это посылались карательные отряды поработителей.

В 1614 г. иранские войска разорили Грузию, захватили 30.000 пленных, разгромили и ограбили богатую и многонаселенную в то время страну — Кахетию; десятки тысяч тружеников были переселены во внутренние провинции Ирана. В том числе находились многие из Ширвана и Карабаха, жившие тогда в Грузии[5]. В том же году произошло народное восстание в Азербайджане под руководством

---

[2] Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, М. К. Думбадзе, Г. А. Меликишвили, Ш. А. Месхиа, История Грузии, т. I, 1962 г., с.295—296.

[3] С. Т. Еремян, указ. труд, с. 944.

[4] История Азербайджана, т. I, под ред. И. А. Гусейнова, А. С. Сумбатзаде, А. Н. Гулиева, Е. А. Токаржевского, Баку, 1958, с. 263; А. А. Рахмани, Тарих-и алам арат-и Аббас как источник Азербайджана, Баку, 1960, с. 144.

[5] Сведения Искандера Мунши о Грузии. Персидский текст с грузинским переводом В. С. Путуридзе, Тб., 1969, с. 85—88; Очерки истории Грузии, т. IV, под ред. М. К. Думбадзе, Тб., 1973, с. 265.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Делу-мелика. Ширванцы установили связь с восставшим царем Кахети Теймуразом и взяли г. Ареш[6].

Оккупированная иранцами Кахетия восстала осенью 1615 г. Многочисленные войска шаха были истреблены; за этим последовало новое карательное нашествие — самое роковое в истории грузинского народа: Кахети превратилась в груду развалин. На помощь кахетинцам вышло и население Ганджийского ханства, но это не могло спасти их. До 1617 года продолжалось истребление, убийства и пленение сражавшихся за свободу и независимость. В период с 1614 по 1617 гг. в битве с полчищами шаха Аббаса погибло 100 тысяч грузин, а до двухсот тысяч тружеников выселено было в Иран. Оставшееся живым население ушло в горы. А их осталось очень мало. Русский посол, находившийся в Кахети в 1640 — 1643 гг. отмечал, что в этой истребленной персами стране уцелело лишь до 3 тыс. крестьянских дворов[7]. В отдельных регионах обезлюдевшей Кахети были поселены туркменские кочевые племена.

Аналогичным было положение в Армении, разоренной в результате войн шаха. В армянских деревнях обосновались переходящие к оседлости кочевники тюркских и курдских племен. Под угрозой резни христиан многие армяне были вынуждены принять мусульманство, но большинство из них, выплачивая налог за веру — джизью, смогло отстоять исконную религию[8]. Под таким же религиозным гнетом страдали коренные жители южных провинций Армении и Грузии, захваченных Турцией.

Ирано-турецкая война на закавказской арене продолжалась до 30-х годов XVII в. Шах Аббас всеми силами старался наподобие Азербайджана и Армении инкорпорировать Восточную Грузию, засылая в эту страну свежие военные силы с предполагаемыми правителями. Так было, например, весной 1625 г., когда в Грузию вошла целая армия завоевателей, но народ не сдавался. Началось грозное восстание во главе с известным на Востоке полководцем Георгием Саакадзе[9]. В решительной битве у сел. Марабда с обеих сторон погибло 30 тысяч воинов. Победу одержали кызылбаши, но шах все же не добился своей цели. Синхронными этому событию были мощные восстания против иранского господства в Северной Армении и в Северном Азербайджане[10].

Одним из серьезных шагов на пути усиления персидского политического гнета в Восточной Грузии было назначение здесь намес-

---

[6] И. П. Петрушевский, Очерки по ист. феод. отнош. в Азербайджане и Армении в XVI—нач. XIX вв., Л. 1949, с. 329.

[7] Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию в 1640—1643 гг., Тифлис, с. 158.

[8] А. Д. Папазян, Аграрные отношения в Восточной Армении в XVI—XVII вв., Ереван, 1972, с. 77, 158.

[9] Сведения Искандера Мунши..., с. 122—130; Захарий Канакерци, перевод с арм. и комм. М. О. Дарбинян-Меликян, М., 1969, с. 54—55.

[10] И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 329.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

тником (с титулом «вали») шаха — представителя династии грузинских Багратионов — омусульманенного Ростома. С Ростома начинался ряд восточно-грузинских царей магометанского исповедания, правивших здесь почти целое столетие. Власть таких царей означала вассальную зависимость страны от Ирана[11].

Мир между Ираном и Турцией, заключенный в 1639 г., знаменовал некоторую стабилизацию в политических отношениях этих государств. Они опять, и в этом случае надолго, разделили между собой земли народов Закавказья, восстановив старые границы своих сфер господства.

Продолжительные ирано-турецкие захватнические войны наносили огромный ущерб производителям Закавказского края, заметно приостановив дальнейший социально-экономический и политический прогресс живших здесь народов. Более других пострадали Армения и Грузия.

Длительный мир с 1639 г. в известной мере способствовал экономическому оживлению Восточного Закавказья в последующем за ним периоде XVII века. Но в условиях господства сильных государств закавказские народы, подавленные непомерными налогами или данью в пользу завоевателей, собственными силами не могли сбросить чужеземное иго и выйти на путь самостоятельного развития.

Социально-экономическое и политическое положение закавказских народов в первой половине XVIII в. выглядело еще более тяжелым.

Неугомонные агрессоры, поощряя внутрифеодальные распри в завоеванных ими странах, и стремясь, чтобы каждый из них безраздельно господствовал в этих краях, вновь разожгли пламя разорительных войн. Слабость и постепенный упадок мощи завоевателей, их непрестанное соперничество и неутихающее сопротивление порабощенных народов помешали агрессорам довести до конца физическое истребление трудового населения. Например, в Грузии в то время большей частью сохранились маленькие деревни, «располагавшиеся в удобных для их защиты местах. Обычно в селении было от 3 до 25 дворов»[12].

В начале XVIII в. в Азербайджане и Армении была проведена очередная перепись населения. Налоги почти втрое повысились[13]. Возобновилось временно прекращенное гонение суннитов (их было много в Шекинской, Шемахинской и Дербентской провинциях). Усилился религиозно-национальный гнет в Армении. Отцовское владение христианина могло перейти к наследнику лишь в том случае, если

---

[11] В. Н. Габашвили, Феодальный строй Грузии XVI—XVII вв. (Опыт сравнительного исследования), на груз яз., Тб., с. 274.

[12] Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, Грузия в I пол. XVIII в. (см. Очерки ист. СССР, вторая четверть XVIII в., М., 1957, с. 725).

[13] И. П. Петрушевский, Азербайджан в I пол. XVIII в., с. 699.

ეროვნული ბიბლიოთეკა

этот последний соглашался на принятие магометанства[14]. Наряду с этим чрезмерный рост повинностей, способствующий упадку крестьянского хозяйства, порождал сопротивление не только трудящихся, но и недовольных феодалов. Участились восстания.

В 1717 г. восстали кочевники Муганской степи, которые не приняли присланного из Персии хана и сами из своей среды избрали старшину[15].

Рост сопротивления народных масс отражал кризис иранского государства. Воспользовавшись ослаблением шахского правительства, Турция готовилась к захвату иранских владений в Закавказье и Дагестане. Россия, в свою очередь, не могла равнодушно смотреть на приближение Турции к ее южным границам.

Создалась благоприятная ситуация для укрепления союза между борющимися за свободу народами Закавказья и Россией, уже имевшей непосредственные интересы к делам Ближнего Востока. Подготавливался т. н. «Персидский поход» Петра I.

В лице России народы Кавказа видели свою избавительницу от турецко-иранских угнетателей. В 20-х годах XVIII в., в союзе с Россией, во главе с картлийским царем Вахтангом VI, осуществилось первое объединенное выступление закавказских народов против персидского ига. В 1722 г. войска Петра Великого заняли прикаспийские области Кавказа. Как раз в это время энергичный Давид-бек, находившийся на службе у грузинского царя, был направлен из г. Мцхеты в Армению (в Сюник), где возглавил борьбу против персов[16].

Войска Грузии и Армении встретились в Гандже. К ним присоединились азербайджанцы из Ганджийского и Карабахского ханств, чтобы совместно выступить против общих внешних врагов. К Петру I, находившемуся в Дербенте, явились представители трех народов, просившие его покровительства и присылки на помощь русских войск, но обстоятельства скоро изменились.

По объективным причинам Петр I не мог продолжить свое наступление. Против Восточного Закавказья двинулись турки, воспользовавшиеся внутренними осложнениями в Грузии. Весной 1723 г. они вторглись в Грузию и разорили страну. В июне того же года в битве с турками у Еревана погибло до 15 тыс. армян[17]. Кровопролитные сражения имели место в Тбилиси, Гандже и др. местах. Длительные пар-

---

[14] Г. А. Эзов, Сношения Петра Великого с армянским народом. Документы, СПб, 1898, с. XII, П. Т. Арутюнян, Армения в I пол. XVIII в. (см. Очерки ист. СССР, II четверть XVIII в., М., 1957, с. 713).

[15] И. П. Петрушевский, указ. труд, с. 701.

[16] П. Т. Арутюнян, указ. труд, с. 717—718.

[17] История армянского народа, ч. I, под ред. Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоаннисяна, Ереван, 1951, с. 252.

[18] В. П. Лысцов, В. А. Александров, Персидский поход и отношения России с Китаем (см. Очерки ист. СССР, XVIII в., перв. четверть, с. 613, 618).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

тизанские схватки продолжались в горных регионах закавказских стран[18].

С 1724 г. Турция в основном захватила и Восточное Закавказье; после мирного договора между Россией и Турцией хуже выглядело положение Азербайджана. Северная часть этой страны была разделена между Россией и Турцией, а южная часть — между тремя государствами — Ираном, Турцией и Россией. Азербайджан был «совсем разорен»[19]. Также были опустошены Армения, Картлийское и Кахетинское царства. Потерпевший жестокое поражение и потерявший царство, Вахтанг VI со своей многочисленной свитой (ок. 1200 чел.), эмигрировал в Россию. Господство Ирана в этом крае на 13 лет сменилось господством более сурового завоевателя — Турции.

Положение производителей, истребленных и численно сокращенных (это подтвердила перепись, проведенная турками), еще более ухудшилось[20]. Народы, находившиеся под двойным гнетом обложенные налогами в пользу феодалов и внешних завоевателей, не бросали оружия. Восстания все упорнее продолжались.

С 30-х годов XVIII в. Закавказье опять становится ареной борьбы между Ираном и Турцией.

В 1735 г. в решительной схватке у сел. Эгвард около Еревана победили иранцы, затем они захватили Ереван, Ганджу, Тбилиси и вторглись в Карсский и Ванский округи; пленили и отправили в Иран тысячи крестьян. Чужеземные войска сгоняли с насиженных мест и отправляли в Иран не только христиан-армян и грузин, но, вопреки шариату, и мусульман азербайджанцев[21]. С этих пор жители Восточного Закавказья опять томились под суровым господством шаха Надира.

Изгнанные из пределов Восточного Закавказья турки усиливали гнет населения на исконных южных землях Армении и Грузии; стали строить новые и укреплять старые крепости на Черноморском побережье Грузии; часто направлялись карательные отряды для наказания не сдававшихся правителей — царя Имерети и владетельных князей Абхазии, Мегрелии и Гурии[22].

По приказу шаха Надира в Армении, Азербайджане (1735 — 37 гг.) и в Грузии (1741 г.) были проведены переписи населения, в результате чего намного увеличились налоги и повинности. По рассказу очевидца, «налогами обложили всех и все: подростков, ранее не подлежавших обложению, животных, сады, огороды, мельницы, всякие обработанные или покинутые и лежавшие в пусте земли..»[23]. Для

---

[19] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. I, СПб, 1869, с. 95.

[20] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Грузия в I пол. XVIII в., с. 732—733.

[21] И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 302; его же, Азербайджан в XVII в., с. 959—960.

[22] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, указ. раб., с. 735.

[23] «Картлис цховреба» (История Грузии. Сборник нарративных источников), изд. Д. Чубинова, СПб, 1854, с. 345. (на груз. яз).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

нужд бесчисленных походов шаха требовали с населения транспорт, продовольствие, службу.

Опять страну охватила буря восстаний. Они не прекращались в Картли, Армении, Азербайджане, все чаще бушевали и во внутренних городах и провинциях самого Ирана — Астрабаде, Фарсе, Курдистане. Назрел кризис иранского государства[24].

Восстания против иранских завоевателей усилились со второй половины 40-х годов XVIII в., когда шах стал требовать с покоренных областей все больше и больше налогов, жестоко наказывая непокорных. Наконец, убийство Надира в 1747 г. положило начало довольно длительной анархии в Иране.

С середины XVIII в. начинается примерно новый период в политической и социально-экономической жизни народов Закавказья, как Восточного, так и Западного. Заметное ослабление поработителей этих стран открывало перспективы для успеха освободительной борьбы.

Довольно интенсивно протекали миграционные процессы в Закавказье. Внутренние миграции, закономерные в жизни феодальных обществ и вызванные природно-географическими условиями, были обычным явлением и для XVII — XVIII вв. Производители и в этот период стремились найти лучшие объективные условия для существования, были кровно заинтересованы плодородными и орошаемыми участками, но их стремления в этом резко были ограничены в условиях классового гнета и внешнеполитических осложнений.

В периоды перманентных разорительных войн крестьянам приходилось думать о защите собственных семейств, поэтому они предпочитали укрываться в горах.

Несмотря на такие тормозящие хозяйственное развитие явления, внутренние миграции продолжались; их интенсивность или замедленность зависели от продолжительности мирных и военных периодов.

Из вышеописанных явлений было видно, что внешний фактор, имевший в жизни маленьких народов почти решающее значение, резко ограничивал зональное балансирование населения. Бедные ресурсами горские племена не всегда могли принимать переселенцев, они сами нуждались в полонении необходимых средств существования. Грабежи и разбой внутри страны были неотступными спутниками тех времен. Численность горцев все же сравнительно увеличивалась, и в поисках пищи и пространства они наступали на низменные районы.

Со II половины XVII в. усиливался поток переселенцев, живших на северных склонах большого Кавказского хребта, на юг. Они насильно, а иногда и мирным путем селились на землях между реками Кодор и Ингури (в Западной Грузии, в пределах нынешней Абхазской АССР). Переселенцы шли деревнями и родами, покидая свои

---

[24] М. С. Иванов, Очерк истории Ирана, Москва, 1952, с. 103—104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

старые жилища[25]. Турецкое засилие выгоняло из Абхазии феодалов-христиан, отказавшихся принять ислам; их места занимала отуреченная аристократия[26].

Из высокогорных районов Северного Кавказа на юг, в Грузию, спускались новые партии осетин, занявшие впоследствии нынешнюю территорию Юго-осетинской автономной области. С течением времени они становятся участниками социально-политической жизни Грузии. В восточных районах Кахети возникли поселения дагестанцев и азербайджанцев.

В миграционных процессах преобладала насильственная эмиграция трудового народа, ставшая одной из причин численного сокращения местных производителей в Закавказье. Эмиграции сопутствовала иммиграция, служившая целям и задачам завоевателей. Захваченные страны заселялись единоверцами поработителей, притеснявших «ненадежных» иноверцев. Кроме того, Иран и Турция в своих экономических интересах вынуждены были заботиться о развитии сельского хозяйства и торговли в завоеванных ими странах.

В I половине XVII в. в Грузии возникают колонии азербайджано-язычных элиятов. Они селились табунами (родами) в Нижней Картли, а затем в Кахети[27]. С течением времени элияты, обложенные налогами в пользу грузинского царя, несли военную службу[28]. Еще в большем количестве туркоязычные племена были поселены в истребленных завоевателями деревнях Армении и Азербайджана[29].

В XVII — XVIII вв. постепенно нарастает число мирных переселенцев армян в Грузию. Теснимые внешними врагами армяне, переселившиеся в Грузию, избавлялись от религиозного гнета. Грузинские цари и феодалы, заботившиеся об увеличении своих скудных доходов, охотно принимали своих единоверцев, предоставляя им обезлюдевшие земли на условиях феодальной зависимости. Впоследствии многие из них, усвоив грузинский язык и культуру, вошли в состав грузинского народа[30].

**Производительные силы сельского хозяйства.** Основными производителями сельского хозяйства по-прежнему, как в предыдущих вв., являлись феодально-зависимые крестьяне. Наряду с ними существовали сравнительно малочисленные слои трудящихся, полусвободные или полностью освобожденные от повининностей (число этих последних было гораздо меньше) производители. К ним можно причислить тружеников, сидевших на общинных землях, свободных от частных фе-

---

[25] Г. А. Дзидзария, Домашняя промышленность и ремесло в Абхазии в XIX в., труды АБНИИ, т. 29, 1958, с. 118—119.

[26] Очерки истории Грузии, т. IV, под ред. М. К. Думбадзе, с. 484.

[27] В. Н. Габашвили, указ. работа, с. 309.

[28] Вахушти, Описание царства грузинского, под ред. Т. Ю. Ломоури и Н. А. Бердзенишвили, Тб., 1941, с. 45. (на груз. яз.).

[29] И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 256, 258.

[30] Н. А. Бердзенишвили, Вопросы истории Грузии, т. VI, 1973, с. 308, 309, 383 (на груз. яз).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



одалов, но эксплуатируемых государством. Были также крестьяне, имевшие купленные, не облагаемые налогами, земли.

Среди крестьян были и такие производители, которые не имели наделов, занимали «чужую» землю, выплачивая за ее пользование часть доходов[31].

В отличие крепостных, свободные и полусвободные труженики имели сравнительно больше стимула в ведении хозяйства.

Объем сельскохозяйственной продукции всецело зависел от количества орошаемых земель, без которых в Восточном Закавказье вести хозяйство было невозможно. Нарушение ирригационных систем в условиях войн и трудности их восстановления, безусловно, тормозили ведение интенсивного хозяйства.

Как выше отмечалось, после установления длительного мира между Ираном и Турцией с 30-х годов XVII в. в странах Восточного Закавказья начинается сравнительное оживление производительных сил. Восстанавливаются оросительные каналы, с ростом потребностей на сельскохозяйственную продукцию и деньги, широкое распространение получает система откупа, в особенности в Армении. Продавалось право взимания налогов с земель государства, росли прибыли откупщиков и отягчалось положение налогоплательщиков[32]. Увеличивается объем сельскохозяйственной продукции[33], в некоторой степени расширяется основное ядро сельскохозяйственного производства — крестьянское хозяйство[34].

Развивается торговля, расширяются города — центры ремесленного производства[35]. Сравнительно быстро растет товарообмен между различными регионами. Оживляются старые караванные дороги и появляются новые. В большом количестве вывозят за границу земледельческие и скотоводческие продукты. Растет товарное производство в Араратской стране, Нахичеване, Капанате[36]. Такой сравнительно интенсивный подъем в Армении и Азербайджане продолжался лишь до конца XVII в., а в Восточной Грузии — до 20-х годов XVIII в.

Западная Грузия, окруженная турецкими захватчиками с юго-запада и с севера и раздираемая внутрифеодальными междоусобицами, по-прежнему отставала. Феодальное хозяйство этой страны находилось на пути упадка[37].

[31] Очерки ист. Грузии, т. IV, с. 533; И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 308; 309; А. Д. Папазян, указ. работа, с. 197.

[32] А. Д. Папазян, там же, с. 102.

[33] Очерки ист. Грузии, т. V, под ред. М. К. Думбадзе, с. 161—163.

[34] См. Д. С. Мегреладзе, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Акопашвили, О. Н. Соселиа, Очерки из истории крестьянства феодальной Грузии, Тбилиси, 1967.

[35] Ф. М. Алиев, Торговля Азербайджана в I пол. XVIII в., Баку, 1964 (на азерб. яз).

[36] С. Т. Еремян, Армения в XVII в., с. 944; А. Д. Папазян, указ. книга, с. 58—62.

[37] Очерки ист. Грузии, т. IV, с. 164.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

В производственных отношениях, так же как и в технике сельского хозяйства, в рассматриваемый период не было никаких изменений. Производители пользовались устарелыми земледельческими орудиями. В некоторых низменных и предгорных районах по-прежнему применялся тяжелый плуг, требовавший в зависимости от качества почвы различного количества пар (от 3 до 12) волов и буйволов[38].

Процесс общего упадка производительных сил в сельском хозяйстве Восточного Закавказья, временно приостановленный в 30—90-х годах XVII в., возобновился в первой половине XVIII в. В период новых ирано-турецких войн на закавказской арене завоеватели в более жестоких формах, чем это было раньше, истребляли и грабили трудовое население. Прекратился экспорт шелка из Гиляна, опустели такие многолюдные города, как Шемаха, Дербент. Шах Надир насильственно переселил в Иран армянских, азербайджанских и грузинских купцов и ремесленников. Еще более пострадало сельское население[39]. Все это вело к разорению и обнищанию крестьянства.

Огромнейший урон наносила производителям в Грузии торговля пленными, широко распространенная турецкими захватчиками в XVI — XVIII вв[40]. Работорговля в сравнительно меньшей мере существовала в Армении и Азербайджане, находившихся тогда в составе Ирана.

В условиях двойного гнета — местного и чужеземного — возможности роста производительных сил были резко ограничены. Закавказские страны до середины XVIII в. переживали упадок хозяйственной жизни.

**Социально-правовое положение крестьянства.** В XVII—XVIII вв. основным ядром класса феодалов в Азербайджане и Армении являлась кызылбашская аристократия. В соответствии с этим сложились правовое положение и формы эксплуатации производителей[41].

Почти все земли Армении и Азербайджана принадлежали государству сефевидов и раздавались на разных условиях представителям кочевой и полукочевой аристократии. Местная армянская знать была частью истреблена, а часть, будучи вынужденной изменить веру, чтобы сохранить землю, была поставлена на службу завоевателям.

---

[38] См. С. Т. Еремян, указ. работа, с. 944; Г. С. Читая, Предварительный отчет о картлийской экспедиции («Мимомхилвели), I, Тб., 1949, с. 372, (на груз. яз); Д. С. Мегреладзе, М. Д. Лордкипанидзе, Г. Д. Акопашвили, О. Н. Соселиа, указ. работа, с. 106, 184 (на груз. яз).

[39] И. П. Петрушевский, Азербайджан в I пол. XVIII в., с. 708—709; И. Т. Арутюнян, Армения в I пол. XVIII в., с. 712.

[40] Н. А. Бердзенишвили, Очерк из ист. разв. феод. с. 24.

[41] И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 64—71 и др; История армянского народа, т. IV, Ереван, с. 247—248 (на арм. яз); А. Л. Папазян, Аграрные отношения в Восточной Армении, с. 46—47; В. Н. Габашвили, указ. работа, с. 204.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Остатки армянской аристократии сохранились преимущественно в высокогорных районах[42].

Крестьянин-земледелец в Армении и Азербайджане по-прежнему обозначался общим термином «райят». Райяты сидели на землях государства (дивана), вакфов или частных землевладельцев. Райяты-христиане, в отличие от мусульман, платили дополнительный налог за веру — джизью.

Райятам — оседлым земледельцам — противопоставлялись племена кочевников, главным образом скотоводов-элиятов. На райятов лежало основное бремя повинностей и налогов, а элияты, почти полусвободные, главным образом служили в войсках шаха, были обложены гораздо меньшими налогами, чем райяты. Элияты до конца XVII в. находились в сравнительно лучшем положении. В дальнейшем в связи с постепенным переходом к оседлому хозяйству возрастало их налоговое бремя. Процесс оседания кочевников на земле протекал медленно ввиду недостатка орошенных земель.

В юридическом отношении райяты не были крепостными, но по обложению повинностями приближались «к положению крепостных». В отличие от крепостных («глехи» — в Грузии), райяты не подвергались купле-продаже с землей и могли продавать свою землю лишь с согласия сельской общины и в ее пределах[43]. Они не могли свободно менять места жительства[44].

Социальный термин «райят» позже возникает и в Грузии — во второй четверти XVIII в. и исчезает со II пол. этого же столетия, когда объединенная в одно царство Восточная Грузия становится вполне независимым государством[45].

Основную массу производителей в Грузии составляли крепостные крестьяне — «глехи», сидевшие на частновладельческих землях царей, феодалов и церкви. Они уже издавна были прикреплены к земле господина и без его разрешения не могли покинуть свои насиженные места. Господин имел право в течение 30 лет искать и возвратить обратно ушдшего без его ведома крепостного[46]. «Глехи» можно было свободно продавать и покупать со своей землей и семьей. Запрещалась его продажа с отрывом от земли; феодал также не имел права распоряжаться наследственным наделом крестьянина, но в смутные времена эти порядки нарушались в ущерб производителям[47].

Крепостная зависимость частично была сохранена в Армении на монастырских землях[48].

---

[42] С. Т. Еремян, Армения в XVII в., с. 945; А. Д. Папазян, указ. работа, с. 81, 153—154, 158.

[43] И. П. Петрушевский, Азербайджан в XVII в., с. 956; С. Т. Еремян, Армения в XVII в., с. 945.

[44] А. Д. Папазян, указ. работа, с. 209.

[45] В. Н. Габашвили, указ. работа, с. 350.

[46] Судебник Бека и Агбуга, русск. изд. 1960 г. И. С. Долидзе и В. Д. Дондуа, Тб., статья 77; Законы Вахтанга VI, русское изд. Д. Л. Пурцеладзе, Тб., 1980 г. статья 199.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Как выше говорилось, грузинская феодальная система, основанная на частно-феодальной, вотчинной форме землевладения, по-прежнему оставалась в силе в рамках крепостничества. Поэтому эксплуатация и социально-правовое положение производительных слоев в Грузии, как нам кажется, были сравнительно тяжелее, чем в Азербайджане и Армении.

Материалы по Армении дают возможность заключить, что с конца XVII в. происходил процесс углубления феодальной собственности и возрастания прав феодалов на крестьянские земельные владения[49].

С точки зрения объема ренты-налога в Азербайджане и Армении почти не было разницы между государственными и частновладельческими крестьянами. Иное было положение в Грузии, где царские («сахасо» — от «хассе») и церковные крестьяне находились в сравнительно лучшем состоянии. Это проявлялось в усиленном стремлении частновладельческих крестьян к переходу на царские и церковные земли[50].

Сравнительно большее порабощение крестьян в политически раздробленной Грузии можно объяснить полным господством крепостничества и существованием там многочисленного слоя мелкопоместных дворян — «азнауров», находившихся в вассальной зависимости от крупных землевладельцев — тавадов. Азнауры участвовали в дележе ренты. Аналогичная азнаурам прослойка сохранялась и в определенной части Армении, где мелики имели подвассальных «поронтэров»[51].

Говоря о крепостничестве в Грузии, следует подчеркнуть его своеобразие. Там крепостничество доминировало в основном в сфере правовых отношений, в условиях экономического упадка; рост эксплуатации в XVII — XVIII вв. не соответствовал хозяйственному развитию страны[52].

Специфическими были формы эксплуатации в Азербайджане. Там полукочевая знать, наделенная землями с оседлым земледельческим населением, составляла основное ядро феодалов, взимавших с крестьян преимущественно продуктовую ренту. Кочевники «не заводили там собственного хозяйства, нередко кочуя летом со своими племенами( иль, эль). Остальную часть феодалов составляли пред-

---

[47] Э. В. Хоштария, К вопросу о социальном положении крестьянства в Картли XVII—XXIII вв. (Труды Инст. истории им. И. А. Джавахишвили АН ГССР, т. V, вып. I, 1960, с. 81—82.

[48] С. Т. Еремян, укз. работа, с. 946.

[49] А. Д. Папазян, указ. работа, с. 248—249.

[50] Г. Я. Натадзе, Крестьяне «сахасо» в Восточной Грузии в конце XVIII в. (материалы по ист. Грузии и Кавказа, вып. X, 1937).

[51] С. Т. Еремян, указ, работа, с. 946.

[52] М. К. Думбадзе, Периодизация истории феодальной Грузии (до конца XV в.). См. сб. статей «Периодизация ист. Грузии феод. эпохи», Тб., 1980, с. 43 (на груз. яз.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ставители правящей верхушки шиитского и отчасти христианского духовенства[53].

Ниже райятов по правовому положению стояли ранджбары — безземельные крестьяне, не имевшие собственных хозяйств и жившие в усадьбах землевладельцев. Их ряды пополнялись бежавшими от господ крестьянами или пленными. Иногда землевладелец выделял ранджбару для содержания семьи участок, и тогда он становился райятом[54].

Среди ранджбаров отличались безземельные, не имеющие наделов, лично зависимые и свободные арендаторы земли[55]. Большинство ранджбаров в Азербайджане не имели личной свободы.

В Армении преобладали свободные ранджбары, работавшие на чужих землях и получавшие за это от половины до четвертой части урожая[56]. В случае ухода от землевладельца ранджбар должен был оставить ему все личные хозяйственные обзаведения на его участке. Точно такими же правами пользовались безземельные «хизаны» в Грузии[57]. При таком положении хизаны, конечно, не могли избежать кабалы.

Ранджбары-хизаны отражали общие и специфические черты в правовом положении крестьянства Закавказья.

Среди привилегированных слоев крестьянства особое место занимают муафы (персид, синоним «азад») — освобожденные от налогов люди. «Муафство» означало также налоговый иммунитет, оформлявшийся союргальными грамотами[58].

Муафы в Азербайджане и Армении главным образом являлись свободными дружинниками, несшими одновременно мелкую административную службу[59]. В узком понимании муафами называли и мелких землевладельцев, стоявших ниже беков. Такое же звание присваивалось и кочевникам, отбывающим лишь воинскую повинность, (они были свободны от остальных повинностей)[60]. В аналогичном положении находились жители высокогорных регионов Грузии. ,

По своим главным обязанностям муафов можно было сравнить с грузинскими мсахурами (буквально — служители) с той разницей, что эти последние в рассматриваемый период уже не пользовались личной свободой. В XVII в. лишь часть мсахуров сохраняла сравни-

---

[53] И. П. Петрушевский, Азербайджан в XVII в., с. 954.

[54] М. М. Эфендиев, К вопросу об институте ранджбарства в Азербайджане в XIX в., с. 106; В. Н. Габашвили, указ. работа, с. 225.

[55] И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 248, примеч. 2.

[56] История армянского народа, ч. I, под ред. Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоаннисяна, Ереван, 1951, с. 234.

[57] В. Г. Гучуа, К вопросу о сущности и происхождении хизанов (Материалы для ист. Грузии и Кавказа), вып. 34, Тб., 1962 (на груз. яз).

[58] А. Д. Папазян, указ. работа, с. 140.

[59] Г. Б. Абдуллаев, Азербайджан в XVIII веке и взаимоотношения его с Россией, Баку, 1965, с. 159.

[60] И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 182—183, 256—257.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

тельно свободное положение, выполняя «почетные службы» при дворах своих господ. Остальная часть пополняла низшие слои производителей. «Почетные» мсахури, как и муафы, несли военно-административную службу и в интересах класса феодалов выступали для подавления сопротивления крестьян[61].

К числу привилегированных крестьян относились также «азаты» (азат — грузино-армянская форма), «тарханы», «азаты-дружинники», частично или полностью освобожденные от налогов и повинностей. К середине XVIII в. в Восточной Грузии складывается малочисленный слой крестьян, свободных от феодальной зависимости и обязанных нести лишь военную службу[62].

В Армении и Азербайджане существовали полусвободные общины, сохранявшие самостоятельность вплоть до XIX в. Такая сельская община в правовом отношении являлась собственником всех земель села на правах мюлька и сама регулировала землепользование своих общинников. Такие общины были обложены налогами только в пользу государства.

Среди райятов и крепостных крестьян углублялась имущественная дифференциация, но в рассматриваемом периоде она не достигла уровня классового расслоения.

**Рост эксплуатации и классовой борьбы крестьянства.** Среди крестьянских податей и повинностей в Азербайджане и Армении преобладала рента-налог[63]. Вообще феодальная рента распределялась между различными слоями класса эксплуататоров. В этом проявлялась регламентирующая роль государства Сефевидов.

В общем объеме ренты доля маликов — частных феодалов — была меньше доли государства $\left(\frac{1}{5} : \frac{1}{10}\right)$. В Грузии было почти наоборот, частные феодалы там получали больше; это объясняется политической раздробленностью страны и широкими правами частных землевладельцев.

На примерах Армении устанавливается, что крестьянские повинности охватывали «весь прибавочный продукт» и «превышали необходимый продукт»[64].

Как отмечалось выше, повинности райятов в Армении и Азербайджане, сидевших на государственных и частных землях мюлькадаров (маликов), тюалдаров, владетелей союргалов или вакфов, не отличались друг от друга. Разница была лишь в долях, получаемых перечисленными участниками при распределении общего объема фео-

---

61 Очерки истории Грузии, т. IV, под ред. М. К. Думбадзе, с. 191; Г. Д. Акопашвили, О социально-экономических категориях крестьян Восточной Грузии («Мат. по ист. Грузии и Кавказа», вып. 34, Тб., 1962, с. 71).

62 Очерки ист. Грузии, т. IV, с. 555—559.

63 С. А. Мамедов, Исторические связи азербайджанского и армянского народов (II пол. XVII—I пол. XVIII вв.), Баку, 1977, с. 66.

64 А. Д. Папазян, указ. работа, с. 251.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



дальной ренты. Для крестьянина-райята все эти различия не имели значения, размер вносимой им ренты не менялся[65].

В периоды затяжных войн рост феодальной эксплуатации происходил в противовес уровню развития сельскохозяйственного производства и численного сокращения (в особенности в Грузии и Армении) производителей[66].

В странах Закавказья в тот период господствовала натуральная рента. Денежная рента при слабом развитии товарно-денежных отношений не могла получить должного распространения. Также слабо была представлена барщина — несколько дней в год — от 3 до 6, а иногда больше[67]. Низкий уровень отработочной ренты объяснялся неразвитостью помещичьего хозяйства.

Если судить по количеству постоянных повинностей и налогов с крестьянства, они в Армении и Азербайджане достигали до 35 названий, а в Грузии лишь число поборов в пользу частных землевладельцев достигало 46[68].

Термин «бигар» (арм. форма — «кор» или «кор-бегар», груз. — «бегара»)[69], отражавший господство и влияние Ирана в странах Закавказья, применялся для обозначения трудовых (барщинных и государственных) повинностей. Этим же термином обозначались работы по возведению и ремонту крепостей, строительству дорог, мостов и пр. Термин «бигар» («бегара») широко применялся в Закавказье для обозначения различных обязательств крестьянства. В частности, в Грузии «бегара» зачастую означала все виды налогов и повинностей[70].

Основным натуральным оброком райятов считался малуджат (моloджахат)[71] — ежегодная повинность сельскохозяйственными продуктами, составлявшая от $\frac{1}{10}$ до $\frac{1}{3}$, а иногда (напр., в Армении) — от трети до половины урожая[72]. Синонимом термина «малуджат» был персидск. «бахрэ» (в азерб. и армянск. произношении «бахра»)[73]. Кочевые племена отдавали из каждых ста голов скота одну[74].

---

[65] И. П. Петрушевский, Очерки по истории, с. 263; В. Н. Габашвили, указ. работа, с. 229.

[66] Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феод. отнош. в Грузии (XIII—XVI вв.), Тб., 1938, с. 16, 24.

[67] И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 287; его же, Азербайджан в 17 в., с. 957; А. Д. Папазян, указ. работа, с. 176, 182—183; Д. В. Гвритишвили, К истории социальных отношений феодальной Грузии, Тб., 1955, с. 223 (на груз. яз.)

[68] Д. С. Мегреладзе и др., указ. работа, с. 66.

[69] П. Т. Арутюнян, Армения в I пол. XVIII в., с. 711; И. П. Петрушевский, Очерки..., с. 285, 286—288; Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, Грузия в XVII в., с. 931.

[70] Е. В. Хоштариа, указ. работа, с. 94.

[71] А. Папазян эту повинность называет «бахраче-ие-дивани» (или «бахра») и замечает, что «малоджахат часто взимался деньгами» (указ. работа, с. 228—229).

[72] С. Т. Еремян, Армения в XVII в., с. 949.

Малуджат, объем которого зависел от категории земли, выплачивался государству (рента-налог) и частным владельцам[75].

В Грузии государственная хлебная подать называлась «кодиспури» — 3—4 «коди» на каждый дым («коди» равнялся приблизительно 25 — 30 килограммам).

Повинности на земледельческие продукты в Грузии назывались «гала» (с урожаев пшеницы) и «кулухи» (с урожаев от виноградных садов), объем этих податей зависел от величины урожайности и колебался от $\frac{1}{10}$ до $\frac{1}{3}$ на хлеб и от $\frac{1}{5}$ до $\frac{1}{3}$ на вино[76].

Не в одинаковой степени был распространен в странах Закавказья ряд повинностей, связанных с непрерывными войнами ирано-турецких захватчиков и с принудительным участием в них местного населения. Для Азербайджана и Армении такие повинности, пожалуй, были постоянными; на грузинское крестьянство они распространялись лишь во времена оккупации страны чужеземными войсками.

Крестьяне были обязаны доставлять то турецким, то иранским войскам продовольствие («сурсат», «улуфе» «сурсати», «улуфа»), тяглый скот для перевозки тяжестей, в особенности лошадей («улаг», «улаки») и др.[77]. Аналогичной являлась постойная повинность — коналага — снабжение приезжающих чиновников и знатных людей[78]. Такие и подобные обязанности обозначались терминами «savери» (савари) и «нузл»; собирали деньги для «добровольного» подношения подарков («пишкеш») шаху[79].

«Саури» (от «савери») — денежная подать — в Грузии, как в Восточной, так и Западной, находившихся в отдельные периоды рассматриваемой эпохи в вассальной зависимости от Ирана или Турции, собиралась для выплаты особой дани. За денежные поступления от «саури» покупались для шахов и султанов, в виде ежегодных «подарков», определенное количество (сто, иногда больше) юношей и девушек[80]. Такая дань последний раз была отправлена в Иран в 1748 г. и больше не возобновлялась в связи с восстановлением полной независимости Картлийско-Кахетинского государства[81].

---

[73] И. П. Петрушевский, Очерки..., с. 267.

[74] С. Т. Еремян, указ. работа, с. 949.

[75] И. П. Петрушевский, Азербайджан в XVII в., 956.

[76] Д. В. Гвритишвили, Материалы к истории грузинского крестьянства (XVIII в.), Тб., 1979, с. 248—249 (на груз. яз).

[77] А. Д. Папазян, указ. работа, с. 228; Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, Грузия в XVII в., с. 931.

[78] А. Олеарий, Описание путешествия в Московию и через Московию в Персию и обратно, СПб, 1906, с. 468—479; И. П. Петрушевский, Азербайджан в XVII в., с. 957.

[79] А. Д. Папазян, указ, работа, с. 237—238.

[80] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640 гг. Документы к печати подготовил М. Полиевктов, Тб., 1937, с. 144.

[81] Очерки ист. Грузии, т. IV, под ред. М. К. Думбадзе, с. 610—611.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

Описанные в начале данной главы эпизоды совместной борьбы народов Закавказья против иноземных завоевателей наглядно показывают непримиримость трудового народа не только с чужеземным господством, но и с социальным гнетом со стороны местных эксплуататоров. Производители кровно были заинтересованы в установлении прочного мира и в освобождении от феодальной зависимости. Местная знать присоединялась к общей борьбе народов. До определенной ступени развития этой борьбы интересы антагонистических классов совпадали друг с другом. Но феодалы не были и не могли быть последовательными борцами за свободу народа. Они боролись за сохранение своих классовых привилегий и прав на эксплуатацию населения без вмешательства извне; но, когда эту цель невозможно было достичь, они вынуждены были делить с поработителями право угнетения народа. Народ же не прекращал борьбу за социальную свободу. Все это рельефно проявлялось в событиях XVII—XVIII вв.

Со II половины XVII в., в связи с наступлением относительно мирного периода и огромным ростом крестьянских повинностей, еще более обостряются противоречия между антагонистическими классами[82].

Классовая борьба трудящихся проявлялась в своих различных формах. Крестьяне убегали от ненавистных помещиков, искали «лучшего» господина, пропадали за границей или укрывались в различных регионах внутри страны; в мучительных скитаниях гибли их семейства; не всем удавалось найти убежища у новых землевладельцев, получить арендные участки на кабальных условиях (ранджбары, хизаны и др.).

Многочисленные жалобы крестьян на притеснения со стороны феодалов, их усиленные стремления освободиться от налогов и повинностей и получить земельную собственность явно отражали борьбу за полное освобождение от феодальной зависимости. Именно ради такого освобождения в 1755 г. 200 человек крестьян изъявили желание сражаться насмерть за спасение защитников Кварельской крепости (в Грузии), окруженной вражескими войсками. Царь Ираклий II, сдержав данное крестьянам обещание, освободил не только оставшихся в живых героев, но и семейства тех, которые погибли в смертельной схватке[83].

На всем протяжении XVII — I пол. XVIII вв. не утихали коллективные выступления крестьян против феодального бесправия. Они возникали в разное время и в различных регионах, не имея связи друг с другом и, как обычно, за исключением отдельных редких случаев, не достигали своих целей.

В Армении и Азербайджане довольно широкое распространение

[82] И. П. Петрушевский, Азербайджан в XVII в., с. 962.

[83] «Картлис цховреба», цитированное изд., с. 463.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

получило движение т. н. «джелали» (по имени вождя одного из ранних восстаний Джелали), начавшееся в Малой Азии. В Закавказье это движение принимает чисто крестьянский характер (в отличие от Турции, где оно началось как выступление разорившихся мелких феодалов-ленников (сипахиев), несших военную службу[84].

Из вождей этого движения, отражавшего чаяния угнетенных классов, особо запечатлелись в памяти азербайджанского народа Кер-оглу и Мустафа бек Гзир-оглу. В частности, имя Кер-оглу стало популярным и в Армении и Грузии, олицетворяя народного героя, борца, защищавшего интересы бедных слоев общества.

Восстание джелали в Азербайджане и Армении продолжалось с нач. XVII в. до 30-х годов этого столетия.

В 1616 — 1625 гг. развилось движение, направленное против церковно-феодального гнета. Началось оно в Гандзасарском армянском монастыре; армян поддержала азербайджанская беднота Карабаха. Возглавлял восстание бывший монах означенного монастыря, прозванный именами Мехлу-вардапет или Мехлу-баба, последовательный борец против обогатевшей церковной верхушки

Восстание расширилось, охватив районы Сюника, Котайка, Еревана; вооруженные дубинами и косами крестьяне грабили монастыри и изгоняли из них церковных служителей. Движение было приостановлено выступлением против него Ереванского беглярбека[85]. Это движение стало замечательным примером объединения армянских и азербайджанских крестьян в борьбе против общих угнетателей[86].

Антифеодальная борьба развивалась в горных районах Грузии. Полусвободные горцы упорно защищались от социалной экспансии со стороны крепотнической знати. Крупные феодалы — эриставы (воеводы) Арагвские с конца XVI в. и на протяжении всего XVII в., упорно добивались закрепощения тушин, пшавов и хевсуров. Длительная и беспощадная классовая война закончилась победой защитников свободы[87]. Также упорно защищались от натиска феодалов вольные общества высокогорной Сванети. Они тоже смогли отстоять свою свободу.

Аналогичной была борьба полусвободных сельских общин, имевших собственные земли в Армении и Азербайджане. Они тоже упорно защищались и боролись против частных и церковных феодалов, старавшихся присвоить их земли и поработить общинников. Документ

[84] И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 326; его же, Азербайджан в XVII в., с. 962—963.

[85] Захарий Канакерци, Хроника, перевод с арм., предисловие и комментарий М. Д. Дарбинян-Меликян, Москва, 1969, с. 71—76; С. Т. Еремян, Армения в XVII в., с. 950; И. П. Петрушевский, Азербайджан в XVII в., с. 963—964; История армянского народа, назв. изд. с. 235.

[86] И. П. Петрушевский, указ. работа. с. 964.

[87] Очерки истории Грузии, т. IV, под ред. М. К. Думбадзе, 1973, с. 223—224.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1717 г. наглядно показывает, как помогали друг другу в защите своих социальных прав азербайджанские и армянские общинники[88].

В 1668 — 1669 гг. в Грузии восставали церковные крестьяне сел Дзегви, Кайсхеви, Бодбе, требовавшие отмену дополнительных повинностей[89].

Участились восстания в азербайджанских и армянских провинциях в 70-х годах XVII в. Массовые волнения были в Нахичеванском крае в связи с неурожаем и голодовкой в этом регионе. В то же время начинаются массовые выступления крестьян в Нагорном Карабахе, длившиеся почти 20 лет. Они были направлены как против мусульманских феодалов, так и христианских армянских меликов[90].

Учащение крестьянских выступлений во второй половине XVII и начале XVIII вв. были вызваны усилением феодальной эксплуатации в связи с относительным развитием товарно-денежных отношений в Восточном Закавказье; в частности, в Армении и Азербайджане, заметно углублялся процесс закрепощения крестьян.

На грани XVII — XVIII вв. в Грузии участились выступления церковных и частновладельческих крестьян против введения дополнительных налогов. Возобновились волнения крестьян Бодбийского монастыря (1699 — 1700, 1711 — 1716 гг.), трех селений Триалети (1707 г.)[91]; восставали также жители ущелья р. Квирила в Западной Грузии в 20-х годах XVIII в. и др.[92].

Новая волна крестьянских восстаний охватила Закавказье в 20-40 гг. XVIII в., когда страна опять стала ареной борьбы двух хищнических государств — Ирана и Турции. Обострялся двойной гнет — чужеземный (политический, религиозный) и внутренний (социальный). Завоеватели и местные феодалы беспощадно грабили и разоряли крестьян. Почти все выступления трудящихся масс в тот период, за исключением отдельных случаев, были направлены против этого двойного гнета.

Непрестанная общенародная борьба с внешними завоевателями в некоторой мере ослабляла классовую антифеодальную борьбу, но она, подкапывая основы феодального строя, с течением времени все более нарастала.

---

88 А. Д. Папазян, указ. работа, с. 192.

89 Д. Г. Мегреладзе, Классовая борьба крестьян в феодальной Грузии (XVII—XVIII вв), Тб., 1979, с. 152.

90 И. П. Петрушевский, Очерки по истории... с. 331—332; его же, Азербайджан в XVII в., с. 264; С. Т. Еремян, Армения в XVII в., с. 950.

91 Б. Р. Ломинадзе, Из истории феодальных отношений в Грузии, I, Тб., 1966, с. 102—104 (на груз. яз).

92 Очерки ист. Грузии, т. IV, с. 483.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურთაზ ტაიარი

# ირან-ოსმალეთის კონფლიქტები და სასაზღვრო გამიჯვნის პირველი ცდები

შუა საუკუნეების გვიანდელ პერიოდში ირანსა და ოსმალეთს შორის არსებულ დაძაბულ ვითარებას არაერთხელ მოჰყოლია კონფლიქტები, რაც ხშირად შეიარაღებულ სასაზღვრო ინციდენტებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ორ სახელმწიფოს შორის მწვავე წინააღმდეგობებს განაპირობებდა უთანხმოებანი, რაც დაკავშირებული იყო სასაზღვრო მდ. შატ-ელ-არაბზე (ერაყი 1918 წლამდე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა) ნაოსნობასთან, სახმელეთო საზღვრების მოუწესრიგებლობასა და საზღვრისპირა რაიონებში მცხოვრები ქურთების[1] სტატუსის დაუდგენლობასთან.

თავის დროზე მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი კაპიტალისტური ქვეყანა ინგლისი სიტყვით ირან-ოსმალეთის საზღვრების დემარკაციას უჭერდა მხარს, საქმით კი ყოველნაირად უვლიდა გვერდს ამ საკითხს. ამას მოწმობს ინდოეთის ყოფილი მეფის ნაცვლის ლორდ კერზონის განცხადება. იგი ამბობდა, რომ თითქოს. „აზიაში ყოველთვის არსებობდა ინსტიქტური სწრაფვა დაუდგენელი ჰქონოდათ საზღვრები. ეს გამოწვეული იყო მოსახლეობის მიდრეკილებით მომთაბარე ცხოვრებისადმი, ხოლო ზოგჯერ შეთანხმებებისადმი ტიპიური აღმოსავლური უნდობლობის გამო. მაგრამ უფრო ხშირად მათ მიაჩნდათ, რომ დაუდგენელი საზღვრები უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე დადგენილი“[2].

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ირანსა და ოსმალეთს შორის კონფლიქტების ერთ-ერთ მიზეზს სასაზღვრო რაიონში მცხოვრები ქურთების სტატუსი წარმოადგენდა. ქურთები ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ქურთებით დასახლებული ტერიტორია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ირანსა და თურქეთს შორის მნიშვნელოვან სტრატეგიულ კვანძს წარმოადგენდა. როგორც ირანი, ისე ოსმალეთი საკუთარი საზღვრების დაცვას ქურთებს ავალებდნენ. ბრძოლებში ქურთი ტომები ძლიერ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ.

XVI საუკუნის დამდეგს ქურთისტანი დაყოფილი იქნა იმ დროისათვის ორი მძლავრ სახელმწიფოს—ოსმალეთსა და ირანს შორის. მაგრამ 1514 წლის ჩალდირანის ველზე დამარცხების შემდეგ ირანის პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა. ირანის შაჰმა სამუდამოდ დაკარგა თავისი გავლენა ზაგროსის იქით მდებარე ქურთულ ოლქებზე[3].

---

[1] მსოფლიოში ამჟამად სულ 20 მილიონი ქურთი ცხოვრობს. საკუთრივ ირანსა და თურქეთის გარდა ქურთები სხვა ქვეყნებშიც (ერაყი, ლიბანი, სირია, ინდოეთ-, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, პაკისტანი, ავღანეთი) ცხოვრობენ, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანი ისინი თურქეთში (45%), ირანში (30%) და ერაყში (20%) არიან.

[2] Lord Curzon, Frontiers, The Romanes lecture 1907 London, 1908, 1—58 გვ.

[3] მოჰამედ ამინ ზაქი, ხოლასეიე თარიხე ალქორდ ვაალქორდესთან“, ბაღდადი, 1936, გვ. 175.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეფიანთა ირანის მაშინდელი მმართველობის პოლიტიკა თურქეთის სულთნების პოლიტიკისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ისინი მიზნად ისახავდნენ ქურთებით დასახლებულ რაიონებში თავიანთი ძალაუფლება უფრო იარაღის ძალით გაევრცელებინათ. სეფიანთა შაჰის ისმაილ I-ის ასეთმა პოლიტიკამ, მარცხი განიცადა. ქურთებმა ირანელებს თურქები ამჯობინეს და მათი სამთავროების უმეტესობა ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა. ამ გარემოებამ ირანსა და თურქეთს შორის ურთიერთობა კვლავ დაძაბა და ომი მათ შორის 1555 წლამდე ე. ი. შაჰ თამაზის მმართველობის ხანაშიც გაგრძელდა[4].

ირანსა და ოსმალეთს ქურთისტანში გაბატონებისათვის გაუთავებელი ომები ჰქონდათ. ამ ომებისაგან ყველაზე მეტად ქურთები ზარალობდნენ. არც თუ იშვიათად ქურთებს როგორც ირანის შაჰების, ისე ოსმალეთის სულთნების წინააღმდეგაც აღუმართავთ მახვილი. მაგალითად, სულეიმან I-ის (1403—1421 წწ.) მმართველობის დროს მაიაფარიკინში სულეიმანიის ქურთული ტომი აჯანყდა. ქურთებმა უარი განაცხადეს სულთნის სასარგებლოდ შეწერილი 4 ჰარვარი ოქროს (მაქტუ) გადახდაზე[5]. აჯანყებას ბაიაზეთის მირლივა შაჰ სუარი მეთაურობდა. აჯანყებული ქურთების დაშოშმინება სულთანმა დიარბაქრის მმართველს დაავალა, ხოლო ამ უკანასკნელმა მაიაფარიკინის ამირას ბაჰლულ ბეგს. აჯანყებულებმა ბაჰლულ ბეგი დაამარცხეს და ბრძოლაში მოკლეს. ამ აჯანყებაში რამოდენიმე ათასი ქურთი მონაწილეობდა[6].

სულთანმა ბრძანა მთლიანად ამოეწყვიტათ აჯანყებულები, რათა მათ ბრძოლას მეზობელ ქურთ ტომებზე გავლენა არ მოეხდინათ. სულეიმანიის ქურთულ კონფედერაციაში შემავალ ბასიანისა და ბუჯინის ტომის ქურთების დამორჩილება თურქეთმა XVI საუკუნის დასასრულამდე ვერ შეძლო[7].

ირანსა და ოსმალეთს შორის პირველი საზავო ხელშეკრულება დაიდო ამასიაში[8] 1555 წელს. ხელშეკრულების საფუძველზე ორ სახელმწიფოს შორის ტერიტორიული საკითხები ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით გადაიჭრა. ამასიის ხელშეკრულებას მთლიანად არ მოუხსნია ორ მეტოქე ქვეყანას შორის არსებული წინააღმდეგობანი. ამასიის ზავის პირობების გადასინჯვა 1578—1847 წლებში (1590, 1612, 1619, 1639, 1727, 1736; 1756; 1823; 1847 წლების საზავო ხელშეკრულებანი) ძალთა თანაფარდობაში მიმდინარე ცვლილებებს ასახავდა, მოწმობდა ორი სახელმწიფოს ბრძოლას მისი გაუქმების ან აღდგენისათვის.

---

[4] ა. მენთეშაშვილი, ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X—XX სს.), თბ., 1978, გვ. 38.

[5] ხშირად ესა თუ ის ქურთული ტომი ოსმალეთისა და ირანის მთავრობათა ერთდროული ჩავლის ობიექტი ხდებოდა. კერძოდ, ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომი ქურთული ტომების ერთი ნაწილი — ფირესანი, შიევრზური, რევანდუზი და სხვ. საზაფხულო საძოვრებისათვის ირანში გადადიოდა და გადასახადებს ორივე ქვეყნის მთავრობას უხდიდა: ოსმალეთისას მეათედს, ხოლო ირანის ხელისუფლებას საძოვრებით სარგებლობისათვის. იმ შემთხვევაში თუ ჩამოთვლილი ქურთები გამოსაზამთრებლად ირანის მოხნულ მიწებზე რჩებოდნენ, მაშინ მომთაბარე ქურთები დამატებით კიდევ თითოეულ კომლზე ხარჯი ხანეს იხდიდნენ. ამ გადასახადის სიდიდეს თვითონ ირანის მთავრობა ადგენდა. (იხ. Хуршид Эффенди, Сияхет намэ и худуд. Описание путешествия по турецко-персидской границе, СПб., 1877, გვ. 249—250).

[6] Шараф-Хан Бидлиси, Шараф-Намэ, т, I, пер. Е. И. Васильевой, М., 1967, გვ. 320.

[7] ქურთისტანში ჰეგემონიისათვის ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ თურქეთის სულთნის სელიმ I-ის და ირანის შაჰის ისმაილ I-ის დროს დაიწყო, XIX საუკუნემდე გრძელდებოდა.

[8] ამასია — ქალაქი თურქეთში, რომელიც ამავე სახელწოდების ვილაიეთის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1639 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზოჰაბის[9] ზავი. ზოჰაბის ზავმა საზღვარი გაავლო იმ ქვეყნებზე, რომლებიც ამ დროს უკვე დაპყრობილი იყო ირანისა და ოსმალეთის მიერ, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც დასაპყრობი რჩებოდა, მათ გავლენის სფეროებად გაინაწილეს.

ირანსა და ოსმალეთს შორის, 1639 წლის ზოჰაბის საზავო ხელშეკრულების მიხედვით ორ სახელმწიფოს შორის საზღვარს შემდეგ პუნქტებზე უნდა გაევლო: „ბაღდადის, ბასრისა და აზერბაიჯანის ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში—ჯესანედ და ბადრანედ წოდებული ადგილები განეკუთვნოს ჩვენს უავგუსტოეს მხარეს. რაც შეეხება მიდელიჯის დაბასა და დერთენგს რომელთა საზღვრად წესდება სერმილად წოდებული ადგილის მიჯნა მათ შორის მდებარე ველებითურთ, ჩვენი უნდა იყოს; მასთან მდებარე მთა მეორე მხარეს დარჩეს, ხოლო დერნე და დერთენგი საზღვრად დაწესდეს და ჩვენს მხარეს მიეკუთვნოს. ჯაფის ტომებიდან: ზიად-დინის და ჰარუნის ტომები ჩვენი მხარის იყოს. ბირეს და ზარდულისა—მეორე მხარეს განეკუთვნოს...“[10].

ამრიგად, ზოჰაბის ზავით ირანი ხელს იღებდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. ამ ზავით ოსმალეთი იმკვიდრებდა მთელ დაპყრობილ ტერიტორიას ამიერკავკასიიდან სპარსეთის ყურემდე[11]. თურქი ავტორი ჰექმათი, რომელიც ხელშეკრულების სპარსული ტექსტით სარგებლობს, წერს: „ამ ხელშეკრულების მიხედვით ოსმალეთს დარჩა ქალაქები და პროვინციები: ბაღდადი, ბასრა, ახალციხე, ვანი, შეჰრიზორი“[12].

1639 წ. ხელშეკრულებით დამთავრდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობის გარკვეული ეტაპი, რომელიც 1578 წელს დაიწყო[13]. ამ ხელშეკრულებაში აშკარად არის მიჩქმალული ხალხის მასების როლი და წინ არის წამოყენებული მუსლიმანური სახელმწიფოს მნიშვნელობა ზავის საკითხში, მაგალითად, მასში აღნიშნულია, რომ შაჰს „ყველა ქვეშევრდომის და უბრალო ადამიანების მშვიდი ცხოვრების მიზეზად მეფეების მეგობრობა და კარგი ურთიერთობა მიაჩნია“[14].

1746 წ. ირანი დათანხმდა 1639 წლის საზავო ხელშეკრულების განახლებაზე. მაგრამ ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი ირან-ოსმალეთის საზღვრები უცვლელი დარჩა. 1746 წლის ხელშეკრუებაში ასეა გამოცხადებული ორი სახელმწიფოს დაზავების „საფუძველი“: „მისი უდიდებულესობა სულთან მურად-ხან მეოთხის სამოთხეა მისი სამშობლო, ბედნიერსა და უბრ-

[9] ზოჰაბი—ამჟამად ირანის დასავლეთით განლაგებული ქ. ყასრე-შირინი.

[10] ხელშეკრულებიდან მოტანილი ადგილი ეხება ირან-ოსმალეთს შორის იმ მიწების დანაწილებას, რომლებიც ბაღდადისა და აზერბაიჯანის მხარეებში მდებარეობს (ხელშეკრულების ტექსტის ორიგინალმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, შემორჩენილია მხოლოდ მისი ასლი, რომელსაც ფერიდუნბექის „სულთნების მიმოწერის“ კრებულში ვხვდებით: ფ ე რ ი დ უ ნ ბ ე ქ ი, მეჯმუაიე მიუნშაათ ასსელათინი“, სტამბოლი, 1265, გვ. 214).

[11] ამასვე ადასტურებს ნაიმას ისტორიაში დაცული ხელშეკრულების ვარიანტის შესაბამისი ადგილი, სადაც აღნიშნულია: „შაჰის მხრიდან აბსოლუტურად არ უნდა იქნეს ხელყოფილი ბაღდადის, ბასრის, ახალციხის და სხვ. საზღვრების შიგნით არსებული ციხეები, მხარეები და მთები“. (იხ. „თარიხე ნაიმა“, სტამბოლი, 1271, გვ. 430).

[12] M. A. H e k m a t, Essai sur l'histoire des relations politiques irano-ottomans de 1722 a 1747, Paris, 1937, გვ. 37.

[13] 1578—1639 წწ-ში ოსმალეთი ცდილობდა ამასიის ზავის გადასინჯვას, ირანის მიზანს კი ძირითადად მისი ძალაში დატოვება შეადგენდა. ოსმალეთმა მაშინ დროებით წარმატებას მიაღწია.

[14] ფ ე რ ი დ უ ნ ბ ე ქ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყინვალეს ხანაში დადებული საზავო ხელშეკრულებით იხელმძღვანელებს ორივე სახელმწიფო". აქვე საგანგებოდაა აღნიშნული, რომ 1639 წლის ზავით გათვალისწინებული საზღვრები არ შეიძლება შეიცვალოს: „ხსენებული საზავო ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრები და მიჯნები პალაში დარჩეს. მათ საფუძველში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია"[15].

XVIII ს-ში ოსმალეთის იმპერიამ ავსტრიასთან და რუსეთთან ომებში რამდენიმე სერიოზული მარცხი განიცადა. ერთ დროს თავისი სიძლიერით ცნობილი ოსმალეთი შეტევიდან თანდათან თავდაცვაზე გადავიდა, ექსპანსია ტერიტორიულმა დანაკარგებმა შეცვალა. სულ უფრო აშკარად შეიმჩნეოდა მისი დამოკიდებულ ქვეყნად გადაქცევის ტენდენცია.

ირანისათვისაც XVIII საუკუნე და განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარი[16] არეულობის პერიოდად ითვლება. 1770 წლიდან 1794 წლამდე აქ გაუთავებელი ბრძოლები მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, ზენდებსა და მეორე მხრივ, ყაჯარ ფეოდალურ არისტოკრატიას შორის.

შედარებით ადრე კერძოდ XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ოსმალეთმა აქტიური სადაზვერვო-ჯაშუშური საქმიანობა გააჩაღა სეფიანთა სახელმწიფოში. XVIII საუკუნის პირველ ათეულში ოსმალეთის ხელისუფლებამ საიდუმლო კავშირი დაამყარა ავღანეთის მთავრობასთან[17].

1720 წელს ოსმალეთიდან ირანს გაემგზავრა სულთნის კარის მოხელე დურ ეფენდი, რომლის ოფიციალურად გამოცხადებულ მოვალეობას ავსტრიაში ირანული საქონლის ექსპორტის საკითხის მოგვარება წარმოადგენდა[18]. მაგრამ ამ ელჩობას სხვა მიზანი ჰქონდა. რაშიდის ცნობით, დური ეფენდის მიზანი „ირანის სახელმწიფოს საიდუმლო ვითარებათა გამორკვევა" იყო.

დური ეფენდის მიერ შედგენილი ვრცელი ანგარიში, რომელიც ირანში ექვსთვიანი ელჩობის შედეგებს აჯამებს, ნათელ პასუხს იძლევა აღნიშნული პოლიტიკური დავალების შესახებ[19]. დურ ეფენდი ყურადღებას ამახვილებს ირანის სამხედრო მდგომარეობაზე და აღნიშნავს, რომ მისი ციხე-სიმაგრეები დანგრეული, ხოლო შაჰის ლაშქარი ნაკლებ ბრძოლისუნარიანი იყო.

ოსმალეთი არა მარტო თვალ-ყურს ადევნებდა ირანის ვითარებას, არამედ ამასთან მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ავღანელებთან, რომლებისაგანაც ცნობებს იღებდა ამ ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. რაშიდის ისტორიაში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ 1721 წლის 22 თებერვალს (ჰიჯრით 1133 წ. 20 ჯუმადი ეველს) ირანის ტერიტორიის გავლით საიდუმლოდ სტამბოლს ჩასულან ავღანელთა წარმომადგენლები. მათთან საუბარში დამატებით გამოირკვა ირანის უკიდურესი დასუსტება და დაცემის გარდუვალობა.

---

[15] ციტირებულია ვ. ჩოჩიევის ნაშრომიდან „ირანისა და ოსმალეთის 1736 და 1746 წწ. საზავო ხელშეკრულებები," თსუ შრომები, ტ. 99, 1962, გვ. 280.

[16] XVIII ს-ის მეორე ნახევრის ისტორია ეს არის ბრძოლა ხელისუფლებისათვის ზენდებს შორის, ყაჯარებს შორის და ზენდ და ყაჯარ ფეოდალებს შორის. ფეოდალები ანგრევდნენ და აჩანაგებდნენ თავიანთ ქვეყანას (იხ. ზ. შარაშენიძე, ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1970, გვ. 205.

[17] ნიშანდობლივია, რომ გილზაების წინამძღოლმა მირ ვეისმა შიიტი შაჰის წინააღმდეგ ბრძოლა ოსმალეთში მიღებული ფეთვის შესაბამისად გააჩაღა (იხ. Th, Krousininski, Histoire des revolutions de là Perse, Paris, 1752, გვ. 219—220).

[18] „თარიხე რაშედ", სტამბოლი, 1282, ტ. 5, გვ. 164.

[19] იქვე, გვ. 372—298.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც უკვე აღინიშნა, XVIII ს-ის მეორე ნახევარი ირანის ისტორიის მეტად არეული პერიოდია. ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა საშინელმა ანარქიამ მოიცვა. სახელმწიფოში პირველობისათვის ტახტის მაძიებელთა შორის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა ზენდების ერთ-ერთი უმნიშვნელო ტომის მეთაური ქერიმ-ხან ზენდი[20]. თუმცა ქერიმ-ხანი მხოლოდ ვექილის ტიტულით მართავდა ქვეყანას, მაგრამ სინამდვილეში იგი ქვეყნის ჭეშმარიტი შაჰი იყო.

ქერიმ-ხანი ვაჭრობის მონოპოლიის ხელში ჩაგდებას ლამობდა. ამისათვის აუცილებელი იყო იმ დროს ვაჭრობის ყველაზე განვითარებული ცენტრის ბასრის ხელში დაპყრობა. ეს ქალაქი კი ეკუთვნოდა ბაღდადის საფაშოს, რომელიც ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა და ამდენად, ამ განზრახვის შესრულება ოსმალეთთან ომს მოასწავებდა.

ოსმალეთთან ომისათვის ირანს საკმაო მიზეზი ჰქონდა. ცნობილია, რომ ირანელები შიიტური ისლამის მიმდევრები არიან და საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ შიიტთა წმინდა ადგილები თავიანთი ქვეყნისათვის შემოეერთებინათ. ამ წმინდა ადგილების უმრავლესობა როგორც, მაგალითად, ქერბალა, ნეჯეფი, ქაზიმია, ოსმალეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ირანელებს მასზე ხელი ნაკლებად მიუწვდებოდათ. სეფიანთა დინასტიის დამაარსებლის შაჰ-ისმაილის დროიდან ეს რელიგიური ცენტრი იყო ირან-ოსმალეთის განუწყვეტელი ბრძოლების ერთ-ერთი მიზეზი და ხელიდან ხელში გადადიოდა. ქერიმ ხანის მმართველობის პერიოდშიც შიიტთა წმინდა ადგილები ეკუთვნოდა ბაღდადის საფაშოს, რომელიც თავის მხრივ ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა და მას ემორჩილებოდა[21].

ბაღდადის საფაშოში განლაგებულ წმინდა ადგილებში მცხოვრები სპარსელი შიიტები ოსმალთა მხრიდან ძალა-უფლებასა და შევიწროებას განიცდიდნენ და მუდამ იმის ფიქრში იყვნენ, რომ სამშობლოს შეერთებოდნენ.

ირანს ბაღდადის ფაშას საწინააღმდეგოდ მრავალი საბუთი მოეპოვებოდა. ჯერ ერთი, როდესაც ზენდების ჯარი ხუზისტანში ქააბის არაბებს ებრძოდა ბაღდადის ფაშამ ომერმა მას შეიხ სულეიმანის წინააღმდეგ დახმარება შესთავაზა, გემებით უზრუნველყოფას დაჰპირდა, მაგრამ საჭირო დროს უარი თქვა და ზენდების ლაშქარი იძულებული გახდა შირაზში უშედეგოდ მიბრუნებულიყო[22].

ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებს ზედ დაერთო ახალი მოვლენები, რამაც ოსმალეთთან ომი დააჩქარა. კერძოდ, დადგენილი იყო, რომ ირანელი პილიგრიმები, რომლებიც წმინდა ადგილებში სალოცავად მიდიოდნენ, როგორც წესი, საბაჟო გადასახადს არ იხდიდნენ. მაგრამ ომერ ფაშამ დადგენილი წესის წინააღმდეგ 1775 წელს განკარგულება გასცა მათგან საბაჟო გადასახადი აეღოთ[23] ეს უკანასკნელი ომის ძირითად საბაბად იქცა.

ამ პერიოდში შავი ჭირი მოედო ბაღდადს. მან წმინდა ადგილებში სა-

---

[20] ქერიმ-ხანმა ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი შირაზში გადაიტანა.

[21] ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, თბ., 1973 გვ. 105—106.

[22] ამასთან, ომერ ფაშა ეხმარებოდა მასკატის არაბების, რომლებიც სპარსეთის ყურეში მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებას არ იძლეოდნენ. გარდა ამისა ომერ ფაშა შიიტების წმინდა ქალაქებში მცხოვრებ ირანელებს ავიწროვებდა (იხ. ჰ ა დ ი ჰ ე დ ა ი ა თ ი, თარიხე ზენდიე, ტ. I, თეირანი, 1334, გვ. 178).

[23] მ ი რ ზ ა მ ო ჰ ა მ ე დ ს ა დ ე ყ ნ ა მ ი, თარიხე გითი გოშა, თეირანი, 1314, გვ. 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცავად მოსული მრავალი ირანელის სიცოცხლე შეიწირა. ომერ ფაშას ბრძანებით დახოცილ ირანელთა ქონება ნაცვლად იმისა, რომ მემკვიდრეებისათვის გადაეცათ, თვითონ მიითვისეს. ამის თაობაზე დახმარებისათვის მემკვიდრეებმა ქერიმ-ხანს მიმართეს[24].

ქერიმ-ხანის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმანაც, რომ ომერ ფაშას წაქეზებით ქერიმ-ხანის მიერ ქურთისტანში დანიშნული ვალი ჩამოაგდო მისივე ძმამ და თვითონ აიღო ხელთ მმართველობა. ქერიმ-ხანმა ალი მორად-ხან ზენდის სარდლობით დამხმარე ლაშქარი გაგზავნა ქურთისტანში[25].

ირანმა ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრების მიზეზად ომერ ფაშას მიერ ირანელ პილიგრიმთა შევიწროება გამოაცხადა და სულთანის კარს მისი დასჯა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით დაემუქრა. ოსმალეთმა ამაზე უარი გამოაცხადა[25]. მაშინ 1775 წ. ქერიმ-ხანის ძმის სადეყ-ხანის მეთაურობით სპარსელთა 50 ათასიანი ლაშქარი ბასრის მიმართულებით დაიძრა ხმელეთიდან. ამავე დროს შატ-ელ-არაბის შესართავისაკენ გაემართა ფლოტილია 30 გემის შემადგენლობით[27].

სპარსელთა არმია, როდესაც მდ. შატ-ელ-არაბს მიუახლოვდა წინ დაბრკოლება გადაეღობა, მდინარეზე გადასვლა ხიდის გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ მეომრებმა სასწრაფოდ პონტონის ხიდის აგება დაიწყეს. ხიდი მალე ააგეს და 1775 წლის აპრილის დასაწყისში სპარსელთა ლაშქარმა მდინარე შატ-ელ-არაბი გადალახა და ბასრის ციხის მისადგომებთან შეჩერდა. ბასრელებმა ქალაქის კარები ჩაკეტეს. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და ამიტომ სადეყ-ხანი მიხვდა, რომ პირდაპირი იერიშით მას ვერ აიღებდა. საჭირო იყო ხანგრძლივი ალყა, რომ ბასრელები იძულებული გაეხადა დანებებულიყვნენ. სპარსელები ასეც მოიქცნენ. ბასრელებს იმედი ჰქონდათ, რომ სპარსელები ზაფხულის სიცხეს ვერ გაუძლებდნენ და ალყას მოხსნიდნენ, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, იმ ზაფხულს სამხრეთის ცხელი ქარის ნაცვლად ჩრდილოეთის ცივმა ქარმა დაუბერა[23]. ბასრის ალყა მთელ წელიწადს გრძელდებოდა. ქალაქი მოწყვეტილი იყო ყოველგვარ დახმარებას. სულეიმან აღა თავდაპირველად ჯიუტობდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დანებებულიყო. 1778 წლის აპრილში სადეყ-ხანი ბასრას დაეპატრონა და სპარსული მმართველობის წესების შემოღებას შეუდგა[29]. ქალაქ ბასრის დამარცხების შემდეგ ფრანგი კონსული წერდა: „ამ ქალაქის შესახებ შეიძლება აღინიშნოს, რომ მან ეს-ესაა განიცადა მოულოდნელი თავდასხმა ბასრელთა ძარცვა, რაც დაიწყო აპრილის თვიდან, ანუ როცა აქ ირანელები შემოვიდნენ, დღემდე გრძელდებოდა. ირანელთა თავ-

---

[24] ამ უკანასკნელმა წერილი მისწერა ომერ ფაშას, რომ დაეკმაყოფილებინათ ირანელთა თხოვნა. მაგრამ ომერ ფაშამ მისი გაგზავნილი კაცი აბუჩად აიგდო და ბრძანა უკან გაეგდოთ (იხ. მირზა სადეყ ნამი, დასახ. ნაშრ., გვ. 171).

[25] ამ ბრძოლაში ალი მორადი დაატყვევეს ოსმალებმა, რომლებიც ქურთისტანის ახალ ვალს ეხმარებოდნენ და ბაღდადში ჩამოიყვანეს.

[26] ამ დროს ოსმალები და განსაკუთრებით კი ბაღდადის ფაშა ირანთან ბრძოლისათვის მზად არ იყო და დატყვევებული ალი მორად-ხანი დააბრუნეს და ქერიმ-ხანს ზავის წინადადებით მიმართეს (იხ. რეზა-ყული ხანი როუზათ-ოს-საფა, თეირანი, 1969, ტ. 9, გვ. 120).

[27] А. А. Адамов, Ирак Арабский, Басорский вилайет в его прошлом и настоящем, СПб., 1912 გვ. 382.

[28] მირზა მოჰამედ სადეყ ნამი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

[29] ირანის მთავრობამ ისედაც გაჩანაგებულ ქალაქს უდიდესი ხარკი დაადო. კერძოდ ქალაქის მოსახლეობას თითქმის 120 ათასი თუმანი უნდა გადაეხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება ჯარისკაცები მოსახლეობის მიმართ მოურიდებელ ძარცვას და დანაშაულებას ჩადიოდნენ“[30].

ქერიმ-ხანის გარდაცვალების (1779 წ. 22 მარტი) შემდეგ ირანი კვლავ შინაგანი შუღლისა და არეულობის ასპარეზად იქცა[31]. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა ზექი-ხანი. მაგრამ სულ მალე ზექი-ხანის სიკვდილმა ტახტის პრეტენდენტებს აშკარა მოქმედების გზა გაუხსნა. აბულ-ფათჰ-ხანი თავისი მომხრეებით შირაზში შევიდა. აქ იგი შაჰად აღიარეს, ხოლო რეგენტად ქერიმ-ხანის ძმა სადეყ-ხანი დააყენეს. აბულ-ფათჰხანი მუდმივ განცხრომაში ატარებდა დროს. ამიტომ მასსა და სადეყ-ხანს შორის წინააღმდეგობა წამოიჭრა. 1779 წლის 23 აგვისტოს სადეყ-ხანმა იგი ტახტიდან გადააყენა და თვითონ შეუდგა ქვეყნის მართვას[32].

სადეყ-ხანს ყველაზე მეტ წინააღმდეგობას უწევდა ალი მორად-ხან ზენდი. 1782 წლის იანვარში ალი მორადმა შირაზი აიღო, სადეყ-ხანი და მისი უმცროსი ვაჟი ალი ნაყი-ხანი მოკლა და თვითონ დაეუფლა ირანის ტახტს. ალი მორად-ხანმა შირაზში 6000-მდე კაცი დახოცა და დაასახიჩრა. გალატაკებული მოსახლეობა გარბოდა შირაზიდან ისფაჰანში, იეზდში, ქერმანში, ბაღდადსა და ბასრაში[33].

ალი მორად-ხანმა ჯაფარ-ხანს სამსახურის სანაცვლოდ ქურთისტანის მმართველობა უბოძა, სეიდ მურად-ხანს კი შირაზის ოლქი მისცა სამმართველოდ[34].

ვიდრე ირანის სამხრეთში ზენდები ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ, ჩრდილოეთით აღა-მაჰმად-ხანმა მოასწრო თავისი ძალა-უფლებისათვის დაემორჩილებინა თალიში, გილანი, აზერბაიჯანი და აქტიურად განაგრძო თავისი ბრძოლა ირანის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად. მაგრამ მხოლოდ 1786 წლის დასაწყისში ყაჯარებმა საბოლოოდ სძლიეს ზენდებს[35].

ამრიგად, ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად აღა-მაჰმად ხანმა დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგეები და ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი გახდა. უფრო ადრე კი, 1785 წელს, აღა-მაჰმად ხანმა თავი ირანის შაჰად გამოაცხადა და ბრძანა თეირანში გადაეტანათ ქვეყნის ცენტრი[36].

XIX ს-ის დამდეგს დასავლეთის სახელმწიფოები ირანსა და ოსმალეთს, რომლებიც ომებისაგან დასუსტებული იყვნენ, თავიანთი ექსპანსიის სფეროდ აქცევენ. წინარე ხანისაგან განსხვავებით, ირან-ოსმალეთის ომები, როგორც თურქეთისაგან ევროპის დაცვის საშუალება, ახლა დასავლეთის არც ერთ სა-

---

30 Lettre du janvier 1777 du consul de France a Bassorah, Archives Nationales, Corres, cons, Bagdad, Aff, Etre, tome 1, გვ. 197.

31 როგორც ადრე, ქერიმ-ხანის სახელმწიფოს სათავეში მოსვლამდე, ახლაც დაიწყო შინადინასტიური ომები, ერთი მხრივ, თვით ზენდებს შორის, და, მეორე მხრივ, ზენდებსა და ყაჯარებს შორის.

32 ჰ ა დ ი ჰ ე დ ა ი ა თ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

33 მ ი რ ზ ა მ ო ჰ ა მ ე დ ქ ა ლ ა ნ თ ა რ ფ ა რ ს, რუზნამეიე მირზა მოჰამედ ქალანთარე ფარს, თეი-რანი, 1947, გვ. 71.

34 ა ბ ა ს ე ყ ბ ა ლ, თარიხე მოფასელე ირან, თეირანი, 1941, გვ. 341.

35 П. Г. Б у т к о в. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803, т. II, გვ. 92.

36 მ ო ჰ ა მ ე დ ჰ ა ს ა ნ-ხ ა ნ, თარიხე მონთაზემე ნასერი, თეირანი, 1883, ტ. III, გვ. 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფოს აღარ სჭირდებოდა. ამ დროიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ირან-ოსმალეთის დაზავების საგარეო ფაქტორად იქცნენ[37].

ამავე XIX ს-ის დასაწყისში ირანის ურთიერთობა როგორც საფრანგეთთან, ასევე რუსეთთან გართულდა. ინგლისის მთავრობამ ისარგებლა ამ ვითარებით და გადაწყვიტა ირანში ინგლისის მეფის სახელით სპეციალური მისია გაეგზავნა. მისიის მეთაურად დაინიშნა ჰარფორდ ჯონსი, რომელიც ირანში 1808 წლის ოქტომბერში ჩავიდა[38]. ინგლისის მისიის საქმიანობისათვის ირანში შექმნილი მდგომარეობა ხელსაყრელი იყო, რადგანაც ამ დროს ირანელებს საბოლოოდ გაუცრუვდათ იმედი საფრანგეთის მიერ სამხედრო დახმარების გაწევის თაობაზე[39].

1809 წლის 15 მარტს ინგლისთან დადებული შეთანხმების თანახმად, ირანი მზადყოფნას გამოთქვამდა გაეუქმებინა სხვა ქვეყნებთან ყველა მანამდე მოქმედი შეთანხმება. ამით ინგლისი თვითონ იქმნიდა მონოპოლიურ მდგომარეობას და უზრუნველყოფდა თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბატონობას ირანში. ირანს საბოლოოდ უნდა გაეწყვიტა კავშირი საფრანგეთთან და მალე ირანელი ისტორიკოსის გამოთქმით: „ინგლისელთა წითელმა ფარაჯებმა ფრანგების ცისფერი ფარაჯები შეცვალეს“[40].

საომარ ტაქტიკასთან ერთად ინგლისი ომისათვის საჭირო ფულად რესურსებსაც სთავაზობდა ირანს. აზერბაიჯანის მმართველ, ტახტის მემკვიდრე აბას მირზას შემოსავალი არ კმაროდა დამატებითი ჯარების შესანახად, ხოლო შაჰს არ უნდოდა გაეცა ფული საკუთარი ხაზინიდან. მაშინ ჯონსმა შაჰისაგან მიიღო თანხმობა, რომ იგი დაუყოვნებლივ დაეხმარებოდა აბას მირზას იმ სუბსიდიებით, რასაც ინგლისისაგან მიიღებდა[41].

ირანი გამუდმებით ერეოდა ბაღდადის ფაშასა და სულეიმანიეს მმართველის კონფლიქტში.[42] 1821 წლის შემოდგომაზე ირანიდან დევნილ ორ ქართულ ტომს ერზურუმის ვალიმ მფარველობა გაუწია. აზერბაიჯანის მმართველმა პრინცმა აბას მირზამ ეს ფაქტი ხელზე დაიხვია და თავისი ჯარებით ერზურუმის ვილაიეთის ტერიტორიაზე შეიჭრა. სპარსელებმა ტოპრაკ-კალასა და აქ-სარაის ციხეები დაიკავეს[43].

ინგლისს, ამ პერიოდში ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის შემდგომი გართულება და ომის გაჭიანურება ხელს არ აძლევდა. ორ მეზობელ მუსლიმანურ სახელმწიფოს კონფლიქტს მხოლოდ რუსეთისათვის შეეძლო

---

[37] ორი მუსლიმანური სახელმწიფოს კავშირს დასავლეთ ევროპა განიხილავდა ანტირუსულ ბარიერად. ამას ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე მათი ექსპანსიისათვის მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში. ამასთან ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკა მიმართული იყო ირანელი და თურქი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ.

[38] ა ლ ი ა ქ ბ ა რ ბ ი ნ ა, თარიხე სიასი ვა დიფლომასიე ირან, თეირანი, 1337, ტ. I, გვ. 127.

[39] ამიტომ ჯონსი სიხარულით მიიღეს. უკვე 1809 წ. 15 მარტს ჯონსმა და მირზა შეფმა ხელი მოაწერეს ე. წ. „წინასწარ შეთანხმებას“, რომლის მთავარი არსი, ირანისადმი სამხედრო დახმარების აღმოჩენა იყო ადრე დაპყრობილ ქვეყნებში ბატონობის აღსადგენად და შესანარჩუნებლად.

[40] მ ი რ ჰ ა ს ა ნ ი ე ქ რ ა ნ გ ი ა ნ, გუშეიე აზ თარიხე ნეზამიე ირან, თეირანი, 1331, გვ. 41.

[41] H a r f o r d J o n e s, An Account of the Fransactions of his Majastyis Mission to the Court of Persian the years 1807, L., 1834, გვ. 284.

[42] ირანის შაჰი არა მარტო ქურთების თავის მხარეზე გადმობირებას ლამობდა, არამედ მთელი არაბული ერაყის დაპყრობასაც ისახავდა მიზნად.

[43] ერზურუმის ვალიმ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია შემოჭრილებს და მალე მტერს დაუთმო აბშეჰრი, დიადინი, ბითლისი, მუში და სხვა რაიონები (იხ. А. А. А д а м о в, Ирак Арабский. Басорский вилайет в его прошлом и настоящем, СПб., 1912, გვ. 418).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურველი შედეგების მოტანა. ამიტომ ინგლისის დიპლომატია ყველა ღონეს ხმარობდა წამოჭრილი კონფლიქტების ჩასაქრობად. სწორედ ამის შესახებ 1821 წლის 31 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ნესელროდე ერმოლოვს სწერდა: „თუ გავითვალისწინებთ სპარსეთის კარის და განსაკუთრებით აბას-მირზას მოქმედებაზე დიდი ბრიტანეთის აგენტების განუსაზღვრელ გავლენას, ძნელი წარმოსადგენია, რომ ინგლისს ხელი არ შეეშალა სპარსეთის თავდასხმისათვის, რაც თურქეთისათვის სავალალოდ დამთავრდებოდა“[44].

1821 წელს ირან-ოსმალეთის ომის პირველ თვეებში აბას-მირზამ ირანის აზერბაიჯანის მოსაზღვრე ოსმალეთის რაიონები დაიპყრო[45], ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი და გაემართა ერზურუმისაკენ, დაიკავა ტოპრაკ-კალა, სულეიმანია და სხვ. ოსმალო ფაშებს შორის არსებული შუღლი აბას მირზას მტრის დამარცხებას უადვილებდა[46]. ოსმალეთი ირანთან ომში სასტიკ დამარცხებას განიცდიდა[47].

ინგლისი დიდი მონდომებით იბრძოდა ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. ამას გულისხმობდა გრაფი ნესელროდე, როცა ზემოაღნიშნულ წერილში ერმოლოვს სწერდა: „ინგლისის მთავრობას სურს, რომ თურქეთს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდეს ევროპის სახელმწიფოებთან. ეჭვი არ არის, რომ მას სურს ასეთივე ურთიერთობა ჰქონდეს აზიის სახელმწიფოებთანაც[48].

ინგლისის დიპლომატიის ჩარევისა და ირანზე ზემოქმედების შედეგად 1823 წლის მარტში შესაძლებელი გახდა ირანისა და ოსმალეთის დაზავება ქ. ერზურუმში.

აღსანიშნავია, რომ ამ საზავო ხელშეკრულებას რამდენიმე საიდუმლო მუხლი ჰქონდა რომლის თანახმად ირანის მთავრობა ვალდებული იყო ოსმალეთისათვის წართმეული ქვეყნების საფასურად 15 ათასი თუმანი გადაეხადა. გარდა ამისა ამ ხელშეკრულების შესაბამისად ოსმალეთი ვალდებულებას კისრულობდა, რომ თუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო თავს დაესხმოდა ირანს, სამხედრო ძალით დაეხმარებოდა მას[49].

როგორც უკვე აღინიშნა ირან-ოსმალეთის დაზავება ინგლისის დიპლომატიის ენერგიული ჩარევის შედეგს წარმოადგენდა. დიდი ბრიტანეთი ცდილობდა, შეერბილებინა მათ შორის არსებული წინააღმდეგობა და ორივე სახელმწიფო რუსეთის წინააღმდეგ საომრად განეწყო, მით უფრო, რომ რუსეთსა და ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა მწვავდებოდა და ომი მწიფდებოდა. ინგლისში ხომ ჯერ კიდევ 1819 წ. დიდი პატივით მიიღეს ირანის ელჩი აბულჰასან-ხანი. მან გააფორმა ხელშეკრულება ინგლისის მთავრობასთან, რომლის ძალითაც: „ინგლისის კაბინეტმა სპარსეთის ჩრდილოეთის პროვინ-

---

[44] Акты Кавказской археографической комиссии (АКАК) т. VI, ч. II, д. № 462, გვ. 250.

[45] ხოლო ორი თვის ალყის შემდეგ აიღო ბაიაზეთი.

[46] «Тифлисские ведомости» от 11 января 1829 г. и 18 января № 3.

[47] 1822 წ. მეომარ სახელმწიფოთა ჯარში ქოლერა გაჩნდა, რამაც დროებითი დაზავება გამოიწვია. ირანსა და ოსმალეთს შორის საომარი მოქმედების შეწყვეტისა და ზავის დაზავებისათვის ბევრი გააკეთეს ინგლისელებმა. ავსტრიისა და ინგლისის ენერგიულმა ჩარევამ ხელი აალებინა რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებაზე.

[48] АКАК, т. VI, ч. II, д. № 462, გვ. 250.

[49] АКАК, т. VI, ч. II, д № 523, გვ. 282.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციების მთლიანობის გარანტირება იკისრა“[50], ე. ი. ლაპარაკი იყო ირანისათვის იმ ტერიტორიების დაბრუნებაზე, რომლებიც გულისთანის სახაო ხელშეკრულებით რუსეთმა შეიერთა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ადრე, 1814 წელს, ინგლისსა და ირანს შორის დადებულ ხელშეკრულებაშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ირანის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შესახებ და შაჰს, რუსეთთან ომში დაკარგული სახანოების დაბრუნების გარანტია ეძლეოდა.

ამგვარად, ინგლისის დიპლომატია ცდილობდა ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და სასაზღვრო ინციდენტების ლიკვიდაციისათვის მიეღწია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის დიპლომატიის ენერგიული ჩარევით აღნიშნულ სახელმწიფოთა შორის 1823 წლის მარტში ზავიც დაიდო, მაინც ამით ირან-ოსმალეთის კონფლიქტები არ დამთავრებულა.

ირანსა და თურქეთს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით 1842 წ. გამწვავდა. ამ წელს ირანის ჯარი ორჯერ შეიჭრა თურქეთის ტერიტორიაზე. პირველი თავდასხმის დროს დანგრეული იქნა ქ. სულეიმანია.

ირან-თურქეთის სასაზღვრო კონფლიქტის კერა ჩრდილოეთშიც არსებობდა ბაიაზეთთან[51] ირანის ჯარი შეიჭრა იმ რაიონში, რომელიც თურქ ხელისუფალთა კონტროლს ექვემდებარეობოდა[52].

თურქეთსა და ირანს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავებით შეშფოთებული იყო როგორც ინგლისი, ასევე რუსეთიც, რადგან მათ შორის საომარი მოქმედება სერიოზულ ზარალს აყენებდა მათ სავაჭრო ინტერესებს ამ ქვეყანაში. ამიტომ ინგლისმა და რუსეთმა მიაღწიეს თურქეთისა და ირანის თანხმობას, რათა ერზურუმში დაეწყოთ მოლაპარაკება სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად. ქ. ერზურუმში მოწვეული კონფერენცია. 1843 წლიდან 1847 წლამდე გაგრძელდა[53]. ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, სადავო საკითხები რომელთა გადაჭრა კონფერენციაზე არ მოხერხდა, სასაზღვრო კომისიის მუშაობის დროს უნდა გადეწყვიტათ.

ორივე მხარემ უარი განაცხადა ერთმანეთის მიმართ წინათ არსებულ იმ ფულად პრეტენზიებზე, რომელიც სასაზღვრო რაიონში მცხოვრები ტომების მძარცველური თავდასხმის შედეგად წარმოიშვა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აგრეთვე იმას, რომ ორივე მხარე ტერიტორიულ დათმობაზე უნდა წასულიყო. ზოჰაბისა და სულეიმანიეს სანჯაყები[54], ხანგრძლივი დროის მანძილზე თურქეთსა და ირანს შორის არსებული ქიშპობის წყაროს წარმოადგენდნენ. ხელშეკრულებით ორივე მხარე დათანხმდა ზოჰაბის სანჯაყის დაყოფას[55].

---

[50] АКАК, т. VI, ч. II, д № 744, გვ. 421.

[51] ამჟამად დოგუბაიაზიდი.

[52] მაგრამ ირანის ჯარები დამარცხებული იქნა ჰაფიზ-ფაშას მიერ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ (იხ. Н. А. Халфин. Борьба за Курдистан, М., 1963, გვ. 53).

[53] მასში მონაწილეობას ღებულობდა 4 სახელმწიფოს წარმომადგენელი: ირანის მხრივ მირზა ჯაფარ ხანი; თურქეთის მხრივ ნურ-ფაშა; ინგლისის მხრივ პოლკოვნიკი ფარანტი; ხოლო რუსეთის მხრივ პოლკოვნიკი დაინეზი. კონფერენციამ შეიმუშავა ახალი ხელშეკრულება, რომელიც სულთნის მიერ 1847 წელს იქნა რატიფიცირებული. კონფერენციის დროს ინგლისი და რუსეთი ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ თურქეთისა და ირანის დელეგატებზე.

[54] სანჯაყი—თურქეთის სასულთნოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის—ვილაიეთის (ოლქი) ნაწილს წარმოადგენს.

[55] კომპენსაციის მიზნით, ირანმა უარი განაცხადა ქ. სულეიმანიაზე და მის სანჯაყზე. დანარ-

1847 წ. ხელშეკრულების საფუძველზე ირანმა და თურქეთმა სახელმწიფო საზღვრების დასადგენად შექმნეს შერეული კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ თურქეთის დივიზიის გენერალი (ფერიკი)დერეშ ფაშა, ირანის საინჟინრო გენერალი (მუჰანდასი) მირზა ჯაფარ-ხანი, რუსეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ე. ი. ჩირიკოვი და ინგლისელი პოდპოლკოვნიკი ვ. ვილიამსი[56].

სასაზღვრო გამიჯვნა დაიწყო1848 წლის დეკემბერში. მდ. შატ-ელ-არაბის შენაკადთან განლაგებული რაიონების შესახებ ცნობების შეგროვებაში განსაკუთრებული „გულმოდგინება“ გამოიჩინა ვილიამსმა. მისთვის ცნობების მიღების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ოსტ-ინდოეთის კომპანიის ბაღდადელ რეზიდენტ მაიორ გ. როულინსტონის ინფორმაცია, რომელიც ინგლისის კოლონიური პოლიტიკის აქტიური გამტარებელი იყო. კომისიამ შეისწავლა სასაზღვრო ხაზი დაწყებული მდ. შატ-ელ-არაბიდან დამთავრებული დიდ და მცირე არარატამდე[57].

მიუხედავად ევროპის ქვეყნების მცდელობისა, სადემარკაციო ხაზის დადგენმა კომისიამ ვერ შეძლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ირანსა და თურქეთს შორის სასაზღვრო ხაზის განსაზღვრის თაობაზე. ამ გარემოებამ კი ცხადია მომავალშიც სასაზღვრო კონფლიქტებისათვის მრავალი ახალი მიზეზი წარმოშვა.

М А. ТАЯРИ

## ИРАНО-ОСМАНСКИЕ КОНФЛИКТЫ И ПЕРВЫЕ ПОПЫТКИ ОПРЕДЕЛЕНИЯ ГРАНИЦ

В течение XVII — XVIII вв. и в последующее время ирано-османские отношения характеризовались взаимным недоверием и острой напряженностью, что неоднократно приводило к различным военным конфликтам.

Причиной обострения отношений явились нерешенные спорные вопросы, касающиеся судоходства по пограничной реке Шатт-эль-араб, а также отсутствие окончательной демаркации сухопутных границ, статуса курдов, проживающих в пограничных районах и др.

В 1847 г. согласно Эрзерумскому договору, для установления границ Иран и Турция создали разграничительную комиссию, которая не сумела провести окончательную демаркацию сухопутных границ. В будущем это обстоятельство способствовало возникновению пограничных конфликтов.

---

ჩენი ტერიტორიული საკითხები ეხებოდა სპარსეთის ყურის მიმდებარე რაიონებს. ოსმალეთი, ორი ქვეყნის საზღვრებამდე სცნობდა მდ. შატელ-არაბზე ირანის გემების ნაოსნობის უფლებას.

[56] Джалиле Джалил, Курды османской империи в первой половине XIX века, М., 1973, გვ. 153.

[57] სასაზღვრო გამიჯვნის კომისიამ თავისი მუშაობა 1852 წლის 29 აგვისტოს დაამთავრა. სადემარკაციო ხაზი, გადიოდა ბასრის, ბაღდადის, შეჰრი-ზურის, მოსულისა და ვანის ეილათებზე და ბაიაზეთზე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცნობები და შენიშვნები

რეზო ხუციშვილი

## საქართველო-უნგრეთის ურთიერთობის ისტორიიდან

ქართველი და უნგრელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა შეინიშნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. სწორედ ოქტომბერმა გაუკვალა გზა ამ ორი ხალხის შემდგომ დაახლოებასა და მეგობრობას.

საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა სამი წელი იბატონეს, მაგრამ დიდი ხნით ყოფნა არ დასცალდათ. უკვე 1921 წ. თებერვლიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოოდ გაიმარჯვა.

რაც შეეხება უნგრეთს, აქ საბჭოთა ხელისუფლება 1919 წ. 21 მარტს დამყარდა, მაგრამ მან სულ მცირე ხანი (133 დღე) იარსება. ამის შემდეგ დაიწყო ე. წ. „თეთრი ტერორი" და თითქმის მეოთხედი საუკუნე უნგრელი ხალხი კონტრ-ადმირალ მიკლოშ ჰორტის მკაცრი დიქტატურის ქვეშ იმყოფებოდა. უნგრეთმა „ჰორტისტულ ხანაში" ფაქტობრივად გაწყვიტა კავშირი ჩვენს სახელმწიფოსთან.

მიუხედავად ჰორტის ანტისაბჭოთა პოლიტიკისა, ქართველი და უნგრელი მშრომელი ხალხის დაახლოების პროცესი არ დაშლილა.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად 1917 წ. შემოდგომაზე რუსეთის არმიის ტყვეობაში იმყოფებოდა 2 მილიონზე მეტი ავსტრია-უნგრეთის ჯარისკაცი და ოფიცერი[1]. აქედან, თითქმის ასიათასმა უნგრელმა — ყოფილმა მუშებმა, გლეხებმა და პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა — გამოუცხადეს სოლიდარობა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, ხოლო შემდეგ (1917—1922 წ.წ.) მის მონაპოვარს იცავდნენ[2]. მრავალი მათგანი, რომელთაც რუსეთში „წითელი მადიარები" შეარქვეს გაემგზავრა სამოქალაქო ომის ფრონტებზე და გმირულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სხვადასხვა კუთხეში: უკრაინაში, ბელორუსიაში, ციმბირში, შუა აზიაში და სხვ[3].

როგორც ირკვევა, უნგრელ ინტერნაციონალისტთა ერთი ნაწილი ჩვენს ქვეყანაშიც მოხვედრილა, სადაც აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ქართული

---

[1] В. Желицки, Революционный путь Венгрии к социализму, М., 1979, გვ. 9; გარდა ამისა, შეთანხმდნენ რა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მთავრობები არსებულ ტყვეთა გაცვლაზე, ათასობით უნგრელმა პოვა თავშესაფარი საბჭოთა კავშირში, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, მათ შორის იყვნენ გამოჩენილი უნგრელი პოლიტიკური მოღვაწეებიც: ბელა კუნი, დიულა ალპარი, ენე ვარგა და სხვ.

[2] Янош Кадар, «Правда», 1977 г. 12 октября; იხ. Д. Немаш, Пятидесятилетие Советского государства и Венгрия, М., 1967, გვ. 18, 37.

[3] А. Иожа, Д. Милей, Венгерские интернационалисты в борьбе за победу Октября М., 1977, იხ. Сборник статей, Венгерские интернационалисты в Сибири и на Дальнем Востоке 1917—1922 гг., М., 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის (1921 წ. თებერვალი) გამარჯვებაში[4]. აი როგორ მოხვდნენ ისინი საქართველოში.

1919 წ. ბოლოს უნგრელ კომუნისტთა ხელმძღვანელობამ, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან ერთად დაიწყო უნგრელ-ინტერნაციონალისტთა მეცადინეობა მეთაურთა კურსებზე და სამხედრო სასწავლებლებში. მომდევნო წლის სექტემბერში კურსანტთა ერთი ნაწილი მოსკოვიდან ბაქოში გადაიყვანეს, სადაც ამზადებდნენ მეთაურებს ქვეითი, საკავალერიო და საარტილერიო ნაწილებისათვის[5].

სწორედ ამ უნგრელ კურსანტთა ე. წ. აღმოსავლეთის მსროლელმა ბრიგადამ მიიღო ბრძანება გამგზავრებულიყო საქართველოში, რათა ეწარმოებინა ბრძოლა მენშევიკური არმიის წინააღმდეგ, აჯანყებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად. შემდეგ მათ შეუერთდა ბაქოს, უნგრელთა სამხედრო ხელმძღვანელების სკოლა, რომლებმაც გაერთიანებული ძალით 1921 წ. 15 თებერვლიდან წარმატებით წარმართეს საბრძოლო ოპერაციები საქართველოს მენშევიკური არმიის წინააღმდეგ. უნგრელთა აღნიშნულ ახალგაზრდულ ბრიგადას შესანიშნავად ხელმძღვანელობდა დიულა კაპიტანი, ხოლო ბაქოს სამხედრო ხელმძღვანელთა სკოლის შემადგენლობას სათავეში ედგა მისივე კომისარი იანოშ კოვაჩი[6].

ვაჟკაცურად იბრძოდნენ უნგრელი ინტერნაციონალისტები 24 თებერვალს, ისინი იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ძლიერ შემოტევებს, ხოლო როდესაც უკვე მენშევიკური მთავრობის კონტრევოლუციური ჯარების ბედი გადაწყდა, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად თბილისში შევიდნენ. თბილისში უნგრული ბატალიონის პირადი შემადგენლობა რამდენიმე დღე იცავდა სახელმწიფო დაწესებულებებს, საწყობებს და სხვ. მენშევიკური არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში რვა უნგრელი კურსანტი დაიჭრა, სამი კი იშტვან კიში, იშტვან კოჩიში და ფერენც დევაი — დაეცა საქართველოს დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მარტის დასაწყისში ისინი სამხედრო პატივით დაასაფლავეს წითელი არმიის მებრძოლ ძმათა საფლავში — თბილისში[7]. ვფიქრობთ, რომ იგი მდებარეობს კომუნარების (ალექსანდრეს) ბაღში[8].

თბილისის განთავისუფლების შემდეგ უნგრელი ინტერნაციონალისტები მონაწილეობას იღებდნენ დასავლეთ საქართველოში ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლებში[9].

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეების მომსწრე და მისთვის მებრ-

---

[4] იხ. Р. Хуцишвили, «Красные мадьяры» в Грузии, «Заря Востока», 1982. 7 января, აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობილი ქართველი მხედართმთავრის ვ. კიკვიძის დივიზიაში, კერძოდ მის მე-2 ინტერნაციონალურ პოლკში ირიცხებოდნენ უნგრელები; Венгерские интернационалисты в Октябрьской революции и гражданской войне в СССР, Сборник документов (ქვემოთ ვიხმართ შემოკლებით: დოკუმენტების კრებული) ტ. II, 1968, გვ. 58, 287—291, 293; უნგრელ ინტერნაციონალისტთა მცირე ჯგუფი ყოფილა აგრეთვე ნესტორ კალანდარიშვილის რაზმშიც, დოკუმენტების კრებული, ტ. I, 1968, გვ. 396—398.

[5] დოკუმენტების კრებული, ტ. I, გვ. 428; იხ. ა. იოჟა, დ. მილეი, დასახ. ნაშრ., გვ. 349.

[6] იქვე, იხ. დოკუმენტების კრებული, ტ. II, გვ. 496.

[7] იქვე.

[8] იხ. რ. ხუციშვილი, წმინდათ შევინახოთ მათი სახელები, „თბილისი“, 1982 წ. 15 თებერვალი.

[9] ა. იოჟა, დ. მილეი, დასახ. ნაშრომი, გვ. 351.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოლი იყო აგრეთვე, ცნობილი უნგრელი მწერალი მათე ზალკა (1896—1937), რომელიც სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ XI არმიის ერთ-ერთი ნაწილის უფროსი იყო. მაშინ მოხვდა იგი პირველად ჩვენს ქვეყანაში, როდესაც XI არმია საქართველოში შემოვიდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ ძმურ დახმარებაში, რომელიც გაუწია ქართველ ხალხს წითელმა არმიამ საქართველოდან მენშევიკების განდევნაში. მ. ზალკას განსაკუთრებული გმირობა და თავდადება გამოიჩინა გოგუაძის ბანდიტურ ჯავშნოსან მატარებელთან შეტაკებაში[10].

მათე ზალკა შემდეგში ყოველთვის დიდი სიამოვნებით იგონებდა ამ ფაქტს და კიდევაც ამაყობდა იმით, რომ მონაწილეობდა ქართველი ხალხის განთავისუფლებაში. მას, მტკიცე კომუნისტსა და ნამდვილ ინტერნაციონალისტს, მეგობრული დამოკიდებულება აკავშირებდა ფილიპე მახარაძესთან და სერგო ორჯონიკიძესთან[11].

მათე ზალკას, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული გახდა მთელ რიგ ქვეყნებში (რუსეთში, ესპანეთში და სხვ.)[12], არ შეუწყვეტია კავშირი საქართველოსთან. იგი 1928 წელს მონაწილეობდა როგორც დელეგატი საერთაშორისო რევოლუციურ მწერალთა თბილისის პლენუმზე, ხოლო 1929 წ. თავის მეგობარ, ცნობილ უნგრელ მწერალთან ბელა ილეშთან ერთად კვლავ საქართველოშია. ამჯერად მათე ზალკამ მოიგონა თავისი მეგობრები, დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი. მას გულთბილად შეხვდნენ ქართველი მწერლები და მოუწყვეს დიდი ლიტერატურული საღამო[13].

პირველად მ. ზალკას ნაწარმოებთა ქართული თარგმანები 1929 წ. ოქტომბერში იხილა მკითხველმა ეს იყო ორი მოთხრობა, რომელიც გადმოაქართულა ელიზბარ პოლუმორდინოვმა (ზედგენიძე) „განთიადისას“[14] და „დროშა“[15]. მომდევნო წელს კიდევ ორი ქართული თარგმანი მიიღეს მ. ზალკას შემოქმედების თაყვანისმცემლებმა: „Purgatorium“ (ამბავი), მთარგმნელი იყო ილია ალლაძე[15] და მარადიული ზავი“[17]. ხოლო უკვე 1941 წ. ს. ორდანიშვილმა ქართულადვე თარგმნა, მისი ცნობილი რომანი „გენერალი“.

1921 წლიდან თბილისში ცხოვრობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი უნგრელებისა, რომელთა ერთი ნაწილი დასახლებულა სამოქალაქო ომის დამ-

---

[10] ალ. სულავა, კაცობრიობის სახელოვანი ჯარისკაცი, „ჩვენი თაობა“, თბ., 1938, № 7, გვ. 36.

[11] С. Цверава, История одной фотографии, «Заря Востока», 1967, 22 сентября.

[12] იხ. И. Аркуш, Герой трех народов, М., 1965.

[13] ალ. სულავა, და ს. წვერავა, დასახ. წერილები.

[14] „ქართული მწერლობა“, 1929, № 10, გვ. 9—14.

[15] „მნათობი“, 1929, № 10, გვ. 108—116.

[16] „მნათობი“, 1930, № 1, გვ. 91—120.

[17] 1930 წელს ჟურნ. „პროლეტარულ მწერლობაში“ (№ 4, გვ. 136—138) გამოქვეყნდა დ. ბენიშვილის რეცენზია ამ ნაწარმოებზე, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ თარგმანი შესრულებულია რუსულიდან და თავისთავად ამცირებს ნაწარმოების ხარისხს. მართლაც, 60—70-იან წლებამდე უნგრელ ნაწარმოებთა თარგმანები ქართულად სრულდებოდა მხოლოდ მესამე ენის (რუსულის) საშუალებით, რაც მრავალ ცვლილებას იწვევდა ტექსტში, ამავე ფაქტს შენიშნავდა ცნობილი უნგრელი მწერალი დიერდ რადო 1961 წ. საქართველოს მწერალთა კავშირში ყოფნის დროს „უკეთესი იქნებოდა თარგმანები (ქართულიდან უნგრულად და პირიქით—რ. ხ.) გაკეთებულიყო უშუალო ენიდან“-ო, საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ორცსა), ფ. 1922, ან 2, საქ. 504, გვ. 11—12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრების შემდეგ, მეორენი — უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტ-ემიგრანტები — გამოგზავნილი ყოფილან აქ პარტიულ სამუშაოზე.

დღეს, ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ცნობილი ხდება უნგრელი ინტერნაციონალისტების ვინაობა და მათი საქართველოში მოღვაწეობა. ესენი არიან: გიზელა ბერზევიცი, გოლდ გეზა, ვლადისლავ გაბოში, მიკლოშ იოჰანი, იული მაროტი, ბერტალონ ვარგა, მიხაი ტანცოში, ლუდვიგ შიკო და სხვებ› (ზოგიერთი მათგანის შთამომავალი დღესაც თბილისში ცხოვრობს)[18].

თითქმის ყველა მათგანი კომუნისტური პარტიის რიგებში თავის სამშობლოში შესულან, სადაც აქტიურ პარტიულ-აგიტაციურ საქმიანობას ეწეოდნენ, ხოლო ემიგრაციის შემდეგ სკკპ რიგებში ირიცხებოდნენ. ისინი რეგისტრაციაში გატარდნენ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში და აქ აიღეს პარტბილეთები. მათ საქართველოში სხვადასხვა პარტიული, სახელმწიფო და სხვა სამუშაოები ეკავათ.

ამ მხრივ საინტერესოა უნგრელი კომუნისტი ქალის გიზელა ბერზევიცის მოღვაწეობა, რომელიც 1923 წ. აგვისტოდან რამდენიმე წელი საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ინსტრუქტორად მუშაობდა[19] და გოლდ გეზა, რომელიც 1926 წლის მარტიდან იყო საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან არსებული ნაცუმცირესობის ქვეგანყოფილების გამგე[20].

რამოდენიმე წლის წინ (12 09 78), საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტარქივმა მიიღო უნგრელ მკვლევართა თემატური წერილი, სადაც წერდნენ: „ამჟამად ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით 20-იან წლებში საქართველოში მოქმედებდა უნგრული კლუბი „დასავლეთის ნაცუმცირესობის“ სახელით და ხელთ გვაქვს აგრეთვე 1924 წ. თბილისში გამოცემული უნგრული გაზეთი „ახალი უნგრეთის კავშირი“-ო. იქვეა თხოვნა ქართველი მეგობრებისადმი მიეწოდებინათ მათთვის რაიმე მასალა, რომელიც დაადასტურებდა ზემოთ აღნიშნულს.

მართლაც, თბილისში 1924 წ. დასაწყისიდან 1926 წ. 28 აპრილამდე, კალინინის ქ. №59-ში, ყოფილ 114 შრომითი სკოლის შენობაში, არსებობდა კარლ ლიბკნეხტის სახელობის „დასავლეთის ნაცუმცირესობის კლუბი“, რომელიც გაუქმების შემდეგ მუშათა კლუბებში გაერთიანდა. მასში ეროვნებათა მიხედვით შვიდი სექცია შედიოდა: გერმანელთა, პოლონელთა, ბერძენთა, უნგრელთა, ლიტველთა, უკრაინელთა და მოლდაველთა[21].

კლუბს ყავდა საერთო მმართველობა და წარმართავდა დასავლეთის ნაცუმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. თვითეული სექციის მუშაობა გამოიხატებოდა წრეების შექმნით საკუთარ ეროვნულ ენაზე და ჰქონდა განსაზღვრული მიზანი: უცოდინარობის ლიკვიდაცია, პოლიტგანათლება და სხვ.

ჩვენთვის საინტერესო უნგრელთა სექცია, კლუბის გამგის ანგარიშის თა-

---

[18] Т. Минд'и'а'швили, Р. Хуцишвили, Тбилисские вентры, „Вечерний Тбилиси“, 1932 г. 2 августа, იხ. Р. Хуцишвили, По законам братства, «Заря Востока», 1982 г. 20 апреля.

[19] პარტარქივი (თბილისი), ფ. 14. ან 5, საქ. 56, გვ. 2—7; ფ. 14, ან 75, საქ. 1, გვ. 24, იქვე საქ. 2, გვ. 3—5; იხ. რ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, უნგრელი კომუნისტი ქალი საქართველოში, „თბილისი“, 1981, წ. 23 აპრილი.

[20] იქვე, ფ. 14, ან. 1, საქ. 1757, გვ. 517.

[21] იქვე, ფ. 14. ან 1, საქ. 2650, გვ. 123; საქ. 3078, გვ. 207—208. ფ. 17, ან. 1, საქ. 722, გვ. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახმად ითვლიდა 25 წევრს[22], ხოლო საქართველოს სსრ პროფკავშირის კულტურის გამგის მონაცემით — 22 წევრი[23].

კლუბში ყოველთვიურად, ან ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა სხვადასხვა ენაზე შემდგარი გაზეთი „ინტერნაციონალი"[24]. შესაძლოა, რომ ასეთი უნგრული კედლის გაზეთიც აქვთ ხელთ უნგრელ მკვლევრებს. თბილისის სიძველეთსაცავებში კი, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა სტამბური წესით გამოცემული გაზეთი — „ახალი უნგრეთის კავშირი". მაგრამ ეს არ უარყოფს უნგრელ მკვლევართა წერილში მოყვანილი ცნობის დამაჯერებლობას. მართალია, როგორც შენიშნავენ ხოლმე, რომ „საბუთების არარსებობა არსებობის საბუთად" ყოველთვის არ შეიძლება გამოდგეს.

ამრიგად, თბილისში მცხოვრებ უნგრელ ინტერნაციონალისტებს ჰქონდათ არა ცალკე კლუბი, არამედ კლუბში შემავალი ეროვნული სექცია, ხოლო გაზეთის არსებობაზე თავის შეკავება გვმართებს.

30-იანი წლებიდან საბჭოთა საქართველოს კულტურული კავშირები უნგრელ ხალხთან მეტ-ნაკლებად მიზანსწრაფული ხდება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო უნგრეთში არსებულ ფაშისტური დიქტატურის პირობებში.

ამ დროისათვის სერიოზული ნაშრომები მიუძღვნეს ქართველმა მკვლევრებმა ბ. ვიკარის მიერ „ვეფხისტყაოსნის" უნგრულად თარგმნის საკითხს[25]. საგულისხმოა აგრეთვე ქართველი მწერლებისა და მთარგმნელების დაინტერესება უნგრული რევოლუციური პოეზიითა და პროზით, რომელთა თარგმანები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სრულდებოდა რუსულიდან.

1929 წ. პ. აბრამიამ ქართულად თარგმნა ფრიდეშ კარიკაშის (1892—1938) მოთხრობა „ომი — ომს", მანვე გადმოაქართულა 1932 წელს ემილ მადარას (1884—1962) „მეჯინიბე დანიელ კერესტენი", 1931 წ. ითარგმნა ბელა ილეშის რომანი „ტისა იწვის" (ბელა კუნის წინასიტყვაობით თარგმნა ნ. მესხმა))[26]. 1931 წ. ვ. გაფრინდაშვილმა თარგმნა ანტოლ გიდაშის ლექსი „სალამი მსოფლიოს რევოლუციონერ მწერლებს"[27], მისივე ლექსები, „სამშობლო", „ჩემო უნგრეთო", „შური იძიეთ", „კმარა" და სხვ. 1932 წ. — კონსტანტინე ლორთქიფანიძემ[28], ხოლო 1933 წ. ტიციან ტაბიძემ თარგმნა ა. გიდაშის პოემა „კოლონიები ყვირიან"[29].

დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორებიდან საქართველო მოინახულეს ბელა ილეშმა და ანტოლ გიდაშმა. ბელა ილეში იყო პროლეტარულ მწერალთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი, როდესაც 1932 წელს ჩვენს რესპუბლიკას ეწვია. თბილისში ჩამოსვლამდე იგი იმყოფებოდა სოხუმსა და

---

22 პარტარქივი (თბილისი), ფ. 14, ან. 1, საქ. 3078, გვ. 208.

23 იქვე, ფ. 14, ან. 1, საქ. 972, გვ. 92.

24 იქვე, ფ. 14, ან. 1, საქ. 3078, გვ. 207.

25 გ. ბაქრაძე, Tariel „ლიტერატურული გაზეთი", 1934 წ. 12 დეკემბერი; გრ. წერეთელი, „ვეფხისტყაოსანი" უნგრულ ენაზე, კრებ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა", I, თბ., 1935; ს. იორდანიშვილი, ვეფხისტყაოსნის თარგმანები ევროპულ ენებზე, „კომუნისტი", 1937, 21 ნოემბერი; გ. მამულაშვილი, ვეფხისტყაოსნის თარგმანები „ახალგაზრდა კომუნისტი", 1937 წ. 30 დეკემბერი.

26 „პროლეტარული მწერლობა", 1931, № 4—5, გვ. 206—207 (ალ. სულავას რეცენზია).

27 „მნათობი", 1931 წ. № 3, გვ. 9—15.

28 „პროლეტარული მწერლობა", 1932 წ. № 1—2, გვ. 150—154.

29 „საბჭოთა მწერლობა", 1933 წ., № 3—4, გვ. 11—13.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმში, სადაც დაათვალიერა ქარხნები, ნავსადგურები, პლანტაციები და სხვ[30].

ამ დროისათვის თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს კპ(ბ) VIII ყრილობა, რომელზეც შეზნებარედ გამოსულა ბელა ილეში. მოგვყავს ციტატი მისი სიტყვიდან: „პარტია ჩვენ გვავალეის შევქმნათ ლიტერატურაში. მაგნიტო-სტროი. პარტიას აქვს ამის სრული უფლება, ვინაიდან ლენინის პარტიამ ხელოვანთა მუშაკებს მისცა ისეთი მდიდარი მასალა, როგორიც არავის არსად არ ჰქონია. საკ. კპ (ბ) პარტიამ გვიჩვენა როგორ აშენებს ის სოციალიზმს, როგორ ამზადებს საერთაშორისო მუშათა კლასის გამარჯვებას“[31].

1934 წ. თბილისში სტუმრად ჩამოვიდა ცნობილი უნგრელი რევოლუციონერი მწერალი ანტოლ გიდაში. იგი მოწვეული იყო სსრკ მწერალთა I ყრილობაზე მოსკოვში, რომელიც გაიხსნა 15 აგვისტოს, ხოლო მის დაწყებამდე ა. გიდაში ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა საქართველოში. მას მიზნათ ჰქონია დასახული გაცნობოდა ქართულ საბჭოთა პოეზიას.

ქართველ მწერლებს, მწერალთა სასახლეში შეხვედრა მოუწყვიათ ა. გიდაშთან. უნგრელმა სტუმარმა შეკრებილთ გააცნო ის პირობები, რომელშიც მუშაობდნენ დასავლეთის მწერლები, ყურადღება გაამახვილა თანამედროვე საბჭოთა პოეზიის პრობლემებზე, წაიკითხა საკუთარი ლექსები ციკლიდან „ევა“ და კრებულიდან „ახალგაზრდა სამშობლო“. ქართველმა პოეტებმაც ტ. ტაბიძემ და კ. ლორთქიფანიძემ წაიკითხეს ა. გიდაშის ნაწარმოებების თავიანთი თარგმანები[32].

1934 წ. ამიერკავკასიის კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ თავისი ინიციატივით გაუგზავნა წერილი საბჭოთა კავშირში უნგრეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი და თხოვნა დაემყარებინათ უნგრეთთან წიგნების ურთიერთგაცვლა[33]. იმავე წელს, აღნიშნულმა საზოგადოებამ, გაუგზავნა წერილი ამიერკავკასიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს, რათა მიეწოდებინათ მათთვის უნგრეთში და სხვა ქვეყნებში გასაგზავნი წიგნები[34]. მართლაც, 1934 წელს 9 თვის განმავლობაში უნგრეთში გაუგზავნიათ 41 წიგნი[35].

ამავე წლების დოკუმენტებში ვხვდებით პროფ. გ. ჩუბინაშვილის ხელნაწერს. ეს არის მისი განცხადება ამიერკავკასიის საზღვარგარეთთან ურთიერთობის საზოგადოებისადმი, სადაც ნათქვამია, რომ მას მეტად საინტერესო წიგნი მიუღია უნგრეთის ეროვნული ლიგის ფინანსური კომიტეტის რწმუნებულის როიალ ტეილერისაგან. მიუღია აგრეთვე უნგრელი პროფ. ნ. ფეტიხის თხოვნა, დაემზადებინა და გადაეგზავნა მისთვის ხახულის ხატის (გელათის მონასტრიდან) ორი გარკვეული დეტალის ფოტოსურათი. ეს თხოვნა ქართველმა მეცნიერმა დააკმაყოფილა, ხოლო თავის მხრივ, გამოუთქვამს სურვილი მიეღო უნგრელი მეგობრებისაგან უნგრეთის მუზეუმისათვის შედგენილი შუა საუკუნეების კატალოგი[36].

---

30 „კომუნისტი“, 1932 წ. 22 იანვარი.

31 იქვე, 24 იანვარი.

32 Антал Гидаш в Тифлисе, газ. «На рубеже Востока», 1934, 10 августа.

33 ორცსა, ფ. 613, ან 1, საქ. 208. გვ. 1—2.

34 იქვე, საქ. 211, გვ. 34.

35 იქვე, საქ. 216, გვ. 27—29.

36 იქვე, საქ. 235, გვ. 13, 16, 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1942 წელს საქართველოს მწერალთა კავშირს მოუწადინებია ურთიერთობის დამყარება უნგრელ კოლეგებთან. ამ მიზნით, ურთიერთობის დასაწყისისათვის, გაუგზავნიათ მათთვის წიგნები: „საქართველოს ისტორია" (ქართულ და რუსულ ენებზე), ქართველი პოეტების ლექსთა კრებული და რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი" მ. ზიჩის ილუსტრაციებით. ამასთან ერთად ქართველი მწერლები მიმართავდნენ თხოვნით. გამოეგზავნათ მათთვის ძველი და ახალი უნგრული ლიტერატურის ნიმუშები[37].

აღნიშნული საარქივო დოკუმენტები ნათლად მეტყველებენ ქართველი და უნგრელი ხალხის მიზანსწრაფვებსა და ცდებზე დაემყარებინათ კულტურული ურთიერთკავშირები, მაშინაც კი, როდესაც უნგრეთში მძვინვარებდა ჰორტისტული — ფაშისტური რეჟიმი. მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება უნგრეთში ფაშისტური დიქტატურის არსებობის ვითარებაში. სწორედ ამით აიხსნება, რომ მოცემული პერიოდის ამ ხალხთა კულტურული ურთიერთობის ამსახველი ფაქტები მწირია.

როგორც ქართველოლოგი ლ. ტარდი აღნიშნავს, უნგრეთში ფაშისტური რეჟიმის პერიოდში იშვიათად შეინიშნება ქართველი ერით დაინტერესება, საყურადღებოა ანტიფაშისტი მწერლის რეჟე სირმაის მიერ 20-იან წლებში გამოქვეყნებული მხატვრული ღირებულების მქონე დღიურები საქართველოში მოგზაურობის შესახებ, რომელიც წიგნის ბაზარზე არ გამოსულა და იშვიათობას წარმოადგენს[38].

ცნობილია, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობამ განსაკუთრებული მტკიცე და ორგანიზაციული ხასიათი მიიღო ფაშიზმისა და თეთრი ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საქართველოს საზოგადოება, მისი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ხშირად მატერიალურად ეხმარებოდა პოლიტიკურ პატიმრებს — რევოლუციონერებს, მათ ოჯახებს და პოლიტემიგრანტებს, დიდ ადგილს უთმობდა აგრეთვე მათდამი მორალურ მხარდაჭერას[39] იგი თავის ყოველთვიურ ჟურნალ „რემედას"-ის ფურცლებზე, სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატისა და რევოლუციონერი გმირების სოლიდარული და საინფორმაციო ხასიათის წერილების გვერდით, აშკარად გამოხატავდა სიმპათიებს უნგრელი მშრომელი ხალხის მიმართაც.

მწუხარებით იუწყებოდა ჟურნალი, რომ ბუდაპეშტის მუშათა უბნებში ასეულ მუშებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა „რევოლუციონურ სოციალისტურ" მუშათა პარტიის ბელადი სტეფანე ვაგინი და კომუნისტი ზოლტან სანტი[40]. ხოლო სასიხარულოდ აცნობებდა მკითხველს უნგრეთის რევოლუციის ბელადის ბელა კუნის განთავისუფლებას ხანგრძლივი პატიმრობისაგან: „ბელა კუნის გამოჩენამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია და ხალხი მას „ვაშა"-ს ძახილით შეეგება"-ო[41].

ჟურნალის ფურცლებზე მრავარჯერ ვხვდებით ცნობილი უნგრელი კო-

---

37 საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ლხცსა), ფ. 8, ან. 1, საქ. 1113, გვ. 12.

38 „საბჭოთა ხელოვნება", 1969, № 12 გვ. 18—19.

39 იხ. შ. ნ ო ზ ა ძ ე, რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საქართველოს საზოგადოების მოღვაწეობა, „მაცნე", ისტორიის სერია, 4, 1971, გვ. 20—34.

40 „რემედას" 1927, დეკემბერი, № 2, გვ. 11—12.

41 „რემედას", 1928, სექტემბერი, № 8, გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუნისტის, შემდეგ კი სახელმწიფო ლიდერის, მატიას რაკოშის სახელს. იბეჭდებოდა მისი წერილები, ავტობიოგრაფია, თუ რა მდგომარეობაში იხდიდა იგი სასჯელს და სხვ. მაგ., ერთ-ერთ ინფორმაციაში ვკითხულობთ: „მატიას რაკოში, რომელიც 11-წელიწადია ციხეში ზის ლანდად არის ქცეული. მიუხედავად გულის მძიმე დაავადებისა, მას არავითარ საექიმო დახმარებას არ უწევენ“[42].

1931 წ. 1 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის წითელი დახმარების კომიტეტის წევრი კარლ ვაინერი. იგი თბილისის რკინიგზის სარემონტო. ქარხნის, ფაბრიკა „მკერავის“ და სხვ. ფაბრკა-ქარხნებში გამართულ მუშათა მრავალრიცხოვან კრებულზე გამოვიდა მოხსენებით, დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფებული ტერორისა და ფაშიზმის მზარდი საფრთხის შესახებ, სადაც ამახვილებდა ყურადღებას უნგრეთის მუშათა კლასის იმდროინდელ დიდ გასაჭირზე. 3 ოქტომბერს მისი სიტყვა გადასცეს რადიოთი, რომელშიც მოუწოდებდა საქართველოს ყველა რემედასელს გაეძლიერებინათ დახმარება კაპიტალის ტყვეებისადმი[43].

რემედასის ინტერნაციონალური კავშირების ერთ-ერთ ძირითად ფორმას საქართველოში (საბჭოთა კავშირის რემედასელების შესაბამისად) წარმოადგენდა შეფობა კაპიტალისტური ქვეყნების ციხეებში „გამომწყვდეულ“ რევოლუციონერებისა და პოლიტიკურ პატიმრებზე, რაც განისაზღვრებოდა საშეფო მიმოწერით[44].

შეფობა არ ატარებდა კორესპონდეციების მხოლოდ მიღება-გაგზავნის ხასიათს. წერილის გაგზავნამდე, მას განიხილავდნენ რემედასის წევრთა საერთო კრებაზე, კონფერენციაზე ან ინტერნაციონალურ საღამოებზე. წერილში აღინიშნებოდა საწარმოს წარმატებები, მშრომელთა მატერიალური, კულტურული მდგომარეობა და სხვ.

რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს საშეფო მიმოწერა ჰქონია უნგრელ პოლიტიკურ პატიმრებთანაც. ამ ფაქტზე მიუთითებს საარქივო დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს 1940 წელს ფაშისტური ციხიდან განთავისუფლებული მატიას რაკოშის მიერ გამოგზავნილ ტელეგრამას საქართველოს რემედასის სახელზე. მასში გამოთქმულია გულითადი მადლობა, მისთვის— ქართველებისაგან — განთავისუფლების მილოცვისათვის, იმ მორალურ და მატერიალური დახმარებისათვის, რომელსაც იჩენდნენ ქართველი მეგობრები[45].

ქართველი ხალხის ერთგული მეგობარი იყო უნგრელი კომუნისტი ბელა კუპერი (1916—1956), რომელიც ხუთ წელიწადს ცხოვრობდა და მუშაობდა ქალაქ ბათუმში.

ოცი წლის ბ. კუპერი აქტიურად ჩაება მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში. მისი მოღვაწეობის ასპარეზი დედის სამშობლო — ჩეხოსლოვაკია იყო. სადაც უკვე 1936 წ. იგი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. ბ. კუპერი თავის თანამშრომლებთან ერთად დაუღალავად ავრცელებდა არალეგალურ პრესას, ეწეოდა აგიტაციას, აწყობდა ადგილობრივი ფაშისტური ორგანიზაციის წინააღმდეგ გამოსვლებს, რის გამოც რამოდენიმეჯერ დაა-

42 „რემედას“, 1936, ივლისი, № 3, გვ. 11.

43 „რემედას“, 1931, ნოემბერი, № 11—12, გვ. 15.

44 ორცსა, ფ. 1641, ან. 1, საქ. 112, გვ. 26.

45 ორცსა, ფ. 1641, ან. 1, საქ. 283, გვ. 10—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიმრეს. მან კიდევ ერთხელ (1939 წ.) მოახერხა საპყრობილედან განთავისუფლება და ვინაიდან ჩეხოსლოვაკიაში აღარ ედგომებოდა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სხვა დევნილ ამხანაგებთან ერთად საბჭოთა კავშირში გამოაგზავნა[46].

1940 წ. დასასრულისათვის ბ. კუპერი ბათუმში ჩავიდა და მტვირთავად დაიწყო მუშაობა ნავსადგურში[47]. 1941—1943 წწ. ბ. კუპერი აჭარსარეწაოკავშირის სისტემის არტელებში ჯერ კულტმუშაკი იყო, შემდეგ კი არტელ „ისკრის“ გამგეობის თავმჯდომარე, ბოლოს — „საქთამბაქოვაჭრობის“ საფირმო მაღაზიის დირექტორი[48].

1945 წ. გაზაფხულზე იგი მოსკოვში გამოიძახეს და პარტიულ სამუშაოზე გაგზავნეს განთავისუფლებულ უნგრეთში. მიუხედავად ამისა მას მეგობრობა არ შეუწყვეტია ბათუმელებთან. ბ. კუპერი 1955 წელს შვებულებით იყო ჩასული ბათუმში, სადაც მოინახულა თავისი ნაცნობ-მეგობრები. აჭარსარეწაო სავჭროს კოლექტივმა მას სპეციალური მიღება მოუწყო[49]. მიღებაზე ბ. კუპერმა ბათუმელ მშრომელებს მისასალმებელი წერილი წაუკითხა და გადასცა საჩუქართან ერთად[50].

ბ. კუპერი შემდგომშიც აპირებდა მეგობრობის გაგრძელებას და კავშირების გაფართოებას ბათუმელებთან, მაგრამ სამწუხაროდ მას ეს აღარ დასცალდა. 1956 წ. ნოემბერში, კონტრრევოლუციური ამბოხების პერიოდში, ჩეპელის მეტალურგიული კომბინატის დაცვის დროს იგი მოკლეს[51].

1965 წ. ბათუმის პროფკავშირის კულტურის სახლში შექმნილი საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის[52] მრავალმხრივი ნაყოფიერი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი თემა სწორედ ბელა კუპერია. 1966 წ. 25 მაისს გაიხსნა უნგრელი რევოლუციონერის (კუპერის) ბათუმის პერიოდის ცხოვრებისადმი მიძღვნილი მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელიც შემდგომ გამდიდრდა ქართველი და უნგრელი ხალხის მეგობრობის ამსახველი მასალებით და გარდაიქმნა მეგობრობის ოთახად. აქ აშუქებდნენ უნგრელი ხალხის სახელოვანი შვილის ბ. კუპერის ცხოვრებას და მოღვაწეობას, წარმოდგენილი იყო მრავალი ფოტო და წერილობითი დოკუმენტები უნგრელი ხალხის მიერ სოციალიზმის მშენებლობის შესახებ, მათ თანამედროვე მიღწევებზე და სხვ. მეგობრობის ოთახმა იარსება 1970 წლამდე, რომლის შემდეგ მისი მასალები გადაეცა და ინახება აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმში[53].

1921 წლიდან არსებულმა ქართველი და უნგრელი მშრომელი ხალხის ინ-

---

46 ვ. მქერვალიშვილი, მეგობრობა—გზად და ხიდად, ბათუმი, 1975, გვ. 23—26; ვ. მქერვალიშვილი, ნ. კავაზისი, ბრძოლაში დაფერფლილი გული, თბ., 1978; მათივე, უნგრელი კომუნისტი ბათუმში, „საბჭოთა აჭარა“, 1966, 19 ივლისი; მათივე, В добром городе, გაზ. «Моряк Грузии», 1974, 13 აგვისტო № 94, 15 აგვისტო № 95, 20 აგვისტო № 27, და სხვ.

47 აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივში (აცსა), ბათუმის ნავსადგურის ფონდში ცნობა ბ. კუპერის ბათუმის ნავსადგურში მუშაობის შესახებ არ აღმოჩნდა. აღნიშნული ფაქტი მოგვყავს მისი ცოლის დის მოგონებიდან. აცსა, ფ. 545, ან. 1, საქ. 1, გვ. 89—90.

48 აცსა, ფ. 790, ან. 1, საქ. 7, გვ. 45—47, 57, 66, 114 და სხვ. ფ. 545, ან. I, საქ. გვ. 50, 52

49 იქვე, ფ. 207, ან. 1, საქ. 16, გვ. 19; ფ. 790, ან. 1, საქ. 7, გვ. 101—106 და სხვ.

50 იქვე, ფ. 545, ან. 1, საქ. 1, გვ. 24—25, 50.

51 ვ. მქერვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

52 „კომუნისტი“, 1967, წ. 19 სექტემბერი.

53 აცსა, ფ. 545, ან. 1, საქ. 1, გვ. 21; იქვე, საქ. 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტერნაციონალურმა სოლიდარობამ, რაც გამოიხატა მათ რევოლუციურ თანამეგობრობაში, თავისი შემდგომი გაგრძელება და განვითარება პოვა დიდი სამამულო ომის დასასრულს, როდესაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელოვანმა შვილებმა (მათდამი უნგრელი მშრომელი მოსახლეობის მხარდაჭერით) გაათავისუფლეს უნგრეთი ფაშიზმისაგან.

ამ ბრძოლებში მრავალმა ქართველმა მებრძოლმა შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი, ბევრი სამუდამოდ მიებარა უნგრეთის მადლიერ მიწას. მათი ზოგიერთი სახელი და თავდადებული მოქმედების ეპიზოდი გადმოცემული აქვს მ. ქოჩიაშვილს[54], სადაც შენიშნავს, რომ „ჯერჯერობით არ ხერხდება უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილე ყველა ქართველის მიკვლევა"[55]. რა თქმა უნდა ყველა, შესაძლოა, არც გამოვლინდეს, მაგრამ უხვად არსებული დამატებითი მასალა ამ საკითხის სპეციალური შესწავლის უფლებას გვაძლევს, რომელიც აქ დიდ ადგილს დაიკავებდა[56].

Р. Т. ХУЦИШВИЛИ

## ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКО-ВЕНГЕРСКИХ СВЯЗЕЙ

Резюме

В статье рассмотрены контакты грузинского и венгерского народов в так называемую «хортисскую эпоху». Хортисский фашистский режим не смог помешать интернациональному сближению и развитию культурных связей между двумя народами.

Такие факты, как участие венгерских интернационалистов в февральских событиях в Грузии в 1921 г., их жизнь и деятельность в Грузии в 20-х годах, приезд в нашу ресспублику венгерских пролетарских писателей (Матэ Залка, Бела Илеш, Антол Гидаш), большое внимание грузинского МОПР-а к венгерскому народу и др. — все это новые и незабываемые страницы в истории грузинско-венгерских взаимоотношений, имеющих глубокие исторические корни.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის განყოფილებამ

---

[54] მ. ქოჩიაშვილი, ქართველი ხალხის საბრძოლო მამაცობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, ნაწ. 1, თბ., 1975, გვ. 126—143.

[55] იქვე, გვ. 141.

[56] იხ. რ. ხუციშვილი, მარად ხალხის ხსოვნაში, „კომუნისტი", 1982 წ. 3. აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ტაბაღუა

# ბათუმის საკითხი სან რემოს კონფერენციაზე (1920 წ.)[1]

საფრანგეთისა და იტალიის არქივებში ბევრი საინტერესო მასალა მოიპოვება ბათუმის შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს საბუთები, სადაც მოცემულია დასავლეთის სახელმწიფოების დამოკიდებულება ბათუმისადმი პირველი მსოფლიო ომის წინ, ომის დროს და ომის შემდეგ[2].

წინამდებარე სტატიაში გვინდა მკითხველს გავაცნოთ ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენელთა სან რემოს[3] კონფერენციის მხოლოდ ის მასალა. რომელიც ბათუმს შეეხება. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ამ კონფერენციის მასალას განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ საერთოდ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს გეგმებზე ბათუმის მიმართ და იმ ვითარებაზე, რომელიც ბათუმსა და ბათუმის რაიონში სან რემოს კონფერენციის წინ შეიქმნა.

პარიზის (ვერსალის) კონფერენციაზე (1919 წ.) ინგლისისა და საფრანგეთის ინიციატივით ტერიტორიების გადანაწილებით უკმაყოფილო იტალიის მთავრობის მეთაურს ორლანდოს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა აღუთქვა მხარდაჭერა, თუ იტალია შეეცდებოდა საქართველოზე და აზერბაიჯანზე მანდატები მიეღო (ლოიდ ჯორჯს სრულებით არ აინტერესებდა, თუ როგორ შეხვდებოდნენ ამას ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები და საერთოდ, დაუშვებდნენ თუ არა ისინი თავიანთ ქვეყნებში ახალი ოკუპანტების მოსვლას).

იტალიის მესვეურებს (ორლანდო, სონინო...) ჭკუაში დაუჯდათ ლოიდ

---

[1] L'article — «La question de Batoumi à la Coférence de San Remo», est consacré à la question de Batoumi dans la politique des puissances cccidentales en 1919—1920. Mais l'auteur examine surtout les materiaux de la Conférence des représentants des puissànces alliées dans la ville italienne de San Remo en avril 1920.

L'article met en évidence: l'importance economique, politique et stratégique du port de Batoumi; l'aspiration de chacune des puissances occidentales à renforcée son pope influence à Batoumi et, par conséquent, en Géorgie; l'intensification du mouvement révolutionaire d'aide au pouvoire Soviétique parmi la population des republiques de la Trànscaucasie; la montée des contradictions entre des puissences cccidentales en vue d'une suprématie en Géorgie.

[2] Archives du Ministère des Affaires Etrangères, Paris. Mémoires et documents «Russie» de 1874 à 1886, t. 47; «Tiflis», tomes 5,6; «Batoum», 1879—1898 და სხვ. ბათუმის შესახებ იხ. ა. ჩხეიძის, გ. ფიფიას, გ. ხაჭაპურიძის, აკ. სურგულაძის, პ. ცქვიტარიას, ხ. ახვლედიანისა და სხვ. ნაშრომები.

[3] სან რემო — საკურორტო ქალაქი იტალიაში (ლიგურიის პროვინცია), ლიგურიის ზღვის სანაპიროზე, საფრანგეთის საზღვართან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯორჯის წინადადება და აქტიურად შეუდგნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ოკუპაციისათვის მზადებას. ამ ფანტასტიკური გეგმის განხორციელებისათვის იტალიელი იმპერიალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებში—ბათუმსა და ფოთში გაბატონებას. რომიდან თბილისში სასწრაფოდ გაგზავნეს იტალიის სამხედრო და სავაჭრო მისიები, ბათუმის ნავსადგურში შევიდნენ იტალიის გემები. ახლა იტალიას არ აწყობდა ბათუმში ინგლისელების ყოფნა და უნდოდა, რაც შეიძლებოდა მალე დაეტოვებინათ მათ ბათუმი[4].

იტალიის სამხედრო მისიის მეთაური პოლკოვნიკი გაბა 1919 წლის 24 ივნისს თბილისიდან რომში გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში, იტალიის მთავრობის პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნევდა: „ინგლისის კონტროლის შესაძლებელი შენარჩუნებისაგან ბათუმის განთავისუფლებას"; იქ იტალიის გაბატონებას და „საქართველოს მეორე ნავსადგურ ფოთზე იტალიის გავლენის გავრცელებას"[5]. სხვა ადგილას გაბა წერდა: „საქართველოში დიდი მასშტაბით ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელებისათვის აუცილებელია ჩვენს განკარგულებაში იყოს ბათუმის ნავსადგური, სადაც შეიძლება საზღვაო ბაზა აშენდეს (როგორც ფოთის ნავსადგურის დანამატი). აქედან შეიძლება რკინისგზასაც კონტროლი გაეწიოს"[6].

1919 წლის 14 სექტემბერს, თბილისიდან მიღებული ცნობების საფუძველზე იტალიის უმაღლესი კომისარი თურქეთში კარლო სფორცა რომს ატყობინებდა: „საქართველოში ინგლისის ოკუპაცია ამჟამად მხოლოდ ბათუმის ოლქზე ვრცელდება. აქ საალყო მდგომარეობაა გამოცხადებული... შეიმჩნევა ამერიკელების აქტიურობა. ხმები დადის ამერიკის ჯარების მალე ჩამოსვლაზე. თუ ინგლისელები შეძლებენ რკინისგზაზე და ბათუმის ხელმძღვანელობაზე კონტროლის შენარჩუნებას, მაშინ საქმე კარგად წავა. თუ საზავო (პარიზის.— ი. ტ.) კონფერენცია გადაწყვეტს, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცეს, სასურველი იქნება: ბათუმის ნავსადგურზე, საბაჟოსა და რკინიგზაზე დარჩეს მოკავშირეების კონტროლი ეს კონტროლი განხორციელდება სათანადო რაოდენობის ოფიციალური პირების — მეზღვაურების, კარაბინერების. გვარდიელებისა და სხვ. საშუალებით... გარდა კონტროლისა სასურველია შეიქმნას ბათუმის ოლქის სამხედრო მთავრობა, ჯარის სათანადო ნაწილებით (სამი ბატალიონი, რამდენიმე ბატარეია და ზურგის სათანადო სამსახური რადიოტელეგრაფის სრული მომსახურებით) პარიზის საზავო კონფერენციაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან წინდაწინ შეთანხმებით, ეს მისია ერთა ლიგას უნდა დაევალოს"[7].

იმავე წლის 13 ოქტომბერს კარლო სფორცა თავის მთავრობას აცნობებდა, რომ ბათუმში ბატონობის შენარჩუნების მიზნით, ინგლისელები იქ ტოვე-

[4] იხ. C. Sforza, L'Italie del 14 al 44 quale la vedi io, Verona, 1946; Marta Petricioli, L'occupazione italiana del Caucaso: «un igrato servizio» da rendere a Londra, Presentazione di Rodolfo Mosca, Estrata da «Il Politico», Università di Pavia, anno 1971, № 4, anno 1972, № 1, გვ. 6—92.

[5] Archivio Centrale dello Stato, Roma — EUR, 206, «Russia», Telegramma № 19236, li 24 Luglio 1919.

[6] იქვე.

[7] Archivio Centrale dello Stato.., 206, «Russia», Telegramma № 17035, li 14 Septembre 1919.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბენ სამ ბატალიონს და ერთ ბატარეას[8]. 19 ოქტომბერს კი თბილისიდან პოლკოვნიკ გაბასაგან მიღებული ცნობების საფუძველზე იგი რომს ატყობინებდა: „ამბობენ, რომ რკინიგზებზე კონტროლი ამერიკის ხელში გადადის. თუ ეს ცნობა ზუსტი აღმოჩნდა, ამ რაიონში ჩვენი მომავალი გეგმების განხორციელების ყველაზე დიდ საშუალებას დავკარგავთ“[9].

21 ოქტომბერს პოლკოვნიკი გაბა თბილისიდან რომს ატყობინებდა, რომ ინგლისელები საქართველოს ხელმძღვანელობისაგან მოითხოვენ ბათუმის რაიონის რკინიგზის ექსპლუატაციის უფლებას. „17 ოქტომბერს, — განაგრძობს გაბა, —ინგლისელებმა ბათუმში გამოაქვეყნეს ბრძანებულება, რომლის თანახმად გენერალი მილნი დანიშნულია შავ ზღვაზე ინგლისის ძალების მთავარსარდლად. მილნმა დაადასტურა, რომ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება მანამ, სანამ პარიზის საზავო კონფერენცია ბათუმის შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ბათუმში საალყო მდგომარეობა გრძელდება“[10].

მაგრამ გაბას შემდგომი დეპეშებიდან ჩანს, რომ ბათუმში რამდენადმე შეცვლილა მდგომარეობა: „22 ოქტომბერს, — წერს იგი, — ინგლისის მთავარსარდალმა თავისი შტაბით ბათუმი დატოვა. ამჟამად ამ რაიონში ინგლის-ინდოეთის შერეული ბრიგადა დარჩა. ფიქრობენ, რომ ინგლისელებს განზრახული არა აქვთ შეასუსტონ ბათუმის ოკუპაცია. მეორე მხრივ, ბევრი ამერიკელი, რომელიც აქ იმყოფება, ავრცელებს ხმას იმის შესახებ, რომ ისინი მალე ამ რაიონში ინგლისელებს შეცვლიან...

ბათუმში (ქალაქსა და ოლქში) აქტიურად მოქმედებენ როგორც ქართველები, ისე თურქები. თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ცდილობს ისარგებლოს ინგლისელების შესაძლებელი ევაკუაციით და არ დაუშვას სხვა სახელმწიფოების ძალებით ინგლისელების შეცვლა. ინგლისელების მხარდაჭერით გენერალ დენიკინსაც ჰყავს ერთი ქვემეხიანი ნავი ბათუმის ნავსადგურში. დასტურდება ბათუმის ქალაქსა და ოლქში მრავალრიცხოვანი თურქული ელემენტების არსებობა. მათი რიცხვი ხშირად იცვლება. ამ თურქებს შორის გამოირჩევიან ოფიცრები და ისინი, ვინც სანაპირო რაიონებში ვაჭრობით ან სხვა სამუშაოებით არიან დაკავებული. ამ უკანასკნელთა რიცხვი დაახლოებით ათი ათასს შეადგენს, მაგრამ ეს ციფრი დაზუსტებას მოითხოვს“[11].

1920 წლის 11 თებერვალს იტალიის მისიის წარმომადგენელი მიქელი თბილისიდან რომს ატყობნებდა: „ბათუმში მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. რაც გამოწვეულია ფასების ზრდით და ფულის გაუფასურებით. ქალაქში გავრცელებულია შიმშილი და ავადმყოფობა. ვითარების ასეთი გართულებით ინგლისის ხელისუფლება ძალზე შეშფოთებულია. მით უფრო, რომ მისი ჯარის ნაწილები აქ ცოტაა. მათი უმეტესობა ფერადკანიანია. შავი ზღვის სანაპიროებზე დენიკინის წინააღმდეგ აჯანყებები მატულობს. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა მოძრაობა იზრდება“[12].

24 თებერვალს პოლკოვნიკ გაბასა და სენატორ კონტის მიერ თბილისიდან რომში გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია: „ბათუმში ინგლისის სამხედრო ძალე-

---

[8] Archivio Centrale dello Stato.., Telegramma № 3128/541o, Constantinopoli, li. 13 Ottobre 1919.

[9] Telegramma № 18742, Constantinopoli, il 19 Ottobre 1919.

[10] Telegramma № 3399, Tiflis, li 21 Ottobre 1919.

[11] Telegramma № 528, Tiflis, li 26 Ottobre 1919.

[12] Telegramma № 690, Tiflis, li Febbraio 1920.

ბი უკანასკნელი 15 დღის განმავლობაში კიდევ უფრო შემცირდა. გვგონია, რომ ამჟამად ინგლისელთა მხოლოდ ორი ბატალიონი დარჩა. ინგლისის მთავარსარდალი, თითქოს, კონსტანტინოპოლში მიდის. საქართველოს ხელისუფლებას თავისი ჯარის ნაწილები ბათუმის ოლქის საზღვრებისაკენ მიჰყავს, რათა დაიკავოს ბათუმი და იქ თურქები არ შეუშვას..

როდესაც ბათუმი მთლიანად საქართველოს განკარგულებაში აღმოჩნდება. შეგვიძლია, საბაჟოს, ნავსადგურისა და სანიტარული მომსახურებისათვის საქართველოს ხელისუფლებას ჩვენი პერსონალი შევთავაზოთ. რაც შეეხება ფოთს, მისთვის შედგენილი პროგრამა ყოველთვის შეიძლება განხორციელებულ იქნეს.

ბათუმში ბევრია იტალიური საქონელი, ამიტომ იტალიის სამხედრო გემის იქ ყოფნა აუცილებელია. მით უფრო, რომ გასული წლის სექტემბრიდან იქ იტალიური გემი არ ყოფილა"[13].

ასეთ ვითარებაში, 1920 წლის 18 აპრილს იტალიის საკურორტო ქალაქ სან რემოში გაიხსნა ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციაზე განიხილეს სამი საკითხი: 1. მდგომარეობა ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკაში (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი); 2. ბათუმის საკითხი; 3. კავკასიის რესპუბლიკებში ჯარების გაგზავნის საკითხი[14].

ამჯერად ჩვენ მხოლოდ „ბათუმის საკითხზე" შევჩერდებით.

როგორც კონფერენციის სხდომების ოქმებიდან ჩანს, კონფერენციის მონაწილე სამხედრო და საზღვაო დელეგაციებს „ბათუმის საკითხი" გაერთიანებულ სხდომაზე განუხილავთ.

სხდომის დაწყებისას მის მონაწილეებს მოხსენდა შემდეგი: „1. გადალახეს რა კავკასიის ქედი, ბოლშევიკები მიჰყვებიან შავი ზღვის სანაპიროს და წარმატებით მიემართებიან ბათუმისაკენ. ბრიტანეთის საზღვაო ძალებს უნარი არ შესწევთ ხელი შეუშალონ მათ წინსვლას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოლშევიკები ბათუმში 15 დღეში შევლენ; 2. ქართველებს (იგულისხმება მენშევიკური საქართველოს ხელისუფლება. — ი. ტ.) დაახლოებით 25 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი ჰყავთ. ჯარის ეს ნაწილები გაფანტულია საქართველოს თითქმის მთელს ტერიტორიაზე — შავი ზღვიდან თბილისამდე. ამდენად, იგი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ძალას ბათუმის რაიონისათვისაც კი. ამ საშუალო ძალის არმიის შემადგენლობაში ცოტაა კადრის ოფიცერი. იგი აღჭურვილია ზოგიერთი იარაღით, მაგრამ მას ამუნიცია აკლია. ამ არმიის სულისკვეთება საშუალებას არ იძლევა ვივარაუდოთ, რომ ეს არმია ანტანტის სახელმწიფოებს მახრს დაუჭერს. ამასთანავე, თუ ჩვენ გავაგრძელებთ ბათუმის ოკუპაციას, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს არმია ჩვენს წინააღმდეგ მოპირუნდეს; 3. გარდა ამისა, ჩვენ საქმე გვაქვს პროვინციასთან (იგულისხმება ბათუმის რაიონი. — ი. ტ.), სადაც ორასი ათასზე მეტი მცხოვრებია. რამდენადაც ეს ხალხი დარჩენილია საქვების გარეშე, იგი ყოველთვის მზადაა საწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

ასეთ ვითარებაში ბათუმის დაცვა მთლიანად მოკავშირეების (ანტანტის ქვეყნების. — ი. ტ.) ხელშია. ეს გარემოება კი, გენერალ მილნის აზრით, მოი-

[13] Telegramma № 881, Tiflis, li 24 Febbraio 1920.

[14] Archives du Ministère des Affaires Etrangères, Paris, 1918—1940. Série Y Internationale, conférence Politiques et Militaire. Conférence de San Remo. Avril 1920, t. 17, f. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვს ამჟამად იქ არსებული ძალების მნიშვნელოვნად გაძლიერებას. „ეს ძალები, პირველ რიგში, დაახლოებით ორი დივიზიით მაინც უნდა გაიზარდოს“[15].

სან რემოს კონფერენციის 18 აპრილის სხდომაზე პირველი გამოვიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჯორჯ კერზონი. მან აღნიშნა, რომ „აქამდე ინგლისელები შეთანხმებული იყვნენ იტალიელებსა და ფრანგებთან, რომ ბათუმში ინგლისის ნაწილებს იტალიისა და საფრანგეთის თითო ბატალიონი შეცვლიდა. მაგრამ საფრანგეთმა ამ მიმართულებით არაფერი გააკეთა. გენერალმა ფრანშე დ'ესპერემ[16] იქ არაფერი გაგზავნა. არც იტალიამ გაგზავნა თავისი სამხედრო ძალები ბათუმში“[17].

ბათუმის მომავალი მდგომარეობის შესახებ ლორდმა კერზონმა განაცხადა: „მომავალში ბათუმი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად უნდა იქნეს აღიარებული“. მაგრამ სინამდვილეში, ლორდ კერზონს მომავალში ბათუმი თავისუფალ ნავსადგურად ჰქონდა წარმოდგენილი.

20 აპრილს დილიდან კვლავ ბათუმის საკითხს განიხილავდნენ. სხდომას ესწრებოდნენ. ალ. მილერანი, გენერალი ბერტელო (საფრანგეთი), დევიდ ლოიდ ჯორჯი, ლორდი კერზონი (ინგლისი), ფრანჩესკო ნიტი, შიალოია (იტალია), მატსუი (იაპონია) და სხვ. „ბათუმის საკითხზე“ ყველამ გამოთქვა თავისი აზრი, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

22 აპრილს დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა ლოიდ ჯორჯი. მან განაცხადა: „უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ბოლშევიკები წარმატებით მიიწევენ წინ ბათუმისაკენ. ინგლისის ძალები ამ რაიონში ცოტაა. ლორდი კერზონიც ამ აზრისაა“[18].

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრე მილერანმა ბათუმში სამხედრო ძალების გაზრდას მხარი დაუჭირა და თქვა: „მე ვთხოვ სამხედრო მინისტრს, რომ ბათუმში საფრანგეთის ერთი ბატალიონი გაგზავნოს. მხოლოდ მინდა მარშალ ვილსონისაგან გავიგო: როდის ჯობია საფრანგეთმა ეს ბატალიონი გაგზავნოს?“

იტალიის პრემიერ-მინისტრმა ფრანჩესკო ნიტიმ განაცხადა: „იტალიას არ გაუძნელდება ბათუმში ერთი ბატალიონის გაგზავნა, მაგრამ ჩემი აზრით, 3 ან 4 ბატალიონი ბათუმში სიტუაციას ვერ შეცვლის. ბოლშევიკები მნიშვნელოვანი ძალებით ნამდვილად მიიწევენ ბათუმისაკენ“. ასეთ შემთხვევაში ფრანჩესკო ნიტიმ ამჯობინა თავი შეეკავებინა ახალი ძალების გაგზავნისაგან, „რადგან ეს იქნებოდა ომი, ხოლო ომისათვის ჩვენ იქ საკმარისი ძალები არ გაგვაჩნია. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ბოლშევიკების არმია არ არსებობს, მაგრამ მან ყველგან წარმატებას მიაღწია“.

ამაზე ლორდმა კერზონმა შენიშნა: „მე არა ვარ ბოლშევიკებთან ომის

---

15 Archives du Ministére des Affaires Etrangères, Paris..., Conférence de la Paix. Comité Militaire et Naval. Annexe D. Au procés verbal № 10, t. 670, ff. 18—19.

16 ფრანგი გენერლების ფრანშე დ'ესპერესა და ბერტელოს შესახებ იხ. ი. ტაბაღუა, საბჭოთა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა 1917—1920 წწ., თსუ შრომები, ტ. 51, გვ. 85—110; Xydias, L'intervention francaise en Russie 1918—1919, Paris, 1927; Slivéz, La France et l'Union Soviétique, Paris, 1935; Noulens, Mon ambassade en Russie 1917—1919, Paris, 1930, vol. 11.

17 Conférence de la Paix. Comité Militaire et Naval..., t. 669, ფ. 55—56, 130, 131, 132.

18 იქვე, ფ. 131—133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხრე, მაგრამ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად, ბათუმი უნდა შევინარჩუნოთ, როგორც „ფრანკო-პორტო“[19].

ალექსანდრე მილერანი კვლავ თავის აზრს იცავდა: „მე ვაგზავნი დეპეშას პარიზში, რათა ერთი ბატალიონი შესაძლებლობისამებრ ბათუმში გაგზავნონ“. ფრანჩესკო ნიტიმ მხარი არ დაუჭირა მილერანს და განაცხადა: „მე ვიმეორებ: იტალიას შეუძლია ბათუმში ერთი ბატალიონის გაგზავნა, მაგრამ ეს ამ რაიონში ბოლშევიკებთან ომს ნიშნავს“[20].

23 აპრილს საღამოს სხდომა დე ვაშოს ვილაში მიმდინარეობდა. ყველამ თავისი აზრი გამოთქვა. ზოგიერთის სიტყვას აქ მოვიტანთ.

ფრანჩესკო ნიტი: „მოხსენებაში, რომელიც ჩვენ აქ სამხედრო ექსპერტმა წარმოდვიდგინა, გაკეთებულია დასკვნა, რომ ბათუმის დასაცავად აუცილებელია ამჟამად იქ არსებული ძალების განსაკუთრებით გაძლიერება. პირველ რიგში იქ ორი დივიზია უნდა გაიგზავნოს. რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ ასეთ პირობებში?“

ლორდი კერზონი: „მთავარ სიძნელეს, რომლის წინაშეც ჩვენ ახლა ვდგევართ წარმოადგენს ის, რომ გავიგოთ იმ საშიშროების ზუსტი არსი, რომელიც ბათუმს ემუქრება. ჩვენთვის ახლა ნამდვილად ცნობილია, რომ საბჭოების საკმაოდ მრავალრიცხოვანმა არიმიამ, გაანადგურა გენერალ დენიკინის ჯარები და შავი ზღვის ნაპირებზე ბათუმის მიმართულებით წინ მიიწევს. იგი ამჟამად ამ ქალაქიდან 120 მილითაა დაშორებული. დღემდე ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ როგორია ამ არმიის რიცხვი. თვითონ მარშალ ფოშს არ გააჩნია ცნობები ამის შესახებ. ჩვენც არ შეგვიძლია ვთქვათ: შეუძლიათ თუ არა ბოლშევიკებს მათ მიერ დასახულ მიზანს მიაღწიონ? 4 თუ 5 თვის წინ ასევე ამბობდნენ, რომ ბაქო მალე აღებულ იქნება ბოლშევიკების მიერ, რომლებსაც უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ. მაგრამ ისინი მაინც არ შევიდნენ ამ ქალაქში. არ მინდა სრული ანალოგია გავაკეთო ბაქოსა და ბუთუმის მდგომარეობას შორის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ გადაჭარბებით ვაფასებთ საშიშროებას, რომლის წინაშეც ამჟამად ეს ქალაქი იმყოფება.

მარშალმა ვილსონმა მითხრა, რომ მისი აზრით, ჯარი რომელიც შეიძლება იქ (ბათუმში. — ი. ტ.) გავაგზავნოთ, არავითარ რისკს არ გასწევს, რამდენადაც ზღვაზე ბატონობა ჩვენს ხელშია.

აი რისი თქმაც შეიძლება სამხედრო თვალსაზრისით.

ახლა მინდა განვიხილო ამ საკითხის პოლიტიკური ასპექტი. ბათუმის დაცემა და ბოლშევიკების მიერ მისი აღება, საშინელ დარტყმას მიაყენებდა იმ პოლიტიკას, რომელსაც კავკასიის ქვეყნების მიმართ მთელი წლის განმავლობაში ჩვენ ვახორციელებთ. საქართველოს ბოლშევიკური ძალები საბჭოების არმიას შეუერთდებიან, ხოლო კავკასიის სხვა ქვეყნებში არსებულ ხელისუფლებას უკვე აღარ ექნება არსებობის არავითარი იმედი. მე ყველაზე დიდი შეშფოთებით ვუყურებ ბოლშევიკური წყობილების დამყარებას ბაქოსა და ბა-

---

[19] ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით (1878 წ. 6 ივლისი) ბათუმი გამოცხადდა თავისუფალ ნავსადგურად (პორტო-ფრანკო). 1886 წლის ივნისში რუსეთმა გააუქმა ბათუმის ეს სტატუტი. იხ. ა. ჩ ხ ე ი ძ ე, ბათუმი ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკაში (1875—1878 წწ.), ბათუმი, 1974; Die Grosse Politik der Europäischen Kabinete 1871—1914, Fünften Band, Berlin, 1922, გვ. 41—43.

[20] Conférence de la Paix..., t. 669, ფ. 133—135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმში. ეს იქნება საშიშროება სპარსეთისათვის და ყველა მეზობელი მხარეებისათვის.

მაშასადამე, პოლიტიკური მოტივები, თუ ისინი იმდენად მნიშვნელოვანი არ არიან, რომ დასძლიონ სამხედრო თვალსაზრისი, საკმარისია მით უფრო, იმისათვის, რათა მოკავშირეები ბათუმიდან არ წავიდნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ზოგიერთ რისკზეც წასვლა მოუხდებათ.

გუშინ, კონსტანტინოპოლში ჩვენი წარმომადგენლის, ადმირალ დე რობეკისაგან დეპეშა მივიღე. მან მაცნობა, რომ განზრახული აქვს ბათუმში გამგზავრება და გამომიგზავნის მოხსენებით ბარათს იქ შექმნილი ვითარების შესახებ. კარგი იქნებოდა ამ მოხსენებითი ბარათის მიღება, რათა გვქონდეს სხვა საბუთებიც, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ უფრო უკეთესად გვემსჯელა შექმნილი ვითარების შესახებ“.

გენერალი ბერტელო: „ცხადია, მეტად სასარგებლო იქნებოდა ადმირალი დე რობეკის აზრი გაგვეგო. მაგრამ მე კი მინდოდა ერთი შეკითხვა დამესვა: საბჭოს (ანტანტის უმაღლესი საბჭო.— ი. ტ.) თავმჯდომარემ დილის სხდომაზე განაცხადა, რომ იგი გასცემს აუცილებელ განკარგულებას, რათა საფრანგეთის ერთი ბატალიონი მზად იყოს, რაც შეიძლება მალე ჩასხდეს გემში კონსტანტინოპოლში (ბათუმში — ი. ტ.) წასასვლელად. ბრიტანეთის დელეგაციამ კი ითხოვა, რომ ბატალიონის გაგზავნა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ აზრს მოისმენენ. სურს თუ არა ბრიტანეთის დელეგაციას, რომ ეს ბატალიონი დაუყოვნებლივ გაიგზავნოს, თუ უმჯობესია ადმირალ დე რობეკის ცნობებს დაველოდოთ?“

ლორდი კერზონი: „საფრანგეთის ბატალიონი ვისგან შედგება, თეთრკანიანი ჯარისკაცებისაგან, თუ ზანგებისაგან?“

გენერალი ბერტელო: „მგონია, რომ იგულისხმება თეთრკანიანი ჯარისკაცები. ეს ბატალიონი გამოყოფილი იქნება ჩვენი იმ ნაწილებიდან, რომლებიც ტრასაზე არიან განლაგებული“.

ლოიდ ჯორჯი: „ლორდმა კერზონმა და ბატონმა ბერტელომ მოგვახსენეს. რომ ისინი დარწმუნებული არ არიან ბათუმისადმი უშუალო საშიშროების არსებობაში. მაინც არ არსებობს მცირედი ეჭვიც კი იმაში, რომ ბოლშევიკების ჯარები ქალაქისაკენ მიიწევენ. ჩვენმა ხომალდებმა მათ ესროლეს და ჩვენ ჩიჩერინისაგან პროტესტის ნოტაც კი მივიღეთ.

შემომაქვს წინადადება დეპეშა გაეგზავნოს ადმირალ დე რობეკს, რათა სასწრაფოდ გამოგზავნოს მოხსენებითი ბარათი ბათუმში შექმნილი მდგომარეობის შესახებ... ამრიგად, უკეთესი იქნებოდა, თუ საფრანგეთის ბატალიონი, ისევე იტალიის ბატალიონიც, არ გაუდგებოდნენ გზას მანამ, სანამ ადმირალ დე რობეკისაგან მოხსენებით ბარათს არ მივიღებთ. სასურველი არ იქნებოდა, რომ მოკავშირეთა ჯარები ტყვედ ჩავარდნილიყვნენ“.

ფრანჩესკო ნიტი: „ბატონ ლოიდ ჯორჯის დასკვნები, უეჭველად რეალურ ვითარებას უპასუხებენ. როგორც ეს-ეს არის აღვნიშნე, სამხედრო სპეციალისტების მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ რაიონში სამხედრო მოქმედება მოითხოვს, პირველ რიგში, ორი დივიზიის მაინც გაგზავნას. იტალია მზადაა გაგზავნოს ბატალიონი, რომლის გაგზავნაც მან იკისრა. მაგრამ ეს დიდად ვერ შეცვლის საქმის ვითარებას. ამრიგად, ვუერთდები ბატონ ლოიდ ჯორჯის წინადადებას: ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, ჩვენ უნდა დაველოდოთ ადმირალ დე რობეკის მოხსენებით ბარათს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით დამთავრდა სან რემოს კონფერენციაზე „ბათუმის საკითხის“ განხილვა. საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მაგრამ ანტანტის სახელმწიფოების მმართველი წრეები ბათუმს ყურადღების გარეშე არ ტოვებდნენ.

1920 წლის 13 მაისს პოლკოვნიკი გაბა თბილისიდან რომს ატყობინებდა, რომ 8 მაისს საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო და, რომ საქართველოსათვის „დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ბათუმისა და ბათუმის ოლქის ტერიტორიის საქართველოს შემადგენელ ნაწილად ცნობას“[21].

შემდეგ, გაბა ეხება რა, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და იქ ინგლისელების ბატონობის ლიკვიდაციას, წერს: „აზერბაიჯანში ვითარება კვლავ ნორმალური ხდება. ვაჭრობა აღდგენილია. ნავთობის პროდუქტები კვლავ მიდის რუსეთისაკენ. საბჭოებს იქ თითქმის 40 ათასიანი არმია ჰყავთ: კარგად ეკიპირებული და დისციპლინებული, მათ კარგად უხდიან“[22].

იმავე წლის 18 მაისის წერილში გაბა აკრიტიკებს ინგლისელების პოლიტიკას ბათუმში და ბრალს დებს მათ იმ უწესრიგობაში, რომელიც ბათუმში სუფევდა. „მგონია, — წერდა იგი, — რომ ინგლისის ხელისუფლებამ არასრულყოფილად და ეგოისტურად მოაწყო ადმინისტრაცია ბათუმსა და ბათუმის ოლქში. საკმარისი არ არის იქ არც მატერიალური რესურსები და არც სამხედრო ნაწილები. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება მართალია, როცა ამბობს, რომ ბათუმსა და ბათუმის ოლქში ინგლისელების ყოფნამ ანარქია გამოიწვია... ინგლისელებმა იციან ბათუმის მნიშვნელობა და ამიტომ არ ტოვებენ მას. ბათუმში შექმნილი მდგომარეობა მოკავშირეებს სახელს უტეხს... ამიტომ, ჩემი აზრით, საჭიროა: **1.** დაუყოვნებლივ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ბათუმის შესახებ; **2.** ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს ხელისუფლებას გადაეცეს; **3.** ბათუმი თავისუფალ ნავსადგურად (პორტო-ფრანკო) გამოცხადდეს და დაწესდეს საერთაშორისო კომისია; 4. ბათუმში დაუყოვნებლივ გაიგზავნოს იტალიის კონსული და სავაჭრო ატაშე; 5. ბათუმსა და ფოთში უნდა იდგეს „ეტნას“ მსგავსი იტალიის სამხედრო ხომალდები, კარგი სამხედრო ეკიპაჟით“[28].

იმავე 18 მაისს ინგლისის სამხედრო უწყების თხოვნით, იტალიის საქმეებში რწმუნებულმა ლონდონში, შემდეგი შეკითხვით მიმართა თავის მთავრობას: „გაიგზავნა თუ არა უკვე ბატალიონი ბათუმში? ბრიტანეთის მთავრობა მოითხოვს გავგზავნოთ ბათუმში ბატალიონი, რომლის შესახებაც ჩვენ ვალდებულება ვიღეთ ჯერ ლონდონში, ხოლო შემდეგ — სან რემოში.

იმ ინფორმაციების თანხმად, რომლებიც იტალიის უმაღლეს კომისარს კონსტანტინოპოლში გააჩნია, ბათუმში რეალური საშიშროება არ არსებობს, მაგრამ სასწრაფო ზომების მიღება მაინც აუცილებელია. ინგლისის მთავრობის მოთხოვნა და აღებულ ვალდებულებაზე მითითება, სამართლიანად მიმაჩნია. მართლაც, სან რემოს კონფერენციაზე (უფრო ზუსტად, 1920 წლის 22 აპრილის სხდომაზე, ოქმი № 8, გვ. 9, 10, 11 და 12), მას შემდეგ, რაც მილერანი დაეთანხმა ლორდი კერზონის დაბეჯითებით მოთხოვნას და განაცხადა, რომ განზრახული აქვს დაუყოვნებლივ გაგზავნოს ბათუმში საფრანგეთის ერ-

---

[21] Archivio Centrale dello Stato..., Telegramma № 2516, Tiflis, li 13 Maggio 1920.

[22] Telegramma № 2516, Tiflis, li 13 Maggio 1920.

[23] Telegramma № 2654, Tiflis, li 18 Maggio 1920.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ბატალიონი, თქვენი აღმატებულება ასევე დაეთანხმა ბრიტანეთის მთავრობის მოთხოვნას, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჩვენი ჯარები ბათუმში წესრიგის დაცვას მოემსახურებიან და არ დაუშვებენ ბოლშევიკებთან შესაძლებელ შეჯახებას"[24].

იმავე წლის 20 მაისს შიალოია შეეკითხა საფრანგეთის წარმომადგენელს ბონენს: „ინგლისის მთავრობას ხომ არ მიუმართავს საფრანგეთის მთავრობისათვის ისეთივე შეკითხვით, როგორითაც მიმართა იტალიის მთავრობას ბათუმში ჯარების გაგზავნის შესახებ"?

ბონენმა უპასუხა: „საფრანგეთის ხელისუფლებამ აცნობა ლონდონის მთავრობას, რომ საფრანგეთის ბატალიონმა უკვე მიიღო განკარგულება ბათუმში გამგზავრების შესახებ"[25].

იმავე მაისში თბილისიდან რომში შემდეგი შინაარსის დეპეშა წავიდა: „სოჭი ფოთიდან ჩრდილოეთით 120 მილზე მდებარეობს, ხოლო ფოთსა და ბათუმს შორის დაახლოებით 20 მილია. სოჭასა და ფოთს შორის არსებული მანძილი ბოლშევიკებს საშუალებას არ მისცემს ფოთში მალე მოვიდნენ, მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი შესაძლებლობის დაშვება აუცილებელია. ამიტომ ვაძლევ ბრძანებას ჩვენს ხომალდებს — „რაკიას" და „ეტნას", რომლებიც ფოთსა და ბათუმში დგანან, ამ ქალაქებში ბოლშევიკების მოსვლის შემთხვევაში, თავიანთ გემბანზე მიიღონ ჩვენი თანამემამულეები და ასევე სხვა ეროვნების პირებიც, რომლებიც წასვლას მოისურვებენ... ეს მოხდება შესაძლებელი შეჯახების თავიდან აცილების მიზნით"[26].

1920 წლის 28 დეკემბრიდან 1921 წლის 16 იანვრამდე საქართველოში (ძირითადად, ბთუმში) იმყოფებოდა საფრანგეთის ხელისუფლების სპეციალური წარმომადგენელი — „ვალდეკ რუსოს" სახელობის მსუბუქი ესკადრის მეთაური კონტრადმირალი დიუმენილი. იგი საქართველოდან თავის მთავრობას ატყობინებდა, რომ „ვალდეკ რუსოს" ბათუმში ყოფნამ „დადებითი შედეგები გამოიღო. ეს ყველაზე უფრო თბილისში იგრძნობოდა".

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ფრანგ კონტრადმირალს აინტერესებდა გემების მდგომარეობა ბათუმსა და ფოთში. პარიზში გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში იგი წერდა: „ბათუმში ჩასვლისთანავე დავინტერესდი ამ ნავსადგურსა და ფოთის ნავსადგურში ყოფილი რუსეთის გემების ინტერნირების საკითხით"[27].

კონტრადმირალ დიუმენილს სოჭა-ტუაპსეს რაიონში წითელი არმიის მდგომარეობაც აინტერესებდა. ამის შესახებ მის მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ საფრანგეთის ხომალდი „ალჟერიენ"-ი სოხუმში შევა. იქ დააფუძნებს საფრანგეთის საკონსულოს რწმუნებულს, ხოლო შემდეგ კი „ამ გემის მეთაურს მიეცემა საშუალება სოჭის რაიონში სამხედრო მდგომარეობას გაეცნოს".

---

[24] Telegramma № 22051, London, li 18 Maggio 1920. ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორი ჯორჯო პეტრაკი წერს, რომ ფრ. ნიტი საბჭოთა რუსეთთან კონტაქტების დამყარების მომხრე იყო. „ნიტი ამ გზას დაადგა უმთავრესად თავისი ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მოსაზრებით". იხ. Giorgio Petrachi, Alle origini dei rapporti fra l'Italia e la Russia Sovietica. La politica del governo Nitti verso la Russia, Giugno 1919 — Giugno 1920, გვ. 11—12.

[25] Telegramma № 6644, 20 Maggio 1920.

[26] Telegramma № 21733, Maggio 1920, Tiflis.

[27] Archives du Ministère des Affaires Etrangères, Paris. Politiques et Commerces. Série Z, Carton 655, Dossier I, t. 649, ფ. 160, 162.

„ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა, — წერს დიუმენილი, — ვერ შეძლო ჩემთვის მოეცა ცნობები საქართველოში სამხედრო ნაწილების მდგომარეობაზე“. მას თითქოს, უთქვამს, რომ ეს ძალები არ არიან საშიში. ასეთი პასუხი არ მოსწონებია ფრანგ კონტრადმირალს. იგი წერს: „ხომ არ ცდება იგი, ან ხომ არ ცდილობს შეგვიყვანოს შეცდომაში ქართველთა ჯარის ნაწილების შეფასებაში, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია და ამავე დროს აცხადებს, რომ მათ არ გააჩნიათ საკმაო ტყვია-წამალი“.

1921 წლის იანვარში ბათუმში ჩამოვიდა გერმანიის ელჩი საქართველოში როშერი. მას ჩამოჰყვა საელჩოს მრჩეველი ანდერსი, „რომელიც ადრე ვიცე-კონსული იყო ფოთში“. გერმანიის საელჩო მრავალრიცხოვანი ყოფილა. საელჩოს წევრთა შორის ბერს სხვა ეროვნების პასპორტი ჰქონია.

გერმანიის საელჩოს წევრებს მაშინვე დაუწყიათ ანტანტის სახელმწიფოების საწინააღმდეგო მოქმედება. დიუმენილი პარიზს ატყობინებდა: „გერმანელი აგენტები უკვე მოქმედებენ ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ისინი ყველგან ხაზს უსვამენ იმას, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ცარიზმს და ამტკიცებენ, რომ ჩვენ გვსურს ძველი რუსეთის აღდგენა“[28].

იმავე იანვარში ბათუმში ჩამოვიდა იტალიის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიაში და მაშინვე შეუდგა იტალიის გავლენის გაფართოებას ამ რაიონში.

ამრიგად, საქართველოზე გავლენის მოპოვებისათვის დასავლეთის სახელმწიფოებს შორის ბრძოლა უკვე რეალურ ხასიათს ატარებდა.

И. М. ТАБАГУА

## БАТУМСКИЙ ВОПРОС НА КОНФЕРЕНЦИИ В САН РЕМО (1920 г.)

Резюме

В данной статье рассматривается батумский вопрос в политике западных держав в 1919 — 1920 гг., заостряется внимание на материалах конференции представителей союзных держав в итальянском городе Сан Ремо в апреле 1920 года.

В статье показаны экономическое, политическое и стратегическое значение батумского порта; стремление каждой из западных держав усилить свое влияние в Батуми и, следовательно, в Грузии; рост революционного движения в поддержку советской власти среди населения Закавказских республик; рост противоречий среди западных держав за преобладание в Грузии.

[28] Archives..., t. 649, ff. 167, 170.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ შარაშენიძე

# იოსებ-ხან გურჯი—XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ირანის გამოჩენილი სპასალარი და სახელმწიფო მოღვაწე

XIX ს-ის დასაწყისის ირანის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი კარგად გრძნობდნენ, რომ ქვეყანაში არსებული ფეოდალური ლაშქარი სრულიად არ იყო მომზადებული მათი პოლიტიკური და სამხედრო მიზნების განსახორციელებლად. აუცილებლად მიაჩნდათ სამხედრო რეფორმის გატარება, კერძოდ, ჯარის გარდაქმნა. ამ მიზნით ირანის სახელმწიფოს მესვეურები იწვევდნენ სამხედრო სპეციალისტებს ევროპის სახელმწიფოებიდან — ინგლისიდან, საფრანგეთიდან.

მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთრივ ირანშიც იყო ზოგიერთი პირი, რომელიც ცდილობდა ირანის ლაშქრის ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნას უცხო ქვეყნების დახმარების გარეშე. ამ მხრივ აღსანიშნავია სპარსულ წყაროებში მოხსენიებული იოსებ-ხან ქართველი. აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში და სპარსულ, ევროპულ თუ რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში სხვა არავინ არის მოხსენიებული ირანელთაგან, რომელიც ცდილიყო მის განკარგულებაში მყოფი ჯარის რეორგანიზაციას.

ცნობილია, რომ საფრანგეთის სამხედრო მისიის ხელმძღვანელმა გარდანმა XIX ს-ის დასაწყისში მოახდინა ირანის ჯარის ნაწილის რეორგანიზაცია და შექმნა „ახალი ჯარი“ („ნეზამე ჯადიდი“).

გამოჩენილი ირანელი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე საიდ ნაფისი შენიშნავს, რომ „ნეზამე ჯადიდის“ შემოღებასთან ერთად საჭირო შეიქნა ირანელი მოლაშქრის სახელის შეცვლა. ახალი ტერმინის მოფიქრება დაუვალებიათ იმ დროის ცნობილი მწერლისა და პოეტისათვის — მირზა აბულყასემ ფარაჰანელისათვის, რომელსაც ირანელი მოლაშქრისათვის „სარბაზის“ დარქმევა ჩაუთვლია მიზანშეწონილად[1].

სპარსული წყაროებიდან და რუსეთის არქივებში დაცული დოკუმენტებიდან კარგად არის ცნობილი, რომ XIX ს-ის დასაწყისში აზერბაიჯანის მოლაშქრეს „სარბაზს“ უწოდებდნენ, ხოლო ერაყისას[2] „ჯანბაზს“[3]. ეს ორი სიტყვა ერთნაირი მნიშვნელობისაა — ერთმანეთის სინონიმებია. განსხვავებული სახელწოდება იმისათვის იყო საჭირო, რომ განესხვავებინათ ერთმანეთისაგან

---

[1] სა'იდ ნაფისი, თარიხე ეჯთემა'ი ვა სიასიე ირან დარ დოურეიე მო'ასერ, I, თეირანი, 1957, გვ. 108.

„სარბაზი“ ნიშნავს „თავთან მოთამაშეს“. აღნიშნავს გულადს, ვაჟკაცს, უშიშარს. ამ ტერმინის შემოღებამდე ირანელ მოლაშქრეს სხვადასხვა სახელი ერქვა: „სეფაჰი“ — ჯარისკაცი, „ღაზი“ — მუსლიმანური სარწმუნოებისათვის მებრძოლი, „ლაშქარიან“ — მოლაშქრე და სხვ.

[2] იგულისხმება ირანის ერაყი.

[3] „ჯანბაზი“ ნიშნავს „სიცოცხლესთან მოთამაშეს“, თავგანწირულს, უშიშარს, მამაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანის ლაშქარი, რომელსაც აბას მირზა-ვალიჰდი[4] ედგა სათავეში, ერაყის ჯარისაგან.

ერაყის ახალი ჯარის — „ჯანბაზების" შემქმნელია სწორედ იოსებ-ხან გურჯი. ამ მხედართმთავრის შესახებ სათანადო ცნობებს გვაწვდის XIX ს-ის ირანის ისტორიის შემსწავლელი ნარატიული წყაროები.

მირზა მოჰამედ თაყი ლესან ოლ-მოლქ სეფაჰრი თავის ცნობილ ნაშრომში — „რჩეული ისტორიათაგანი", როდესაც ლაპარაკობს ჰიჯრით 1221 წლის[5] ამბებზე, წერს: „...ამ წელს ნაპოლეონის მიერ ირანის ჯარის გასაწვრთნელად გაგზავნილმა პირებმა „ნეზამე ჯადიდის" (ახალი ჯარის) მოლაშქრეები საბრძოლველად მოაწყვეს. ბრძანეს, რომ ლაშქრის ერთ ნახევარს ევროპული ქვეითი ჯარის წესის მიხედვით უნდა ეომნა და ბრძოლებში უმთავრესად ზარბაზანი და თოფი გამოეყენებინა. პირველად აზერბაიჯანში ნაიბ ოს-სალთანე აბას-მირზამ ამ მიმართებით დიდი ენერგია და შრომა დახარჯა და სახელმწიფოს დახმარებისა და ყაიემმაყამ[6] მირზა ბოზორგის კეთილი რჩევის წყალობით ამ საქმემ სასურველ მიზანს მიაღწია.

ამავე დროს, ფადეშაჰის ბრძანებით სხვა მხარეებში და დიდ ქალაქებში ვალიებმა და ჰაქემებმა[7] საქმე ისე მოაგვარეს: აზერბაიჯანის ჯარს სარბაზი უწოდეს, ხოლო ერაყის და მაზანდარანის ჯარს ჯანბაზი დაარქვეს. იოსებ-ხან[8] გურჯი, რომელიც ბავშვობიდანვე ხელმწიფის მზრუნველობით იზრდებოდა და ფადეშაჰის აღზრდის წყალობით იცოდა ამ ქვეყნის ავი თუ კარგი, გახდა ჯარის სპასალარი. მას სეფაჰდარის მაღალი[9] ლაყაბი[10] ებოძა და ერაყის ტერიტორიების — ფარაჰანის, ქაზაზის, ქამრაჰის, სარბანდის, ვაფასის, ბაზჩალუს, შერას, თაფრაშის, აშთიანის — მმართველობა გადაეცა. იოსებ-ხან გურჯიმ ამ რაიონებში შეკრიბა 12 ათასიანი ქვეითი ჯარი და ჯარისკაცებს შეასწავლა ბრძოლაში თოფისა და ზარბაზნის ევროპული წესით ხმარება"[11]

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ იოსებ-ხან გურჯი გაზრდილი ყოფილა ფთჰ ალი შაჰის კარზე, ჯარის სპასალარი და ირანის ერაყის ტერიტორიების ნაწილის გამგებელი გამხდარა, სეფაჰდარის მაღალი ტიტული მიუღია[12], 12 ათასი კაცისაგან შემდგარი ქვეითი ლაშქარი შეუქმნია და ამ ლაშქარში ევროპული ჯარისათვის დამახასიათებელი იარაღის ხმარებისა და გამოყენების ზოგიერთი მეთოდი დაუნერგავს.

იოსებ-ხან გურჯის მიერ ირანის ერაყში შექმნილი „ჯანბაზების" ჯარის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი სამხედრო პირი დრუვილი, რომელიც სამხრეთ აზერბაიჯანში წვრთნიდა უფლისწულ აბას-მირზას

---

[4] ტახტის მემკვიდრე.

[5] 1806/07 წ.

[6] „ყაიემმაყამი" არის ვეზირის ტიტული და ნიშნავს მოადგილეს, თანაშემწეს.

[7] „ჰაქემი" — მმართველი, გამგებელი.

[8] სპარსულად იწერება „ჲუსეფ-ხან".

[9] „სეფაჰდარი" ნიშნავს მხედართმთავარს, ჯარის უფროსს.

[10] „ლაყაბი" — ტიტული.

[11] მირზა მოჰამედ თაყი ლესან ოლ-მოლქ სეფაჰრ, ნასეხ-ოთ-თავარიხ, 1, თეირანი, 1965, გვ. 168—169.

[12] სპარსელი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ იოსებ-ხან გურჯი „ჯარის სპასალარი" გახდა (ე. ი. ერაყის 12 ათასიანი ჯარის უფროსი, მხედართმთავარი). ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ XIX ს-ის დასაწყისში ტერმინი „სპასალარი" არ უნდა ყოფილიყო სამეფო კარის თანამდებობა, იგი აღნიშნავს ირანის რომელიმე ლაშქარის, გარკვეული ჯარის მეთაურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯარს და საკმაოდ კარგად იცნობდა ირანის ცხოვრებას, მის ჯარებს და სამხედრო შეიარაღებას. მართალია, თავის ნაშრომში იგი არ ასახელებს იოსებ-ხანს, მაგრამ მისი მონათხრობიდან ცხადია, რომ დრუვილი მასზე და მის მიერ შექმნილ ლაშქარზე ლაპარაკობს. იგი წერს: ხელმწიფეს თავის განკარგულებაში ჰყავს რჩეული 12 ათასიანი ქვეითი ჯარი[13], რომელსაც ერთი ქართველი უდგას სათავეში. ეს ჯარი ამ ქართველის მიერაა შექმნილი, იგი შედგება ტანადი, ბრგე ადამიანებისა და ქვეყნის საუკეთესო მსროლელებისაგან. მათ ჯანბაზებს უწოდებენ. ყველას ერთნაირად აცვია წითელი ფერის მეტად მოკლე ხიფთანები. შეიარაღებული არიან უხიშტო გრძელი თოფებით, რომელიც 20 გირვანქაზე[14] მეტს იწონის. ჯანბაზები არ იყენებენ ვაზნას. არ იყენებენ აგრეთვე თოფის გასატენ შემოსახვევს[15]. ისინი თოფს უბრალოდ დენთითა და ტყვიით ტენიან, რაც სრულიად არ უშლის მათ ხელს იმაში, რომ ისროლონ შორს და მოახვედრონ ზუსტად მიზანში, მათი ჯამაგირი მეტად უმნიშვნელოა, ვინაიდან ჯანბაზებს უზრუნველყოფს ხელმწიფე ბინით, საკვებით და ტანსაცმლით. ისინი წელიწადში იღებენ არა უმეტეს 12 თუმნისა. თუ ჯანბაზი ცოლიანია, მაშინ ოჯახის შესანახად დამატებით იღებს 2 ან 3 ხარვარ[16] მარცვალს წელიწადში[17].

იოსებ-ხან გურჯი და მისი ჯანბაზები იყვნენ შაჰის გამგებლობაში და ემორჩილებოდნენ მხოლოდ მის ბრძანებას. ისინი მოქმედებდნენ არა მარტო ირანის ერაყში, არამედ ქვეყნის სხვა რაიონებშიც, იმის მიხედვით თუ სად ჩათვლიდა შაჰი საჭიროდ მათ გაგზავნას. ასე მაგალითად, 1812 წელს, როდესაც ირანის ხელმწიფე თეირანიდან სულთანიეს ველზე ჩავიდა და ნახა, რომ რუსეთთან ბრძოლა მეტად გამწვავებულიყო და ირანელთა ლაშქარი დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. მან რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად უწინარეს ყოვლისა უფლისწული მოჰამედ თაყი-მირზა გაგზავნა გულად ამირ[18] იოსებ-ხანის — ერაყის „სეფაჰდარის“ თანხლებით. ლესან ოლ-მოლქ სეფაჰრი, როდესაც იგი ლაპარაკობს 1812 წელს ასლანდუზთან გამართულ ბრძოლებზე წერს: „....როდესაც სიცივე გატყდა, ირანის შაჰინშაჰი თეირანიდან გაემგზავრა და სოლთანიეს ველზე დაბანაკდა, რუსებთან ბრძოლა გამწვავდა. პირველად, რაჯაბის თვის 4 რიცხვში, შაბათ დღეს [შაჰმა] გაგზავნა სარჩამისა და ნიქფეის გზით უფლისწული მოჰამედ თაყი-მირზა გულად ამირ იოსებ-ხანის— ერაყის სეფაჰდარის, ბაჯელანის მხედრების და ბახთიარელი ქვეითების თანხლებით“[19]. მეორე სპარსელი ისტორიკოსი სანი ოდ-დოულე მოჰამედ ჰასან-ხანი თითქმის იგივეს წერს, იმ განსხვავებით, რომ არაფერს ამბობს ბაჯელანისა და ბახთიარიის მოლაშქრეებზე[20].

XIX ს-ის დასაწყისში ხორასნის საკითხი ირანის საგარეო პოლიტიკის

---

[13] დრუვილი მას „გვარდიას“ უწოდებს.

[14] გირვანქა — 409, 512 გრ.

[15] რუსულ თარგმანში წერია «пыж», რომელსაც ნ. ჩუბინაშვილი თავის რუსულ-ქართულ ლექსიკონში ასე განმარტავს: ძონძი, მჩუარი, ან ნაძენძი, თოფისა და ზარბაზნის გასატენის შემოსახვევი.

[16] „ხარვარი“ — 300 კილოგრამი ანუ ერთი საპალნე.

[17] Гаспар Друвиль, Путешествие в Персию в 1812 и 1811 годах, ч. 11, М., 1826, გვ. 110.

[18] გულადი ამირი — „ამირე დელირ“.

[19] მირზა მოჰამედ თაყი, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 243.

[20] სანი ოდ-დოულე მოჰამედ ჰასან-ხან, თარიხე მონთაზემე ნასერი, III, თეირანი, 1883, გვ. 102,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა. 1817 წელს, როდესაც შაჰი ამ მხარის დასამორჩილებლად გაემართა, მას უფლისწულებთან და სხვა სარდლებთან ერთად, თან ახლდა იოსებ-ხან გურჯი თავისი „ჯანბაზებით“. სპარსელი ისტორიკოსის რეზა ყული-ხანის ნაშრომში ვკითხულობთ: „...მისი უდიდებულესობის შაჰინშაჰის ამალა რამაზანის თვის 16 რიცხვში....[21] ხუბუშანისაკენ გაემართა. ხუბუშანის სანახებში ჩასვლის შემდეგ, მის უდიდებულესობის, ყაჯარი შაჰინშაჰის ბრძანებით დაშლილი სარდალი ისმაილ-ხანი და დიდებულები[27] ქართველი სეფაჰდარი იოსებ-ხანი ერაყის ჯანბაზებით დაუყოვნებლივ გაგზავნეს ციხე-სიმაგრის[23] აღმოსავლეთ მხარეს, ხოლო ჰასან-ხანი და ისა-ხანი ციხის დასავლეთით გამაგრდნენ“[24].

1227 წელს ჰიჯრით (1812 წ.). ფათჰ ალი შაჰს გაუგზავნია იოსებ-ხან გურჯი კარის დიდებულებთან და მოჰამედ ალი-მირზა დოულათშაჰთან ერთად აბდალა ფაშას — ბაღდადის ვალის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე ამჯერად მშვიდობიანად მოგვარებულა[25].

იოსებ-ხანის ჯანბაზები იმყოფებიან შაჰის განკარგულებაში და მის ბრძანებას ასრულებენ, მაგრამ ეს არ იყო ხელმწიფის მცველი, მისი თანხლები ლაშქარი, რომელსაც სპარსული წყაროები ხშირად ამალასაც („მოუქებ“) უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის შიგნით მომხდარი მცირე მნიშვნელობის ამბოხებისა თუ აჯანყების ჩასაქრობად ანდა კიდევ წესრიგის დასამყარებლად შაჰი აღნიშნულ ლაშქარს არ იყენებდა. ამ მხრივ საყურადღებოა რეზა ყული-ხანის ერთი ცნობა: დაახლოებით 1814 წელს ფარაჰანში ზოლფაბადის მოსახლეობა აჯანყებულა და ქარავნების ძარცვისათვის მოუყვია ხელი. ერაყის სეფაჰყარს იოსებ-ხანს ეს ამბავი სამეფო კარისათვის შეუტყობინებია. ამის შემდეგ მეამბოხე ჯგუფის გასანადგურებლად გაუგზავნიათ იუზბაში (ასისთავი) აბდალა-ხან გურჯი, ქალაქის მოსახლეობას 800 კაცი შეუკრებია აბდალა-ხან გურჯის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი სასტიკად დამარცხებულან[26].

ჩვენთვის ცნობილია, რომ ფარაჰანი[27] მდებარეობდა ერაყში და შედიოდა

---

[21] ლაპარაკია 1233 წელზე ჰიჯრით (1817 წ.).

[22] იოსებ-ხანს სპარსელი ისტორიკოსი იხსენიებს როგორც „ხასეს“ ანუ „დიდებულს“, „განსაკუთრებულს“, „შაჰთან დაახლოებულ პირს“.

[23] მხედველობაშია ქალაქ მეშჰედზე შეტევა.

[24] რეზა ყული-ხანი, თარიხე როუზათ ოს-საფაიე ნასერი, IX, თეირანი, 1960, გვ. 566—567.

[25] მეჰდი ბამდად, შარჰე ჰალე როჯალე ირან დარ ყარნე 12, 13, 14 ჰიჯრი, IV, თეირანი, 1968, გვ. 477.

[26] რეზა ყული-ხანი გადმოგვცემს: ამბობენ აბუ ზოლფ აბასელმა (აბასიდთა დინასტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. აბასიდების ბატონობის ხანა — 750—1252 წწ.—ზ. შ.) ფარაჰანის ერთ ადგილზე დააარსა ორი ქალაქი, ერთი მიწის ქვეშ და მეორე მიწის ზემოდან. მან ბევრი მიწა გაიტანა და მიწის ქვეშ გააკეთა ლაბირინტის მსგავსი დიდი ხვრელები. ყოველი მიწის ზემოთ მდებარე სახლიდან შეიძლებოდა ჩასვლა მიწის ქვეშ. ამ ქალაქს ზოლფაბადი ეწოდა. მისი მცხოვრებნი ცნობილი იყვნენ იმით, რომ ხშირად აწყობდნენ ამბოხებებს. როცა დამსჯელი რაზმები იგზავნებოდა მათ წინააღმდეგ, ისინი მიწისქვეშა ხვრელებში ჩადიოდნენ და მეტად ძნელი ხდებოდა მათი დამარცხება. თუ ვინმე ჩავიდოდა ამ ხვრელში, შემდეგ იქიდან გამოსვლას ველარ ახერხებდა. აბდალა-ხან გურჯიმ იმით გაიმარჯვა, რომ ჩაკეტა ქალაქის გასასვლელები და როცა ხვრელში მყოფთ სურსათ-სანოვაგე შემოაკლდათ, ისინი დამორჩილდნენ მას. აბდალა-ხანმა დაანგრია საცხოვრებელი სახლები და ქალაქის დიდი ნაწილი. ეს ადგილი ახლაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს (ე. ი. XIX ს-ის დასასრულს—ზ. შ.). მიწისქვეშა ქალაქი ახლაც არსებობს და მისი დანგრევა მეტად ძნელი საქმეაო (იხ. რეზა ყული-ხანი, დასახ. ნაშრომი, IX, გვ. 515).

[27] სტეინგასი განმარტავს, ფარაჰან-ი არის სპარსეთის ერაყის ქალაქის სახელწოდება. ამჟამად დანგრეულია (იხ. F. Steingass, Persian—English Dictionary, London).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ-ხან გურჯის სამფლობელოებში. ერაყის მხედართმთავარს თვითონ კი არ მიუღია გადაწყვეტილება, არამედ შაჰისათვის შეუტყობინებია მომხდარი აჯანყების შესახებ. ეს ამბოხება არ იყო ისეთი მნიშვნელობის, ყოველ შემთხვევაში ირანის გამგებელს არ ჩაუთვლია მიზანშეწონილად, რომ იოსებ-ხან გურჯი და მისი ჯანბაზები ჩარეულიყვნენ ამ საქმეში და ურჩების დასასჯელად ქართველი იუზბაში აბდალა-ხანი განუწესებიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, შეუძლებლად მიგვაჩნია გაზიარებულ იქნას მეჰდი ბამდადის აზრი, რომ ირანის ტახტის მემკვიდრემ აბას-მირზამ 1238 წელს ჰიჯრით (1822 წ.) გაგზავნა იოსებ-ხან გურჯი სალმასელ ქურთებთან საბრძოლველადო. იგი წერს: „აბას-მირზა ნაიბ ოს-სალთანემ 1238 წელს იოსებ-ხანი ბაჰადორების რაზმთან და იანგი მუსლიმანების ჯგუფთან ერთად (ბაჰადორების რაზმი იყო ქრისტიანთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სომეხი და ასირიელი მამაკაცები. იანგი მოსლიმანების ანუ ახალი მუსლიმანების რაზმი კი ეწოდებოდა რუსი ტყვეებისაგან შექმნილ ჯგუფს) გაგზავნა უკუსაგდებად იმ ქურთებისა, რომლებსაც სალმასი და მისი მიდამოები დაეკავებინათ. ამ ბრძოლაში ქურთები დამარცხდნენ და მათი ადგილსამყოფელი იოსებ-ხანს ჩაუვარდა ხელში“[28].

ჯერ ერთი, აბას-მირზას არ ჰქონდა უფლება, რომ „დიდი სეფაჰდარი“ თავისი ბრძანებით გაეგზავნა სადმე, ვინაიდან იგი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ შაჰის ბრძანებას ასრულებდა. შემდეგ, აქ არსად არ არის ნახსენები ჯანბაზები. ამ „ბაჰადორებთან“ და „იანგი მუსლიმანებთან“ ერაყის სეფაჰდარს იოსებ-ხანს არავითარი ხელი არა ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სულ სხვა იოსებ-ხან ქართველთან.

მივმართოთ ზემოხსენებულ სპარსულ წყაროებს.

სანი ოდ-დოულე მოჰამედ ჰასან-ხანი იმავე 1238 წლის ამბების თხრობის დროს აღნიშნავს: „ამ წელს ვანის ბოროტმოქმედნი და ქურთები გაერთიანდნენ, შეიჭრნენ სალმასში და მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას და ძარცვას მიჰყვეს ხელი. მისმა უდიდებულესობამ ნაიბ ოს-სალთანე აბას მირზამ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა იოსებ-ხან გურჯი ბაჰადორების ჯგუფთან და იანგი მუსლიმანების რაზმთან ერთად. იმ მხრიდან ხსენებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად წამოვიდა ოსმან ბეგი და ნასიმ ბეგი — შვილი მოსტაფა ყული-ხან ჰექარელისა სამი ათასი კაცით. დიდი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ისინი დამარცხდნენ და იოსებ-ხანმა ბაშყალანის ციხე აიღო. მან ციხეში მყოფნი დახოცა და ბაშყალანის ჰაქემი იბრაჰიმ-ხანი, ურუმის ჰაქემ ასქარ-ხან ავშართან ერთად მის უდიდებულესობა ნაიბ ოს-სალთანესთან[29] გაგზავნა“[30].

შესაძლოა მეჰდი ბამდადს ეს ცნობაც ჰქონდა მხედველობაში (თუმცა ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით თუ რა წყაროებით სარგებლობდა იგი). თუ ეს ასეა, მაშინ მას რომ ცოტა წინ გადაეხედა რას წერს სხვაგან სანი ოდ-დოულე იოსებ-ხანის შესახებ, ადვილი გასაგები იქნებოდა, რომ ამ იოსებ-ხანს არავითარი კავშირი არ აქვს ერაყის მხედართმთავარ იოსებ-ხან გურჯისთან. საერთოდ, სპარსულ წყაროებში ხშირია შემთხვევები, როცა ერთხელ იხსენიება ესა თუ ის

---

[28] მეჰდი ბამდადი, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, გვ. 477.

[29] უფლისწულ აბას-მირზას ტიტულია.

[30] სანი ოდ-დოულე მოჰამედ ჰასან-ხანი, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი თავის ტიტულთან ერთად, შემდეგ მხოლოდ ტიტულით ანდა კიდევ მხოლოდ სახელით.

სანი ოდ-დოულე 1232 წლის (1816 წ.) ამბების თხრობის დროს წერს: „...რადგანაც ბალბასის ქურთი ტომი ურუმის მიწაზე გადავიდა და ზოგი მათგანი ურჩობას იჩენდა, ამიტომ ადრე მისმა უდიდებულესობამ ნაიბ ოს-სალთანემ მათ დასასჯელად გაგზავნა თავისი ბიძა[31] ამირ-ხანი, იანგი მუსლიმან ბაჰადორების რაზმის მეთაურ[32] იოსებ-ხან გურჯისთან ერთად. ამჯერად კი ხელახლა გაემართა მათ გასანადგურებლად ამირ-ხან ყაჯარი, რომელსაც გააყოლეს ბუდაღ-ხან მოქრი თავის რაზმთან ერთად, გენერალ იბრაჰიმ ბეგი სარბაზების ჯგუფით, ჯაფარ ყული-ხან მარაღელი და სხვები“[33].

მაშასადამე, ამ ისტორიკოსის ცნობით გაირკვა, რომ ქურთების წინააღმდეგ აბას-მირზამ გაგზავნა „რაზმის მეთაური“ ანუ „პოლკოვნიკი“ (სპარს.— „სარჰანგ“) იოსებ-ხან გურჯი.

მეორე სპარსელი ისტორიკოსი რეზა ყული-ხანი იმავე ამბებთან დაკავშირებით წერს: „...როდესაც უფლისწული ნაიბ ოს-სალთანე კვლავ დარ ოს-სალთანე თავრიზში დაბრუნდა, მან უბრძანა იოსებ.-ხან ღოლამ გურჯის, რომ ბაჰადორების რაზმით და ახალი მუსლიმანების[34] ჯგუფით წასულიყო ქურთების დასასჯელად. იოსებ-ხანის გამგზავრების შემდეგ, მის წინააღმდეგ საბრძოლველად სალმასიდან გამოემართა ოსმან ბეგ იართუში, რომელსაც ახლდა ნასიმხანი (შვილი მუსტაფა-ხან ჰექარისა, მამამისისათვის შეუფერებელი საქციელის ჩამდენი) და ქურთებისაგან შემდგარი სამი ათასიანი ლაშქარი. მას ბედი გადაუბრუნდა. იოსებ-ხანმა ციხე-სიმაგრის დამორჩილების განზრახვა სინამდვილედ აქცია და ორ საათში დაიპყრო ის ციხე. მეციხოვნე ჯარის ყველა ქუთვალი[35] დაუნდობელი ხმლის მსხვერპლი გახდა და ხსენებულმა იოსებ-ხანმა, აღნიშნული ციხე-სიმაგრის დამორჩილების შემდეგ, ციხის ჰაქემი იბრაჰიმ-ხანი ასქარ-ხან ავშარ ურუმელთან ერთად მაღალ სამეფო კარზე გაგზავნა“[36].

აშკარაა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს აბას-მირზას განკარგულებაში მყოფ „ბაჰადორების“, „ახალი მუსლიმანების“ ლაშქრის უფროსთან იოსებ-ხან გურჯისთან, რომელსაც ეს ისტორიკოსი „ღოლამ გურჯის“ სახელით იხსენიებს[37].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენს ხელთ არსებულ სპარსულ წყაროებში ჯანბაზები მხოლოდ იქ იხსენიება, სადაც გვხვდება ერაყის სეფაჰდარის იოსებ-ხან გურჯის ხსენება, რაც მიგვითითებს არა მარტო იმაზე, რომ იგი იყო ამ ლაშქრის შემქმნელი და მეთაური, არამედ იმაზედაც, რომ ჯანბაზებში არ იგულისხმებოდა ერაყის სხვა ლაშქრის წარმომადგენელი. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ იოსებ-ხან გურჯის მიერ შექმნილი 12 ათასიანი ჯარი.

---

31 დედის ძმა.

32 სარჰანგ—პოლკოვნიკი, რაზმის მეთაური.

33 სანი ოდ-დოულე, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 114.

34 აქ, სხვათაშორის, თურქული „იანგი“-ს ნაცვლად გამოყენებულია სპარსული სიტყვა „ნოვ“ და წერია „ნოვ მუსელმან“, ე. ი. „ახალი მუსლიმანი“.

35 ქუთვალი — მეთაური, უფროსი.

36 რეზა ყული-ხანი, დასახ. ნაშრომი, IX, გვ. 614—615.

37 სხვათაშორის, აბას-მირზას მეთაურებს შორის იხსენიება სხვა იოსებ-ხანი გურჯიც, რომელსაც, „არტილერიის ამირის“ ჩინი ჰქონია (იხ. რეზა ყული-ხანი, დასახ., ნაშრომი, IX, გვ-744).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1824 წელს (1240 წ. ჰიჯრით) იოსებ-ხან გურჯი კიდევ უფრო მეტად აღზევებულა. ამ წელს შაჰს გადაუყენებია ისფაჰანის მმართველი — აბდალა-ხან ამინ ოდ-დოულე და მის ნაცვლად უფლისწული სოლთან მოჰამედ მირზა დაუნიშნავს[38]. ხსენებული უფლისწულის ვეზირად ირანის მბრძანებელს ერაყის სეფაჰდარი — იოსებ-ხანი განუწესებია[39].

უფლისწულის ვეზირის თანამდებობის მიღების შემდეგ იოსებ-ხანს დიდხანს აღარ უცხოვრია. 1824 წელს გარდაცვლილ ამირთა შორის იხსენიებს რეზა ყული-ხანი ერაყის სეფაჰდარსაც: „...ერთ-ერთი ამირი, ერაყის სეფაჰდარი იოსებ-ხან გურჯი ისფაჰანში გარდაიცვალა. მისი დიდად პატივცემული ვაჟიშვილი ღოლამ ჰოსეინ-ხანი, რომელიც 17 წლის იყო და მის უდიდებულესობა ხაყანთან ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა, განწესებული იქნა მამამისის თანამდებობაზე. მას ერაყის მმართველობა და სეფაჰდარობა ებოძა, ხოლო უფლისწულ სეიფ ოდ-დოულეს ვეზირად ისფაჰანში განწესებულ იქნა ბატონი ხოსროვ-ხან გურჯი, რომელიც იყო ბრწყინვალე ამირი და ამით გაიზარდა ხსენებული უფლისწულის დიდება, სახელი და ძლიერება"[41].

მაშასადამე, იოსებ-ხანის გარდაცვალების შემდეგ მისი თანამდებობები სამეფო კარის ორ ბრწყინვლე წარმომადგენელს გადაეცა.

იოსებ-ხან გურჯი იყო არა მარტო დიდი სპასალარი, არამედ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეც.

სულთანაბადი — შენიშნავს რეზა ყული-ხანი — იყო ერთ-ერთი დიდი ქალაქი, დაარსებული დიდად პატივცემული იოსებ-ხანის მიერ. ამ ისტორიკოსს თავის ნაშრომში ცალკე თავი მიუძღვნია სულთანაბადის დაარსების ისტორიისა და ამ ქალაქის აღწერისათვის—„მისი უდიდებულესობის, ქვეყნიერების შაჰინშაჰის ერაყისაკენ გამგზავრება და მისი შესვლა ერაყის სეფაჰდარის იოსებ-ხან გურჯის ქალაქ ახალ სულთანაბადში"[42], რომელშიც წერს: „იოსებ-ხან გურჯი, ერაყის მმართველი და მისი ჯარების სეფაჰდარი, იყო დიდი ამირი მისი უდიდებულესობის — ყაჯარი ხელმწიფის კარის ამირებს შორის. მან ერაყში დააარსა ახალი ქალაქი და ირანის სულთანის საპატივცემულოდ სულთანაბადი უწოდა. ეს იყო ყოველმხრივ მშვენიერი ქალაქი, მისი კოშკი, გალავანი და ბაზარი მეტად მტკიცედ, მყარად და მოხდენილად იყო გაკეთებული.

მის უდიდებულესობას, ბედნიერ შაჰინშაჰს აღნიშნული მოგზაურობის დროს[43] ამ ქალაქის ნახვის დიდი სურვილი გაუჩნდა. მისმა ბრწყინვალებამ იმ კარისაკენ გამგზავრება ბრძანა. შაჰინშაჰის ქოზაზის ველზე მისვლის შემდეგ,

---

[38] უფლისწული ამ დროს 13 წლის ყოფილა და მისთვის შაჰს „სეიფ ოდ-დოულეს" — „სახელმწიფო ხმლის" ტიტული უბოძებია.

[39] სანი ოდ-დოულე მოჰამედ ჰასან-ხანი, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 130; მეჰდი ბამდადი, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, გვ. 477.

[40] ღოლამ ჰოსეინ-ხან გურჯი 1824 წელს გახდა ფათჰ ალი შაჰის სიძე. მას ცოლად ჰყავდა შაჰის 22-ე ქალიშვილი (იხ. მეჰდი ბამდადი, დასახ. ნაშრომი, IV, გვ. 477; შდრ. მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, II, 1975, გვ. 164, შენ. 2).

[41] რეზა ყული-ხანი, დასახ. ნაშრომი, IX, გვ. 636.

[42] ამ ქალაქს ახალი სულთანაბადი ეწოდა იმის გამო, რომ განესხვავებინათ იგი ხორასნის ძველ ქალაქ სულთანაბადისაგან (იხ. რეზა ყული-ხანი, დასახ. ნაშრომი, IX, გვ. 703). იგი ირანის ერაყის მთავარი ქალაქია (დღევანდელი არაქი). „ერაყის სულთანაბადი" გრძელი სახელი იყო შენიშნავს ბამდადი — ამიტომ შემდეგში მისი შემოკლება განიზრახეს. სიტყვა „ერაყიდან" ამ ქალაქს „არაქი" დაარქვესო (იხ. მეჰდი ბამბაბი, დასახ. ნაშრომი, IV, გვ. 477).

[43] ისტორიკოსი ადრე აღნიშნავს, რომ შაჰი ყუმში მიემგზავრებოდა სალოცავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისე როგორც „ღაზნეველთა[44] შაჰი შევიდოდა აიაზის[45] სასახლეში“, იმ, ეგვიპტის იოსების[46] მსგავსმა იოსებ-ხანმა ერაყი სიმშვენიერის სამყაროდ აქცია.

ერთგულმა პატივცემულმა სეფაჰდარმა, რომელიც იყო ყარანის[47] ბრწყინვალების მქონე და ყარუნის[48] სიმდიდრის მფლობელი, იმის საფუძველზე როგორც იტყვიან: „მონაც და ის რაც მას გააჩნია, მის პატრონს ეკუთვნის“, მისი უდიდებულესობის პატივისცემის ნიშნად მან მთელი თავისი ქონება და სიმდიდრე — ნაღდი საქონლის სახით, მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ქაღალდის გრაგნილზე ჩამოსწერა და მისი უდიდებულესობის შაჰინ-შაჰის ფეხის მტვერსა და ალაჰის ჩრდილის ცხენის ძვირფას ნალს მიართვა როგორც მეტად უმნიშვნელო რამ, რითაც აშკარად გამოაჩინა თავისი ქონება.

იოსებ-ხან გურჯიმ ქალაქში ხმამაღლა გამოაცხადა, რომ სანამ ხელმწიფის ურდო სულთანაბადში იქნება გაჩერებული, სრულიად შეწყდეს ყიდვა-გაყიდვა და ალებ-მიცემობა. ყოველ ადამიანს ნება ეძლევა წაიღოს სარქარ[49] სეფაჰდარის ამბარიდან რაც კი მას სჭირდება და მისთვის აუცილებელია. სულთანაბადის მცხოვრებლებმა არაფერი გაყიდონ და არაფერი იყიდონ, არაფერი არ შემოიტანონ ქალაქში და არ გაიტანონ იქიდან რაიმე. გამომდინარე აქედან, თუ კი ვინმემ სეფაჰდარის ამბარ-ხანიდან ძარცვისა და დატაცების მიზნით წაიღო იმაზე მეტი სურსათ-სანოვაგე, ვიდრე მას სჭირდებოდა, შაჰის ლაშქრის იქ გაჩერების ვადის დამთავრების შემდეგ, სურსათი ადგილზე დარჩა და ქალაქიდან არ იქნა გატანილი.

ასეთი ვითარება შეიქმნა იტყოდი: სულთანაბადი ეგვიპტის მხარე იყო მისი უდიდებულესობის ხელმწიფის ურდოს ღარიბ-ღატაკი ხარბებისათვის, ხოლო სეფაჰდარი კი დროების დამამშვიდებელი იოსები, რომელმაც, რაც გააჩნდა იმის გაცემით, ყველას გული მოინადირა და ყველას კეთილგანწყობილება დაიმსახურა. ყველა უფლისწულს დიდი სამსახური გაუწია, დიდი და პატარა მისი მადლიერი იყო. თითოეულ მოლაშქრესაც კი სცა პატივი.

ქვეყნის დამამშვენებელმა ყაჯარმა ხელმწიფემ, ბედნიერმა ხაყანმა ამგვარი სამსახურისა და ერთგულების სანაცვლოდ მას უდიდესი საზღაური მიაგო: ბატონ იოსებ-ხანს ერაყის ქედხოდას[50] ტიტული უბოძა, შეუდარებელი სილამაზის ინკრუსტირებული და შაჰის გამოსახულების მქონე ორდენით დააჯილდოვა. იოსებ-ხანის მიერ მისი უდიდებულესობის მაღალი სიწმინდის პატივსაცემად მირთმეული სიმდიდრე და ქონება სეფაჰდარს დაუმკვიდრა სამუდამო თიულად და სოიურღალად[51]. ამასთან ერთად, ხუთი ციხისმნგრეველი ზარბაზანი და ორასი კაცი სამეფო ამალიდან დატოვებულ იქნა სულთანაბადში ქალაქის დასაცავად. გაიცა შაჰის ბრძანება, რომ ქალაქ სულთანაბადისათვის შემოევლოთ ღრმა თხრილი და მისი ხარჯები დაეწერათ ხელმწიფის სამდივნოსათვის.

როცა ერაყის სეფაჰდარი თავის შესაფერის ბრწყინვალების სიმაღლეზე

---

[44] ღაზნეველთა დინასტია — 962 — 1186 წწ.

[45] აიაზი — სულთან მაჰმუდ ღაზნეველის ფავორიტის სახელია.

[46] ბიბლიური იოსებ ლამაზი.

[47] ყარანი — ლეგენდარული კავას შვილის სახელია. აღნიშნავს აგრეთვე რუსთამის დროინდელ გმირს.

[48] ყარუნი — ბიბლიური მდიდარი კაცის სახელია.

[49] სარქარი — ბატონი, მისი უდიდებულესობა, მმართველი, საქმის გამგებელი.

[50] ქედხოდა ალბათ აქ უნდა გავიგოთ როგორც საქმის გამგებლის საპატიო ტიტული.

[51] თიულად და სოიურღალად ბოძება — პირად მფლობელობაში გადაცემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აიყვანა და იმ მხარის საქმეები როგორც საჭირო იყო ისე მოაგვარა, ხელმწიფემ თეირანში უკან დაბრუნება ბრძანა“[52].

ამგვარად, იოსებ-ხან გურჯი, რომელსაც ჰქონდა ერაყის სეფაჰდარის ტიტული, იყო „დიდი ამირი“ ანუ დიდი მხედართმთავარი ირანის სამეფო კარის მხედართმთავრებს შორის. ერაყის სულთანაბადი (ახლანდელი არაქი) მან დაარსა და აქცია კეთილმოწყობილ ქალაქად.

ირანის შაჰისა და მისი თანმხლები პირების სულთანაბადში ყოფნის პერიოდში ამ ქალაქში ალებ-მიცემობის, საქონლის შეტანა-გატანის აკრძალვით, ქალაქში მყოფთა სურსათ-სანოვაგეზე მოთხოვნილების საკუთარი ამბარიდან დაკმაყოფილებით, იოსებ-ხანმა შაჰის კიდევ უფრო მეტი ნდობა და კეთილგანწყობილება მოიპოვა, გაზარდა მისი ავტორიტეტი სამეფო კარის დიდებულებს შორის. აშკარაა, რომ იგი კარგად ერკვეოდა XIX ს-ის დასაწყისის ირანის საშინაო ვითარებაში, იცოდა შაჰისა და მის თანმხლებ პირთა ფსიქოლოგია. ყოველივე ეს კი მიგვითითებს ერაყის სეფაჰდარის — იოსებ-ხან გურჯის დიდ პოლიტიკურ და დიპლომატიურ ნიჭზე.

З. М. ШАРАШЕНИДЗЕ

## ЮСЕФ-ХАН ГУРДЖИ — ВЫДАЮЩИЙСЯ СПАСАЛАР И ГОСУДАРСТВЕННЫЙ ДЕЯТЕЛЬ ИРАНА ПЕРВОЙ ЧЕТВЕРТИ XIX ВЕКА

Резюме

На основании персидских и русских материалов, а также архивных документов выясняется, что Юсеф-хан Гурджи был правителем одного из районов иранского Ирака, выдающимся спасаларом, основателем города Султанабада (совр. Арак), везирем правителя исфаганской провинции и создателем двенадцатитысячного регулярного войска в Центральной части Ирана.

[52] რეზა ყული-ხანი, დასახ. ნაშრომი, IX, გვ. 703—705.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ კილასონია

# ტყვეებით ვაჭრობის ორგანიზაცია და ცენტრები გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში უდიდეს სოციალურ უბედურებას წარმოადგენდა ტყვის სყიდვა, რაც ადგილობრივი კაცის უცხოეთში გაყიდვას ნიშნავდა. იგი ფეოდალურ საქართველოში XIV—XV სს. ჩაისახა და საზოგადოებრივი განვითარებისათვის განსაკუთრებით საშიში ხასიათი XVI—XVIII სს. მიიღო[1].

ტყვეებით ვაჭრობა განსაკუთრებით ფართო მასშტაბით წარმოებდა დასავლეთ საქართველოში, რაც ოსმალეთის მეზობლობით იყო განპირობებული. საუკუნეების მანძილზე ვაჭრობის ეს სახე გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებში ჩამოყალიბდა. იმერეთში, გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში მთელი ორგანიზაციები არსებობდა, რომელთა მთავარ საქმიანობას ადამიანთა დატყვევება და მონებად გაყიდვა შეადგენდა[2]. უპირველესი ტყვის მსყიდველები დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურები იყვნენ. მათ ამ საქმისთვის თავიანთი ხალხი ჰყავდათ და გამომუშავებული ჰქონდათ ადამიანთა გატაცებისა და გაყიდვის საკუთარი მეთოდები.

კათოლიკე მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილე მოგვითხრობს თუ როგორ ახერხებდნენ ისინი თავიანთ მოძმეთა მოტაცებას და ბაზარზე გაყიდვას: „ისინი მათ ყიდულობენ ათასნაირი ფიქტიური და ტყუილი ფიცით, თითქოს ეს ტყვეები სახლში გამოსაყენებელ მსახურებად, ან მათი ნათესავებისთვის ან მეგობრებისთვის უნდოდეთ და შემდეგ კი მაღალ ფასებში თურქებზე ჰყიდიან. ამას ყოველდღე ჰხედავენ ღვთისმსახური ბერები, მიტროპოლიტები და პატრიარქები, ყოველ შემთხვევაში ამ ამბებზე ბევრ რამეს ისმენენ, მაგრამ ხმას არ იღებენ იმ იმედით, რომ მათაც ორივე მხარისაგან მოგება დარჩეთ: იმათგან ვინც ჰყიდის და ვინც ყიდულობს“[3].

არქანჯელო ლამბერტის მოწმობით, ტყვის მსყიდველი ავაზაკები ღამე თავს ესხმოდნენ მეზობლის სახლს, შებოჭავდნენ ვისაც შიგ მოიხელთებდნენ და ქობულეთის მონათა ბაზარზე გააქანებდნენ, „ზოგჯერ კი მოტყუილებით მიიბარებდნენ თავის სახლში, სადაც დაატყვევებდნენ და შესაფერ დროს ქობულეთშივე წაიყვანდნენ ოსმალებზე გასაყიდად“[4].

ტყვის მსყიდველ მებატონეებს ჰყავდათ სპეციალურად შერჩეული კაცები, აგენტები, რომლებიც ლამაზი ქალ-ვაჟების ძებნითა და მოტაცებით იყვნენ დაკავებული. მათ სამეგრელოში „ყურსალებს“ ეძახდნენ. ხალხური განმარტებით ყურსალი ეწოდებოდა კაცის ქურდს. ს. მაკალათიას მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით, ოსმალოს გემი „ხაჭაპა“ მოადგებოდა თუ არა ნაპირს მდ. ცივის შესართავთან, ყურსალებს იქ მიჰყავდათ ხელფეხშეკრული ტყვეები და ჰყიდდნენ.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 170.

[2] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტომი პირველი, თბ., 1949, გვ. 306.

[3] დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), თბ., 1977, გვ. 74.

[4] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1937, გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყიდვისას ადამიანის სიმაღლეს ზომავდნენ მტკაველით და ამის მიხედვით ხდებოდა ფასის გამოანგარიშება[5].

ყურსალებისა და სხვა სახეობის ყაჩაღებისაგან ტყვეებს ყიდულობდნენ იესირჯები, „ტყვეების მომკრეფნი და გამსყიდველნი სტამბოლსა და მისირში“[6], რომელთა უმეტესობას თურქები შეადგენდნენ.

ტყვეთა კონტინგენტის წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს XVI—XVIII სს. წარმოადგენდა განუწყვეტელი შინაბრძოლები და ძარცვა-რბევა. არა მარტო იმერეთის მეფე, დადიანი, გურიელი და აფხაზეთის მთავარი ებრძოდნენ ერთმანეთს, არამედ თავადაზნაურებიც განუწყვეტლივ ურთიერთს ექიშპებოდნენ. ომში დამარცხებულებს ტყვედ იგდებდნენ და ოსმალო მეციხოვნეებს ან ვაჭრებს მიჰყიდდნენ ხოლმე.

მთელი გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში არ მოიძებნებოდა ალბათ არც ერთი თავადი თუ აზნაური შინაფეოდალურ ბრძოლაში რომ არ ყოფილიყო გარეული. მოწინააღმდეგეთა შორის ურთიეთობას კი ძალა წყვეტდა. ისინი თავიანთი ხალხით თავს ესხმოდნენ ეთმანეთს, ყველაფერს არბევდნენ, წვავდნენ და სპობდნენ, ბოლოს, როცა აღარაფერი რჩებოდა გასანადგურებელი, ჩეხავდნენ ვაზებს, ხეხილსა და სხვა სასარგებლო ხეებსაც[7].

ამ თარეშსა და შინაომებში მთავარი საზრუნავი ტყვე და სხვა ნადავლი იყო. მოლაშქრე ყოველთვის მზად იყო ტყვე ადამიანისა და პირუტყვის ხელში ჩასაგდებად. მისი აღჭურვილობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს შეადგენდა რამდენიმე წყრთის სიგრძის თოკი იმ ადამიანებისა და საქონლის დასაბმელად, რომელსაც სტაცებდენ მეზობლებს ან ხელთ იგდებდნენ ომში. „დატყვევებულის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე დამტყვევებლის ხელშია, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია მოექცეს მას, — წერს ჟან შარდენი, — ჩვეულებრივად ტყვედ აქცევს და შემდეგ თურქებს მიჰყიდის“[8].

ჟან ბატისტ ტავერნიეც აღნიშნავს, რომ ტყვეების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს შინაომები, „როგორც კი ამ ომებში ტყვეებს იშოვნიან, იმთავითვე გზავნიან ოსმალეთში გასაყიდად“[9]. ზოგჯერ კი მოწინააღმდეგე მხარეები მთელ სოფლებს მოსტაცებდნენ ერთმანეთს და ყიდდნენ ტყვედ ჩავარდნილებს სპარსეთსა და თურქეთში[10].

ფრანგი მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე საინტერესო ცნობას გვაწვდის ტყვეებით ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ აფხაზეთში. მისი თქმით, როცა სურდათ გასაყიდი ტყვეები ჰყოლოდათ, საქმეს წინასწარი მომზადებით იწყებდნენ. როდესაც ზღვაზე მეკობრეებითა და მეზობლებზე თარეშით ტყვეებს იშოვნიდნენ, არჩევდნენ მათ შორის ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, რომელთაც კარგი შთამომავლობა უნდა მოეცათ და აწყვილებდნენ. ამ გზით დაბადებულ ბავშვებს მაშინვე აცილებდნენ დედას და ზრდიდნენ ცალკე მანამ, სანამ არ მიაღწევდნენ იმ ასაკს, როცა შესაძლებელი იქნებოდა მაღალ ფასში გაყიდ-

---

[5] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 239.

[6] ს. ნებიერიძის მოგონებანი თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში გოგო-ბიჭების მოტაცებისა და ტყვეობით ვაჭრობის შესახებ, ბათუმი, 1948, გვ. 11.

[7] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და ამ. სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 118..

[8] იქვე, გვ. 125—126.

[9] ჟან ბატისტ ტავერნიე, დიდი სენიორის სამეფო კარის აღწერა, თბ., 1974, გვ. 199.

[10] იქვე, გვ. 204.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა[11]. ასე რომ ეს ბეჩავი ტყვეები პირუტყვის მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული და მხოლოდ ბავშვთა „წარმოებისათვის“ იყვნენ განკუთვნილი.

დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო თურქ დამპყრობთა მიერ ხარკად ქალ-ვაჟების მოთხოვნა. ქართველი მეფე-მთავრები ყოველნაირად ცდილობდნენ მოეშორებინათ ეს მძიმე ვალდებულება, მაგრამ ყოველ ასეთ ცდაზე ოსმალეთი მტკივნეულად რეაგირებდა და ურჩთა წინააღმდეგ დამსჯელ ექსპედიციებს აგზავნიდა, რაც კიდევ უფრო აჩანაგებდა ისედაც გაჩანაგებულ მოსახლეობას.

ცნობილი მოგზაურის ჟან შარდენის ყოფნა სამეგრელოში, 1672 წლის სექტემბერში, დემთხვა თურქთა ერთ-ერთ შემოჭრასა და თარეშს. მთელი სოფლები ტყეებში გაიხიზნა, თვით შარდენმა და თეათინელმა ბერებმაც თავი შეაფარეს ციხეს ერთ-ერთი წარჩინებული აზნაურისას, რომელიც „არ ჩანდა ისეთი გაიძვერა და ავაზაკი როგორიც სხვები“[12]. 30 სექტემბერს ამ აზნაურთან თურქი ლეინტენანტი გამოცხადებულა და მოუთხოვია მორჩილების ნიშნად ვაჟის ხლებოდა. მეორე დღეს ეს წარჩინებული აზნაური, საბახტარი მოწიწებით ეახლა ფაშას და თან ოთხი ტყვე მიართვა საჩუქრად. ფაშამ, აზნაურს მოსთხოვა ერთგულების ფიცის დადება, მძევლად ერთი შვილის მიცემა და 19. ქალ-ვაჟი ძღვნად. „საბახტარიც დათანხმდა ფაშასთვის ძღვნად ორივე სქესის ათი ახალგაზრდა, სამასი ეკიუს ვერცხლი ან აბრეშუმი მიერთმია“[13].

ასე დაწვრილებით ამ ფაქტზე იმიტომ ვჩერდებით, რომ თურქთა მიერ სახელდახელოდ შეწერილი ხარკის შეგროვების ორგანიზაციული მხარე წარმოვაჩინოთ, მით უმეტეს, რომ შარდენი ამ ამბების თვითმხილველია და მისი მონათხრობი ეჭვს არ იწვევს.

„1 ოქტომბერს საბახტარი დაბრუნდა და თან მოიყოლია თურქი მცველი ციხისა და მამულების დასაცავად. მთელი ღამე ფეხზე იყო. აგროვებდა ძღვენს, რომელიც ფაშასთვის უნდა მიერთმია, — განაგრძნობს ჟან შარდენი, — ყველას მასთან შეხიზნულებს გამოუცხადა, რომ თურქებმა მცველი მომცეს ოცდახუთი ტყვის და რვაასი ეკიუს საფასურად. ეს ხარკი მან შეკრიბა ყველასგან, ვინც იქ იყო თავშეფარებული. ყველა ოჯახიდან, სადაც ოთხი ბავშვი ჰყავდათ, ერთი მას მიჰყავდა. ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედებს მკლავებიდან საბრალო ბავშვებს, კრავდნენ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან“[14].

მონათხრობიდან ჩანს, რომ საბახტარმა ათის ნაცვლად ოცდახუთი ყმაწვილი შეკრიბა, ხოლო სამასი ეკიუს ნაცვლად — რვაასი და, თუმცა საკუთარი შვილის მძევლად მიცემამაც მოუწია, მატერიალურად მაინც სარგებელი ნახა, რადგან „შეგროვილიდან საბახტარმა ფაშას ლეინტენანტს მხოლოდ ის მიართვა, რაც დათქმული ჰქონდა, დანარჩენი თვითონ მიითვისა“[15]. ჩანს, რომ თავადაზნაურობა ხალხის ასეთ უკიდურეს უბედურებაზეც ითბობდა ხელს. ადვილი წარმოსადგენია როგორ იქნებოდნენ „გაიძვერები და ავაზაკები“, როდესაც საბახტარი მათ შორის უწყინარი ჩანდა.

---

[11] Ф. Аюбуа де Монперэ, Путешествие вокруг Кавказа, т. I, Сухуми, 1937. გვ. 121—122.

[12] ჟან შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

[13] იქვე, გვ. 230.

[14] იქვე.

[15] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგულისხმოა ადამიანებით ვაჭრობის ორგანიზაცია აფხაზეთ-ჩერქეზეთის სანაპიროზე. 1836 წლის გაზაფხულში რუსულმა კრეისერებმა დააკავეს თურქ კონტრაბანდისტთა გემი, რომელზეც აღმოჩნდა აფხაზეთ-ჩერქეზეთში „მოღვაწე“ ვაჭართათვის განკუთვნილი წერილები. ისინი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა აქ ტყვის სყიდვის ინტენსივობასა და ორგანიზაციაზე. თურქეთის მონათა ბაზრებიდან დიდი ვაჭრები ატყობინებდნენ თავიანთ აგენტებს თუ როგორ „საქონელს“ ჰქონდა უფრო მაღალი ფასი. მაგალითად, ერთ წერილში ტრაპეზუნდელი ვაჭარი ატყობინებს თავის აგენტს არ შეისყიდონ ქალები, არამედ მხოლოდ ქალიშვილები, რადგან მათი გაყიდვა უფრო მომგებიანია[16]. მეორე წერილში თურქი ვაჭარი არიგებს თავისიანებს, თუ ქალებს იყიდიან, ახალგაზრდები და ტანადები იყიდონ, და თუ ქალიშვილებს, უსათუოდ ლამაზები. 14—15 წლისა, სიძვირეს კი ყურადღება არ მიაქციონ[17].

კიდევ ერთ წერილში ვინმე ომერი ტრაპეზუნდიდან წერს აფხაზეთში მყოფ ვაჭარს მაჰმედ ხალილ ოღლის, რომ ამ უკანასკნელმა არ შეასრულა მისი თხოვნა — ჩამოეყვანა ერთი ბიჭი მოსამსახურედ. ახლა კი აბარებს, წერილის მიღებისთანავე გაგზავნოს აგენტები სოფლებში, მოძებნოს 15—17 წლის ბიჭი, იყიდოს და გაუგზავნოს მას[18].

დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოკრებილი ტყვეები ძირითადად შავი ზღვის სანაპირო ნავსადგურებში იყრიდნენ თავს. როცა ტყვეების რაოდენობა მოგროვდებოდა, ტყვის მსყიდველები ცეცხლის დანთებით ნიშანს აძლევდნენ ზღვაში გამზადებულ კონტრაბანდისტთა გემებს, რომლებზეც ტვირთავდნენ გასაყიდ ადამიანებს[19]. მოგვიანებით ტყვის მსყიდველი ავაზაკები ინგლისური წარმოების დურბინდებსაც აყენებდნენ, ბორცვზე შემდგარნი ათვალიერებდნენ ზღვას და თუ მოკრეისერე რუსული გემები არ ჩანდა, თოფის გასროლით მოუხმობდნენ ზღვაში მყოფ თავისიანებს[20].

მძიმე და აუტანელი იყო ტყვეთა გადაყვანის პირობები. ჟან შარდენის ცნობით, რომელმაც თვითონ გაატარა რამდენიმე დღე გასაყიდი ადამიანებით დატვირთულ გემზე, — ატყვევებს, მათ შორის ყმაწვილებსაც ყოველ საღამოს ჯაჭვით წყვილ-წყვილად აბამდნენ, დილით კი ჯაჭვებს ხსნიდნენ“, ახალშეძენილებს „მაშინვე გახდიდნენ ძონძებს, რომლებშიც იყვნენ გახვეულები აცმევდნენ ახალ საცვლებს და ტანსაცმელს და აწყებინებდნენ მუშაობას. კაცებს და ბიჭებს ასრულებინებდნენ გემზე სამუშაოებს, ქალებს და ქალიშვილებს კი საკერავებს აძლევდნენ. თითქოსდა ყველა კმაყოფილი ჩანდა ტანსაცმლითა და საჭმლით, რომელსაც მათ აძლევდნენ, სამუშაო კი დიდი ტანჯვა იყო მათთვის, ხშირად ჯოხით აიძულებდნენ ემუშავათ“[21].

ტრაპიზონსა და სტამბოლში ჩაყვანილი ტყვეები ოსმალო ვაჭრებს მონათა ბაზრებზე მიჰყავდათ. XIX საუკუნემდე მონათა ბაზრები ოსმალეთის ყველა დიდ ქალაქსა და ნავსადგურში არსებობდა, ამ დროიდან კი მათი ოდენობა მცირდება საერთაშორისო ხელშეკრულებების ზეგავლენით.

სტამბოლის მონათა ბაზარი XVI საუკუნეში აღწერილი აქვს ჩეხ აზნაურს ვრატისლავს, რომელმაც რამდენიმე ხანი დაჰყო ოსმალთა ტყვეობაში 1591

[16] სსცსა, ფ. ;11, ანაწ. I, ს. 567, ფ. 12.
[17] იქვე, ფ. 13.
[18] იქვე, ფ. 14.
[19] ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212—213.
[20] სსცსა, ფ. 11, ანაწ. 1, ს. 567, ფ. 14—15.
[21] ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212—213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს[22]. თავისი გარეგნული იერ-სახით სტამბოლის მონათა ბაზარი XIX საუკუნეშიც არ შეცვლილა. ამ საუკუნის 30-იან წლებშიც ბაზარში კედლის გასწვრივ გაკეთებული იყო ფარდულები და ლოჟები, რომლებიც გისოსებით იყო შემოკავებული. მათში მხეცების დარად იჯდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოჰყავდათ. გისოსებს შორის საკმაოდ ფართო ადგილი იყო დატოვებული, რომ მყიდველებს „საქონლის“ დათვალიერების შესაძლებლობა ჰქონოდათ. მაჰმადიანურ სახელმწიფოში სასტიკად იკრძალებოდა ქალის სახის ნახვა, მაგრამ აქ მყიდველთათვის გამონაკლისს უშვებდნენ. მათ ნება ჰქონდათ გალიაში შესულიყვნენ და გაესინჯათ მონის აგებულება, ჯანმრთელობა, კბილები. მონას აიძულებდნენ ეარა, ეხტუნა და სხვ. ქალებისა და ქალიშვილების დასათვალიერებლად ბაზარში ჰყავდათ საგანგებოდ გამოყოფილი დედაკაცები, რომლებიც იძლეოდნენ ზუსტ ცნობებს მათ ფარულ ღირებულებებსა და ნაკლოვანებებზე[23].

თანამედროვეთა ცნობით, XVII საუკუნეში ომში ტყვედ ჩავარდნილთა და სულთნისთვის ხარკად და საჩუქრად მიცემულთა გარდა კონსტანტინეპოლში ყოველწლიურად თავს იყრიდა ოცი ათასამდე მონა-ტყვე[24]. წყაროთა ცნობები დას. საქართველოდან გაყვანილ ადამიანთა რაოდენობაზე განსხვავებულია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ რომ იგი ყოველწლიურად საშუალოდ ოთხ ათასამდე აღწევდა. ასე რომ, ქართველები მონათა ბაზარზე მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ.

XVIII საუკუნეშიც „იასირ ბაზარზე“ არაბებთან ერთად უმრავლესობას ქართველი ტყვეები შეადგენდნენ[25], ხოლო ამ საუკუნის მიწურულიდან მათი ხვედრითი წილი თანდათან კლებულობს.

დროთა განმავლობაში, ოსმალთა ბატონობის წყალობით, საქართველოში ტყვეების თავშეყრის მნიშვნელოვანი ცენტრები წარმოიშვა, უპირატესად შავი ზღვის სანაპიროზე. კათოლიკე მისიონერის ქრისტოფორო დე კასტელის ცნობით, საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქებში ყოველწლიურად საჯარო ვაჭრობა იმართებოდა ყველა ჯურისა და ასაკის ბავშვთა, ქალთა და კაცთა გასაყიდად. აქედან გადიოდნენ კონსტანტინეპოლში ქრისტიანების მიერ გაყიდული ბავშვებით დატვირთული გემები[26]. ტყვეებით ვაჭრობაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ზღვის სანაპიროს მცხოვრებნი, რომლებიც „ყაჩაღობდნენ, ხალხს იტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდდნენ,..“.

ქრისტოფორო კასტელს უნახავს ადამიანებით ვაჭრობის რამდენიმე ცენტრი და ბაზარი, რომელთა საინტერესო ჩანახატებიც მან დაგვიტოვა. მას ჩაუხატავს „ბავშვების ბაზარი ქობულეთის მოედანზე გურიის პროვინციაში“, სადაც მოდიოდნენ „სხვებთან შედარებით უფრო მეტად თურქები და ყიდულობდნენ ქრისტიან ტყვეებს“, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათასამდე იყო ყოველწლიურად[28].

---

22 Приключение чешского дворянина Вратислава в Константинополе и в тяжкой неволе у турок с австрийским посольством в 1591 г., М., 1904, გვ. 111.

23 Константин Базиль, Константинопольский очерк, II, СПб, 1835, გვ. 50.

24 ჟან ბატისტ ტავერნიე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

25 Ант. Титов. Константинополь в описании русского путешественника в первой половине XVIII века, М., 1911, გვ. 11.

26 დონ ქრისტოფორო დე კასტელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

27 იქვე, გვ. 129.

28 იქვე, გვ. 117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტიც ადასტურებს, რომ „გურიის სამთავროში, ზღვის პირად, სახელდობრ ქობულეთში, მუდამ ტყვეებით ვაჭრობენ“, მისი თქმით, ამას ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ „ახლო ქალაქებიდან — რიზე, გონიო, ტრაპეზონდიდან მოდის მრავალი ვაჭარი ოსმალი. მათ მოაქვთ ბლომად ფული და ტანისამოსი, რაც ფრიად ესაჭიროება აქაურ გაჭირვებულ ხალხს. ოსმალები კი სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომაც აქ მოჰყავთ ოსმალებზე ტყვედ გასასყიდლად ქართველებიც, კახელებიც და აფხაზებიც[29].

წყაროები ადასტურებს, რომ არა მარტო XVI—XVIII სს, არამედ მთელი XIX ს. პირველი ნახევრის მანძილზე ქობულეთი წარმოადგენდა ადამიანების გატაცებისა და გაყიდვის მნიშვნელოვან ცენტრს. გურიის ეპარქიის არქიმანდრიტი არსენი ბარონ როზენისადმი 1833 წლის 20 სექტემბერს მირთმეულ მოხსენებით ბარათში აღნიშნავს, რომ „ქობულეთი არის გურიის სამთავროს დამბნელებელი და წარმტაცებელი“, ქობულეთის „შეწევნითა და მეშვეობით „მოქმედებდნენ სჯულისაგან განმდგარი ავაზაკები, ამიტომაც თხოვს მთავარმართებელს შეზღუდონ გურულთა ურთიერთობა ქობულეთთან და მკაცრი ზომები მიიღონ ტყვის მსყიდველთა წინააღმდეგ.[30].

რაც უფრო ახლოს მდებარეობდა თურქულ პროვინციებთან საქართველოს ესა თუ ის ნაწილი, მით უფრო მეტი იყო ამ რაიონებში ტყვეებით ვაჭრობა. ისტორიულად ქართულ ციხე-სიმაგრეებს უკვე ოსმალები ფლობდნენ და ისინი ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად იყო გადაქცეული. მაგ., მსგავს ავაზაკთა თავშესაფარი იყო გონიოს ციხე-სიმაგრე, აქ „იყიდებოდნენ დიდი რაოდენობით სულითა და ხორცით საცოდავი ქართველები, აფხაზები და სხვ“[31].

ტყვის სყიდვა თურქთა ძლიერი ექსპანსიის წყალობით ფართოდ იყო გავრცელებული აფხაზეთში. ევლია ჩელების მოწმობით, აფხაზი თავადაზნაურები განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს, „ბავშვებს და ქალებს იტაცებდნენ, ტყვეებს ჰყიდდნენ და ასე ცხოვრობდნენ“[32]. აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარზეც განუწყვეტლივ ძარცვა-რბევას ჰქონდა ადგილი. აფხაზი ფეოდალები თავიანთი რაზმებით სამეგრელოს ესხმოდნენ თავს, მეგრელი ფეოდალები—აფხაზეთს. გატაცებული ტყვეები მიჰყავდათ მახლობელ ნავსადგურებში, რომლებიც ბლომად იყო მიმოფანტული აფხაზეთის სანაპიროზე: სოხუმი, ოჩამჩირე, კელასური, გუდავა და სხვ[33]. XIX საუკუნის ერთი ცნობის თანახმად, აფხაზეთ-ჩერქეზეთში ტყვეებით მოვაჭრე კონტრაბანდისტები 60-მდე ნავსადგურით სარგებლობდნენ, რომელთა უმრავლესობა მდინარეების შესართავებთან იყო განლაგებული[34].

შავი ზღვის სამეგრელოს სანაპიროზე გაჩაღებული ტყვეებით ვაჭრობის შესახებ დონ პიეტრო ავიტაბილე გულისტკივილით წერს: „როცა მაცნობეს ადამიანებით გახურებული ვაჭრობის შესახებ, რომელიც ამ ზღვაზე ხდებოდა. ჯერ ძნელად დავიჯერე. ახლაც თვალებიდან იმდენი ცრემლი მეღვრება, რამდენი მელანიც არ გამომიყენებია ამ ქაღალდზე. არის ისეთი ადგილები, სადაც

---

[29] დონ ქრისტოფორო დე კასტელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

[30] სსცსა, ფ. 2, ანაწ. I, ს. 3359, ფ. 10—11.

[31] დონ ქრისტოფორო დე კასტელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[32] ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, I, თბ., 1971, გვ. 102.

[33] აქტები, X, გვ. 268.

[34] სსცსა, ფ. 11, ანაწ. I, ს. 567, ფ. 108—109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემონის ვაჭრები ან მისგან შეგონებულნი ასეთ აღებ-მიცემობას დახარბებულნი ცხოვრობენ“[35].

თანამედროვეთა ცნობით, XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ნავმისადგომებს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მოადგებოდნენ თურქ ვაჭართა გემები, რომელთაც აქ ნაყიდი ტყვეები მონათა ბაზრებზე მიჰყავდათ[36]. პატრი იოსებ ჯუდიჩი თავის „სამეგრელოს აღწერაში“, რომელიც ხელმძღვანელობას გაუგზავნა რომში 1640 წლის 20 სექტემბერს, წერს, რომ „ამ თვეში ძიდიან სამეგრელოდან კონსტანტინეპოლში თათრების გემები, დატვირთული იმ ქვეყნის საქონლითა და, განსაკუთრებით ურიცხვი ქრისტიანი ყმაწვილებით, რომლებიც თათარს მიჰყიდეს მეგრელებმა და ქართველებმა“[37].

1672 წლის სექტემბერში ზღვით სამეგრელოში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი მოგზაური და იუველირი ჟან შარდენი. 10 სექტემბერს ის ისგაურში (სკურჩა.—ა. კ.), სამეგრელოს ერთ-ერთ პატარა ნავსადგურში ჩასულა. მისი დახასიათებით, ეს იყო სრულიად დაუსახლებელი ადგილი, სადაც ვაჭართა ჩამოსვლის დროს სახელდახელოდ რამდენიმე ფაცხას დგამდნენ. როგორც ირკვევა, ეს უბადრუკი ადგილი ტყვეთა ბაზრის როლსაც ასრულებდა... შარდენის იქ ყოფნისას ბაზარზე არაფერი ყოფილა, „გარდა ბორკილებიანი ტყვეებისა და თორმეტიოდე შიშველ-ტიტველი გლახისა“, რომლებიც თურმე საბაჟოს ზედამხედველები იყვნენ[38].

ადამიანებით ვაჭრობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრს დას. საქართველოს ზღვის სანაპიროზე XVI—XIX სს. წარმოადგენდა ანაკლია მდ. ენგურის შესართავთან. XVII საუკუნეში ანაკლია წარმოადგენდა სოფელს, სადაც ასამდე სახლი იდგა. თვითმხილველის ცნობით, „ამ სოფელში ყოველთვის არიან ტყვეების შემსყიდველი თურქები და ნავები, რომლითაც მიყავთ ისინი“[39]. ანაკლიაში ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ცხოვრობდნენ თურქები, რომელთა უმრავლესობას ანატოლიიდან გამოქცეული ყაჩაღები და მაწანწალები შეადგენდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა კონტრაბანდა და ტყვეებით ვაჭრობა იყო[40].

შავ ზღვაზე ოსმალთა გაბატონების დროიდან სამეგრელოს სანაპიროზე ტყვეებით ვაჭრობის ცნობილ პუნქტს წარმოადგენდა ფოთის ციხე-სიმაგრე. აქ თავს იყრიდნენ დას. საქართველოდან გატაცებული ადამიანები, რომლებიც გემებით იგზავნებოდნენ ტრაპიზონსა და კონსტანტინეპოლში[41]. XIX საუკუნის დამდეგშიც გენ. ლიტვინოვი თავის „იმერეთისა და სამეგრელოს აღწერაში“ სავანგებოდ გამოჰყოფს „ფოთის მცხოვრებთ“, რომლებიც დიდ გულმოდგინებას იჩენდნენ ადამიანებით ვაჭრობაში[42]. ამავე პერიოდში რუსეთის მთავრობა, მოითხოვდა რა პორტასაგან ფოთის ციხესიმაგრის დათმობას, ამ მოთხოვნის სამართლიანობას იმით ასაბუთებდა, რომ აქ მოკალათებული იყვ-

---

35 დონ პიეტრო ავიტაბილე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

36 დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე (XVII საუკუნე) თბ., 1964, გვ. 45.

37 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1907, გვ. 177.

38 ჟან შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106—107.

39 იქვე, გვ. 215.

40 Руководство к познанию Кавказа Михаила Селезнева, кн. II, СПб., 1847, გვ. 134.

41 იქვე, გვ. 113.

42 აქტები, II, გვ. 215.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ ყაჩაღები, რომლებიც იტაცებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ და თურქეთში ყიდდნენ მაშინ, როცა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების თანხმად ადამინებით ვაჭრობ სრულიად აკრძალული იყო[43].

დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის მთელ მანძილზე ანტიქართული საქმიანობის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენდა ახალციხე. ოსმალო ხელისუფალნი დასავლეთ საქართველოზე კონტროლს სწორედ ახალციხის ფაშების მეშვეობით ახორციელებდნენ. ახალციხეზე გამავალი გზა წარმოადგენდა ძირითად სახმელეთო გზას საქართველოში მოთარეშე ტყვის მსყიდველთათვის. ამ გზით გაჰყავდათ თურქეთში არა მარტო დას. საქართველოში დატყვევებულნი, არამედ ლეკთა მიერ ქართლსა და კახეთში გატაცებული ადამიანებიც[44].

XVIII ს-ის 50-იან წლებში იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა ენერგიულ ღონისძიებებს მიმართა ოსმალთა ბატონობის, ხარკად ქალ-ვაჟების მოთხოვნისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ და შეძლო კიდეც გარკვეული წარმატების მიღწევა. 1774 წელს რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ოსმალეთს აეკრძალა დას. საქართველოს სამეფო-სამთავროებისაგან ხარკად ქალ-ვაჟების მოთხოვნა. რუსეთის მთავრობამ უფრო ინტენსიური ღონისძიებები გაატარა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ დას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. რუსეთის ჯარებმა დაიკავეს შავიზღვისპირა ციხე-სიმაგრეები, რითაც ტყვეობით ვაჭრობის კერები მოისპო და თანდათან მოიშალა ადამიანებით ორგანიზებული ვაჭრობაც.

А. КИЛАСОНИЯ

## ОРГАНИЗАЦИЯ И ЦЕНТРЫ ТОРГОВЛИ ЛЮДЬМИ В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ В ПОЗДНЕЕ СРЕДНЕВЕКОВЬЕ

Резюме

С XVI века в Западной Грузии торговля людьми приняла определенную организованную форму. В Имеретии, Гурии, Мегрелии и Абхазии существовали специальные корпорации продавцов пленников. Они имели своих агентов для розыска и похищения людей. В народе их называли «курсалами». У них покупали пленников турецкие работорговцы — «иесирджи», которые отправляли их своим компаньонам в Турцию.

В Западной Грузии существовали определенные места сбора пленников, преимущественно на Черноморском побережье: Батуми, Кобулети, Поти, Анаклия, Сухуми, Анакопия и др. Важным центром этой торговли являлся Ахалцихе, где собирали пленников как из Западной, так и из Восточной Грузии.

В первой половине XIX века все Черноморье постепенно заняли русские войска, в результате чего были ликвидированы важнейшие центры работорговли в Западной Грузии.

---

43 Внешняя политика Рссий, I серия, т. I, М., 1960, გვ. 618.

44 კ. კოხისა და ო. სპემსერის ცმობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1981 გვ. 188.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინე კიკნაძე

# ტერმინ „ჯალალის“ მნიშვნელობისათვის XVII—XVIII საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში

XVI—XVII საუკუნეებში ოსმალეთი მოიცვა მძლავრმა ანტიფეოდალურმა აჯანყებებმა, რომლებიც აზერბაიჯანში, სომხეთსა და ქურთისტანშიც გავრცელდა[1]. ამ აჯანყებებს სათავე დაუდო 1519 წელს თოყათის მიდამოებში წამოწყებულმა გლეხთა აჯანყებამ შეიხ ჯელალის მეთაურობით. დამარცხების მიუხედავად, აჯანყებამ საგრძნობი კვალი დატოვა ოსმალეთის ისტორიაში, ხოლო მისი ხელმძღვანელის სახელიდან ნაწარმოები „ჯელალი“ („ჯალალი“) მეამბოხის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად იქცა[2]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ „ჯელალიებს“ მხოლოდ ანტიფეოდალური სახალხო აჯანყებების მონაწილეებს კი არ უწოდებდნენ, ცალკეული ფეოდალების, სულთნის ნაცვალთა თუ სხვა დიდგვაროვან პირთა გამოსვლებსაც ხელისუფლების წინააღმდეგ „ჯელალიების“ აჯანყებები დაერქვა[3].

როგორც ითქვა, XVI—XVIII საუკუნეებში „ჯელალი“ („ჯალალი“) საყოველთაო ტერმინად იქცა და შევიდა მეზობელი ხალხების, მათ შორის ქრისტიანი ხალხების, ენებშიც, კერძოდ, სომხურსა[4] და ქართულში.

ქვემოთ განხილულია კონკრეტული მასალა, რომელსაც XVII—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა გვაწვდის ტერმინ „ჯალალის“ შესასწავლად.

განსახილველი ძეგლებიდან ყველაზე ადრინდელია მეფე პოეტის არჩილის ისტორიული პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ (დაწერილია 1681—1682 წლებში). ამბავი ხდება XVII ს-ის მეორე ათწლეულში. შაჰ აბასის რისხვის შიშით იმერეთს მეორედ გადახვეწილი თეიმურაზი ჯერ გურიაში გადავიდა, რადგან იმერეთში ყოფნა გაუჭირდა[5], მერე კი შვიდასკაციანი ამა-

---

[1] ვ. ფუთურიძე, სოციალური მოძრაობები ოსმალეთში, წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 273; А. С. Тверитинова, Восстание Кара-Языджи — Дели-Хасана в Турции, М.—Л., 1946, გვ. 34; И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949, გვ. 326—331; А. А. Рахмани, Азербайджан в конце XVI и в XVII веке, Баку, 1981, გვ. 52—63; W. T. Griswold, Djalāli. The Encyclopaedia of Islam, new ed. Supplement, fasc. 3—4. Leiden, 1981, გვ. 238—239.

[2] А. С. Тверитинова, Восстание Кара-Языджи — Дели-Хасана, გვ. 34.

[3] იქვე, გვ. 8.

[4] Аракел Даврижеци, Книга историй. Перевод с армянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян, М., 1973, გვ. 89—98.

[5] „რა დავჰყავით ხანი რამე, სასყიდელი დაგვიძვირდა, ვერ ვიშოვნით დიდის ფასით, ნახევრად რომ არა ღირდა“ (არჩილიანი, ტ. II, თბ., 1937, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 66).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით ოსმალეთს მიაშურა და სულთანს შემწეობა სთხოვა. სულთანი იმ დროს „სხვის ქვეყნისაკე ლაშქრობდა“, ამიტომ, თუმცა დიდი წყალობა კი უყო თეიმურაზს[6], მაგრამ ყიზილბაშთა წინააღმდეგ დახმარებაზე უარი უთხრა. ამის შემდეგ პოეტი ათქმევინებს თეიმურაზს:

წამოველ, გზაზე ჯალალი შვიდჯერ შემებნეს ერთს დღესა,
შვიდჯერვე მე გამემარჯვა, ვამგზავსე ცუდს მებეგრესა,
ვერც ყმა დამაკლეს და ოდენ ვერცავინ დამიკოდესა,
თუცა მოეგდოთ კარები, იმათვე მალ გააღესა[7].

იგივე ამბავი გადმოცემულია „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში, რომელიც „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ არის შედგენილი XVIII ს-ის პირველ მესამედში. „სწავლული კაცები“ მოგვითხრობენ, რომ, როდესაც თეიმურაზი სტამბოლს მივიდა და ჯარი ითხოვა, ის დიდი პატივით მიიღეს. „ხოლო მაშინ ყიზილბაშთა და ურუმთა შუა საფიცარი იყო და შერიგებულიყვნენ. როდეს გაეყოთ ქვეყნები, პირობა დაედვათ, რომე არღარა იყოს ბრძოლა ერთმანერთშია, და ამისთჳს არ აჰყვა ხონთქარი და მოსცა სანჯახები, და მრავალი წყალობა უყო და გამოისტუმრა. და წარმოვიდა ბატონი თეიმურაზ. მას ჟამსა იყვნენ ხონთქრის მამულში მრავალნი ჯალალნი, განდგომილნი ხონთქრისანი, დახუდენ ბატონს თეიმურაზს წინა. და ამას ახლდა შჳდასი კაცი და იგინი იყვნენ ურიცხუნი, და მრავალნი შემოებნენ ბატონს თეიმურაზს. მისცა ღმერთმან გამარჯუება და ბატონს თეიმურაზს გაემარჯუა და ამოსწყჳტა მრავალი ჯალალი“[8].

ვახუშტი ბაგრატიონიც მოგვითხრობს, რომ სტამბოლს მისული თეიმურაზი „კეთილად შეიწყნარა სულტანმან მუსტაფამ[9]. შემდგომად სთხოვა შეწევნა, არამედ ხონთქარს აქუნდა ბრძოლა დასავლით, არღარა მოსცა სპანი, არამედ ანიჭნა დიდ-დიდნი და გამოუტევა.

მას ჟამსა იყვნენ ანატოლსა შინა ჯალადნი მრავალნი და ესენი უყოფდენ თეიმურაზს ბრძოლასა მრავალგზის, არამედ მარადის მძლედ მოსწყჳდნა თეიმურაზ, რამეთუ დღესა ერთსა შჳდგზის ეკუეთნენ სხუადასხუანი. გარნა ყოველნი მოსრნა ძალითა ზენათი, რამეთუ ერთიცა კაცი არა დამკლე ექმნა თეიმურაზს“[10].

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ მოყვანილ ყველა მაგალითში ერთი და იგი-

---

6 „მიბოძა, საათაბაგოს რაც მაშინ მისთვის ხასობდა:
გონია, ყარაისარი, სხვა სანჯახები ასობდა;
სხვა საბოძვარი ხალათი, თქვეს თუ, ძლივ დაიფასობდა“. (არჩილიანი, II, გვ. 67).

7 იქვე (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია).

8 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 403. იხ. აგრეთვე, ბ. ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940, გვ. 147.

9 მუსტაფა I 1617—1618 წლებში იყო სულთნად. არჩილი და „სწავლული კაცები“ თეიმურაზის სტამბოლში ჩასვლის დროს სულთნად ასახელებენ იბრაჰიმს, რომელიც 1640—1648 წლებში იჯდა ტახტზე. ეს შეცდომა შენიშნა ვახუშტიმ, რომელიც ამიაზე წერს „სხვანი სწერენ სულტანს იბრაიმს, არამედ ამ იბრაიმის დროს არცა იყო შააბაზ და არცა ეს ქ˜კნები“ (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 590, შენიშვნა 1).

10 იქვე, გვ. 590. იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. მეორე დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854, გვ. 118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე ეპიზოდი მეორდება: ოსმალეთის ტერიტორიაზე მეფე თეიმურაზს თავს დაესხნენ „ჯალალიები“, რომლებიც მაშინ იქ მრავლად იყვნენ. თეიმურაზი რამდენიმეჯერ შეებრძოლა მათ და სასტიკად დაამარცხა[11]. უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი „ჯალალის“ ნაცვლად „ჯალადს“ წერს. საფიქრებელია, რომ ის არ იცნობდა „ჯალალის“ მნიშვნელობას, ამიტომ ნაცნობ „ჯალათს“ მიამსგავსა ის. ამის შედეგად გაჩნდა მის ტექსტში ფორმა „ჯალადი“ (ვახუშტის თხზულების მ. ბროსესეულ ფრანგული თარგმანში ჩვენთვის საინტერესო ტერმინი სწორად არის გადატანილი და ახსნილია როგორც ავაზაკი[12]).

ის გარემოება, რომ ჩვენი საკვლევი ტერმინი სხვადასხვა თხზულებაში გადმოცემულ ერთსა და იმავე ეპიზოდში გვხვდება, საკმაოდ ადვილი ასახსნელია: XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის გამგებელმა ვახტანგ VI-მ შეკრიბა „სწავლულ კაცთა“ კომისია და დაავალა მას „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწორება და შევსება[13]. ამ რთული დავალების შესასრულებლად კომისიამ გამოიყენა სხვადასხვა სახის უცხოური და ქართული წყაროები, მათ შორის, ქართული საისტორიო პოემებიც. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ XVII ს-ის პირველი ნახევრის, სახელდობრ, ქეთევანის დედოფლობის და თეიმურაზის მეფობის პირველი პერიოდის ამბების თხრობისას „სწავლულ კაცებს“ არჩილის „თეიმურაზიანი“ გამოუყენებიათ[14]. ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია თეიმურაზის ბრძოლა „ჯალალიებთან“, სწორედ ამ პერიოდში თავსდება. ამრიგად, ირკვევა, რომ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში ტერმინი „ჯალალი“ არჩილის პოემის მეშვეობით მოხვდა.

ვახუშტი ბაგრატიონმა მრავალი შეცდომა აღმოაჩინა „სწავლულ კაცთა“ მიერ შედგენილ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში და მკაცრად გააკრიტიკა ის. ამავე დროს ვახუშტიმ, რომელიც თავისი თხზულების წერისას ვახტანგისეული რედაქციის „ქართლის ცხოვრებით“ სარგებლობდა[15], ზოგიერ-

---

[11] ამავე ეპიზოდს გადმოგვცემს ფ. გორგიჯანიძეც, ოღონდ მას სხვა წყაროთი უსარგებლია, რის გამოც მისი მონათხრობი რამდენადმე განსხვავებულია. კერძოდ, გორგიჯანიძის ცნობით, დახმარების სათხოვნელად ოსმალეთში წასულ თეიმურაზს ხუთასი კაცი ხლებია თან. სულთანმა უარი უთხრა მას ირანის წინააღმდეგ დახმარებაზე და გამუსლიმანება მოსთხოვა. ამაზე თეიმურაზს უპასუხნია: „ამდენს ამისთვის ვირჯები, რომ რჯული არ დავაგდოო და იმათი რჯული არ დავიჭიროო. ახლა რით იქნებისო, რომ თქვენი რჯული დავიჭიროო“. თეიმურაზი განაწყენებული გამობრუნდა ოსმალეთიდან. სულთანმა რომ მისი წამოსვლა შეიტყო, „ებძანებინა, ყველგან ჩაფრები გაგზავნეთ, გზები შეუკრანო და ნუ გაუშვებენო. საცა ჩაფრები მივიდნენ, გზები შეუკრეს, და საც გზაზე ჯარი დახვდომოდა, გაელახა და გაეარა“ (ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, წიგნი II, ტფ., 1926, გვ. 23). ამგვარად, გორგიჯანიძის მიხედვით, თეიმურაზს „ჯალალიები“ კი არა, სულთნის გამოგზავნილი რაზმები ებრძოდნენ. იგივე ეპიზოდი რამდენადმე უფრო ვრცლად გადმოცემულია აგრეთვე ე. წ. „პარიზის ქრონიკაში“ (ცხოვრება საქართველოჲსა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 85—86).

[12] Histoire de la Géorgie, trad. du georgien par M. Brosset, II partie, I livr., SPb., 1856, გვ. 165.

[13] „სწავლულ კაცთა“ კომისიის საქმიანობის შესახებ დაწვრილებით იხ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 197—278.

[14] დ. კაციტაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ („სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაშრომის) XVII საუკუნის ქართული წყაროები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. 2, თბ., 1962, გვ. 110, 114—118.

[15] შ. მესხია, ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. „ანალები“, I, თბ., 1947, გვ. 17, 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მასალა გამოიყენა „სწავლულ კაცთა“ ნაშრომიდან. კერძოდ, „სადაც ვახუშტის სანდოდ მიაჩნდა „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ამბები, ისინი მან შეიტანა თავის ისტორიაში“[16]. ამ გზით უნდა იყოს მოხვედრილი ვახუშტის თხზულებაში თხრობა თეიმურაზის და „ჯალალიების“ (ვახუშტისთან „ჯალადნი“) ბრძოლის შესახებ.

მაშასადამე, არჩილმა ტერმინი „ჯალალი“ პირველმა ახსენა თავის პოემაში, საიდანაც ის შემდეგ მოხვდა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში, ხოლო აქედან — ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში.

ტერმინი „ჯალალი“ დამოწმებულია აგრეთვე იოსებ სააკაძის „დიდმოურავიანში“. ავტორი ათქმევინებს გიორგი სააკაძეს:

> ცოლშვილი სამცხეს დავაგდე, მოყვრები მიიბარევდეს,
> ბატონიშვილსა მე ვახლდი, იესე ჩემი მარევდეს,
> ხვანთქრის კარზედან წაველით, გზად ჩვენთვის დარნი დარევდეს,
> ყაზახ მეკობრე, ჯ ა ლ ა ლ ი ჩვენს ვერას მოიპარევდეს[17].

აქ მოთხრობილი ამბავი შეეხება 1626 წელს დიდი მოურავის გამგზავრებას ოსმალეთის სულთნის კარზე და, როგორც ვხედავთ, ამ სტროფში ნახსენები „ჯალალიც“ XVII საუკუნეში ოსმალეთის ტერიტორიაზე მოქმედ მეამბოხეებს გულისხმობს.

„ჯალალის“ ხსენება გვხვდება აგრეთვე XVII ს-ის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებაში“. ფ. გორგიჯანიძე ორმოცი წლის მანძილზე ცხოვრობდა ირანში და დაახლოებული იყო შაჰის კართან, სადაც მაღალი თანამდებობები ეჭირა.

გამოყენებული წყაროების ხასიათის მიხედვით ივ. ჯავახიშვილმა ოთხ ნაწილად გაჰყო ფ. გორგიჯანიძის თხზულება[18]. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა მესამე ნაწილი, რომელიც XIV ს-ის დასასრულიდან XVII ს-ის პირველ ნახევრამდე ისტორიას მოგვითხრობს და სპარსულ წყაროებს ემყარება. საერთოდ, ფ. გორგიჯანიძის ნაწერებში სპარსული ენის ძლიერი გავლენა შეინიშნება[19], რაც ირანში ხანგრძლივად ცხოვრებით აიხსნება. ეს გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია ხსენებულ მესამე ნაწილში. აქვე გვხვდება ჩვენი საკვლევი ტერმინი „ჯალალი“. ფარსადანი წერს: „რა აზრუმს მივიდნენ, აბაზა ფაშა ჯ ა ლ ა ლ ი შეიქნა და აზრუმის ციხე უკუიჭირა“[20].

აბაზა ფაშა არზრუმის ვილაიეთის ბეგლარბეგი იყო. მან ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მოაწყო აჯანყება, რომლის ჩაქრობა

---

16 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ვახუშტის საისტორიო ნაშრომი: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, წიგნში: ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 035.

17 „ჩვენი საუნჯე“, ტ. IV, თბილისი, 1960, გვ. 381, სტრ. 415.

18 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1945, გვ. 288—293. ამჟამად ამ დაყოფაში ზოგიერთი მნიშვნელოვანი კორექტივია შეტანილი (იხ. რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 20—23).

19 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი (საისტორიო საბუთების შესწავლილობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“), ტფ., 1907, გვ. 7; ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. X; მ. გობეჯიშვილი, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ როგორც წყარო სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, თბ., 1973, გვ. 83.

20 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 29.

1628 წლის სექტემბერში ძლივს მოახერხეს და აბაზა ფაშა სიკვდილით დასაჯეს[21]. სწორედ ეს აჯანყება აქვს მხედველობაში ფ. გორგიჯანიძეს.

მეორედ „ჯალალი“ გორგიჯანიძესთან იხსენიება ე. წ. მეოთხე ნაწილში, რომელიც თხზულების ორიგინალურ ნაწილად ითვლება და ძირითადად ავტორის მიერ პირადად ნანახი და განცდილი ამბების აღწერას შეიცავს.

გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ არჩილის (შაჰნაზარ-ხანის) იმერეთში მეორედ გამეფების გამო (1678—1679 წწ.) იმერეთის მეფე ბაგრატმა გურიას შეაფარა თავი. გურიელმა ბაგრატი არზრუმის ფაშასთან მიიყვანა, იმან კი ოსმალეთის სულთანს მოახსენა ეს ამბავი. სულთანმა ფაშას არჩილის შეპყრობა უბრძანა და თან დაავალა, „თუ ყაენის ბძანებით მოსრულიყოს, ჩვენ შეგვატყობინეთო. ეს ანბვები აზრუმის ფაშას შიხალი ხან ეჰტიმადოვლესათვის მოეწერა. ამან ასრე მისწერა: ჩვენ წაგვსვლიაო და ჯალალი შექნილაო, თავის თავათ აქეთ იქით ქვეყანას არბევსო“[22].

როგორც ვხედავთ, ფარსადან გორგიჯანიძეს ფართო მნიშვნელობით ესმოდა „ჯალალი“, საერთოდ აჯანყებულის, განდგომილის შინაარსს სდებდა ამ სიტყვაში. უთუოდ საყურადღებოა ისიც, რომ მას ორივე შემთხვევაში მაღალი წრის, ერთხელ კი ქართული სამეფო გვარის წარმომადგენელი ჰყავს „ჯალალად“ მოხსენიებული. ფარსადანმა იცოდა, რომ „ჯალალი“ მხოლოდ დაბალი ფენის მეამბოხეს კი არ აღნიშნავდა, არამედ საერთოდ ყველა აჯანყებულს.

არჩილის თხზულებათა გამოცემებისთვის დართულ ლექსიკონებში „ჯალალი“ არ არის შეტანილი, დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია როგორც „წინა-აღმდექი, მეამბოხე, მეშფოთარი; бунтовщик“[23]; ამავე ლექსიკონში შეტანილია აგრეთვე „ჯალადიც“, რომელიც ახსნილია, როგორც „მტარვალი, ავაზაკი“[24]

ფ. გორგიჯანიძის თხზულების ს. კაკაბაძისეულ გამოცემას დართული აქვს „ხმარებაში არა-ხშირად მყოფ ზოგ უცხო სიტყვის და ზოგ ტერმინის განმარტება“, სადაც „ჯალალი“ ახსნილია, როგორც „თავისი ქვეყნიდან გასული“[25]. როგორც ჩანს, განმარტება ემყარება კონტექსტის შინაარსს: „ჩვენ წაგვსვლიაო და ჯალალი შექნილაო“.

„ჯალალის“ ხმარების კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა გვხვდება საიათნოვას ლექსში „რა იქნება დამიძახო“. აშუღი ასე მიმართავს სატრფოს:

რა იქნება დამიძახო, ჰალალი ხარ, დაგინახო,
რა იაყუთი, ალმასი, რა ლალი ხარ, დაგინახო,
მეშინიან დამიჭირო, ჯ ა ლ ა ლ ი ხარ, დაგინახო,
ბულბული ვარ, ვარდს დაველებ, ალალი ხარ, დაგინახო[26].

[21] მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნ. შენგელიას გამოც., თბ., 1979, გვ. 269, შენიშვნა 230.

[22] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 68; იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. მეორე, გვ. 549.

[23] ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელახლად შემუშავებული დავით ჩუბინოვისაგან, სპბ., 1887, სვ. 1784 (განმარტება ემყარება ფ. გორგიჯანიძის ფრაზას — „ჩვენ წაგვსვლიაო და ჯალალი შექნილაო“). ეს განმარტება, დ. ჩუბინაშვილის დამოწმებით, გაზიარებულია „ქართლის ცხოვრების“ II ტომის ლექსიკონში (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 628).

[24] იქვე (განმარტება ემყარება ვახუშტის ფრაზას — „მას ჟამსა იყუნენ ანატოლსა შინა ჯალადნი მრავალნი“).

[25] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 111; მსგავსი განმარტება გვხვდება „დიდმოურავიანის“ ლექსიკონში, რომელიც შედგენილია გ. ლეონიძის მიერ: ჯალალი — თავის ქვეყნიდამ გასული, გადავარდნილი (იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, 1937, გვ. 87).

[26] ს ა ი ა თ ნ ო ვ ა, ქართული ლექსები, თბ., 1963, გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიათნოვას ლექსებისათვის შედგენილ ლექსიკონში (ი. გრიშაშვილი) „ჯალალი“ არ არის შეტანილი. პოეტის მიერ ამ სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით ორი მოსაზრებაა გამოთქმული. პროფ. მ. თოდუამ „ჯალალი“ მისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით განმარტა: ჯალალი — დიადი[27]. არაბული „ჯალალ“ (جلال) ნიშნავს სიდიადეს, ბრწყინვალებას[28], ხოლო „ჯალალი“ (جلالی) მართლაც დიადი, დიდებულია[29]. ამ მნიშვნელობით ლექსი შემდეგნაირად შეიძლება გავიგოთ: მეშინია დამიჭირო და დავინახო, რომ დიადი, ჩემზე უკეთესი ხარო, ეუბნება პოეტი სატრფოს.

პროფ. ვ. გაბაშვილის აზრით, „საიათნოვასთან დამოწმებული „ჯალალი“ ოსმალეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში გლეხთა აჯანყების მონაწილის აღსანიშნავად იხმარებოდა“[30]. თუ ვივარაუდებთ, რომ საიათნოვა თავის ლექსში „ჯალალის“ სწორედ ამ მნიშვნელობას გულისხმობს, მაშინ მოყვანილი სტროფის შინაარსი ასეთი იქნება: მგოსანი ელის, რომ სატრფომ უხმოს, ნატრობს მის ნახვას, მაგრამ ამავე დროს ეშინია, სატრფომ მაცდურობით არ დაიპყროს მისი გული, ლალტი არ დაანახოს. თავის თავს ბულბულს ადარებს, რომელიც ვარდს დაეძებს და ფრთხილობს, ვარდის ნაცვლად მტაცებელ ალალს არ გადაეყაროს.

ამგვარად, ჩვენს მიერ მოძიებული მასალის განხილვის შედეგად შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება:

1. XVII—XVIII საუკუნეებში ტერმინი „ჯალალი“ მხოლოდ ოსმალეთში არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული. მას იცნობდნენ მეზობელ ქვეყნებშიც, კერძოდ, საქართველოშიც.

2. ქართველ ისტორიკოსებსა და მწერლებს სწორად ესმოდათ ამ ტერმინის მნიშვნელობა. მათ იცოდნენ, რომ „ჯალალი“ ნიშნავდა როგორც მეამბოხე გლეხსა და მდაბიოს, ისე წარჩინებული გვარის აჯანყებულსაც. მათ თხზულებებში „ჯალალს“ უფრო ფართო მნიშვნელობაც ენიჭებოდა და იხმარებოდა ზოგადად განდგომილის აღსანიშნავად.

3. „ჯალალი“ ქალაქურ მეტყველებაშიც გავრცელდა, სადაც დაკარგა სოციალური ელფერი და მაცდურის, ვერაგის, ცბიერის, მზაკვრის სინონიმად იქცა.

М. Р. КИКНАДЗЕ

## ЗНАЧЕНИЕ ТЕРМИНА «ДЖАЛАЛИ» В ГРУЗИНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ПАМЯТНИКАХ XVII—XVIII ВЕКОВ

Резюме

В XVI—XVII веках Османскую империю охватили мощные антифеодальные восстания, которые перекинулись также в Курдистан,

[27] მ. თ ო დ უ ა, საიათნოვას ლექსების ახალი გამოცემა. „ცისკარი“, 1964, № 1, გვ. 137.

[28] Х. К. Б а р а н о в, Арабско-русский словарь, М., 1958, გვ. 162.

[29] М. А. Г а ф ф а р ов, Персидско-русский словарь, т. I, М., 1974, გვ. 216.

[30] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ქართველ მწერლის თხზულებაში, წიგნში: მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968, გვ. 38.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



Армению и Азербайджан. Иногда к восставшим примыкали и отдельные мятежные феодалы По имени руководителя одного из народных восстаний 1519 г. шейха Джелала всех участников восстаний стали называть «джелали» («джалали»). Впоследствии этот термин стал обозначать вообще повстанца, мятежника, и вошел в языки соседних стран, в том числе и в грузинский язык.

В данной статье рассмотрены случаи упоминания термина «джалали» в грузинских поэтических и исторических произведениях XVII—XVIII веков и на основе их анализа сделаны следующие выводы.

Грузинские писатели и историки XVII—XVIII вв. правильно понимали значение термина «джалали». Они знали, что так назывались не только повстанцы низшего сословия, но и мятежные представители феодальной знати.

В грузинских письменных памятниках указанного периода этот термин получил более широкое значение и использовался синонимом слов «изменник», «бунтовщик». Потеряв социальный смысл, «джалали» обозначал также вообще предателя, соблазнителя, обманщика.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

РУСУДАН МЕПИСАШВИЛИ

# О НЕКОТОРЫХ ОСОБЕННОСТЯХ КОМПОЗИЦИОННОГО ПОСТРОЕНИЯ КРЕСТОВОКУПОЛЬНЫХ ЦЕРКВЕЙ ГРУЗИИ XI ВЕКА

Месторасположение Грузии между Византией и восточно-христианскими странами обусловило особенности процесса развития ее искусства. В этом процессе Грузия выявила яркие, неповторимые черты собственного творчества и создала индивидуальные, глубоко выразительные, художественно завершенные памятники.

Особенности построения памятников архитектуры, их национальной формы четко выявлены в трудах Георгия Чубинашвили. На широком материале западных стран и Ближнего Востока раскрыты им собственные черты построения грузинских базилик и купольных церквей V — VII веков и последующего времени. На примерах памятников XIII века Грузии, Византии и Армении автор дополнительно обрисовывает картину самостоятельного, независимого лица архитектуры каждой из упомянутых стран[1].

Вахтанг Беридзе в вышедшей недавно книге выявляет основные особенности построения грузинских купольных церквей X — XIII веков, на большом графическом материале одновременных памятников Византии, Армении, России и Западной Европы[2].

Нашей задачей является также показ особенностей построения памятников Грузии. Мы останавливаем внимание на крестовокупольных церквах XI века, на примерах с двумя подкупольными устоями в Грузии и четырьмя подкупольными колоннами в Византии. Армения в этот период развивает тему т. н. купольного зала, которая отличается от вышеупомянутых композиций, имея при этом ряд общих черт с грузинскими.

В построении памятников архитектуры для грузина-зодчего изначальной является ощущение стены, ее массива, ее поверхности, то, что ограничивает архитектурную форму. Материалом для облицовки повсеместно применяется камень, но камень не самодовлеет, не огруб-

[1] Г. Чубинашвили, История грузинского искусства, т. I, Тб., 1936 (на груз. яз.); Архитектура Грузии, Всеобщая история архитектуры, т. 3, Ленинград-Москва, 1966, с. 300; Болнисский Сион, Известия Института языка, истории и материальной культуры им. Н. Я. Марра, Тб., 1940; К вопросу о национальной форме в архитектуре прошлого Ars Georgica, т. 2, Тб., 1948; Памятники типа Джвари, Тб., 1948; Цроми, Москва, 1969; Архитектура Кахетии, Тб., 1959 г.

[2] Беридзе В., Некоторые аспекты грузинской купольной архитектуры, Тб., 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ляет и не отягчает сооружение. Мы видим особое любование большими гладями светлых и мягких тонов как бы бархатистой поверхности стен, оттененной легкими и изящными декоративными деталями.

В Грузии с самого раннего христианства развивалась купольная тема. Она связывается своим происхождением, как это определил Георгий Чубинашвили еще в 1924 г., с грузинским жилым домом «дарбази», прототипы которого уходят в глубокую древность. Археологический материал последних лет подтвердил это высказывание. Трехнефная базилика, унаследованная от эллинистического периода, несмотря на настояние церкви, распространения здесь не получила. Ее форма оставалась чуждой, чуждо было построение пространства на чередовании столбов или колонн и проемов. Зародилась и получила широкое распространение функционально обусловленная тема, т. н. трехцерковная базилика, с тремя самостоятельными, разделенными между собой стенами, пространствами. Трехнефная базилика не могла быть оценена, она не давала удовлетворения творческим потребностям мастера, и все силы, весь гений был направлен на сотворение купольных форм.

Начиная с V века мы встречаем в Грузии большое многообразие купольных тем: тетраконх, триконх, тип свободного креста, вписанного креста и др. В 586 — 605 годах, как величайшее творение, создается Джвари в Мцхета—тетраконх, усложненный нишами и угловыми комнатами; между 626 — 634 годами возведен не менее значительный памятник Цроми с четырьмя подкупольными устоями, в том же VII веке, в его первой половине, создан грандиозный тетраконх в Бана с круглой обходной галереей и др.

В дальнейшем происходят интенсивные поиски новых решений. Создаются новые комбинации на купольную тему. В этот период прослеживается направленность на сочетание купольных и зальных пространственных форм. Появляются купольные церкви с четырьмя подкупольными колоннами (Бобосгери VIII — IX вв.[3]), Армази Ксанский (864 г.), возводится небольшая зальная т. е. однонефная церковь в Цирколи (VIII в.), покрытая так же, как Армази, куполом без барабана[4], столь обязательного в Грузии, большая церковь в Гурджаани (VIII в.), в которой зальное пространство увенчано двумя небольшими куполами; мы имеем от того же VIII века купольную церковь в Теловани, с сильно уменьшенными поперечными рукавами[5], по сравнению с продольными рукавами подкупольного креста и др. Эта направленность особенно ярко выявилась в создании в IX веке типа купольного зала, осуществленного с большим мастерством в храме Квела-Цминда в Вачнадзиани. Чуждое национальному восприятию

---

[3] Такайшвили Эк. Альбом грузинской архитектуры, 1924, с. 20, 21.

[4] Чубинашвили Г. Н., Архитектурные памятники XIII—IX веков в Ксанском ущелье, Ars Georgica, т. I., 1942, с. I.

[5] Цинцадзе В., Джварпатиосани в сел. Теловани, Ars Georgica, т. 5, 1959, с. 73 (на груз. яз., резюме на русск. и немецком яз.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

пространственное решение этого великолепного памятника, так же как упомянутых выше других, распространения в Грузии не получило и осталось в пределах единичных примеров. Архитектура неуклонно шла по пути развития крестово-купольной темы, в ее четко выявленном тектоническом построении.

Начиная с XI века, из большого количества разнообразных, в предыдущее время разработанных архитектурных тем, применяется лишь одна, где купол основан на приабсидных углах и двух свободно стоящих устоях, например, Самтавро в Мцхета[6] (рис. 3) и Самтависи (рис. 2). В последнем восточная пара столбов придвинута к абсиде и их самостоятельное значение утеряно (купол памятника относится к XV веку). Эта установившаяся одна из самых несложных композиций связана с широким распространением стенной росписи, включающей большие, многофигурные композиции.

Архитектоническое построение интерьера носит теперь, так же как раньше, совершенно определенные черты. Купол, расположенный в центре, либо несколько сдвинутый к востоку, является основным организующим звеном. В подкупольное ядро вливаются глубокие, перекрытые сводами, пространства рукавов креста, достигающие по своей высоте основания купола. Полусфера купола, поднятая на барабане, повышает среднюю часть здания, и в интерьере создается активно воздействующая на зрителя вертикальная ось, значение которой усилено потоком света, падающего из окон барабана. Восточные помещения — жертвенник и ризница, в основном изолированы стенами с дверными проемами, а юго-западные и северо-западные полутемные отрезки выделены невысокими арками. Эти отрезки перекрыты сводами или, реже, сомкнутыми сводами, опирающимися на стены, и обособленными пространственными единицами не воспринимаются.

Интерьер крестовокупольного здания строится по принципу создания свободного, не прерываемого и не перебиваемого взлета подкупольного ядра. Подкупольные устои с возвышающимися над ними частями стен рукавов креста завершены импостами, расположенными на уровне пят подкупольных арок. Импосты западных малых арок коротки, т. е. они всего устоя не охватывают. Благодаря этому, в подкупольном пространстве создается ничем не задерживаемое течение линий от пола к куполу (рис. 4). Отход от этого построения является весьма редким и он в основном относится к позднему времени.

По низу барабана купола проведен неширокий, рельефный пояс, который создает основание купола. Он объединяет и завершает подкупольные арки, профиль которых часто включает общие с поясом элементы. Рельефная тяга бывает, кроме того, в абсиде, у пяты конхи, и, совсем редко, в зальных церквах, у основания свода, перекрывающего центральное пространство. Во всех случаях тяга, кроме де-

---

[6] Шмерлинг Р., Самтавро — памятник XI века, Ars Georgica, т. I, 1942, с. 49.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





1,2. САМТАВИСИ. Вид с юго-востока и план



3. МЦХЕТ̦А. Самтавро. План

ეროვნული
ბიბლიოთეკა



4. САМТАВИСИ. Интерьер



5. ФОКИДА. Малый храм. Интерьер

ეროვნული
ბიბლიოთეკა





6,7. ФОКИДА. Малый храм. Общий вид и план

ეროვნული ბიბლიოთეკა






8,9. МАРМАШЕН. Общий вид и план

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

коративной функции, непременно служит выявлению тектоники здания.

Вход в церкви упомянутого типа устроен обычно с двух сторон — с юга и с запада. Из входов южный является главным. Он часто несколько больше западного и имеет перед собой притвор с приделом. Значительно то, что двери расположены здесь не на поперечной оси, а в юго-западном отрезке. Пройдя его постепенно, с угловой точки зрения перед вами открывается основное пространство здания.

Если перейдем на фасады, то увидим такую же цельность художественного образа, как в интерьере. Большие поверхности стен покрываются легкой декоративной аркатурой, уверенно следующей в своем построении за абрисом стен, с повышением в средней части фасадов, т. е. также подчеркивающей нарастание архитектурных форм к куполу. Фасады украшаются, кроме того, орнаментальным декором из разнообразных и изысканных мотивов (рис. $1_2$).

Пропорции памятника, теплый желтоватый цвет его фасадов, аркатура, орнаментальный декор — все это создает богатые живописные эффекты.

Таким образом, характерные черты архитектуры Грузии первой половины XI века заключаются в строгой тектоничности построения крестово-купольных форм, в ощущении плоскости стены, несколько смягченной теперь, по сравнению с более ранним периодом, богатой декоративной разделкой фасадов, включающей аркатуру.

Мы видим активное участие в восприятии интерьера стенной росписи. Она следует за архитектурным членением пространства и нередко своим построением подчеркивает его формы. Но при этом роспись дематериализует поверхность каменных стен и, несмотря на свою условную плоскостность, создает ощущение глубины, зрительно раздвигая и овладевая пространством.

В Византии в интересующий нас период распространение получают церкви с четырьмя подкупольными колоннами, напр. Панагиа Калькеон в Салониках, малая церковь Богоматери монастыря св. Луки в Фокиде (обе XI века) и др.[7]. В этих памятниках больше, чем в других выявляется близость к грузинским, и поэтому мы на них остановимся.

В интерьере упомянутых сооружений возвышаются четыре высокие подкупольные колонны, увенчанные резными капителями. Перекрывающие пространство арки и своды, над которыми доминирует купол, расположенные на разной высоте, усложняют пространство и придают ему многообразие. Облицовка стен разноцветным мрамором, фрагментарно сохранившаяся в отдельных памятниках, мерцающая различными цветами мозаическая роспись и фресковая живопись создают богатые, живописные эффекты.

Четыре колонны зрительно слабо выделяют подкупольные рука-

---

[7] Брунов Н. И., Архитектура Византии, Всеобщая история архитектуры, т. 3, Л—М, 1966, с. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ва и оставляют как бы сливающиеся с ними угловые отрезки между рукавами, т. е. пространство в нижней части приобретает зальный характер. Над колоннами, там, где начинаются своды, там, где архитектурные формы образуют основание купола, происходит переход на крестовые формы, завершенные куполом. Легкая, прозрачная нижняя часть сменяется массой стен наверху. Единство собирательного движения к куполу сильно ослаблено. Центральное подкупольное ядро не имеет основного значения (рис. $5_7$).

Смещением купола к западу восточная часть пространства получает значение особого звена. Входящий через западные двери благодаря мало развитому западному рукаву без длительного движения завершает зрительное восприятие пространства в совершенно фронтальном его аспекте. Этот фронтальный разворот картины открывает пространство в наиболее гармоничном сочетании отдельных архитектурных элементов. Смену ряда впечатлений создают предшествовавшие главному пространству нартексы и портики.

Широко принят в интерьере мотив горизонтальной тяги, проходящей на разной высоте, по периметру всего здания. В церкви св. Луки в Фокиде нижний пояс проходит на уровне капителей колонн, т. е. у основания угловых арок, второй пояс, более широкий и украшенный орнаментами, находится на уровне пят сводов рукавов креста, третий у основания купола. Таким образом, здесь имеем не только подчеркивание пят арок или сводов при переходе их кривой на вертикальную стену, а следующее за этим украшение самой стены горизонтальными полосами, имеющими теперь лишь декоративный смысл. А в декоративном отношении два нижних горизонтальных пояса расчленяют плоскости стен, что не способствует в этом зальном пространстве направленности к основной вертикальной оси. Особенность построения заостряется и устройством, в большинстве случаев, трех дверей с запада, т. е. наличием самостоятельных входов, как принято говорить, в средние и боковые нефы, хотя таковые не имеются.

Если в упомянутых памятниках XI века речь может итти о сопоставлении зальных пространственных форм с крестово-купольными, то напр., в двух памятниках Мистра Бронтохион начала XIV века и Пантанаса — XV века, три пары колонн с хорами над боковыми частями при открытых боковых алтарях создают именно нефы, и интерьер воспринимается трехнефной купольной базиликой.

Во внешнем облике византийских памятников характерна кладка стен, выполненная кирпичем, сложенным различными узорами, сплошь покрывающими значительные части фасадов. Выделяются своим декоративным решением окна с тонкими колонками. Фасады украшаются колонками и орнаментами. Восточная часть имеет многогранные, выступающие абсиды (рис. 6).

Сравнение памятников Грузии и Византии показывает их резкое различие в отношении применяемого материала, построения интерь-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ера и решения внешнего облика, т. е. полное различие в отношении подхода к решению художественных задач.

Зодчество Армении X — XI веков, как известно, было в основном тесно связано с традициями VI — VII веков. Для XI века следует упомянуть памятники, относящиеся к наиболее распространенной в это время теме купольного зала, напр., Мармашен, Кечарис и др.[8] (рис. 8₉). Эти памятники, как было сказано выше, имеют зальное пространство, завершенное куполом. Здесь нет подкупольных столбов. Столбы слиты со стенами и боковые рукава очень слабо выявлены. Такое решение создает свои отличительные особенности в построении интерьера. Оно выражено также в пропорциях внешних масс. Поэтому мы затрудняемся провести сравнение между армянскими памятниками типа купольного зала с грузинскими о двух подкупольных устоях.

Однако следует отметить определенную общность грузинских и армянских памятников. Эту общность прежде всего создает камень, его поверхность, которым также придается в Армении большая художественная ценность. Камень здесь, в отличие от Грузии, употребляется, в основном, в сочетании серого с винно-красным. Облицовочный камень с чисто и мастерски обработанной поверхностью использован как на фасадах, так и в интерьере — прием, обусловленный, по-видимому, тем, что армяно-григорианская церковь не способствовала распространению стенной росписи с сюжетными сценами. Росписи встречаются в смежных с Грузией и в некоторых других районах, где население придерживалось халкедонитского вероисповедания. Можно наблюдать сходство между упомянутыми Самтависи и Мармашеном в значении купола как доминанты, вокруг которой ступенями располагаются кровли нижних масс здания; схоже решение восточной стены, без выступающих абсид и с высокими, треугольными нишами, использованными в Мармашене и на других фасадах. Декоративная аркатура в Мармашене, как и во всех других памятниках Армении, следует по фасадам, в отличие от Самтависи, на одной высоте. Повышенная часть фасадной стены акцентирована легким увеличением средней арки, а также наличником окна.

Упомянутые особенности грузинских и армянских памятников, их некоторое сходство и определенное различие в подходе к построению общих архитектурных форм и отдельных деталей и, что самое главное, при внимательном рассмотрении выявляющееся совершенно различное художественное восприятие ставят четкую межу, определяя яркое своеобразие каждого из этих архитектурных феноменов.

---

[8] Халпахчьян О. Х., Архитектура Армении, Всеобщая история архитектуры, т. 3. Л—М., 1966, с. 197.

Представил академик АН ГССР В. В. Беридзе

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია მოწერელია

# ოჯახში სტუმრის მიღების ჩვეულება

## (ხევსურეთის, თუშეთის, ფშავის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

სტუმართმოყვარეობის ტრადიცია ხალხის ზნეობრივ სფეროს ეხება. ამიტომ უფლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით, რომლებსაც სახელმწიფო აპარატი იცავს[1], ზნეობრივი ნორმების იძულებით თავზე მოხვევა შეუძლებელია. ზნეობრივი ნორმების ხელშეუხებლობას იცავს შთამომავლობით გადაცემული დაუწერელი კანონი, რომლისადმი დაუმორჩილებლობა, რბილად, რომ ვთქვათ, საზოგადოების მიერ პიროვნების გაკიცხვას გამოიწვევდა. სწორედ სტუმარ-მასპინძლობის ამ დაუწერელმა კანონმა შეუწყო ხელი ხალხთა დაახლოებას, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. მანვე შექმნა ერთმანეთთან ტერიტორიულად დაცილებული ხალხების უსაფრთხო ურთიერთობის და საქმიანი კავშირის დამყარების საშუალება.

ქართველი და კავკასიელი მთიელების საერთო დამახასიათებელი თვისებაა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა. ურთიერთდახმარების, ურთიერთგატანის ეს წესი ორ ფაქტორზეა დამყარებული — პრაქტიკულზე და რელიგიურზე[2]. პირველი მათგანი მეტყველებს: — „ვისაც დასთესავ, იმასვე მოიმკი", ხოლო მეორე — „სტუმარი ღვთისაა". საინტერესო იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ ჰომეროსის ეპოქის ბერძნების აზრით, ყოველი უცხოელი იმყოფებოდა ღმერთებისა და ხალხის მბრძანებლის ზევსის მფარველობის ქვეშ. ეს უკანასკნელი ატარებდა „სტუმართმოყვარეს" სახელს[3]. ყოველივე ამის წყალობით შორიდან მოსულ მგზავრს უნდა ჰქონდეს იმედი, რომ შეიფარებდნენ და არასდროს ღალატით არ შებღალავდნენ სტუმარ-მასპინძლობის უწმინდეს წესს.

ხევსურეთში, თუ მგზავრს რომელიმე სოფელთან შემოაღამდებოდა, იქ მივიდოდა სადაც „საფიხვნო"[4] იყო. იქ მყოფნი ფეხზე ადგებოდნენ და ისე მიეგებებოდნენ ახალმოსულს. ხევსურებში ფეხზე ადგომით მისალმება ვრცელდებოდა მამრობითი სქესის ყველა წარმომადგენელზე, განურჩევლად ასაკისა. ქალი, რაც არ უნდა ხანშიშესული ყოფილიყო, მოკლებული იყო მსგავს პატივისცემას. აი რას წერს ვაჟა-ფშაველა ამ ჩვეულების შესახებ: „როდესაც ბალღი სახლში შედის და იქ თუნდ ორმოცი დროული მოხუცებული კაციც იყოს, ყველანი მაშინვე ფეხზე აუდგებიან და მიესალმებიან: — ძოხვედი მშვიდობითაო"[5]. მისალმების შემდეგ, როდესაც შეამჩნევდნენ, რომ მგზავრი უც-

---

[1] Теория государства и права. АН СССР, Институт права., М., 1949, გვ. 127.

[2] В. П. Пожидаев, Горцы северного Кавказа. М., 1926, გვ. 104—105.

[3] БЭ, 1903 г. Гостеприимство, т. 7, СПб, გვ. 347.

[4] საფიხვნო — ადგილი სადაც თავს იყრიდნენ სოფლის მამაკაცები სასაუბროდ.

[5] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 9, თბილისი, 1964, გვ. 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოდ იყო მოსული და მასპინძელი არა ჰყავდა, ცხენს ჩამოართმევდნენ და ჩავშვს რომელიმე ოჯახში გაატანდნენ. რამდენიმე ხანი სტუმარი „ფეხონს" (საფიხვნოში მყოფ ხალხს) ესაუბრებოდა. გამოკითხავდნენ სადაურობას, მოსვლის მიზეზს სტუმარიც, თავის მხრივ, დაწვრილებლად ეკითხებოდა ადგილობრივ ამბებს. როდესაც სახლში წასვლის დრო მოაწევდა, ყველა ცდილობდა თავისთან წაეყვანა სტუმარი. ხშირად „გამარჯვება" იმ პირს რჩებოდა, ვისთანაც მგზავრის ცხენი იყო მიყვანილი.

თუ რამდენად სერიოზულად და ყურადღებით ეპყრობოდნენ სტუმრის მიღება-დახვედრის მოვალეობას, მეტყველებს ბევრგან სასტუმრო სახლის ან სასტუმრო ოთახის არსებობა. ეს დადასტურებულია, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში.

ჩრდილოეთ კავკასიაში კერძო, ერთი კუთხისათვის დამახასიათებელი, სახელების გარდა, თითქმის ყველგან, სტუმრისთვის განკუთვნილ სახლს (ოთახს) საყონაღოს სახელით იხსენიებენ. ყონაღი (კუნაკ) თურქული სიტყვაა და ნიშნავს სტუმრობით დამეგობრებულ პირს. აქედან არის ნაწარმოები მეგობრობის აღმნიშვნელი სიტყვა — ყონაღობა და იმ ნაგებობის სახელწოდება, სადაც ასეთ ურთიერთობას ეყრებოდა საფუძველი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველა მეტ-ნაკლებად შეძლებულ მთიელს სასტუმრო სახლი თუ არა, ოთახი მაინც ჰქონდა ჩვენი მივლინების დროს არსად არ დაფიქსირდა სასტუმრო სახლის, როგორც საერთო-სასოფლო ნაგებობის არსებობა. სამაგიეროდ ყველა მთხრობელი ადასტურებდა, რომ ყველა შეძლებულ მთიელს აუცილებლად ჰქონდა ოთახი სტუმრისათვის.

შინ მისულ სტუმარს ოჯახი გამოეგებებოდა, მისალმების შემდეგ ეტყოდნენ მისი ცხენი სად იყო და როგორ ბალახზე იყო დაბმული. სახლში შეპატიჟების შემდეგ, ოჯახის უფროსი მამაკაცი კიდევ რამდენიმე ხანი საუბრით იქცევდა სტუმარს, სანამ დიასახლისი საკადრის ვახშამს დაამზადებდა.

თუ სტუმარმა წესი იცოდა, თვითონვე მოიხსნიდა იარაღს, კერძოდ ხმალს, თოფს და დიასახლისს ან ოჯახის უფროს მამაკაცს ჩააბარებდა. მისი იარაღი სხვა იარაღებთან ერთად ინახებოდა მამაკაცთა ნახევარზე (ხევსურული სახლის საცხოვრებელი ნაწილი იყოფოდა სადიაცო — საქალებო და მამაკაცთა მხარედ. ქალებს და კაცებს ცალ-ცალკე ეძინათ). აღსანიშნავია, რომ იარაღის მოხსნის და მისი მასპინძლისათვის ჩაბარების ტრადიცია გავრცელებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ ჩრდილოეთი და ცენტრალური კავკასიის ხალხებშიც. იარაღის ტარება ეს იყო ერთგვარი განცხადება, რომ მისი მატარებელი მამაკაცი არ შეეპუებოდა მტერს და თავს არავის დააჩაგვრინებდა. ამიტომ, როდესაც უცხო მამაკაცი რომელიმე ოჯახში სტუმრად აღმოჩნდებოდა, ტრადიციისა და მასპინძლისადმი პატივისცემით, თანაც იმის საჩვენებლად, რომ სამშვიდობოდ და სამეგობროდ იყო მოსული, აუცილებლად აიყრიდა იარაღს და ოჯახის უფროსს ან დიასახლისს ჩააბარებდა.

ქართველი მთიელებისაგან განსხვავებით ჩრდილო კავკასიაში იარაღის ჩამორთმევა სახლის ზღურბლზევე იცოდნენ. მასპინძელი იარაღს ჩაიბარებდა და მერე შეუძღვებოდა სტუმარს მისთვის განკუთვნილ საყონაღოში.

პირველად, სტუმარი რომ დაჯდებოდა, ამ ოჯახის წევრი ქალი ან ვაჟი ფეხსაცმელს გახდიდა, თათებს ჩააცმევდა და ტყავსაც მოახურავდა. რაც უფრო შეძლებული იყო ოჯახი, მით მეტი თათი და ტყავები უნდა ჰქონოდა სტუმრებისათვის გამზადებული. ვახშამზე სტუმარს მიართმევდნენ ხინკალს, კეცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულებს, ფაფას ან ხორცის ყაურმას. სუფრას ტაბლაზე შლიდნენ. სუფრის სათავეში, სტუმრის გვერდით, ოჯახის უფროსი მამაკაცი ჯდებოდა. დიასახლისი იქვე ტრიალებდა, რომ დროზე მიექცია ყურადღება, საჭიროების შემთხვევაში, სტუმრისათვის. „ყველა დიასახლისი ვალდებულია ქმარი „დაანამუსოს“ ე. ი. ძვირად უნდა უღირდეს ქმრის ნამუსი, უნდა კარგად დაუხვდეს, კარგად გაუმასპინძლდეს სტუმარს, გულუხვობა გამოიჩინოს“[6]. როდესაც ოჯახში სტუმარი იყო, ბავშვები თითქმის არ ჩანდნენ. აკრძალვასთან ერთად, მათ თვითონ ეხათრებოდათ სტუმართან გამოსვლა.

ვახშმობის დროს სტუმარს სასმელსაც აძალებდნენ, უფრო ლუდსა და არაყს. თუ სტუმარი ძლიერ საპატივცემლო ან ასაკით უფროსი აღოჩნდებოდა, მასპინძელი ცალ მუხლზე დაიჩოქებდა და ქუდმოხდილი ემსახურებოდა მას. სასმელს ამ დროს ოჯახის ერთ-ერთი უმცროსი შვილი ასხამდა. მუხლზე დაჩოქვით გამასპინძლების წესი, რაც ჩვენ დავაფიქსირეთ ხევსურ მთხრობელებთან მუშაობისას, ცნობილია ეთნოგრაფიული ლიტერატურიდანაც. ვაჟა-ფშაველას[7] და ზისერმანს[8] იგი ზუსტად ასევე აქვთ აღწერილი, მაგრამ რაც შეეხება რ. ერისთავს, მის აღწერაში გაპარულია პატარა უზუსტობა. იგი წერს, რომ მასპინძელი სტუმრის წინაშე ორივე მუხლზე იჩოქებს[9]. ეს ერთი შეხედვით ძლიერ უმნიშვნელო დეტალად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ კარგად რომ ჩავუფიქრდეთ ცალი მუხლის მოდრეკა და ორივე მუხლზე დაჩოქება განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი არის ნიშანი ღრმა პატივისცემის და მოწიწების, მაგრამ აქ მასპინძელი თითქოსდა ინარჩუნებს საკუთარ ღირსებას, მორჩილების ამსახველ ამ მდგომარეობაში, მაშინ როდესაც, ორივე მუხლის მოყრა ხალხმა ღვთაების წინაშე იცოდა და ამით სრულ მორჩილებას და პატივისცემას გამოხატავდა. სტუმარი კი თუმცა ითვლებოდა „ღვთის წარგზავნილად“ (სტუმარი ღვთისაა), მაგრამ მათი გაიგივება არსად არ ხდებოდა. დასაშვებია, რომ ან ბეჭდვის დროს არის დაშვებული შეცდომა, ან ავტორს მიღებული ჰქონდა ეს ცნობა არც თუ ისე სარწმუნო წყაროებიდან.

ვახშმობის შემდეგ თუ დრო იყო, კიდევ ცოტას ისაუბრებდნენ, შეიძლებოდა სიმღერით ან ლექსებით გაერთოთ სტუმარი, შემდეგ კი მოასვენებდნენ. ყოველი ოჯახი თავისი შეძლების მიხედვით იღებდა სტუმარს. ყველაფერი კარგი სტუმრის პატივისცემისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ყველა ხევსურს როდი შეეძლო სტუმარი საგანგებო პატივით დაეძინებინა. უმრავლეს შემთხვევაში სტუმარს მასპინძელ მამაკაცებთან ერთად ეძინა ჭერხოში[10], ტახტზე, ზევიდან გუდანურს ახურავდნენ. ხანდახან სახლში ხევსურს ჰქონდა რამდენიმე ლაჭანი (წნული ჯინი) ჩალით ან თივით დაგებული და ზედსახურად დურა ტყავებს იყენებდნენ[11]. სტუმარი ხანჯალს ძილის წინ მოიხსნიდა და თავთან იდებდა.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს საყონაღო ყველაზე უფრო კეთილმოწყობილი ჰქონდათ. ოჯახის უფროსი არ ზოგავდა ძალებს, რომ მის სტუმარს

---

[6] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 108.

[7] იქვე, გვ. 48.

[8] А. Зиссерман, 25 лет на Кавказе. ч. I, СПб,, 1879, გვ. 214.

[9] Р. Эристав, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе. ЗКОРГО, кн. 3, Тифлис, 1855, გვ. 129.

[10] ჭერხო — ხევსურული სახლის მაღალი ბანი.

[11] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხერხებულად და სასიამოვნოდ დაეძინა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში მიღებული იყო სტუმრების დაყოფა ღირსების, თანამდებობის ან წარმოშობის მიხედვით. ეს ლოგინის გაშლისასაც კი აისახებოდა. ყველაზე საპატიო სტუმრებს ბალიშების მაქსიმალურ (3 ცალს), რაოდენობას უდებდნენ[12].

მეორე დილას სტუმარს უჭმელს არ გაუშვებდნენ. საგზალს, თუ არ ჰქონდა, ჩაულაგებდნენ ხურჯინში. სასმელს კი ყველა შემთხვევაში გაატანდნენ. თუ სტუმარი ისეთი იყო, რომლის პატივისცემაც ძლიერ უნდოდა მასპინძელს, სოფლის ბოლომდე გააცილებდნენ არყის სმით და სადღეგრძელოებით. იქ ცხენზე შესვამდნენ და გაისტუმრებდნენ. ამის შემდეგ ეს კაცი ამ ოჯახის კარგი მეგობარი ხდებოდა და ყოველთვის ცდილობდა მათი პატივისცემის გადახდას.

სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის მიხედვით, სტუმრობის ვადა არ იყო რეგლამენტირებული. სტუმარს შეეძლო განუსაზღვრელი ვადით დარჩენილიყო და არავინ არ აგრძნობინებდა მას, რომ რაიმეთი აწუხებდა მასპინძლის ოჯახს. მაგრამ დაუწერელი წესის მიხედვით, სტუმარი ან ერთ დღეს გაათევდა და მეორე დღეს გაუდგებოდა გზას, ანდა თუ რაიმე მიზეზი ან დამაბრკოლებელი გარემოება იყო, მესამე დღეს მაინც აუცილებლად წავიდოდა. მასპინძელი ყოველთვის გულღიად სთხოვდა, რაც შეიძლება მეტ ხანს დარჩენილიყო მის ოჯახში, მაგრამ იშვიათად, რომ ვინმეს „ბოროტად" გამოეყენებინა მასპინძლის ტრადიციისადმი ასეთი ერთგულება და პატივისცემა.

ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც სტუმარი ოჯახის უფროს მამაკაცს კი არ მოყავდა, არამედ თვითონ მოადგებოდა რომელიმე სახლს ღამის გასათევის ძებნაში. ამ შემთხვევაში იგი დაუძახებდა მასპინძელს. რადგან ხევსურეთში არ ჰქონდათ ეზოები, სტუმარი სახლთან მივიდოდა, ან წინგარდაზე[13] ავიდოდა და ისე დაუძახებდა ოჯახის პატრონს. თუ სახელი იცოდა აუცილებლად კაცის სახელს დაიძახებდა. ქალის სახელის დაძახება სირცხვილი იყო და ცუდის მომასწავებლადაც ითვლებოდა — „სახლში ქუდიანია და მანდილიანის სახელი დაიძახაო". უკაცო ოჯახში შეიძლება პატარა ბავშვის, ბიჭის სახელი დაეძახათ"[14].

თუ მამაკაცი სახლში არ იყო, ქალი იშვიათად უმასპინძლებდა უცხო სტუმარს. ან არ მიიღებდა და სხვასთან გააგზავნიდა, ან კი გარეთ დააცდევინებდა, სანამ კაცი დაბრუნდებოდა. მსგავსი მოქმედება არ უნდა მივიჩნიოთ სტუმარ-მასპინძლობის წესის შებღალვად. შესაძლებელია ეს იმით აიხსნას, რომ მკაცრი იყო ხალხური მორალის ნორმები. ოჯახის ქალს არავინ მოუწონებდა უცხო მამაკაცთან მარტო ყოფნას და ურთიერთობას თუნდაც ეს სტუმართმოყვარეობით ყოფილიყო გამოწვეული. უკაცოდ, ქალი მხოლოდ ნათესავს ან ოჯახის მეგობარს მიიღებდა.

საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ ფშავსა, თუშეთსა და ხევზე სათანადო ლიტერატურული და საარქივო მასალის სიმცირის გამო, იძულებულნივიყავით შედარებისა და სათანადო დასკვნების გასაკეთებლად დავყრდნობოდით ჩვენს მიერ ჩაწერილ მასალას.

---

12 «Библиотека для чтения». 1849 г., т. 97, გვ. 69.

13 წინგარდა — ხევსურული სახლის პირველი სართულის—ბოსლის ბანი.

14 ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, სტუმარ მასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980. გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსულ სტუმართან აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი კუთხის მცხოვრებნიც არ ირცხვენდნენ პირს. საერთოდ მთის ხალხისათვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ხალხთა შორის მთელ ურთიერთობას, მთლიანობაში, ერთი თვალის გადავლებით ერთნაირ შთაბეჭდილებას ტოვებს. მხოლოდ მკვლევარი, რომელიც შეეცდება ღრმად ჩაიხედოს თითოეული მხარის გეოგრაფიულ და ეკონომიკურ პირობებში დაუკვირდება მთიელი კაცის თვისებებს შეძლებს გამოავლინოს მათი ტრადიციებისათვის დამახასიათებელი დეტალები, იპოვოს მათი წარმოშობის საფუძველი. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად გავცნობოდით თუშეთისა და ფშავის მოსახლეობის ურთიერთობას ამ კუთხით. პარალელებისათვის გამოვიყენეთ ჩრდილოეთი და ცენტრალური კავკასიის მოსახლეობის სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ გეოგრაფიული გარემოს მსგავსება, ტერიტორიული სიახლოვე აუცილებლად შეიტანდა რამდენიმე მსგავს ელემენტს, ამ ხალხების რელიგიური მრწამსის განსხვავების მიუხედავად.

მასალის შესწავლის შემდეგ ნათლად გამოიკვეთა როგორც მსგავსება ისე განსხვავება. ყველაზე მეტი თავისებურება აღმოჩნდა თუშურ მასალაში. რაც შეეხება ფშაველებს, ისინი შედარებით უფრო ახლოს დგანან ხევსურებთან, რა თქმა უნდა, თუ მხოლოდ ამ ტრადიციიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ.

ხევსურებისაგან განსხვავებით ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები განსკუთრებული ყურადღებით, ყოველგვარი სიფრთხილის და მორიდების გარეშე ეპყრობოდნენ უცხოელ სტუმრებს, განურჩევლად რელიგიისა, ეროვნებისა და მდგომარეობისა. მაგალითად, ი. კლაპროტი აღნიშნავდა, რომ ოსები ისე ეპყრობოდნენ უცხოელს, როგორც ნათესავს[15].

ხევსურების მსგავსად თუშებსაც ჰქონდათ ადგილი, სადაც მხოლოდ მამაკაცები იყრიდნენ თავს და ბაასობდნენ — ბეხვნე, ან „საანჯმო“ (საბაასო)[16]. სტუმარი იქ, ალბათ იშვიათად მივიდოდა მასპინძლის საძებნელად, რადგან უცხო კაცი ხშირად გვიან საღამოს ეძებდა ღამის გასათევს, ამ დროს კი იშვიათად თუ ვინმე იქნებოდა გარეთ. სტუმარი რომელიმე ეზოს მოადგებოდა და დაიძახებდა ან მასპინძლის სახელს ან, თუ სახელი არ იცოდა, „ოჯახიშვილოს“. ფშავში უფრო „ოჯახის პატრონოს“ ხმარობდნენ.

ხევსურებისა და ფშავლებისგან განსხვავებით, თუშურ ოჯახში ქალი თითქოს შედარებით მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა. უცხო სტუმარს კაცის სახლში არყოფნის დროს, ქალი მხოლოდ თუშეთში მიიღებდა. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილი მაინც ჰქონია აშკარა კომპრომისს. სტუმრის სახლში შეყვანის შემდეგ, თუში ქალი ეძახდა მეზობელ მამაკაცს, რომელიც მოგვიანებით სუფრაზე გაუწევდა მასპინძლობას უცხო სტუმარს.

ფშავში ხანდახან გაჭირვებაში მყოფ მგზავრსაც კი ვერ შეიფარებდა მარტო მყოფი ქალი.

თუ იყო შემთხვევა და ოჯახის უფროსი მამაკაცი სახლში იყო მასპინძლის რთული მისია მას ევალებოდა. სტუმარს შინ შეიყვანდა, ბეჭებზე ქურქს წამოასხამდა და ცეცხლთან ახლოს დასვამდა. ზამთარში სტუმარს თხილამურებს

[15] Осетины глазами русских и иностранных путешественников, Орджоникидзе, 1967, გვ. 127.

[16] ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933, გვ. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძრობდნენ და გაბერტყავდნენ, შემდეგ არაყს გააცხელებდნენ შაქარს დააყრიდნენ და დაალევინებდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში ნათლად ჩანს ოჯახის უფროსის სრული დამოუკიდებლობა სტუმრის მიღებისას. მიუხედავად სტუმრის ასაკისა, საყონაღოს კარებთან მას შეხვედრას მოუწყობდა არა ახალგაზრდა მასპინძელი, არამედ ოჯახის უფროსი ან სხვა რომელიმე მოხუცი. ამის შემდეგ კი მას მზრუნველობას ასაკის მიხედვით უწევდნენ, ხანდაზმულ სტუმართან საყონაღოში შედიოდა ასევე ხანდაზმული მასპინძელი, ხოლო ახალგაზრდა სტუმრისადმი ყურადღება რომელიმე ახალგაზრდა მასპინძლის მოვალეობას წარმოადგენდა[17].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მისალმებისას ყველგან ერთნაირად უსურვებდნენ გამარჯვებას მხოლოდ მამაკაცებს. ქალს კი მშვიდობას (ფშავი) ან გახარებას (თუშეთი) ეტყოდნენ. მხოლოდ თუშეთში ხევსურებისაგან განსხვავებით ერთად მოსულ ქალს და კაცს ცალ-ცალკე ესალმებოდნენ.

საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა კუთხეში დადასტურდა ის ფაქტი, რომ ქალს კაცთან შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. თუ ქალი მარტო იყო, მისი გამასპინძლება მარტოხელა კაცს არ შეეძლო-ასეთ შემთხვევაში პირველი მასპინძელი იძულებული იყო ქალი გადაეყვანა მეზობელ ოჯახში, სადაც ქალები სათანადოდ მიიღებდნენ თავის ნახევარზე. სტუმარი ქალი საქალებოშივე ჭამდა და იქვე ეძინა. ოჯახის მამაკაცები უცხო ქალთან შეხვედრისას არ ერეოდნენ მასპინძლობის საქმეში, გარდა გამონაკლისი შემთხვევევისა, როდესაც ბარელი სტუმარი ქალი და კაცი ერთად მოხვდებოდნენ რომელიმე ოჯახში. ასეთ დროს სტუმარ ქალს სუფრასთან იწვევდნენ, ოღონდ ისე, რომ იგი სუფრის ერთ მხარეზე ყოფილიყო, მამაკაცები კი მეორეზე.

სათანადო მიღების შემდეგ სტუმარს სათანადო გაცილებაც სჭირდებოდა გაცილების ფორმა ასევე სტუმრის წოდებრივ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული.

თუშეთში საპატიო სტუმარს გარმონით, სიმღერებით და არყით აცილებდნენ. ცხენი სოფლის ბოლომდე მასპინძელს მიჰყავდა. მასპინძლის წინ სტუმარი ცხენზე არ შეჯდებოდა, იგი ფეხით მიჰყვებოდა გამცილებლებს.

ფშაველები სტუმარს შორს არ გაჰყვებოდნენ. გააცილებდა ორი-სამი კაცი, გაატანდნენ საგზალს და აუცილებლად სასმელს. გზადაგზა სვამდნენ საკართანოს, სამგზავროს (სადღეგრძელოები). სტუმარი ცხენზე რომ შეჯდებოდა, ერთს კიდევ დაალევინებდნენ და გაისტუმრებდნენ.

საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ წოვა თუშებისა და ჩაღმა თუშების ადათ-წესებს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. ასეთივე აზრი აქვს გატარებული ს. მაკალათიას თავის ნაშრომში თუშების შესახებ. მით უმეტეს არ უნდა გაგვაოცოს დღეს მასალების სრულმა იგივეობამ.

ჩრდილოეთ კავკასიაშიც არ იყო მიღებული სტუმრის შორ მანძილზე გაცილება. მას მასპინძელი ეზოშივე დაემშვიდობებოდა და გაისტუმრებდა. მაგრამ თუ სტუმარი საგანგებო იყო, ამ შემთხვევაში მასპინძელი და მისი ოჯახის წევრები რამდენიმე კილომეტრის მანძილზე აცილებდნენ ცხენებით. მხოლოდ სტუმრის დაჟინებული თხოვნის შემდეგ ბრუნდებოდა მასპინძელი სახლში.

---

[17] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცენტრალური კავკასიის მთიელთა საოჯახო ყოფა, თბ., 1969, გვ. 94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროსაც დამშვიდობების ცერემონიალი შედგებოდა ლოცვებისა და ბედნიერი მგზავრობის კეთილი სურვილებისაგან[18].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყოველი მასპინძელი მოვალედ თვლიდა თავს სტუმარს ამოსდგომოდა მხარში, თუნდაც ეს უკანასკნელი დამნაშავე ყოფილიყო.

ხევსურეთში მასპინძელი სტუმრის მხარეს იჭერდა უსიამოვნებაში და თუ ჩხუბის თავიდან აცილება არ მოხერხდებოდა, მის გვერდით იქნებოდა და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლესაც შესწირავდა. თუშეთში და ფშავში მასპინძლის ოჯახში ლხინის დროს ვინმეს რომ შელაპარაკება მოსვლოდა სტუმართან, მასპინძელი აუცილებლად სახლიდან დაითხოვდა. სტუმრისთვის ყოველი შეურაცხყოფისათვის ამტეხი მთელი სოფლისაგან და უხუცესისაგან დიდ საყვედურს იღებდა და კარგა ხნით დაცინვის ობიექტი ხდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც სტუმრის ვერაგულად მოკვლისათვის თემს მოუკვეთია მკვლელი და სოფლიდან გაუგდია. დიდი სირცხვილი აწვებოდა დამნაშავის მთელ გვარს.

სტუმრის მკვლელობის შემთხვევაში მასპინძელი და მთელი მისი გვარი მოკლულის ნათესავებზე ადრე ცდილობდა სისხლის აღებას. შურისძიება ამ დროს მასპინძლის შელახული ღირსების აღდგენის საწინდარიც იყო.

სტუმრის დაცვისას მასპინძლის მოვალეობის შესრულება ყველა კავკასიელი მთიელისათვის წმინდა მოვალეობა იყო.

ჩაჩნეთ-ინგუშეთში თუ ვინმე გაბედავდა სტუმრის შეურაცხყოფას, დამნაშავე ვალდებული იყო მასპინძლისათვის გადაეხადა უნაგირით აკაზმული ცხენი, იარაღი და 18 ძროხა, რომელსაც მასპინძელი აძლევდა შეურაცხყოფილ სტუმარს. სტუმრის მოკვლის შემთხვევაში კი მკვლელი მასპინძელს უხდიდა სისხლის სრულ საფასურს, რომელსაც მასპინძელი უგზავნიდა მოკლულის ნათესავებს[19].

ადიღეელები ხშირად სტუმრისათვის მიყენებული პატარა უსიამოვნებისათვისაც კი მკაცრად სჯიდნენ ან ასამართლებდნენ დამნაშავეს[20].

არც ჩერქეზების კანონი იყო გამონაკლისი სტუმარ-მასპინძლობის ამ წესიდან. ჩერქეზი მასპინძელიც საკუთარი სისხლის ფასად იცავდა სტუმრის ხელშეუხებლობას და ვინც არ უნდა ყოფილიყო დამნაშავე, აუცილებლად მოსთხოვდა პასუხს[21]. ყოველი ჩერქეზი გაუწევდა ნებისმიერ სამსახურს დამნაშავესაც კი, თუ იგი მისი სახლის ზღურბლს გადააბიჯებდა. ასეთი მასპინძელი ეცდებოდა მდგომარეობის გამოსწორებას და მხარეების შერიგებას. უკიდურეს შემთხვევაში, თუ შერიგება არ მოხდებოდა, საქმე გადაეცემოდა სახალხო სასამართლოს. განაჩენის გამოტანის შემდეგ მასპინძელი ვალდებული იყო დამორჩილებოდა ისეთ გადაწყვეტილებასაც კი, რომელიც მთელ სტუმარ-მასპინძლობის წესს ეწინააღმდეგებოდა, მაგალითად, გადაეცა დამნაშავე დაზარალებულის გვარისათვის[22].

ოსი მასპინძელი არ კმაყოფილდებოდა მარტო თავისი სახლის ფარგლებში

---

[18] О гостеприимстве у черкес, «Материалы для изучения Кавказа», Кавказ, 1859, № 7.

[29] ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91—92.

[20] История Адыгейского народа. «Кавказский каледнарь на 1869 г». Тифлис, 1862, გვ. 31.

[21] Ф. Леонтович, Адаты кавказских горцев, Одесса, 1882, т. I, გვ. 125.

[22] Н. Дубровин, Черкесы, «Военный сборник», 1870, № 3, СПб, გვ. 137.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრის სიცოცხლისა და ქონების დაცვით. გაცილებისას მას რამოდენიმე მცველს აყოლებდა. გზაში მომხდარი მკვლელობისათვის მასპინძელი ისევე იძიებდა შურს, როგორც ყველაზე ახლობელი ნათესავის მოკვლისას.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მივლინების დროს დადასტურდა, რომ სტუმრის მოკვლა კი არა, წყენინებაც იშვიათი შემთხვევა იყო. ყოველი მთიელი ერიდებოდა მსგავსი დანაშაულის ჩადენას. არავინ არასოდეს არ შებღალავდა მასპინძლის ღირსებას, თუნდაც იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, თვითონაც მასპინძლის მოვალეობის შესრულებისას ისევე საჭიროებდა მეზობლების პატივისცემასა და დახმარებასაც კი.

თუ რამდენად ძლიერი იყო ეს კანონი ცხოვრებაში, დავინახავთ, როდესაც გავიხსენებთ, რომ სახლში შემოსული მოსისხლეც კი ხელშეუხებელი ხდებოდა, რადგან იგი პირველ რიგში სტუმარი იყო და სტუმრისათვის საჭირო პატივისცემას მოითხოვდა. ასეთ დროს მასპინძელი იძულებული იყო მასთან შერიგებაზეც კი დათანხმებულიყო[23].

როგორც განხილული მასალებიდან დადასტურდა, ქართველ და კავკასიელ მთიელთა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებში სპეციფიკურთან ერთად შეინიშნება მსგავსი წესების არსებობაც. მსგავსება სტუმარ-მასპინძლობის სფეროში ჩამოყალიბდა ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პირობებში, რაც ქართველ და კავკასიელ მთიელებს აკავშირებდათ.

М. МОЦЕРЕЛИЯ

## ТРАДИЦИЯ ПРИЕМА ГОСТЕЙ В СЕМЬЕ

(на основе этнографических материалов по Хевсуретии, Тушетии и Пшави)

Резюме

Высокий долг гостеприимства свойствен не только народам нагорья восточной Грузии, но и населению всего Кавказа. Традиция эта возникла на основе двух факторов — практического и религиозного характера.

В результате изучения литературных источников и данных полевых материалов выяснилось, что несмотря на территориальную близость и тесное общение, у хевсуров, пшавов и тушин вместе с общими, есть и правила, свойственные только тому или иному району. Традиция приема гостей у хевсуров и пшавов имеет много общих черт, тогда как у тушин эта же традиция имеет несколько отличающийся характер. Вместе с этим существует ряд схожих форм гостеприимства между горцами грузинами и жителями Северного и Центрального Кавказа, несмотря на разные религии и социальную структуру общества.

[23] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან, (მოძმეობის ინსტიტუტი), „მაცნე", ისტორიის სერია, 1971, № 3, გვ. 67.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემურ ბიბილური

# საქართველოში თიხის ფილასამარხების გავრცელების საკითხისათვის

განსახილველი სახის სამარხებს პირველად XIX ს-ის 70-იან წლებში მიექცა სპეციალისტთა ყურადღება, როდესაც ავსტრიელმა ორიენტალისტმა ფრ. ბაიერნმა დაიწყო სამთავროს სამაროვნის გათხრა[1]. ფრ. ბაიერნმა ვერ შეძლო განესაზღვრა სამარხის ტიპი და დაკრძალვის წესი; მის წერილებში არაფერია ნათქვამი სამარხეული ინვენტარისა და თიხის ფილასამარხთა რაოდენობის შესახებ. ამასთან, მან ვერ შეძლო საკვლევ სამარხთა შედარებით მაინც ზუსტი დათარიღება[2]. ფრ. ბაიერნი, იმის საფუძველზე, რომ სამთავროს სამაროვნის თიხის ფილასამარხები სრულ მსგავსებას იჩენენ პანტიკაპეიონში, ქერსონესში და სხვ. გათხრილ საკრძალავებთან (ე. წ. „татарские гроба", როგორც მათ უწოდებს ფრ. ბაიერნი), მათ მიაკუთვნებს ბერძნულ მოსახლეობას[3].

სამთავროს თიხის ფილასამარხებს ფრ. ბაიერნის შემდეგ, არაერთი მკვლევარი შეეხო (გრაფინია და გრაფი უვაროვები[4], დოქტორი П[5] და სხვ.), მაგრამ ამ სახის სამარხების აღნაგობის, დაკრძალვის წესის, მათი გენეზისისა და გავრცელების, აგრეთვე ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენის საქმე ვერც მათ წასწიეს წინ ბაიერნთან შედარებით.

თიხის ფილასამარხების კვლევის საქმეში დაშვებული ბევრი ხარვეზი გასწორდა ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც დიდი მცხეთის ტერიტორიაზე დაიწყო სისტემატური და გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიება. განსაკუთრებით სრულად, სამთავროს თიხის ფილასამარხები განიხილა მ. ივაშჩენკომ[6]. მან ძირითადად სწორად განსაზღვრა სამარხთა ტიპი, დაკრძალვის წესი. მ. ივაშჩენკომ საკვლევი სამარხები დაათარიღა ახ. წ. II—III საუკუნეებით[7].

მ. ივაშჩენკომ თიხის ფილასამარხების გავრცელება საქართველოში დაუკავშირა ბერძნებს[8]. ამასთან, ფრ. ბაიერნის მაგვარად, მასაც მიაჩნდა, რომ ამ

---

[1] Фр. Б а й е р н, Исследование древних гробниц близ города Мцхета, газ. «Кавказ», 1872, № 16 (28), 17 (29); 1873, № 7, 8. მ ი ს ი ვ ე, Исследование древних грабниц близ города Мцхета, ССК, т. II, 1872: მ ი ს ი ვ ე, Die Ausgrabungen von Samthavro im Jahre 1872, MAGW, 1877, B. IV.

[2] Фр. Б а й е р н, Исследование...,

[3] იქვე.

[4] А. С. и П. Сг. У в а р о в ы, Взгляд на Мцхетский могильник, «Древности», ТИМАО, т. X, М., 1886.

[5] Д—р П., Новые Мцхетские раскопки натуралиста Байерна, «Кавказ», 1872, №;110

[6] М. М. И в а щ е н к о, Самтаврские погребения I—III вв. н. э., Мцхета, Результаты археологических исследований, т. III, Тб., 1980.

[7] იქვე, გვ. 198

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიპის სამარხები გვხვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ, პანტიკაპეიონში.

სხვადასხვა დროს სამთავროს თიხის ფილასამარხებს შეეხნენ ა. აფაქიძე[8], ალ. კალანდაძე[9] გ. ლომთათიძე[10] და სხვ[11].

დღემდე სამთავროს სამაროვანზე გაითხარა 30-მდე თიხის ფილასამარხი (ფრ. ბაიერნისა და უვაროვების მიერ გათხრილი ფილასამარხების რიცხვი უცნობია) (სურ. 1—6).

სამთავროს სამაროვნის გარდა, თიხის ფილასამარხები ცნობილია როგორც საკუთრივ მცხეთიდან, ასევე უფრო დაშორებული პუნქტებიდან. თიხის ფილასამარხთა საერთო რიცხვმა 50-ს გადააჭარბა.

1902 წელს ე. თაყაიშვილისა და პეტროვის მიერ მცხეთის მახლობლად, არმაზისხევის მიდამოებში, გაითხარა სამაროვანი. ქვასამარხებთან ერთად აღმოჩნდა თიხის კარგად გამომწვარი ფილებით შედგენილი სამარხი ნაგებობა. სამარხის გრძივი კედლები წარმოდგენილი იყო სამ-სამი თიხის ფილით, სახურავი — ბრტყელი კრამიტებით[13]. ე. თაყაიშვილმა სამაროვანი, მათ შორის თიხის ფილასამარხიც, ზოგადად, ახ. წ. I—VIII საუკუნეებით დაათარიღა[14].

1947 წლის დამლევს მცხეთაში წყალთამეურნეობის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს გაითხარა სამარხთა ჯგუფი (ორფერდასახურავიანი ქვასამარხი, ხუთი კრამიტსამარხი, ორი თიხის ფილასამარხი)[15]. აქ აღმოჩენილი თიხის ფილასამარხიდან მხოლოდ ერთის (№ 1) აღნაგობაზე შეგვიძლია მსჯელობა. სამარხის გრძივი კედლები შედგება ოთხ-ოთხი, განივი — თითო დიდი, კვადრატული (0,57×0,57×0,04მ) თიხის ფილებით. სახურავი მოწყობილი იყო ორივე სახის კრამიტით[16]. მეორე სამარხის აღნაგობის შესახებ დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან შემორჩენილი იყო მხოლოდ თიხის ფილებით შედგენილი იატაკი (0,56×0,88×0,04 მ) და სახურავისა თუ კედლის ერთი თიხის ფილა[17].

1947 წელს გათხრილი ორივე თიხის ფილასამარხი, ისევე, როგორც მთლიანად სამარხთა აღნიშნული ჯგუფი, ალ. კალანდაძის მიერ დამარხვის წესისა და სამარხეული ინვენტარის საფუძველზე დათარიღებულია ახ. წ. I ს-ის მე-

[8] ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 299—300; ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, 1, თბ., 1963, გვ. 85; ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, სინ. 1, თბ., 1970 გვ. 683.

[9] ალ. კალანდაძე, სამთავროს სამაროვნის 1938—1939 წწ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში (ხელნაწერი ინახება სსმ-ში).

[10] გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს., 1977, გვ. 13, 14.

[11] მცხეთა II, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, დიდი მცხეთის ადრე რკინის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, რედ. ა. აფაქიძე, თბ., 1978, გვ. 119—136; თ. ბიბილური, მცხეთის სამარხ-ნაგებობათა ახალი სახეობა, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 93 № 2, 1979, გვ. 505—508; მისივე, ყელსაწურიანი მინის ჭურჭლის ახალი თარიღი, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, 99, № 1, 1980, გვ. 217—220.

[13] Е. С. Такайшвили, Краткий отчет о раскопках, произведенных по поручению Археологической комиссии летом 1902 года, близ ст. Мцхета, Изв. КОМАО, вып. I, Тифлис, 1914, გვ. 79.

[14] იქვე, გვ. 79.

[15] ალ. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, მიმომხილველი, 1, თბ., 1949, გვ. 259—287.

[16] იქვე, გვ. 267—269.

[17] იქვე, გვ. 277—279, სურ. 20.

[18] იქვე, გვ. 283—284.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ორი ნახევრითა და II ს-ის პირველი ნახევრით, ალ. კალანდაძემ გამოთქვა ვარაუდი წყალთამეურნეობასთან გათხრილი სამარხების ჯგუფისა და სამთავროს სამაროვნის ერთიანობის შესახებ[19].

1958 წელს მცხეთაში, არაგვისა (ახლანდელი მამულაშვილისა) და ლენინის ქუჩების შესაყარზე, უნივერმაღის შენობის საძირკვლისათვის ქვაბულის ამოღებისას, სხვა ტიპის სამარხებთან (მთლიანად ქვაში კვეთილი სამარხი-სარკოფაგი, კრამიტსამარხი) ერთად აღმოჩნდა სამი თიხის ფილასამარხი[20]. მე-2 თიხის ფილასამარხს (სამარხი № 13 სამარხთა ამ ჯგუფის საერთო ნუმერაციით) ჰქონდა ამ სახის საკრძალავებისათვის ჩვეულებრივი აღნაგობა: გრძივი (N და S) კედლები გაუმართავთ სამი მთელი და ერთიც ვიწრო ფილით; განივი კედლები — ერთნახევარ-ერთნახევარი ფილით. სამარხის ზომებია: ა) გარე—2,60×1,30×0,75; ბ) შიგა—1,85×0,85×0,53[21].



ნახ. 1

მე-6 ფილასამარხს ჰქონდა საინტერესო აღნაგობა: სამარხის გრძივი (N—S) კედლები 3—3 ფილით, ხოლო განივი —1—1 ფილით იყო შედგენილი. ფილების ზომები: 0,52×0,53×0,04 მ. ფილათა შორის ნაწიბურები კირით იყო ამოლესილი. ქვიშაქვის ფილებით მოწყობილ „სახურავსა და კედლებს შორის, სამარხის პირზე აგურები იყო დაწყობილი: სიგრძივ კედლებზე 6—6, ხოლო ერთ-ერთ განივ კედელზე ორი მოგრძო სწორკუთხა აგურის ნატეხი იყო (სურ. 7)“[22].

კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს სამარხი № 1, რომელიც ალ. კალან-

[19] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

[20] ალ. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგებისათვის (ხელნაწერი ინახება სსმ სამთავროს ფონდში).

[21] იხ. ალ. კალანდაძის საველე დღიური (ინახება სსმ სამთავროს ფონდში).

[22] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის დღიურში და საველე წიგნში მოხსენებულია, როგორც, ქვის სამარხი. მომაქვს სამარხის ალ. კალანდაძისეული აღწერა: „განივი კედლები ერთიანი ფილაქვა არის მოყვითალო ქვიშაქვისა, გრძივი კი — ბრტყელი (ზოგი კვადრატული, ზოგი სწორკუთხა) აგურებისაგან ნაწყობი კედლებია, რომლებიც გარედან ალაგ-ალაგ ქვებით არის შემაგრებული. ეს კედლები შიგნიდან კირით არის შელესილი. კედლის ძირზე შემოწყობილია რიყის ქვები სიმაგრისათვის (ორმო სამარხისათვის, თავიდან ოვალურად ყოფილა ამოღებული). S კედელი აგურთა 14 რიგისაგან შედგებოდა, N კი—15 მწკრივისაგან. W კედელს WS კუთხეში ნარიბანდი აქვს ამოღებული, O კედელს კი შიგნით, ნორმალურად“[23] (სურ. 8,9). სამარხის იატაკიც აგურებით იყო მოგებული[24]. როგორც აღწერილობიდან ჩანს, 1-ლი სამარხი არის არა ქვასამარხი, არამედ კომბინირებული ნაგებობა, რომელსაც პირობითად შეიძლება ქვააგურსამარხი ვუწოდოთ. ეს სამარხი ნაგებობა თავისი აღნაგობითა და ინვენტარით ეულად დგას საქართველოში მიკვლეულ რომაული ხანის საკრძალავებს შორის.



ნახ. 2

1980 წლის ნოემბერში მამულაშვილის ქუჩაზე, ქ. მცხეთის ცენტრალური კანალიზაციის კოლექტორისათვის თხრილის ამოღების დროს გამოვლინდა 1958 წელს გათხრილი სამაროვნის თუ სამაროვნის ნაწილის გაგრძელება, რომელიც შეისწავლა მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის სვეტიცხოვლის რაზმმა. სულ გაითხარა 6 სამარხი. მათ შორის ორფერდასახურავიანი ქვაყუთი, დაკრძალვის ქრისტიანული წესითა და რჩეული ინვენტარით; ბანურსახურავიანი ქვასამარხი, კრამიტსამარხი და სამი თიხის ფილასამარხი[25]. სამი თიხის ფილასამარხიდან ორი წყვილადი აღმოჩნდა. ამასთან ოთხივე მიცვალებული დაუსვენებიათ გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ.

---

[23] ალ. კალანდაძის საველე დღიური (ინახება სსმ სამთავროს ფონდში).

[24] იქვე.

[25] იხ. მმაე-ის სვეტიცხოვლის რაზმის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ი. პირისახით აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულების პოზა, დამხრობა, სამარხეული ინვენტარის სიმწირე გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ ამ სამარხში ქრისტიანული სამკვიდრო წესი. ამ ვარაუდს უფრო მეტ დამაჯერებლობას მატებს ის გარემოება, რომ თიხის ფილასამარხებში ადრეც არაერთხელ დადასტურებულა ქრისტიანული სამკვდრო წესით მიცვალებულის დაკრძალვა[26]. მესამე თიხის ფილასამარხი იმდენად იყო დაზიანებული, რომ სამკვდრო წესის გაგება შეუძლებელი აღმოჩნდა. სამარხთა აღნიშნული ჯგუფის წინასწარული თარიღი ახ. წ. II—III საუკუნეებია.

1959 წელს თიხის ფილასამარხი აღმოჩნდა მელქისედექის სასახლის სამხრეთით, მისგან ორმოციოდე მეტრის დაშორებით. ამ სამარხს ანალოგების მიხედვით ახ. წ. I—II სს-ით ათარიღებენ[27]. ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ იყო აღნიშნული სამარხი ნაგები ან რამდენად საფუძვლიანია თიხის ფილასამარხის ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის ახ. წ. I საუკუნით განსაზღვრა.

1981 წლის ზაფხულში მელქისედექის სასახლის სამხრეთით, კალინინის ქუჩაზე, მიწის სამუშაოების დროს გამოვლინდა სამარხთა ჯგუფი, მათ შორის ორი თიხის ფილასამარხი. ორივე სამარხი არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით წინასწარულად ახ. წ. III—IV სს-ით თარიღდება.



სურ. 1

[26] თ. სურგულაძე, თ. ბიბილური, მ. ძნელაძე, ადრექრისტიანული სიმბოლო მცხეთიდან, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", 101, № 3, 1981, გვ. 741—744; თ. ბიბილური, სოციალური და იდეოლოგიური განვითარების ახალი საფეხურის ნიშნები გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფოში, ახალგაზრდა მეცნიერთა II რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980, გვ. 150.

[27] ალ. ბოხოჩაძე, მასალები მცხეთის რაიონის არქეოლოგიური რუკისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, თბ., 1977, № 4, მ ი ს ი ვ ე, მასალები დაბა მცხეთის არქეოლოგიური რუკისათვის, „ძეგლის მეგობარი", № 39, 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1978 წლის ზაფხულში მცხეთის საზაფხულო კინოთეატრის განახლებასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა სხვადასხვა დროის კულტურული ფენები. რომელიც შეისწავლა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სვეტიცხოვლის რაზმმა (სვეტიცხოველი II). სხვა სახის არქეოლოგიური ძეგლებთან (შენობის ნაშთები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, ქვევრები და სხვ.) ერთად აღმოჩნდა ორი თიხის ფილასამარხი, მსგავსი ამ სახის უკვე ცნობილი სამარხი ნაგებობებისა. ამასთან. მე-17 სამარხი აშკარად ქრისტიანთათვის გაუმართავთ[28]. ორივე სამარხი ახ. წ. III ს-ით თარიღდება[29].

მცხეთის მიდამოებიდან თიხის ფილასამარხი ცნობილია აგრეთვე კოდმანიდან[30] და კარსნისხევიდან[31]. განსხვავებით ამ სახის უმრავლესი სამარხებისაგან, კარსნიხევის სამარხი დამხრობილი იყო NW—SO გრძივ ღერძზე. სამარხი წარმოადგენს კუბური მოყვანილობის ყუთს, შედგენილს თითო ფილისაგან (0,38×0,38×0,04)[32].

1975 წელს ალაიანის მიდამოებში მიკვლეულ სამაროვანზე გაითხარა ბავშვის სამარხი, რომელიც გაუმართავთ მცირე ზომის (0,29×0,29×0,04 მ) თიხის ფილებით — აგურით და გადაუხურავთ ხის ძელებით[33]. სამარხის სავარაუდო თარიღად მიჩნეულია IV—V სს[34]. ვფიქრობთ, გაჭირდება მოცემული თარიღის დასაბუთება, მით უმეტეს, რომ სამარხი უინვენტაროა[35].

1976 წელს ხოვლეში გაითხარა თიხის ფილასამარხი ორმაგი კედლებით[36]. ეს სამარხი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მასში დაკრძალული ორივე მიცვალებული გვერდზე, მაგრამ გაშოტილ მდგომარეობაშია. სამარხი გამოირჩევა საკმაოდ მდიდარი ინვენტარით. ხოვლეში მიკვლეული თიხის ფილასამარხი დათარიღებულია ახ. წ. II—III სს[37].

დასავლეთ საქართველოში თიხის ფილასამარხები ცნობილია სოხუმიდან და ბიჭვინტიდან.

სოხუმში საკვლევი სამარხების აღმოჩენის შესახებ მ. ივაშჩენკოს ზეპირი ცნობა მიაწოდა ი. აძინბას სახ. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა. მისი სიტყვებით, სამარხი ნაგებობა შედგენილი იყო დიდი კვადრატული აგურებით[38].

1951 წელს ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბიჭვინტის შიდაციხის გარშემო სადაზვერვო გათხრების დროს სხვა ტიპის სამარხებთან

---

28 თ. სურგულაძე, თ. ბიბილური, მ. ძნელაძე, დასახ. ნაშრომი, თ. ბიბილური, სოციალური და იდეოლოგიური განვითარების..., გვ. 150.

29 თ. სურგულაძე, თ. ბიბილური, მ. ძნელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 744.

30 საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, გვ. 299.

31 მცხეთა, II, გვ. 41, 42.

32 იქვე გვ.

35 იქვე.

33 ნ. მირიანაშვილი, არქეოლოგიური ძეგლები ალაიანიდან, არქეოლოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1977, გვ. 87.

34 იქვე, გვ. 87.

36 Г. Цкитишвили, Дж. Гветадзе, Н. Накаидзе, Э. Беридзе, А. Рамишвили, Ш. Иремашвили, Р. Квиташвили, Л. Челидзе, А. Нуцубидзе. Итоги работ Кавтисхевской археологической экспедиции, ПАИ за 1976 г., Тб., 1979, გვ. 122—123.

37 იქვე, გვ. 123.

38 М. Иващенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად აღმოჩნდა ერთი თიხის ფილასამარხი, რომელსაც გამთხრელები ახ. წ. IV ს-ით ათარიღებენ[39].

1923—1924 წწ. ზემო ავჭალის ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოების დროს გათხრილი იქნა ორი სამარხი, რომლებიც დღემდე მიჩნეული იყო თიხის ფილასამარხებად. ს. მაკალათიას რომელმაც გამოაქვეყნა აღნიშნული კომპლექსები, მოჰყავს 1923 წელს გათხრილი № 1 სამარხის მხოლოდ ცალკეული ნაწილების ზომები „ა) გამომწვარი თიხის ფილაქანი; სიგრძე-სიგანე 28,5×28,5×30; ბ) ფილაქნების შესაკრავი კუთხეები, დამტვრეული, სიგრძე —49 სმ, კუთხის სიმაღლე —70 სმ, სისქე —22, თავის განი —33 სმ, ბოლოსი—39 სმ."[40]. როგორც მოტანილი ნაწყვეტიდან ჩანს, შეუძლებელია გაგება თუ როგორ იყვნენ ეს სამარხები ნაგები, რა მასალისაგან იყო დამზადებული ან როგორი ფორმა უნდა ჰქონოდა ამ კუთხეების შესაკრავს, მაგრამ თვით



სურ. 2

ფაქტი მათი კავშირისა აღნიშნულ საკრძალავთან, გამორიცხავს მათ იგივეობას სამთავროსა და, საერთოდ, მცხეთურ თიხის ფილასამარხებთან. ზემო ავჭალაში გათხრილი სამარხები არა მარტო კონსტრუქციულად. არამედ ინვენტარითაც განსხვავდებიან თიხის ფილასამარხებისაგან[41]. პუბლიკაციის ავტორი ამ სამარხებში აღმოჩენილი გოტარზეს (ახალი ლიტერატურის მიხედვით არტაბან II-ის) დრაქმებზე დაყრდნობით ორივე კომპლექსს ახ. წ. I საუკუნით ათარიღებს[42].

1933 წელს თბილისში, სამკურნალო კომბინატის ასაგებად საძირკველის გაჭრის დროს აღმოჩნდა სამარხი, რომელიც მ. ივაშჩენკომ მიიჩნია თიხის ფილასამარხად[43]. დ. ქორიძე ნაშრომში „თბილისის არქეოლოგიური ძეგლები". ამ სამარხის შესახებ გვამცნობს შემდეგს: „აკლდამა" შემდგარი ყოფილა კრა-

[39] დიდი პიტიუნტი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, I, თბ., 1975, გვ. 65.

[40] ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, სსმ, თბ., 1928, გვ. 176.

[41] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

[42] იქვე, გვ. 175—176.

[43] М. Ивашенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტის ხუთი ფილაქნისაგან (ხაზი ჩვენია.—თ. ბ.). მათ შორის ერთი უფრო გრძელი ძირს ყოფილა დაგებული, სხვები კედლებად გამოყენებული. ზემოდან როგორც ხის ნაშთები მოწმობს, ფიცარი ჰქონია დაფარებული. აკლდამის სიგრძე —1,9 მ ყოფილა. მიცვალებულს თავი აღმოსავლეთით ჰქონია დადებული“[44]. შესაძლოა, ავტორი „კრამიტის ფილაქნებში“ გულისხმობს ბრტყელ კრამიტებს. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს არა თიხის ფილასამარხებთან, არამედ კრამიტსამარხთან. ამასთან, გარკვეული შეუსაბამობა იგრძნობა სამარხის საერთო სიგრძესა (1,90 მ) და მის ასაგებად გამოყენებულ კრამიტთა რაოდენობას შორის (სულ ხუთი კრამიტია გამოყენებული). საინტერესოა, რომ აკლდამის მარჯვენა მხარეს ცხენის ორი ჩონჩხი ყოფილა აღმოჩენილი[45].

თიხის ფილასამარხთა რიგიდან უნდა გამოვრიცხოთ წილკანში აღმოჩენილი საკრძალავი, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში შესულია, როგორც თიხის ფილასამარხი[46]. მითითებული სამარხი წარმოადგენს არა თიხის ფილასამარხს, არამედ ქვაყუთს, თიხის ფილებით მოგებული იატაკით[47].

ამრიგად, თიხის ფილასამარხები მიკვლეულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან, მათი ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოდან კერძოდ, დიდი მცხეთიდანაა ცნობილი. რაც შეეხება ცალკეულ ცნობებს და აღმოჩენებს, ისინი უმეტეს შემთხვევაში არ დასტურდება სათანადო მასალით (ზემო ავჭალა, თბილისი, წილკანი, სოხუმი), ან კიდევ განეკუთვნება გამონაკლისების რიგს (ხოვლე, ბიჭვინტა).

Т. И. БИБИЛУРИ

## К РАСПРОСТРАНЕНИЮ ГРОБНИЦ, СОСТАВЛЕННЫХ КЕРАМИЧЕСКИМИ ПЛИТАМИ

Гробницы, составленные керамическими плитами хорошего обжига — один из интереснейших типов погребальных сооружений позднеантичной эпохи, обнаруженных на территории Грузии. В научный оборот они вошли еще в 70-ые годы XIX века, когда на Самтаврском могильнике производились первые археологические раскопки (фр. Байерн, А. С. и П. С. Уваровы).

Упомянутые гробницы выявлены как в Восточной, так и в Западной Грузии. Причем основная часть этих гробниц была сконцентрирована в Восточной Грузии, в частности, на территории исторической Великой Мцхета, (могильники Самтавро, Армазис-хеви, Карснисхеви, Светицховели, Кодмани и др.).

Гробницы, раскопанные в Земо Авчала, Тбилиси и Цилкани и вошедшие в научный оборот как погребения, составленные керамическими плитами, по своему устройству в корне отличаются от рассмотренного типа погребальных сооружений. Следовательно, их нельзя отнести к числу исследуемых нами гробниц.

---

44 დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II, 1958, გვ. 77-78.

45 იქვე, გვ. 78 ..

46 ალ. ბოხოჩაძე, მასალები მცხეთის რაიონის არქეოლოგიური რუკისათვის,

47 იხ. ვ. ნიკოლაიშვილის 1967 წლის საველე დღიური (ინახება მმაე-ის არქივში).

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. აფაქიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. Е. УРУШАДЗЕ

# К ВОПРОСУ О ПРОИСХОЖДЕНИИ ПЕРВОБЫТНОЙ ИЗОБРАЗИТЕЛЬНОЙ СИМВОЛИКИ

> В комплекс идей, смутно бродивших в сознании мустьерского человека, входил уже и образ солнца.
>
> А. П. Окладников, «Утро искусства».

В настоящее время кажется достоверным тот факт, что уже на пороге верхнего палеолита первобытный человек обрел способность изобразительной формулировки своих представлений о значимых для него явлениях окружающего мира[1].

В этой связи особого внимания заслуживают развитие знаковых систем, несущих функцию изображения солнца и воды[2]. Существенно то, что эти знаки не только сосуществуют друг с другом, но и определенным образом сочетаются как в формальном отношении, так и по вкладываемому в них внутреннему смыслу.

Характерно, например, что на протяжении всего верхнего палеолита «зигзаг», закрепившийся в качестве знака «воды», широко варьируется со знаками «солнца»: «нарезками», спиралями, меандрами, сегментами и др. Создаются определенного рода орнаментальные комплексы из знаков с полярно противоположными, но взаимосвязанными значениями «вода—солнце».

Однако, в этом не следует видеть всего лишь обозначения воды и солнца. Поставленные в определенные отношения в качестве уже не разобщенных, а взаимосвязанных знаковых структур, они вполне правомерно могли ассоциироваться и замещать такие общие понятия, как тепло, свет, день, весна, лето и др., находящиеся, как это не мог

---

[1] А. О. Окладников. Исследование Мустьерской стоянки и погребенья неандертальца в гроте Тешик-Таш, Южный Узбекистан «Тешик Таш, Палеолитический человек». М., 1949, 34—39; его же, О значении захоронений неандертальцев для истории первобытной культуры. С. Э., 1952, №3, с. 179; его же, Утро искусства, Л., 1967; А. Д. Столяр, «Натуральное творчество» неандертальцев, как основа генезиса искусства, Первобытное искусство. Новосибирск. 1971; его же, О «гипотезе руки» как традиционном объяснении происхождения палеолитического искусства, в кн. «Первобытное искусство». Новосибирск 1976; его же, О генезисе изобразительной деятельности и ее роли в становлении сознания, в кн. Ранние формы искусства, М., 1972; З. А. Абрамова. Палеолитическое искусство на территории СССР, М.—Л., 1962; ее же, Древнейшие формы изобразительного творчества, в кн. «Ранние формы искусства», М., 1972; Б. А. Фролов. Познавательное начало в изобразительной деятельности палеолитического человека, в кн. «Первобытное искусство» М.—Л., 1969; Н. Е. Урушадзе. Художественно-семантический анализ ранних форм изобразительного творчества. Изв. Сибирского отд. Ак. Наук. СССР, 1974.

[2] Н. Е. Урушадзе, Начальный этап развития изобразительных знаков эпохи мустье. Известия Ак. Наук Гр. ССР, 1974, см. объяснение к рисункам 1, 2, 3...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

разобщенных, а взаимосвязанных знаковых структур, они вполне правомерно могли ассоциироваться и замещать такие общие понятия, как тепло, свет, день, весна, лето и др., находящиеся, как это не мог не пронаблюдать наш далекий предок, в причинно-следственной связи с указанными природными явлениями. На том же основании «зигзаг» мог обозначить зиму, холод, тьму, дождь, снег — т. е. то, что указывало на «уход» и «исчезновение» солнца.

Все это следует расценивать как вполне сложившиеся образные представления о «солнечном» круговороте. Подобное мировоззрение прослеживается на многих примерах. Одним из ярких служит рисунок браслета из Мезинской палеолитической стоянки;[3] ритмичное чередование «солнечного» меандра и зигзага («зима») может образно передавать смену солнечных циклов и зимних периодов (фиг. 1). Видимо, в том же плане следует «читать» этот комплекс орнаментов в красном цвете и на лопаточной кости (Мезин), (фиг. 2). На так наз. мезинских «птичках» (фиг. 3), кроме названных орнаментов, центральное место занимает фигура «сегмента», заключенная в оболочку с «отверстием». Видеть в сегменте частицу, «кусочек» солнца заставляет его обрамление лучами в виде «нарезок», проникших через это «отверстие». Мезинские «птички» — один из примеров древнейших истоков приписываемой «перелетным» птицам, во множестве известной в палеолитической скульптуре в виде привесок и талисманов, роли вестников весны, дарующих природе «частицы» света и тепла[4]. Ту же картину круговорота в природе показывают крымские гальки. Особенно наглядно в них фигурируют не меандры, а солнечные знаки в виде «нарезок» лучеобразных солнечных линий. На стороне одной из них «луч» показан внутри конструкции, как и на фаллических фигурах (Мезин), (фиг. 5), и видимо они служат «солнечным» «убежищем». «Солнечная» линия протянулась к «выходу», но напротив него помещен ряд зигзагов, (фиг. 5). Тот же мотив на другой гальке (фиг. 6): оживление природы образно передается веткой с листьями, на которую со всех сторон «падают» солнечные лучи — «нарезки», на другой стороне показан ряд зигзагов.

Столь же характерным примером изобразительной интерпретации круговорота в природе может служить и гравировка на пластине из Мальты (фиг. 7). На одной стороне этой пластины представлена композиция большой и малых спиралей, составленных из последовательного ряда небольших выемок округлой формы. Эти спирали разворачиваются из центра, продолжаясь в боковых витках, как бы символизируя, в первом случае — время интенсивной отдачи солнцем света и тепла, а во втором — убывания солнечной

[3] И. Г. Шовкопляс. Мезинская стоянка. Автор отмечает, что большинство ученых придают магическую основу геометрическим узорам, «связанным с хозяйственной охотничьей деятельностью..» (позднепалеолитических родовых коллективов). Киев, 1965, табл. X IX, с. 256.

[4] А. Афанасьев. Поэтические воззрения славян на природу, т. II, М., 1868, с. 296—570.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ




энергии в соответствии со сменой времен года. Допустимость именно такого толкования смысла рассматриваемой орнаментальной композиции с достаточной очевидностью следует из того, что на обратной стороне пластины появляется изображение трех змеевидных существ, головам которых нарочито приданы большие размеры и круглое очертание( фиг. 7). В этом вполне основательно можно и нужно видеть мотив «проглатывания» солнца, столь однозначно бытующий в разные времена и у различных народов. Наличие этого мотива у насельников мальтийской стоянки служит одновременно и указанием на то, что в столь древнюю пору, как поздний палеолит, присутствуют элементы мифотворчества в их художественной редакции, причем уже не языком «зигзагов», а в образе зооморфных существ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



Как здесь не вспомнить в качестве иллюстрации долговечности подобных представлений сохранившееся в фольклоре дальневосточных народов сказание о трех солнцах и мифических существах, периодически то заточавших их в подземных глубинах, то отпускающих гулять по небосводу[5]. Существует и другой вариант, который сохранился в образе мифической «старухи» — преисподней, которая проглатывала умерших (в данном случае относится к солнцу), чтобы снова возродить их к новой жизни[6]. Таких примеров огромное множество, но все они в конечном счете свидетельствуют о глубочайшей древности изобразительной магии, направленной на «вмешательство» в ход природных процессов, истоки которой восходят к эпохе палеолита.

Иной вариант того же по существу обращения к магической функции изобразительной символики солярного цикла дается известной костяной пластиной из Раймондена (фиг. 8): нанесенное на нее изображение принято считать сценой ритуальной трапезы. Обращение к сравнительному материалу наводит на мысль, что вряд ли правильно говорить здесь об изглоданном позвонке, на который насажена голова бизона. Обращает внимание то обстоятельство, что почти во всех аналогичных изображениях, в частности на сводах пещер Ляско, Марсула, Пеш-Мерль, на каменных и костянных поделках из Истюриц, грота Ла Ваш и др. (фиг. 9), изображение головы промыслового зверя, как правило, сопровождается рисунком ветви с листьями, что кажется не случайным, а вполне закономерным явлением. Связано оно опять же с кругом представлений о возможности магического воздействия на процесс «воспроизведения» промыслового зверя, обуславливаемого обилием растительности, которая служит для него пищей. Это объясняет не только факт появления растительных элементов в указанных композициях в сочетании с изображением животного или его головы, но и то, что каждый раз в них присутствуют солярные знаки—«нарезки», «лучеобразные» линии и др., указывая на то, что это должно как бы создавать «эффект» оживления. Близок к сюжету из Раймондена рисунок костяной пластинки из Лез Эйзи (Франция), (фиг. 10). На ней изображены два дерева, группа птицеголовых существ и бизон. Вверху «округлое» очертание, весьма живо напоминающее солнечное «светило», щедро одаривает птицеголовых своими «лучами». В какой-то степени этот мотив перекликается с мезинскими «птичками», выполняющими роль вестников весны, дарующими природе «частицы» света и тепла, а также с встречающимися изображениями антропоморфных птицеголовых существ.

То, о чем говорилось до сих пор, в основном касалось тех памятников палеолитической изобразительной деятельности, которые явились отдельными предметами различного назначения и данное их толкование на первый взгляд может показаться даже произвольным.

[5] А. А. Афанасьев. Ук. соч., с. 528- 535.

[6] А. П. Окладников. Утро искусства, с. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Но что это действительно было выражением определенной и устоявшейся системы взглядов и изобразительных решений, в этом по-настоящему убеждает анализ многочисленных фигуративных композиций, неизменно включающих в себя те же изобразительные формулировки понятия о возможности прицельно, так сказать, вмешаться в естественный ход природных явлений, подчинив его жизненным интересам охотничьей общины.

В период, предшествующий настенным фигурным изображениям. «оживление», «воскресение» солнца происходило в пещере, что отмечалось нанесением на поверхность сводов, стен и пола «нарезок», воплощающих активизирующую силу «света», — признака «пробуждения» солнца. Примером этого являются известные «рисунки» на каменном блоке пещеры Абри Мюрат и испещренные «нарезками» стены пещер Арси сюр Кур, Ла Мут и др. (рис. в конце 13а). С этим способом, очевидно, сосуществовал и другой: показ солнечного «оживления» в виде двойных, тройных линий, так называемых «макарон», испещряющих стены пещер Ля Бом-Латрон, Альматиры, Пэр-нон-Пэр, Гаргас (рис. 3а). Этот прием более наглядно показывает «пробуждение» солнца, а затем его «блуждание» в поисках «выхода» из пещеры, как на то указывают линии солнечных «лучей» («макароны»), прочерченные на полу, стенах и потолке пещеры Гаргас. В этот период «оживлению» могли подвергаться кости промысловых животных, приносимые и укладываемые в пещерах, как это практиковалось до мустье и в самом мустье[7]. Затем в лабиринт линий, отмечающих солнечное «блуждание» в целях «оживления» человека и животного начинают вноситься изображения их частей (рис. 38). (пещеры Ла Бом-Латрон, Альматира, Пеш-Мерль, Бернифаль и др.). Отсюда ведет начало традиция гравированного рисунка двух-трех-линейным контуром (рис. 3в, г) (Ла Бом-Латрон, Шабо). В дальнейшем, периодическое «подновление этого контура, в целях «оживления» его прообраза не могло в конечном счете не слиться в одну широкую «жесткую» линию, как на то указывает рисунок оленя в Нио, мамонтов в Пеш-Мерль, и другие изображения животных в пещерах Лабатю, Парпало и др. (рис. 4д, ж). С течением времени такая изобразительная традиция стала препятствием потенциальной возможности художественного развития. Однако, «освобождение» контура от солнечной «зависимости» лишило бы животного «обратного» возвращения к жизни. Видимо, это и заставило мадленцев установить с ними солнечный «контакт» с помощью солярных комплексов в виде красных «пятен», «точек», «нарезок», помещая их сопричастно с фигурами (рис. 5д, ж) (Гаргас, Пеш-Мерль, Ляско, Кастильо и др.). Наиболее наглядно развитие и изменения художественных традиций прослеживается по изображениям в пещере Ляско. Это, видимо, связывалось со временем возникновения и развития солнечной мифологии. В таких изобразительных решениях стал отчетливо выделяться

[7] А. Д. Столяр. «Натуральное творчество» неандертальянцев, с. 154.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

комплекс, сочетающий с солнцем человека и зверя; в нем яснее выступала «оживляющая» функция солнца, поскольку появилась возможность показать конкретно «его» местонахождение в пещере. Однако, первые поиски «пребывания» (ночного, скорее зимнего) солнца производилось робко, неуверенно. В мустьерских «медвежьих» пещерах это выражалось укладыванием круговых композиций из костей промысловых животных и ориентацией медвежьих голов к выходу из пещеры. В ориньяке способы «оживления» и «заключения» солнца в контур рисунка животного в виде овала круга, сегмента, полувалов не указывало солнечного «убежища» (рис 4, б, в, г).

Момент «пробуждения» солнца показывался «движением» рядов солярных «точек» и «нарезок», выходящих из овала, круга... Но в таком «комплексе» не устанавливалось солнечное «убежище» в пещере после «пробуждения», «блуждание» его в поисках выхода на «свободу». По всем данным эти представления складывались по-разному.

Общие признаки разрешают усматривать их изобразительное начало в гравированных фигурах ориньякского времени. Примером может служить схематично переданное животное на камне из пещеры Ля Ферраси (рис. 4б). Под животом у него изображено солнце — «овал» с рядами выходящих оттуда солярных «точек». Такой принцип солярной передачи в более развитой и разнообразной форме представлен геометрическими фигурами, известными под названием «тектиформ». Однако, намного ближе к объяснению последних, чем «овал» из Ля Ферраси, по нашему мнению, являются изображения поздних конструкций и их элементов, переданные мезинскими рисунками на «птичках», фаллических фигурках, особенно крымских гальках, с их солнечными «убежищами» (фиг. 5а, б, в, г). Данные художественно-семантического анализа свидетельствуют о складывающемся мировоззрении их современников, согласно которому в поисках «исчезнувшего» солнца находили его «убежище» в форме «сегмента» на «птичках» и в «убежищах» прямоугольной формы на фаллических фигурках (рис. 5б, 8г).

Считать «тектиформы» солнечными «убежищами» заставляет не только характер общей конструкции, зафиксированной фигурами последующего времени, но и обязательная сопричастность их с солярными знаками, помещаемыми во внутрь или снаружи (рисунок 5д). Наиболее разнообразные «тектиформы» изображены в пещерах Ляско, Куньяк (рис. 5 д). В основном это прямоугольные «конструкции» (рис. 5 д-м), конфигурация которых состоит из сквозных «проходов», «галереек», «переходов». Ряды и цепочки солярных «точек» — «пятен», помещаемых внутрь и снаружи «убежища», адекватны «линиям» (удлиненным солнечным «нарезкам») передающих «движение» лучей, выражающих путь солнца, следуемого к своему «убежищу» или выходящего из него. В этой образной передаче смены годовых сезонов наглядное выражение получил присущий первобытному представлению солнечный антропоморфизм. На примерах сюжетов росписи пещеры Ляско наблюдается сложный путь, проде-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

лываемый солнцем после своего «пробуждения». Путь солнца, отмеченный художником в виде «точек» — «пятен» и их рядов проходит по «переходам» из камеры в камеру, прежде чем выйти на «свободу».

Подобную картину можно наблюдать в росписи пещеры Ляско, где «блуждание» после «пробуждения» солнца и его «выход» показан другим способом, при котором выступает не само солнце, а адекватные ему «нарезки», (рис. 5з, к). Сложный путь проделывает «солнце», выступающее в виде парной «нарезки», помещенной внутри прямоугольной фигуры с лабиринтами «проходов», ведущих к «выходу», (рис. 5з, к, Ляско). В той же пещере солнце дано в виде «нарезок», а место его пребывания, т. е. начало пути заштриховано в «камере», (рис. 5з, и, к). Такой прием, выражающий солнечное «оживление», фиксировался в изобразительных приемах мустье и ориньяк, как и в заштрихованном солярном очертании из пещеры Абри Мюрат, а позже на зооморфных изображениях (Авдеево), (рис. 2г). Интересен и другой вариант «пробуждения»: в этом случае солнце, переходя из «камеры» в «камеру», как бы действительно переживает фазы своего «рождения», образно переданное художникам в виде «вырывающихся» из камер снопов лучей, свидетельствуя этим «реальность» акта своего «появления», (фиг. 11, рис. 6). Наконец, солнце «выскальзывает» из камеры, подобно новорожденному, а затем «предстает» во всем блеске своего сияния (рисунок приводится А. Лямнинг-Эмперер с ссылкой на Г. Обермайера).



ф 11

Истолкование «тектиформ» в роли солнечного «убежища» подтверждают аналогичные функции других фигур в виде «ромбов», «лодок», «домов», конструкции «сводов» (рис. 9, 10, 11, 12). Они окончательно утверждают солнечное «представительство» в виде рядов «точек», «пятен» и адекватных им «нарезок», «линий» в равнозначном

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

смысле их оживления» и «движения». Наиболее наглядно это прослеживается на рисунках пещеры Кастильо (Испания), где ясно показано «движение» солярных знаков в виде рядов «точек», входящих в «убежище» и выходящих оттуда (рис. 8), тогда как в пещере Альтамира та же идея передается замкнутыми рядами линейных «нарезок» (рис. 8а, 12). Еще большую ясность в функцию «убежища» вносят в виде конструкции пещерных «сводов» (рис. 9, 10, 11) и «домов» (Фон де Гом) (рис. 7д, ж). Их двойная линия обводки подобно «сегментам» на мезинских «птичках», также служит им «оболочкой», внутри которой «мечутся» в разные стороны расположенные там тройные ряды «линий» — солнечные лучи, вырывающиеся вверх пучком «света» (рис. 7г, 9, 10). Та же конструкция, но без «оболочки», помещена внутри изображения мамонта в пещере Бернифаль.

Окончательное доказательство графического способа линейной передачи солнечных «свойств» следует усматривать в пещере Кастильо и Руфиньяк, в которых линейная структура повторяется в виде тройного ряда линий солярных «точек», (рис. 7, б, ж).

Различные варианты «убежищ» подчиняются единому изобразительному стремлению показать, как солнце после «пробуждения» «блуждает» по лабиринтам, переходам, в поисках выхода из пещеры, «лучи» его скользят и «оживляют» образы животных, охотясь на которых человек прекратил их земное существование. С магической целью он воспроизводит их «образ» в уверенности, что солнце, вновь обретая свои жизненные силы, возвратит их снова к жизни (рис. 14а, б).

Сравнительные данные позволяют сделать вывод, что та же идея руководила палеолитическими охотниками, наносившими гравировку геометрических начертаний в гротах Мгвиме и Агаца (Грузия). Не трудно уловить, что в этой гравировке доминирующее значение занимает прямая крестообразная фигура, подчеркнуто выступающая из гущи перекрещивающихся линий (рис. 13б). Вместе с вполне оформившейся прямой крестообразной фигурой из Цонской пещеры (рис. 1з), вся эта графическая система, составленная из «нарезок», указывает на осознание человеком не только активизирующего, жизненного значения солнца, но и его суточного и годичного ритма. Сопоставление материалов Сибири и Западной Европы дают основание предполагать, что в обоих случаях сложившееся мировоззрение раскрывалось в мифотворчестве множеством всевозможных магических действий, направленных на увеличение поголовья зверя и численное умножение своего коллектива. Следует полагать, что именно эта задача руководила палеолитическими художниками в магическом приеме, предусматривающем прибавление «лишнего» контура к рисунку животного или его частей, как это показано на изображении олененка в пещере Ля Бут дю Монд (рис. 16а), «восьминогого» кабана в Альтамире (рис. 16б), а также лошади в Ляско (рис. 16в). С этой же целью, надо думать, воспроизводятся композиции в виде

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

стада оленей (рис. 17а), группы козлов (рис. 17б), идущих оленей, показа ритмичного чередования рогов и «нарезок» (рис. 18) (Грот Мерии, Тейжи), стада оленей (рис. 19) (Лимейль) и другие подобные композиции. С той же идеей могут быть связаны так называемые «переслаивающиеся» рисунки на гальках Коломбьер, в пещерах Комбарель, Бернифаль и др. (рис. 21).

Представления первобытного человека относительно «оживления» природы связывались с «оживлением» самого солнца, передаваемым обозначениями, возникшими еще в мустерском времени[8]. Это со всей очевидностью доказывается изобразительной практикой всего верхнего палеолита: воспроизведение солнца красным «пятном», «точками» и «нарезками» передает солнечное движение в их последовательном чередовании.

Необходимость воспроизведения этих знаков заставляет художников выполнять изображения животных целиком из красных точек, подобно тому как выполнен бизон из пещеры Марсулы и другие изображения в пещерах Ля-Мецо, Кастильо (рис. 2, к, м), а также помещать «внутрь» животного ряды солярных «точек» или «нарезок», как это показано на изображении оленя в пещере Трех братьев и лошади в Ляско (рис. 2. з). В мадленских сюжетах в поисках средств «оживления» практиковались различные оттенки красной охры.

Мотивы «исчезновения» солнца, утраты его тепла и света в ночное и зимнее время «раскрывались» первобытным человеком в его «сюжетах», отсюда следует видеть преемственность в мифотворчестве народов, сохранившем сходные мотивы повествований, по которым солнце зимой «заключено» в темницу, «томится» в крепости, пещере, злые духи, демоны, колдуны, драконы, хищники, призванные его сторожить, могут помешать солнцу во-время появиться на небосклоне[9].

Мотивы исчезновения солнца объяснялись по-разному: его проглатывали дэвы, рыбы, киты, драконы, такие же представления связывали «рождение», появление солнца из водной стихии[10].

Археологические исследования палеолитической живописи Каповой пещеры (Урал) «служит новым веским доказательством известного положения о том, что в соответствии с законами развития человеческого общества на одной и той же ступени исторического процесса, в сходных природных и экономических условиях везде, где жил человек, у него возникали одни и те же формы общественного строя и сходные явления социальной жизни»[11].

Выведенные красной охрой фигуры мамонтов, носорогов, лошадей и других животных помещены в трудно доступных местах и уз-

---

[8] Н. Е. Урушадзе. Начальный этап развития изобразительных знаков эпохи мусты, с. 82—89.

[9] А. Афанасьев, ук. соч., с. 250—380.

[10] М. Я. Чиковани. Амираниани. Тб., 1960, с. 116; Грузинские варианты «Шах-Наме» Тф., 1916, 1945, с. 332; его же, Народный... с. 190, 191, 209. 222, 232.

[11]. О. Н. Бадер. Каповая пещера, М., 1965, с. 23.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ких приходах, аналогично тому, как это производилось палеолитическими художниками в пещерах Юго-Западной Европы, (рис. 22). Фигуры животных сделаны реалистично, отличались мастерством и точностью изображений. Особенно близкими следует считать изображение носорога в Каповой пещере с рисунком в гроте Коломбьер.

Поражает сходство знаков с западными изображениями (следуя сравнительной таблице А. Леруа-Гурана)[12]. Все эти данные заставляют предполагать наличие уже сложившегося в эпоху палеолита мировоззрения, согласно которому солнечное «пробуждение» представлялось как «действие», разыгрываемое в пещере. Подчеркивая этим важность магических обрядов, они заставляют человека в определенные периоды преодолевать под землей настоящие лабиринты, переплывать водные преграды, спускаться в колодцы, естественные шахты, с единственной целью, чтобы при тусклом мерцании факела воспроизвести — «оживляя» со всеми необходимыми магическими действиями того зверя, который по его вине расстался со своей жизнью. Художник таким способом обеспечивал общее благополучие и умножение своего коллектива, на что указывают женские изображения с подчеркиванием знаков пола (Нио, Ля Рош и др.) (рис. 23). Это полностью отвечает положению, согласно которому «связь между магическими актами и соответственными видами разумной человеческой деятельности настолько тесна, что порой почти невозможно установить разницу между тем и другим»[13]. По всем данным в «пещерных святилищах» появились и получили начало многие охотничьи обычаи, обряды, связанные с обучением молодого поколения охотничьему промыслу (пещера Монтеспан), где обнаружены изображения, по своему виду имеющие магическую обрядовую функцию, на что указывают следы ударов копий на изображениях животных, отпечатки множества человеческих ног на глиняном полу[14]. Отсюда мог возникнуть и оформиться промысловый культ, культ духов «покровителей», «хозяевов» природы, которые представлены в виде получеловеческих полузвериных существ. Это аналогизируется с известными изображениями колдуна в пещере Трех братьев, личины из Марсулы и Истюриц, птицеголовыми существами из пещеры Пеш-Мерль и Лос-Казарес, грота Пелигрино, Палермо, «монстрами» из Комбарель и Ля Марш и др. (рис. 24а—д). Изображения человека с видовыми признаками животного могли отвечать положению, согласно которому «первобытный человек объединял образ почитаемого зверя и образ мифического первопредка в одно общее понятие тотема»[15]. Художественно-семантический анализ этого образа вскрывает хозяйственно-экономические изменения эпохи и то большое значение, которое приобрела охота с помощью метательных орудий. Этот промысел целиком стал за-

---

[12] A. Leroi—Gourahan. rehistoir de l'art Poccidental Paris 1965.

[13] С. Н. Замятнин. Очерки по палеолиту. М., 1961, с. 90.

[14] Н. Кастере. Тридцать лет под землей. М., 1956, с. 20.

[15] А. Я. Анисимов. Религия эвенков, 1958, с. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

висеть от выработанных соответствующих качеств самого охотника; новые качества обозначали рост наблюдательности, изобретательности и смелости, которые разрешали ему в замаскированном под животное виде появляться среди дикого стада, выбирать свою жертву. Выделение таких личностей, как особо «отмеченных», приносивших коллективу наибольшую пользу, должно было окружаться ореолом почитания и сопровождаться верой в его сверхъестественную силу и магическую «связь» с миром промысловых животных. С этим явлением увязывается мысль, высказанная в свое время С. Б. Толстовым, согласно которой указывалось на то, что «в основе тотемической идеологии лежало чувство производственной связи с данным видом животных и растений»[16].

На такое понимание сущности указанных изображений наводят так называемые «монстры» и «личины», органически сочетающие человеческое лицо со «звериными» признаками, без явно выраженных атрибутивных элементов (рис. 25).

Считая, что для всякого изобразительного решения должна существовать реальная основа, а затем уже необходимость «нанизывать» на нее дополнительные характеристики, мы приходим к выводу, что «монстры», «личины», выходя за рамки реалистического воспроизведения, тем самым подчеркивают и передают необычайные свойства самого человека. Это позволяет сделать вывод, что таким способом мог воспроизводиться образ наиболее результативного охотника, что не мыслилось иначе, как только в причинной связи с какими-то его особыми качествами, «магической силой». Такие личности в дальнейшем приобретали влияние на коллектив в виде колдунов, шаманов, магов, жрецов и т. д. Своего рода поздней репликой таких подходов служат сюжеты бронзовых поясов ранних земледельцев Кавказа, в частности Грузии, где особо выделяются образы охотников, сохранивших в подобных мотивах именно в связи с выполнением ими определенных магических обрядов, направленных на умножение щедрот природы и успех земледельческого труда[17]. В этом явлении не трудно увидеть пережитки охотничьей идеологии, — сложившихся представлений о «космической охоте», сюжеты которой с удивительной последовательностью с неолита развиваются на каменных петроглифах долины Амура. Те же мотивы можно встретить и на островах Индонезии, во Вьетнаме и Полинезии[18]. Разыгрываемая «космическая погоня», в которой объектами преследования охотника может оказаться птица, хищник, «златорогие» олени, — выступая «в зооморфных образах часто выражали космические представления — культ солнца»[19]. Следуя сложившейся традиции, образы зо-

---

[16] С. П. Толстов. Проблемы дородового общества, «СЭ», 1931, № 3—4, с. 6.

[17] Н. Е. Урушадзе. О некоторых изобразительных особенностях бронзового пояса из Самтаврского некрополя. «Сабчота Хеловнеба», 1969, № 12, с. 46 (на грузинском яз).

[18] А. П. Окладников. Лики древнего Амура. Новосибирск. 1968, с. 124.

[19] Б. Б. Пиотровский. Археология Закавказья. Л., 1949, с. 90.

ეროვნული ბიბლიოთეკა

оморфных существ и охотников в древнейших земледельческих разыгрываемых астральных сюжетах во время весенних праздников, знаменовали собой обновление природы, а в дальнейшем привели к представлению о «культурном герое»[20]. «Освобождая» путь восходящему



[20] Е. М. Мелетинский. Происхождение героического эпоса. Ранние формы и архаические памятники. М., 1963, с. 38.

светилу, герой выступает как «учредитель» вселенной, что является «залогом и порукой регулярности и непрерывности в смене тех явлений природы, от которых зависит жизнь человечества»[21].




[21] Дж. Фрезер. Золотая ветвь. М., 1928, III, с. 106.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ТЕКСТ К РИСУНКАМ

1а. Кость с нарезками из Ля Ферраси; б—каменная плитка с выбитыми ямками (Ля Ферраси); в—каменная плитка с изображением овала (круга), (Абри Селье); г, д—каменные плитки с гравированными начертаниями овалов, полуовалов, точек, ямок, нарезок, (Ля Ферраси); ж—каменная плитка с изображением точек, «нарезок» в виде крестообразных фигур (Ля Ферраси); з—каменная плитка из Цонской пещеры (Грузия). с изображением на ней крестообразной фигуры; и—таблица, составленная из изобразительных элементов мустьерского периода.

2а. «Штрихи» («нарезки») внутри солярного очертания (Абри Мюрат); б — штрихи и солярные зн.ки на стенках пещеры Сюрси сюр Кур; в, г, — штрихи на зооморфном изображении, кость, (Авдеево); д — штрихи на женской фигурке, кость (Костенки); ж — солнечные знаки в виде линий с «нарезками» (Габилу); з, и — изображения лошади и быка с «нарезками» (Ляско); к — изображение бизона из точек (Марсула); л — изображение носорога с «нарезками», «линиями» — лучами, выходящими из солярных знаков; м — изображение лошади, покрытой солярными «точками».

3а. «Линии» — солнечные лучи (Гаргас); б—«оживление» линиями — солнечными лучами частей животных (Альтамира); в—изображение бизонов трехлинейным контуром (Ля Бом Лятрон). г—рисунки трехлинейным контуром (Шабо).

4а. Выходящие из солярного «чрева» солярные знаки в виде «точек» и «нарезок» (Ля Ферраси, мустье); б—изображение «овала», под животом животного и выходящие из «овала» солярные «точки» (Ля Ферраси. ориньяк); в—изображение лошади и «овалов» с выходящими оттуда парными «нарезками» (Абри Селье, ориньяк); г—под изображением лошади из Шишкино сходная фигура с «овалом», изображенном на рисунке — б (Ля Ферраси); д. ж—«жесткий» контур, передающий рисунок оленя (Нио) и мамонта (Пеш-Мерль)

5а. Фигурка «птички» с солнечным «сегментом» (Мезин); б—фаллическая фигура с «солнечным» сегментом и «четырехугольной» фигурой; крымская галька с аналогичным рисунком «четырехугольника» — с солнечным «убежищем». Аналогичные с ними фигуры тектиформ (Куньяк, Альтамира); д-л—тектиформы—солнечные «убежища», в которых «оживление» и «путь» солнца отмечается «точками» и «нарезками» (Ляско); м—солнечные знаки «точки» и «нарезки» (Нио, Марсула).

6. Фазы солнечного «рождения» по (рисункам А. Ляминг—Эмперер с ссылкой на Г. Обермайера).

7а. Фигура из солнечных «нарезок» (мустье); б—аналогичные фигуры из «точек» (Кастильо) и (ж) «линий» (Руфиньяк), так же как структура тектиформ г. (Бернифаль, Фон де Гом).

8,12. «Лодочная» структура тектиформ из «точек» и «нарезок» (Кастильо, Альтамира).

9,10,11. Тектиформы — солнечные «убежища» в виде конструкции «сводов» пещер с вырывающимися оттуда солнечными «лучами»).

13.б. Процарапанные штрихи на стенах в пещерах Мгвиме и Агаца (Грузия), в которых улавливаются очертания крестообразных фигур.

14а. Солярные фигуры с выходящими оттуда «линиями» — лучами; б—солнечное «убежище» с вырывающимся оттуда солнечным лучом (линией) (Бернифаль).

15. Изображение «оживления» промысловых животных и человека солнечным «лучом» «пробужденного» солнца (Трех братьев, Ляско).

16. а. Олененок с «умноженными» частями тела (Ля Бут дю Монд); б—«осьминогий» кабан (Альтамира); в—лошадь (Ляско).

17а, б. Стадо оленей и козлов (Ляско).

18. Стадо оленей (Грот Мерии, Тейжла).

19. Стадо оленей (Лимеиль).

20. Идущие друг за другом туры (фрагмент сюжета на бронзовом поясе из Самтаврского некрополя, Грузия).

ეროვნული ბიბლიოთეკა



21. Переслаивающиеся рисунки животных на гальке из Комбарель.
22. Изображение мамонтов на стенах Каповой пещери.
23. Женские символы, изображенные на стенах пещер Нио, Ля Рош.
24. Изображения замаскированных под животное охотников.
25. «Личины, «монстры».

В подборе иллюстраций автором были использованы материалы, относящиеся к исследованиям: А. Брейля, Э. Картальяка, А. Леруа-Гурана, С. Н. Замятнина, А. П. Окладникова, А. Н. Каландадзе, З. А. Абрамовой и др.

Представил Центр археологических исследований

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ყიფიანი

# საირხის კაპიტელი

საირხის კაპიტელი საჩხერის რ-ონში, სოფელ საირხის მიდამოებში აღმოაჩინა არქეოლოგმა ნიკოლოზ ლამბაშიძემ 1957 წელს[1]. კაპიტელმა აღმოჩენისთანავე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, თავდაპირველად იგი სვეტის ბაზა ეგონათ[2]. შემდგომ ანტიკური არქიტექტურის მკვლევარმა გიორგი ლეჟავამ განსაზღვრა ამ დეტალის ფუნქცია, როგორც დორიული ტიპის კაპიტელისა[3]. გიორგი ლეჟავას ამ მოსაზრების მიმართ ეჭვი გამოთქვა არქეოლოგმა ჯურხა ნადირაძემ იმის გამო, რომ ამ დეტალის მხატვრული სახე, როგორც კაპიტელისა, არაკანონიკურია დორიული ორდერისათვის[4]. ქართული არქიტექტურის ბოლოდროინდელ ზოგადი ხასიათის ნაშრომში ეს დეტალი კაპიტელად იხსენიება[5]. გ. ლეჟავამ კაპიტელი ზოგადად არქაული ხანით დაათარიღა. ეს თარიღი მან შემოგვთავაზა საირხის კაპიტელის არქაულ დორიულ კაპიტელებთან შედარების შედეგად[6]. გ. ლორთქიფანიძეს კაპიტელის შექმნის თარიღად ძვ. წ. V—IV სს. მიაჩნია[7].

საირხის კაპიტელი მაგარი ჯიშის თეთრი კირქვისგანაა გამოთლილი. მისი იერსახე მრავალ თავისებურებას შეიცავს. ეს თავისებურებანი თანაბარი სიძლიერით ვლინდება როგორც მის მორთულობაში, ასევე მის შემადგენელ ცალკეულ ფორმებში. ამ მახასიათებელი ნიშნების მიხედვით ეძებნება საირხის დორიულ კაპიტელს თავისი ადგილი საქართველოს ანტიკურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის და ამავე ნიშნების საფუძველზე უნდა განისაზღვროს მისი შექმნის პერიოდი.

საირხის კაპიტელში, აბაკისა და ექინის გარდა, ფორმირებულია ყელიც. ყელი და ექინი ერთმანეთისაგან ორი ღრმა ღარით გაიყოფა, ხოლო ექინი და აბაკი სამი ღარით. აბაკი მაღალი, გეგმაში კვადრატული მოყვანილობის სადა ფილაა. ექინი და ყელი მცენარეული მოტივებით არიან შემკულნი.

განსაკუთრებულ ინტერესს საირხის კაპიტელი ექინის მორთულობით იწვევს. ექინის მთელი ზედაპირი დაფარულია ლოტოსის ყვავილის ფურცლების ხუთი რიგით, რაც მთლიანობაში ლოტოსის ყვავილის გაშლილ გვირგვინს გამოხატავს. ე. ი. საირხის კაპიტელში ექინი წარმოდგენილია, როგორც ლოტო-

---

[1] ჯ. ნადირაძე, არქეოლოგიური ნარკვევები, თბ., 1972, გვ. 56.

[2] იხ. ჯ. ნადირაძე, საჩხერის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრების შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 72—75.

[3] გ. ლეჟავა, სოფელ საირხეში აღმოჩენილი სვეტისთავის შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება", 1962, № 2, გვ. 49—51;

[4] ჯ. ნადირაძე, არქეოლოგიური ნარკვევები, თბ., 1972, გვ. 56.

[5] Н. Т. Джанберидзе, И. Н. Цицишвили, Архитектура Грузии, М., 1976, გვ. 29.

[6] გ. ლეჟავა, დასახ. ნაშრომი, გვ 49—51.

[7] Г. Лорткипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э., თბ., 1978, გვ 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის გაშლილი ყვავილი[8]. ყვავილის ფურცლების განშლის პრინციპი ლოტოსის ყვავილის გამოსახულების ეგვიპტურ სახეს იმეორებს, რაც თავის დროზე აღნიშნა გ. ლეჟავამ[9]. მასზე გამოსახულია ლოტოსის ყვავილის ერთ-ერთი სახეობა, ე. წ. „Nymphaea Lotos“, ამის მანიშნებელია დაბალი, ოვალური მოყვანილობის რელიეფური ფურცლები, ლოტოსის ყვავილის მეორე სახეობისაგან — „Nymphaea caerulea“-საგან განსხვავებით, სადაც ყვავილის ფურცლები მოგრძო ლანცეტური სახისანი არიან, ნაკლებად რელიეფურნი, დაკეჭნილნი და თვით ყვავილის გვირგვინიც ნაკლებადაა გაშლილი. ლოტოსისებურ სვეტისთავებზე ძირითადად ლოტოსის ამ სახეობათა გამოსახულებებს ვხვდებით ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებაში[10].

ასევე ლოტოსის ყვავილი უნდა იყოს გამოსახული კაპიტელის ყელზეც ეგვიპტურ დეკორატიულ ხელოვნებაში ლოტოსის ყვავილის გამოსახვის ერთ-ერთი ხერხია მისი მომრგვალებულბოლოებიან, მრავალფურცლა ვარდულად წარმოდგენა. ამდაგვარი ორნამენტული სახე ლოტოსისა უმეტეს შემთხვევაში გამოხატავს თვით ყვავილის გვირგვინის ძირს[11]. და საფიქრებელია, რომ კაპიტელის ყელი, წარმოდგენილი მრავალფურცლიან ვარდულად, ყვავილის ფუძეს გამოსახავს; თვით ვარდულის ფურცლების მოდელირება ტრადიციულია, იგი საუკუნეთა მანძილზე ნაკლებად განიცდის ტიპოლოგიურ ცვლილებებს.

საირხის კაპიტელის ექინზე გამოსახული ყვავილის ფურცლების მხატვრული დამუშავებაც ახლოს დგას თვისობრივად ეგვიპტური ორნამენტაციისათვის დამახასიათებელ ფორმებთან. მსგავსება ძირითადად კონტურში გამოიხატება, ღრმა და მკვეთრ კონტურში, რომელიც ესოდენ აუცილებელია სიბრტყეზე სკულპტურულ გამოსახულებათათვის ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებაში[12]. გამოსახულების მკვეთრი კონტურით შემოსაზღვრა შეინიშნება საირხის კაპიტელზეც, აქ ყვავილის თითოეულ ფურცელს, ყველაზე შორეულსაც კი, თანაბარი სიძლიერის ღრმა კონტური საზღვრავს მიუხედავად იმისა, რომ ფურცლები თავიანთი სკულპტურულობით ისედაც იმიჯნებიან ერთმანეთისაგან და სივრცობრივი სიღრმეც იქმნება ყვავილში შორეული რიგების თანდათანობითი დაპატარავებით.

საირხის კაპიტელის ექინი თავისი ფორმითაც იქცევს ყურადღებას მისი პროფილი ქვემოთაა ჩამოზიდული, აბაკზე დაკიდებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ექინის პროფილი ერთ-ერთი ნიშანია, რითაც საირხის კაპიტელი არქაულ კაპიტელებთან მსგავსებას ამჟღავნებს. გიორგი ლეჟავამ საირხის კაპიტელთან

[8] თუ ამ არქიტექტურულ დეტალს ბაზად წარმოვიდგენთ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობდა (იხ. ჯ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, არქეოლოგიური ნარკვევები, თბ., 1972, გვ. 56). მაშინ ლოტოსის გაშლილი ყვავილი ქვედამხობილი წარმოგვიდგება. ყვავილის ეს მდგომარეობა თავისთავად შესაძლოა უჩვეულო არ იყოს. მაგრამ თვით ის ფორმა, რომელზეც ყვავილია გამოსახული, იმდენად დაბალია, რომ გადმობრუნებულ მდგომარეობაში გამოსახულება მასზე არ აღიქმება, ქვედამხობილი ფურცლების რიგები ვერ ქმნიან შესაფერის მხატვრულ რიტმს. რიგები აქ ლოტოსის ყვავილის ტრადიციულ გამოსახულებათა ანალოგიურად ქმნის თავისებურ მოცულობით ფორმას, რომელიც სრულად მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქმება, თუ იგი სიმაღლეზე იქნება მოთავსებული.

[9] ნ. ლ ე ჟ ა ვ ა, ანტიკური საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ., 1979, გვ. 10.

[10] L u d w i g B o r c h a r d t, Die Aegyptische Pflanzensäule, Berlin, 1897, გვ. 3—17.

[11] A l o i s R i e g l, S t i l f r a g e n, Grundlegungen zu einer Geschichte der Ornamentik, Berlin, 1893, გვ. 52—53.

[12] Х. А. К и н к. Древнеегипетский храм, М., 1979, გვ. 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესადარებლად პესტუმისა და სელინუნტის დორიულ კაპიტელთა პროფილები წარმოადგინა, ე. ი. არქაული დორიკის ის ძეგლები, სადაც ჯერ კიდევ მძიმე და რამდენადმე რთულია ექინთა პროფილები[13]. გარდა ამისა, არქაულ დორიულ კაპიტელებს მცენარეული მოტივით შემკული ყელიც ახასიათებთ საირხის კაპიტელის მსგავსად. საირხის კაპიტელს ძვ. წ. VI ს-ის დორიული კაპიტელიც ემსგავსება კუნძულ კორკირადან. აქ მსგავსებას აბაკისა და ექინის ურთიერთგამმიჯნავი ზოლიც აძლიერებს იმ განსხვავებით, რომ კორკირას კაპიტელში ეს ზოლი ერთი ღარითაა გამოხატული[14], ხოლო საირხის კაპიტელში სამი ღარით. არქაულ ხანაში ცნობილია აგრეთვე დორიული კაპიტელები, რომელთა ექინები მცენარეული მოტივითაა შემკული და კერძოდ, ლოტოსის ყვავილებით[15]. და ამდენად, საირხის კაპიტელზე არქაული დორიული კაპიტელების ყველა ძირითადი მახასიათებელი ნიშანია თითქოს თავმოყრილი, მაგრამ ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი, თითოეული ცალ-ცალკე, ზოგადი მსგავსების მიუხედავად, თვისობრივად განსხვავდება საირხის კაპიტელის მახასიათებელი ნიშნებისაგან.



სურ. 1

ზოგიერთ არქაულ-დორიულ კაპიტელთა ექინები, უფრო სწორად, ექინთა ძირები პესტუმიდან შემკულია ლოტოსისა და პალმეტის გამოსახულებათა მონაცვლეობით ან ლოტოსისა და ვარდულის მონაცვლეობით, მაგრამ ეს მორთულობანი ვერ სწვდება ექინთა ცენტრალურ არეებს, მათი ფუნქცია მხოლოდ ექინთა ძირების მოჩარჩოებაა[16]. არქაულ ხანაში ცნობილია აგრეთვე დორიული კაპიტელები, რომელთა ექინები სწორედ ცენტრალურ არეებშია შემკული ლოტოსის ყვავილთა გამოსახულებებით; ასეთი ოთხი კაპიტელია ცნობილი ასევე პესტუმში ე. წ. „ბაზილიკიდან“[17]. მაგრამ ამ კაპიტელებზე ლოტოსის გა-

[13] გ. ლ ე ჟ ა ვ ა, სოფელ საირხეში აღმოჩენილი..., გვ. 19—50; გ. ლ ე ჟ ა ვ ა, ანტიკური ხანის..., ტაბ. XI. V.

[14] G e r h a r t R o d e n w a l d t, Korkira, Band, I, Berlin, 1940, გვ. 76—85.

[15] E r w i n und R e i n h o l d W u r z, Das dorische Kapitell. Zschft. f Gesch. der Arch. Beiheft 15, Heidelberg, 1925, გვ. 65; O. P u c h s t e i n, Das Ionische Kapitell, Berlin, 1887, გვ. 48—49; W. K o e n i g s. Kapitelle mit lotosbluten an der «Basilika» in Paestum, AA. 1972, გვ. 438—440.

[16] E. und R. W u r z, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

[17] W. K o e n i g s, დასახ. ნაშრომი, გვ. 438—440

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახულებანი წარმოგვიდგება, როგორც ცალკეული ორნამენტული სახე, და არც მათ აკისრიათ ის ფუნქცია, რომ ექინი გაშლილ ყვავილად წარმოადგინონ. ამ ოთხი კაპიტელიდან სამზე მხოლოდ თითო გამოსახულებაა ლოტოსის ყვავილისა და ერთზე ორი. ეს კაპიტელები კირქვისაა და გაცვეთის გამო შესაძლოა მათზე მხოლოდ თითო-ოროლა გამოსახულება შემორჩა ყვავილისა, მაგრამ მათი სიხშირე მაინც ვერ წარმოქმნიდა ლოტოსის გაშლილი გვირგვინის შთაბეჭდილებას. ეს ორნამენტული სახე პესტუმის კაპიტელებიდან, ტიპოლოგიურად ახლოს დგას ლოტოსის გამოსახულებათა ატიკურ ტიპებთან[18]. ამ გამოსახულებებში არ იქმნება ყვავილის ფურცლების რიგთა ურთიერთმონაცვლეობა; ისინი, ლოტოსის გამოსახულების ეგვიპტური სახეებისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნიან ყვავილის გვირგვინის თასისებურ ფორმას. ამ ძირითადი ნიშნით ეს ორნამენტული სახეები და საირხის კაპიტელის ლოტოსის ყვავილად წარმოდგენილი ექინი პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამდენად, საირხის კაპიტელის ექინის მორთულობა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც არქაულობისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენა. როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, საირხის კაპიტელზე გამოსახული ლოტოსის ყვავილი ძირითადად ეგვიპტური ორნამენტაციისათვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ეგვიპტურ ხუროთმოძღვრებაშიც ლოტოსის ყვავილით გამოსახული სვეტისთავები საკმაოდ იშვიათია[19]. ადრეული მეფობის ხანაში შექმნილი სვეტისთავის ეს ტიპი ერთგვარად მივიწყებულია ეგვიპტური არქიტექტურის გვიანდელ პერიოდებში; გვიანი მეფობის ბოლო ხანებში, ე. ი. იმ პერიოდში, რომელიც თანხვდება საბერძნეთის არქაულ, კლასიკურ და გვიანკლასიკურ პერიოდებს, ლოტოსისებური კაპიტელები თითქმის აღარ გვხვდება[20], კაპიტელის ამ სახეობის აღორძინება ახალი ძალით ხდება პტოლემაიოსურ ხანაში[21], ამ პერიოდში კაპიტელები უმეტესად გაშლილი ყვავილის ფორმით არიან წარმოდგენილნი[22]. ეგვიპტური არქიტექტურის ეს სტილი, რომელიც სვეტისთავს გაშლილი ყვავილის გვირგვინად წარმოსახავს და მთლიანობაში სვეტს — მცენარეულ ღეროდ, აღწევს მცირეაზიის ელინისტური ცენტრების ხუროთმოძღვრებაშიც[23]. ელინისტურ ცენტრებში გვაქვს ცდები, რომ სვეტი გაშლილი ყვავილის გამოსახულებით დაგვირგვინდეს: ეგეაში პორტიკის ზედა სართულის კაპიტელები გაშლილ გვირგვინს გამოხატავენ.[24]. ასევე გაშლილი პალმისებური კაპიტელით ბოლოვდება სვეტები ათენა პოლიადის ტაძარ-სამლოცველოს ინტერიერში პერგამონში[25] და გაშლილგვირგვინიანი კაპიტელები აქვთ ასოსში, აბანოს ინტერიერში მყოფ სვეტებსაც[26]. ეგვიპტური არქიტექტურის ამ სტილს, მიუხედავად იმისა, რომ

---

[18] შეადარეთ: I m m o B e g e r, Die Datierung der grossen Reliefgiebel des alten Athenatempels des Akropolis, AA, Heft 1, 1971, გვ. 69. Abb. 31.

[19] ВИА, т. I, M., 1970, გვ. 136.

[20] L. B o r c h a r d t, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—11.

[21] იქვე, გვ. 11.

[22] О. Ш у а з и, История архитектуры, I, M., 1935, გვ. 42.

[23] R. H a m m a n, Geschichte der Kunst, Bd. 1, Berlin, 1957, გვ. 775.

[24] R. B o h n, Altertümer von Aegae, Berlin, 1889, Abb. 24.

[25] Altertumer von Pergamon, II, tafel XXIV.

[26] Investigations at Assos, Part I, London, Cambridge, Leipzig, 1902, გვ. 25. სამწუხაროდ ვერ მოვიძიე «Investigations at Assos»-ის მე-2 ტომი და ამიტომ ანალოგად ვერ მომყავს აქ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის საკმაოდ ფართოდ ვრცელდება მცირე აზიაში, მაინც ერთგვარი სიფრთხილით ეკიდება ელინისტური ხუროთმოძღვრება — ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშები მხოლოდ ინტერიერში გვხვდება, რადგან ისინი არ განეკუთვნებიან ერთ რომელიმე ჩამოყალიბებულ ხუროთმოძღვრულ სისტემას.

პარალელურად სახეს იცვლის დორიული ორდერიც. დორიული კაპიტელის ცალკეულ დეტალთა ფორმები, არქაული ხანიდან მოკიდებული, საგრძნობ ცვლილებებს განიცდიან, იმდენად, რომ გვიანკლასიკური ხანიდან დორიული კაპიტელის ცალკეულ ფორმათა ცვლილებების შედეგად ყალიბდება ეგრეთწოდებული „ნეოდორიული“ სტილი, უხეშდება და მრუდდება ცალკეულ ელემენტთა პროფილები[27], გამოიყოფა ყელიც სხვადასხვაგვარი ფორმით[28]. ეს პროცესი გრძელდება ელინისტურ და გვიანელინისტურ ხანებშიც. ამ პერიოდში ცვლილებებს ძირითადად ექინის ფორმა განიცდის. ექინები ვეღარ ქმნიან აბაკის დამჭერის შთაბეჭდილებას, არამედ დაკიდებული არიან მათზე და ამით რამდენადმე თითქოს უბრუნდებიან არქაული დორიკის ექინთა პროფილთა ფორმებს; მაგრამ არქაულ დორიკაში ექინთა პროფილები დასრულებულ ფორმებს წარმოადგენენ ელინისტური კაპიტელის ექინებისაგან განსხვავებით, სადაც თითქოს ფორმის ძიებას კი არა აქვს ადგილი, არამედ მის გაუხეშებას. ამ მოვლენის დასაწყისის თვალსაჩინო მაგალითი გვაქვს მამურტ-კალეში[29]. აქ ელინისტურ დორიული კაპიტელის ექინში უკვე ერთგვარი სიმძიმე შეინიშნება, ამასთანავე აბაკი და ექინი თითქმის ერთი სიმაღლისანი არიან. ასევე ვეღარ ქმნის აბაკის დამჭერის შთაბეჭდილებას დორიული ტიპის კაპიტელის ექინი პერგამონში — ზემო ბაზრიდან[30], ხოლო დორიული კაპიტელი ნიმფეოსის არსამეადან, რომელიც ძვ. წ. I-ს განეკუთვნება, თვალსაჩინო ნიმუშია ყველა იმ ტექტონიკური ცვლილებებისა, რაც დორიულმა კაპიტელმა განიცადა გვიანელინისტურ ხანაში[31]. ამ კაპიტელში, საირხის კაპიტელის ტექტონიკური ფორმების ანალოგიურად, ყველა დეტალი სახეცვლილია (მაღალი აბაკი, მკვეთრად დაკიდებული ექინი და სარტყლისებური ყელი). ყელი ელინისტურ დორიულ კაპიტელებში, თუ იგი ხაზგასმულია რაიმე ფორმით, ჭრილში წარმოადგენს სიბრტყიდან წინ გამოზიდულ პროფილს (ლილვი, სარტყელი); საირხის კაპიტელშიც ყელი წინ გამოზიდული პროფილია, წრეთარგის ფორმისა, და ამდენად ამითაც ემსგავსება ზოგიერთ ლინისტურ კაპიტელს და თვისობრივად განსხვავდება არქაული დორიული კაპიტელებისაგან, რადგან იქ ყელის პროფილი ყველა შემთხვევაში, უგამონაკლისოდ, სკოციას წარმოადგენს.[32]

ექინი ელინისტურ ხანაში სხვა მხრივაც განიცდის ცვლილებებს. კლასიკურ ხანაში კანონიკურ ნორმად ქცეული ექინის მოურთველობა ირღვევა და

ქვეყნებული მცენარეული მოტივით შემკული ელინისტური დორიული კაპიტელი. ეს კაპიტეულ ნახსენებია ნაშრომში — «The Ekcavations at Dura Europos»..., 1933—1934 and 1934—1935, New Haven, London, Leipz. Prag, 1939, გვ. 247.

[27] E. und R. Wurz, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

[28] იქვე,

[29] Alexander Conze und Paul Schazmann, UIKDAI B, 1911, S 34, abb. 42.

[30] ВИА, том, II, кн I, M., 1949, გვ. 295.

[31] Arsameia am Nymphaios, Ausgrabungen 1963 und 1964, AA, 1965. Heft 2, Band 80, გვ. 188—236.

[32] Manfred Bühlmann, Die altdorische Säule, *Zschft.* f. Gesch, der Arch. Iahrgang VI, Heidelberg. 1913, გვ. 239.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვ. წ. II-ს-ში მილეტის ბულევთერიონის საფასადო დორიულ ნახევარსვეტთა ექინები უკვე მთლიანად იონიკებითაა დაფარული[33].

ყველა ამ ტექტონიკურ ცვლილებას ზოგიერთი დორიული კაპიტელისას გვიანელინისტურ ხანაში თავისი აგებულებით საგრძნობლად შეესატყვისება საირხის კაპიტელი. საირხის კაპიტელში უკვე სახეცვლილი დორიული ფორმები შეუთავსდა ეგვიპტური არქიტექტურის, პტოლემაიოსურ ხანაში აღორძინებულ სტილს, ე. ი. იმ სტილს, რომელიც საგრძნობლად გაიზიარა თვით მცირე აზიის ელინისტურმა ხუროთმოძღვრებამ. უნდა აღინიშნოს, რომ საირხის კაპიტელზე ლოტოსის ყვავილთა ფურცლების სკულპტურულობაც ახლო ანალოგიებს პოულობს პტოლემაიოსური ხანის ლოტოსისებურ კაპიტელებთან. მაგალითად, საირხის კაპიტელის ლოტოსის ფურცლები და ლოტოსის ყვავილი თებეს ისიდას ტაძრის კაპიტელებზე[34]. — ორივე ეგვიპტური ელინიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელია. ორსავე შემთხვევაში ნათლად ჩანს ის ცვლილებები, რაც განიცადა ეგვიპტურმა დეკორატიულმა პლასტიკამ ელინისტურ ხანაში ადრეული პერიოდებისათვის დამახასიათებელი სტატიკურობისაგან განსხვავებით[35]. ორსავე შემთხვევაში ფოთლები ღრმა სკულპტურულობით და დინამიურობით გამოირჩევა. სკულპტურული ელემენტების საგრძნობი მოჭარბება ელინისტური ხანის ეგვიპტურ დეკორატიულ ხელოვნებაში ეგვიპტური ხუროთმოძღვრული პლასტიკის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად იქცა[36].

დეკორისა და ტექტონიკური ფორმების ისეთი შეთავსება, როგორიც საირხის კაპიტელში გვაქვს, თვისობრივად უახლოვდება ე. წ. ოფიციალურ ელინისტურ-ეგვიპტურ სტილს, რომლის ძირითადი მახასიათებელი სწორედ ეგვიპტურისა და ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრული სახეების ურთიერთშერწყმაა[37]. როცა ასეთ მოვლენაზეა საუბარი, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ალექსანდრიაში კომ-ეშ-შუკაფას კატაკომბების ხუროთმოძღვრება, სადაც ეგვიპტური მცენარეული ორნამენტი და ბერძნულ-ელინისტური არქიტექტურული ფორმები ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობენ ისე, რომ არ ირღვევა არც ერთი მხრის ტრადიციულობა და ეგვიპტური მორთულობა არავითარ პრინციპულ გავლენას არ ახდენს ბერძნულ-ელინისტურ ტექტონიკურ ფორმებზე[38].

თვით კაპიტელის მხატვრული მთლიანობის აღქმაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს აბაკისა და ექინის ურთიერთგამმიჯნავ ჰორიზონტალურ ღარებს, მაგრამ ამით შესაძლოა მოცემულია ცდა იმისა, რომ სვეტითა და შემდგომ კაპიტელით დასრულდეს ერთი მხატვრული თემა, გადმოიცეს გაშლილი ყვავილით დასრულებული მცენარეული ღეროს შთაბეჭდილება და ეგვიპტური ორდერის კანონის შესაბამისად სვეტი გაემიჯნოს გადახურვის კონსტრუქციულ

---

[33] ВИА, М., 1949, т. II, книга I, გვ. 301, ტაბ. 135, 3.

[34] ამ კაპიტელზე გამოსახული ლოტოსის ყვავილი კარგად ჩანს ჟურნალ „კურიერის“ 1979 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ ფოტოზე. ფოტოს ავტორია ჰენრი შტლერლინი. ფოტო თან ახლავს ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებულ რაშიდ ელ-ნადურისა და ჟან ვერკუტერის სტატიას «Изобретатели и инженеры Древнего Египта».

[35] Māté Majòr. Geschichte der Architektur, Band 1, Budapest, 1976, გვ. 167.

[36] ВИА, т. I, книга I, М., 1970, გვ. 125.

[37] F. W. von Bissing, Die Kunst der alten Aegypter, Leipzig. 1911, გვ. 40.

[38] Ausgrabungen in Alexandria, T. Schreiber, B. I., Die Nekropole von Kōm-esch-Schukafà, Leipzig, 1908, გვ. 279—296.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელემენტებს და მათ შორის აბაკსაც[39]. აქ მკვეთრი გამიჯვნა აბაკთან იმის გამო, რომ საქმე გვაქვს კაპიტელის დორიულ ტიპთან, არ მოხერხდა, მაგრამ საირხის კაპიტელში ამ ღარებით ყვავილის გვირგვინის აბაკისაგან განცალკევების ცდა მაინცაა გადმოცემული.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მოგვიანებით სირიაშიც ჩნდება ცდები, რომ მცენარეული მოტივი, და ისიც გაშლილი გვირგვინის გამოსახულება, დორიულ კაპიტელს შეუთავსდეს და ეს მოვლენა აქ ახსნილია, როგორც გავლენა ელინისტური ხუროთმოძღვრებისა გვიანანტიკურ არქიტექტურულ ფორმებზე[40].

ამგვარად, საირხის კაპიტელის ზემოთ განხილული მახასიათებელი ნიშნები ტიპოლოგიურად ახლო დგანან ერთი მხრივ, ელინისტურ ხანაში გავრცელებულ დორიულ კაპიტელთა ცალკეულ ფორმებთან და მეორე მხრივ, საგრძნობ მსგავსებას ამჟღავნებენ ეგვიპტის ელინისტური პერიოდის არქიტექტურულ პლასტიკასთან და ამდენად, საირხის კაპიტელის სახით საქმე უნდა გვქონდეს არა არქაულ არქიტექტურულ დეტალთან, არამედ გვიანელინისტური ხანის არქიტექტურის ერთ-ერთ უნიკალურ ნიმუშთან, სადაც ეგვიპტური არქიტექტურული სტილის გავლენა, იმ სტილისა, რომელიც მცირე აზიის ელინისტურმა ცენტრებმაც გაიზიარეს, წარმოდგენილია არა როგორც ეგვიპტური გავლენით შესრულებული მზამზარეული ფორმა, არამედ შეთავსებულია მკაცრად ჩამოყალიბებულ ხუროთმოძღვრულ სისტემასთან — დორიულ ორდერთან.

Г. Г. КИПИАНИ

## КАПИТЕЛЬ ИЗ САИРХЕ

### Резюме

В статье рассматривается античная архитектурная деталь — капитель дорического типа, найденная в 1952 г. в селе Саирхе Сачхерского р-на, которая исследователями датировалась условно архаическим периодом или V — IV вв. до н. э., основываясь на сходстве ее украшений и тектонических форм с архаическими дорическими капителями.

В статье дана попытка более детального анализа характерных признаков капители (украшение растительным мотивом и др.), вследствие чего в этой архитектурной детали выявляется множество нюансов эллинистического зодчества. Датой создания капители предлагается позднеэллинистический период — II — I вв. до н. э.

[39] Н. Н. Брунов, Египетская архитектура и проблемы синтеза искусств, сб. Вопросы архитектуры, М., 1935.

[70] M. I. Rostovtzeff, F. E. Brown, [C. B. Walles, The Excavations at Dura Europos..., 1933—1939 and 1934—1935, New Haven, London, Leipzig, Prague, 1939, გვ. 247.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პალეოურბანისტული კვლევის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დისკუსია და განხილვა

ალექსანდრე აბდალაძე

## XI—XV სს. საქართველოს სახელმწიფო წყობილების ისტორიიდან

### („დარბაზი“)*

უკანასკნელ ხანებში მწვავედ დაისვა საკითხი XI—XV სს. საქართველოს სამეფო კარზე უმნიშვნელოვანესი დაწესებულების, „სახელმწიფო დარბაზის“ არსებობა-არარსებობისა[1]. დასახელებულ ნაშრომებში, რომლებშიც უარყოფილია ამგვარი დაწესებულების არსებობა, რატომღაც გამოყენებული არაა სათანადო, ჩვენი აზრით, ანგარიშგასაწევი სომხური მასალა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი არა მარტო სომხურ ენაზე, არამედ, ასე თუ ისე, სხვადასხვა დროს ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიცაა წარმოდგენილი.

თუ ჩვენ გავკადნიერდით და გადავწყვიტეთ საგანგებო მსჯელობა გაგვემართა „სახელმწიფო დარბაზის“ შესახებ, ამის მიზეზი გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ წამოჭრილი კითხვების გადასაწყვეტად საჭირო ქართული წყაროების სიმწირისა თუ ამ წყაროებში ჩაწვდომის სიძნელის გამო სათანადო სომხური მასალის მოხმობა აუცილებელი გვგონია, თორემ დღემდე არასოდეს გვიმუშავია ამ რიგის საკითხებზე და, ცხადია, არაერთ დაბრკოლებასაც წავაწყდით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ეს წერილი მიზნად ვერ დაისახავდა „სახელმწიფო დარბაზთან“ დაკავშირებული ურთულესი საკითხების საფუძვლიან განხილვას. ჩვენი ნაშრომი მარტოოდენ ხსენებული დაწესებულების უარყოფის წინააღმდეგაა მიმართული.

უწინარეს ყოვლისა, შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ ბოლო ხანებამდე საყოველთაოდ მიღებული ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი „სახელმწიფო დარბაზის“ შესახებ და საპირისპირო შეხედულება ილ. ანთელავასი. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს ორგანოდ სახელმწიფო „დარბაზი“ იყო. სხვადასხვა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო შემთხვევების დროს, — სახელმწიფო საქმეებზე ბჭობისათვის, ან რთული იურიდიული საკითხების გადასაწყვეტად, თუ დიდებული მოხელეების დასანიშნავად, ან და მეზობელი მეფე-მბრძანებლების მისაღებად საქართველოს მეფე „დარბაზობა“-სა მართავდა ხოლმე“, ქართულ ენაში სიტყვა „დარბაზის“ მრავალი მნიშვნელობაა დადასტურებული. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „დარბაზი“ „ამირას, მეფის, ან საერთოდ მბრძანებლის სასახლესა ჰნიშნავდა... მაგრამ ამასთანავე დარბაზს სასახლის იმ ოთახსაც ეძახდნენ, სადაც სახელმწიფო საქმეების გამო

---

* წაკითხულია „საისტორიო საუბრების“ სხდომაზე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში (1981 წ. 23 ივნისს).

[1] იხ. ილ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, „დარბაზი“ XI—XIII საუკუნეთა საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № 4; მ ი ს ი ვ ე, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 129—154.

მეფის თანდასწრებითა და მონაწილეობით სხდომა იმართებოდა ხოლმე“[2]. „სახელმწიფო დარბაზში“ XI ს-ის შუა ხანებისათვის „წევრებად ყოფილან: უმაღლესი სამღვდელოებისა, დარბაზის კარისა მყოფთა და საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა უფროსი წარმომადგენელნი და „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, ანუ იურისტი აზნაურნი“[3].

„ჴელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვითაც, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „სახელმწიფო დარბაზის სხდომებს ესწრებოდნენ ყველა ვაზირები თავიანთ თანაშემწეებითურთ, უმაღლესი სამღვდელოება კათალიკოსისა და მოძღვართმოძღვარის მეთაურობით და მნიშვნელოვანი მონასტრების წინამძღვარნი, საქვეყნოდ გამრიგეთაგან—კი, უფროსი მოხელეები“.

„დარბაზობა ორნაირი სცოდნიათ: ან „დიდის წესითა“, ან „უმცროსითა.“ თუ რომელი მათგანით უნდა ყოფილიყო დარბაზობა ყოველ კერძო შემთხვევაში, ეს მეფეს უნდა ებრძანებინა...

დიდი დარბაზობა დარბაზის საზეიმო სხდომას წარმოადგენდა, რომელსაც დარბაზის ნამდვილ წევრთა, დარბაზის ერთა გარდა მრავალრიცხოვანი ხელშინაური მოხელეობა და დარბაზის ყმანიც ესწრებოდნენ წესრიგისა და ზეიმის მოსაგვარებლად. ასეთ საზეიმო, დიდ დარბაზობაზე, რასაკვირველია, შეიძლება მხოლოდ ისეთი საქმეები ყოფილიყო გარჩეული, რომელთა შესახებ საჯაროდ მსჯელობა უხერხული და სახიფათო არ იყო“.

„დარბაზობა „უმცროსითა წესითა“ სახელმ. დარბაზის საქმიანი სხდომა უნდა ყოფილიყო, რომელსაც, ვაზირობის მსგავსად, მხოლოდ დარბაზის ნამდვილი წევრნი, დარბაზის ერნი, ესწრებოდნენ და რომლის საიდუმლოება ალბათ ისეთივე სიმკაცრით იქნებოდა დაცული, როგორითაც ვაზირობისას იცავდნენ ხოლმე“[4].

დასასრულ, ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა, რომ სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვანი საქმე გადაეწყვიტა საქართველოს „სახელმწიფო დარბაზს“, რომელიც ამიერიდან მეფის სასახლეში აღარ უნდა ყოფილიყო მოთავსებული[5].

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის მოტანილი დებულებები, თუ მცირეოდენ შესწორებებს არ გავითვალისწინებთ, ბოლო ხანებამდე, შეიძლება ითქვას, გაბატონებული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. „სახელმწიფო დარბაზისადმი“ მიძღვნილ თავის პირველსავე ნაშრომში ი. ანთელავა წერდა: „საფიქრებელია, რომ ე. წ. „სახელმწიფო დარბაზი“, ფეოდალთა პოლიტიკური ორგანო საქართველოში, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (იგულისხმება XI—XIII სს. — ა. ა.) არ არსებულა“ „ტერმინ „დარბაზს“, რომელიც „თავიდან“ სასახლეს აღნიშნავდა, არ მიუღია სხვა მნიშვნელობა. უადგილო ჩანს ჩვენს ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინები „სახელმწიფო დარბაზი“, „დარბაზის სხდომა“, „დარბაზის წევრი“ თუ „დარბაზის ნამდვილი წევრი“...[6] ხსენებულ წერილში საბოლოოდ შემდეგი დასკვნებია გამოტანილი:

---

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II ბ, ტფ., 1929, გვ. 237, აგრეთვე გვ. 242.

[3] იქვე, გვ. 239.

[4] იქვე, გვ. 241—242.

[5] იქვე, გვ. 171, 243.

[6] ილ. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**1.** XI—XIII საუკუნეებში „დარბაზი“ მეფის სასახლეს აღნიშნავს. სხვა მნიშვნელობით იგი წყაროებში არ დასტურდება, **2.** სასახლეში, დარბაზში კიდევ სხვა „დარბაზი“, ფეოდალთა სათათბირო „ორგანიზაცია“ არ არსებობს. **3.** ტერმინი „დარბაზის ერი“ სასახლის შტატს გულისხმობს დიფერენცირების გარეშე, უმაღლესი მოხელეებიდან უმდაბლესამდე და უხელომდე. ამასთან, ეს ტერმინი, როგორც ჩანს, სპეციალურია და მასში ერისთავთ-ერისთავები, ისევე როგორც სასულიერო ფეოდალები, არ უნდა იგულისხმებოდნენ“[7].

ეს მოსაზრებები განმეორებულია, შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ გაღრმავებულიცაა და დამატებით XIV—XV საუკუნეებზეცაა გავრცელებული ი. ანთელავას ზემოთ დასახელებულ წიგნში. აქ ავტორი ერთგან, კერძოდ, შენიშნავს, რომ გიორგი III-ის სიგელის ცნობით, „დარბაზის ერს“ წარმოადგენენ მეფის მეჯორეები და მერემეებიც, ე. ი. ჯორებისა და ცხენების მომვლელები, მწყემსები. „დარბაზის ერში“, აქედან გამომდინარე — წერს ი. ანთელავა — გვიჭირს დავინახოთ „სახელმწიფო დარბაზის ნამდვილი წევრები“, როგორც ი. ჯავახიშვილი ფიქრობდა“[8]. ი. ანთელავას გაუგებრობად ესახება გამოთქმა „დარბაზის მოწვევის“ შესახებ. მისი სიტყვით, „დარბაზს მოწვევა არ სჭირდებოდა, ხოლო ის ვინც „მოსაწვევი“ იყო, არც შეადგენდა „დარბაზის ერს“[9].

დავუშვათ, რომ „დარბაზის ერს“, მართლაც, მიეკუთვნებიან მეფის მეჯორეები და მერემეები. ნუთუ ესოდენ მრავლისმთქმელი შინაარსი სიტყვა „დარბაისელისა“ (ეს უკანასკნელი, საყოველთაოდ მიღებული აზრით, „დარბაზის ერი“-საგან მომდინარეობს) მეჯორეთა და მერემეთა „ავტორიტეტს“ ემყარება? ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართალი ი. ანთელავა, როცა ასკვნის, თითქოს საქართველოს სამეფო კარზე („მეფის დარბაზში“) დარბაზს, დარბაზის ერს მოწვევა არ სჭირდებოდა. ამგვარი მოსაზრების სისწორეს ქვემოთ მოტანილი სომხური მასალებიც ეჭვქვეშ აყენებენ, აქ კი მხოლოდ სულხან-საბასეულ განმარტებებს მოვიშველიებთ. საბა „დარბაზის ერი“-საგან მომდინარე სიტყვა დარბაისერს (ერთ-ერთ ავტოგრაფულ ნუსხაში გვხვდება დარბაისელიც) განმარტავს, როგორც „დარბაზს ჩინებული“. სულხან-საბასვე თანახმად, „ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ესე არს, რომელთა ბრძანება აქვნდეს დარბაზს მისლვისა“, ე. ი. სწორედ რომ ი წ ვ ე ვ ე ნ დარბაისერს (დარბაზის ერს) დარბაზში რაღაც საქმის გამო. ამავე დროს, საბას სიტყვით, დარბაისელნი სჳნკლიტიკოსნი (სინკლიტი იგივე სენატია[10]), „რჩევის მოქმედნი“ „გინა მთავარნი“ არიან[11]. როგორც ეტყობა, სულხან-საბას დროს ჩვენში სამეფო საბჭოს აღარ ერქვა დარბაზი, მაგრამ „დარბაზის ერი“-საგან წარმოშობილ „დარბაისელს“ კი უნრა ჰქონოდა შემორჩენილი ძველი შინაარსი.

---

[7] ილ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

[8] იქვე, გვ. 136.

[9] იქვე, გვ. 145.

[10] აღსანიშნავია, რომ სინკლიტი (სენატი) თავდაპირველად ბიზანტიის იმპერიაში წარმოდგედა როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო დაწესებულებას, შემდგომ კი იგი გადაიქცა საიმპერატორო საბჭოდ (Ф. И. У с п е н с к и й, История Византийской империи, III, М.—Л., 1948, გვ. 807).

[11] ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV (ლექსიკონი ქართული), ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ; სჳნკლიტიკოსის შესახებ იხ. აგრეთვე, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ველმწიფის კარის გარიგებაში“ ვკითხულობთ: „მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ და შინაური დარბაზის ერი უნდა და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვრისათვს და ორნი მისთა მოწაფეთათვს.

მოძღვართ-მოძღვრისა, კათალიკოზთა და ჭყონდიდლისა, რაჲ დარბაზს მოვიდნენ, წვევა — სამთა საბატიოთა დარბაისელთა“[12].

ჯერ ერთი, აქაც დარბაისელის დარბაზს მოწვევაზეა ლაპარაკი, მაგრამ ამჯერად ჩვენს ყურადღებას უფრო იპყრობს ერთმანეთისაგან მხოლოდ რამდენიმე სტრიქონით დაშორებული გამოთქმები: შინაური დარბაზის ერი და საპატიო დარბაისელნი. ვფიქრობთ, „კარის გარიგების“ ეს ადგილი ეწინააღმდეგება ი. ანთელავას მტკიცებას, თითქოს „დარბაზის ერი“ „გულისხმობს სასახლის შტატს დიფერენცირების გარეშე“[13]. როგორც ვხედავთ, „კარის გარიგების“ მიხედვით, „დარბაზის ერი“ ორნაირია, შინაური და საპატიო; ამასთანავე, ეს უკანასკნელნი პირველთაგან იმდენად გამიჯნულია, რომ მათ აღსანიშნავად უკვე დამკვიდრებულა „დარბაზის ერი“-საგან წარმოქმნილი სიტყვა დარბაისელი.

თუ რამდენად საპირისპიროა ი. ანთელავასეული შეხედულება სახელმწიფო დარბაზის შესახებ მანამდე მიღებული თვალსაზრისისაგან, ამის ნათელსაყოფად ერთ გარემოებასაც მივაქცევთ ყურადღებას. ი. ანთელავა აღნიშნავს, რომ გადასინჯვას საჭიროებს შემდეგი დებულება: „დავით აღმაშენებლის დროიდან, როდესაც მეფის ხელისუფლება სულ ძლიერდება, დარბაზის მნიშვნელობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მაგრამ დიდგვარიან აზნაურთა გამუდმებული ცდები, მიმართული მეფის ხელისუფლების შეზღუდვისა და დიდგვარიანთა ძალის გაძლიერებისაკენ, თანდათანობით იწვევენ დარბაზის, როგორც დიდგვარიანთა ნების გამომხატველი ორგანიზაციის, მნიშვნელობის გაზრდას“[14].

ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ი. ანთელავა აცხადებს: „არსაიდან არ ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის დროს „დარბაზის“ მნიშვნელობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. რაკი დავითის დროს დარბაზი იშვიათად იხსენიება და ისიც აშკარად სასახლის მნიშვნელობით, ითვლება, რომ ამ ძლიერი მეფის დროს დიდგვარიანთა „ორგანიზაციის“, „დარბაზის“ როლი დამცრობილია. ვფიქრობთ, რომ დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ საუბრისას შეუძლებელია მსჯელობა „დარბაზის“ როლის დამცრობაზე. პირიქით, დავით აღმაშენებლის დროს არნახულად ამაღლდა სწორედ „დარბაზის“, მეფის სასახლისა და მონარქიის მართვის ცენტრის მნიშვნელობა და როლი საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოში, იმდენად, რომ „დარბაზის“ მითითებები „უცდომელ კანონად“ უნდა ყოფილიყო მიღებული ეკლესიისათვისაც“[15].

თვალსაზრისთა ამგვარი, სრული დაპირისპირება გამოწვეულია იმით, რომ ი. ანთელავა „მეფის დარბაზში“ გამორიცხავს რაღაც მეორე „დარბაზის“, ე. წ. სახელმწიფო დარბაზის არსებობას და „დარბაზს“ მხოლოდ და მხოლოდ მეფის

---

[12] ქართული სამართლის ძეგლები, II, გამოცემული ი. დოლიძის მიერ, თბ., 1965, გვ. 90 (ხაზგასმა ჩვენია).

[13] ი. ანთელავა, დასახ. წიგნი, გვ. 146—147.

[14] იხ. მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XIII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 130, აგრეთვე საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 350.

[15] ილ. ანთელავა, დასახ. წიგნი, გვ. 137 (ხაზგასმა ავტორისაა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლესთან აიგივებს. ი. ანთელავას თანახმად, ამგვარ და არა სხვა სახის „დარბაზშია“ თავმოყრილი ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ცენტრალური მმართველობა, „საიდანაც ხდებოდა როგორც მეფის დომენის, ისე მთელი სახელმწიფოს მართვა“[16]. ამავე დროს, სახელმწიფო მმართველობა არაა მკაფიოდ გამიჯნული მეფის კარისაგან: „როგორც ზოგადსახელმწიფოებრივი უწყებები, ისე პირადად მეფის უწყებები „დარბაზშია“ წარმოდგენილი და მათი ფუნქციებიც ხშირად არეულია ერთმანეთში. ერთი და იგივე მოხელეები, ხშირად განაგებენ როგორც მეფის პირად მეურნეობას, ისე სახელმწიფო უწყებებს, როგორც ეს დამახასიათებელია შედარებით ადრეული ეტაპებისათვის“. ამ „ადრეული ეტაპების“ თვალსაზრისის შესაბამისად და „დარბაზის“ მისეული გაგებიდან გამომდინარე, ი.ანთელავას მიუღებლად ესახება გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვაზირთა საბჭო, „სავაზირო“ შექმნილი უნდა ყოფილიყო „დარბაზის“ საპირისპიროდ[17].

ი. ანთელავას სიტყვით, „მკვლევრები, რომლებიც საუბრობენ ე. წ. „სახელმწიფო დარბაზზე“, ფეოდალთა პოლიტიკურ ორგანოზე თუ „წარმომადგენლობით“ ორგანოზე, როგორც ჩანს, ასეთად გულისხმობენ „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეების — ერისთავების, ადგილებზე მყოფი საეკლესიო იერარქეხისა და ტახტის მსხვილი ვასალების შეკრებებს, რომლებიც სამეფო კარზე ეწყობოდა ხოლმე“. „კარის გარიგებიდან“ ჩანსო, განაგრძობს ი. ანთელავა, რომ „ამგვარი შეკრებები ეწყობოდა დღესასწაულების დროს. დოკუმენტში აღწერილია ასევე „დიდი დარბაზობა“ და „პურობა“, განსაზღვრულია „დარბაზის რიგისა“ და „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეთა და საეკლესიო იერარქთა ადგილი. სამწუხაროდ, აქედან სრულებით არ დგინდება, რომ „სახელმწიფო დარბაზთან“ და წარმომადგენლობით ორგანოსთან გვაქვს საქმე“[18].

მართალია, დღემდე გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ უ ლ ი სამეცნიერო შრომებიდან მხოლოდ ი. ანთელავას ნაშრომებშია უარყოფილი „სახელმწიფო დარბაზის“ ინსტიტუტის არსებობა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ზოგიერთი სხვა მკვლევარიც ამავე აზრისაა. ასე მაგ., ი. ანთელავა აღნიშნავს, რომ ნ. შოშიაშვილი ქართულ ენციკლოპედიაში წარდგენილ წერილში არ იზიარებდა „სახელმწიფო დარბაზის“ შესახებ გავრცელებულ მოსაზრებას, უარყოფდა ამგვარი დაწესებულების არსებობას[19].

ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს განვიხილოთ ქრთული წყაროების ყველა ის ცნობა, რომელთაც მკვლევარნი იშველიებდნენ „სახელმწიფო დარბაზის“ ინსტიტუტის არსებობისა თუ საქმიანობის ნათელსაყოფად. მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებიდან“ გვინდა მოვიტანოთ რამდენიმე ადგილი. ამ

---

[16] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. წიგნი, გვ. 129.

[17] იქვე, გვ. 149—150.

[18] იქვე, გვ. 152—153.

[19] იხ. ილ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. წერილი, გვ. 158, შენ. 81; მ ი ს ი ვ ე, დასახ. წიგნი, გვ. 129, შენ. 90. აღსანიშნავია, რომ ქსე-ს მე-3 ტომში წერილი „დარბაზის“ შესახებ დაბეჭდილია ხელმოუწერლად და მასში ტრადიციული თვალსაზრისია გაზიარებული; რაც შეეხება განსხვავებულ შეხედულებას, ამ უკანასკნელის არსებობის შესახებ იქ ძალიან მოკლედაა ნათქვამი (იხ. აგრეთვე იქვე მოთავსებული წერილი — „დარბაზის ერნი“). „სახელმწიფო დარბაზის“ ინსტიტუტის ვითომცდა ქართველ ისტორიკოსთა მიერ „გამოგონების“ აზრს მხარი დაუჭირა ა. ლეკიაშვილმაც 1981 წ. 6 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შემდგარ სხდომაზე. როგორც კერძო საუბრებიდან გამოირკვა, ზოგიერთი სხვა მკვლევარიც იხრება ამგვარი შეხედულებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძეგლზე დაყრდნობით ჯერ კიდევ ნ. ურბნელმა დაასკვნა არსებობა უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებისა, სახელმწიფო საბჭოსი, „სახელმწიფო დარბაზისა“, რომელსაც, მისი აზრით, სათათბირო უფლების გარდა, ადმინისტრაციული ფუნქციებიც ჰქონდა და „უმაღლესს სამოსამართლო დაწესებულებასაც წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, ამ დაწესებულებას ყოველგვარი საქმე ებარა“[20]. შემდგომში არაერთმა სხვა მკვლევარმაც გაამახვილა ყურადღება „ძეგლის დადების“ ცნობებზე „დარბაზის“ შესახებ[21].

„ძეგლის დადების“ მე-5 მუხლში ვკითხულობთ: „და თუ ჯევისბერმან მოკლას განმგებელი, სამს წლამდის მამულისაგან გაიძიოს და ციხე და მამული სასეფეოდ დაიდვას. ერისთავმან თავადნი სახლნი დაუწინდნეს.

მესამეს წელიწადს მოვიდეს და ერისთავს შემოეხვეწოს; ერისთავმან ვეზირთ მოახსენოს და ვეზირთ დარბაზთ ჰკადრონ; და დარბაზით მამული ებოძოს ჯევისბერსა“.

ასევე მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ ერისთავმა და განმგებელმა გარკვეული საქმის გამო „ვეზირთ მოახსენონ; ვეზირთ დარბაზთ იურვონ.“ მე-7 მუხლი: ...„ერისთვისა და განმგებლისაგან დარბაზთ ეურვოს ვეზირთა და მოურავთა პირითა“... მე-9 მუხლი ...„იურვოს ერისთვისა და განმგებლის პირით იმავე ვეზირთა საურავითა და წესითა დარბაზისათა“. მე-17 მუხლი: ერისთავმა და განმგებელმა გარკვეული საქმის გამო „ვეზირთ მოახსენონ; ვეზირთ დარბაზს ჰკადრონ“[22].

მართლაც, ვის უნდა მოახსენონ, ვის უნდა „ჰკადრონ“ ვეზირებმა, თუ არა პირადად მეფეს, ან უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებას. ვფიქრობთ, არ ჩანს, რომ „ძეგლის დადების“ „დარბაზის“ გაიგივება პირადად მეფესთან შესაძლებელი იყოს. სათანადო ტექსტი სრულებით არ ტოვებს ამგვარ შთაბეჭდილებას. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, ალბათ, იტყოდნენ, რომ ვეზირთ მეფეს ჰკადრონო. მე-7 მუხლში რომაა ნათქვამი, ვეზირებმა და მოურავებმა ერთობლივად იურვონო დარბაზში, ჩვენი აზრით, ესეც ხელს შეგვიშლის „დარბაზში“ პირადად მეფე ვიგულისხმოთ, რადგან მეფეს რაღაც საქმის გამო თუ მოახსენებდნენ ვეზირნი, მათ მოურავთა თანხლება აღარ უნდა დასჭირვებოდათ. მაინცადამაინც, ამ შემთხვევაში, ტექსტში ვეზირნი და მოურავნი ერთ სიბრტყეზე არ უნდა ყოფილიყვნენ დაყენებული. ერთი სიტყვით, ჩვენ გასაზიარებელი გვგონია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც „ძეგლის დადებაში“ ხედავენ „სახელმწიფო დარბაზის“ როგორც მოხსენების, ისე საქმიანობის ფაქტებს;

---

[20] ნ. ურბნელი, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, ტფ., 1890, გვ. 25—26, 61 და სხვ; ი. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1981, გვ. 118—119, 121.

[21] იხ. მაგ., ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, თბ., 1952, გვ. 144; მისივე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბ., 1977; გვ. 139; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 651 (სათანადო მონაკვეთის ავტორია ბ. ლომინაძე); ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957: (ამ წიგნისადმი დართული ლექსიკონის თანახმად, დარბაზი წარმოადგენს როგორც სამეფო საბჭოს, ასევე სამეფო კარსაც).

[22] ქართული სიმართლის ძეგლები, I, გამოცემული ი. დოლიძის მიერ, თბ., 1963 გვ. 404—406, 409 (ხაზგასმა ჩვენია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთ ვითარებაში, როცა ჩვენში „სახელმწიფო დარბაზის“ არსებობა-არარსებობის საკითხი მწვავედ დაისვა, ამასთანავე სათანადო ქართული მასალებიც ხშირად ბუნდოვანია, ძნელად ჩასაწვდომია, ვფიქრობთ, საგანგებო ყურადღების ღირსია XIII საუკუნისათვის დარბაზის (დარპას) ინსტიტუტის დადასტურება კილიკიის სომხურ სამეფოში. ისევე როგორც ქართულში სიტყვა დარბაზი, სომხურშიც მისი შესატყვისი დარპასი (ზოგჯერ თანამედროვე სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში დარპას-ის ნაცვლად დარბას-ს წერენ კიდეც) მრავალი მნიშვნელობით იხმარებოდა. დარპას ეწოდებოდა სამეფო ან სამთავრო კარს, სასახლეს[23], პალატს, სამსჯავროს, სახელმწიფო სალაროს, ძღვენს, საჩუქარს, რომლითაც წარუდგებოდნენ მეფეს ან მთავარს, ანდა რომელსაც გადასცემდნენ მონასტერს. დარპასის აღება თუ მიღება ნიშნავდა ამა თუ იმ ხელისუფლის მისაღებად მომზადებას, დარბაზის თუ დარბაზობის ქმნა — ვინმეს შეყვარებას, გამიჯნურებას[24]... მსგავსად ქართული სინამდვილისა, სომხურ ტოპონიმებშიც გვხვდება სიტყვა „დარპას“ („დარბას“)[25].

რაც შეეხება დარპასის ინსტიტუტს, მისი არსებობა კილიკიის სომხურ სამეფოში იმდენად აღიარებული ფაქტია, რომ ამის შესახებ აღნიშნულია სომხურ ენციკლოპედიაშიც[26], მასზე საუბარია ევროპულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც[27]. „სომეხი ხალხის ისტორიის“ რვატომეულის მესამე ტომში კი ვკითხულობთ: კილიკიის სომხურ სამეფოში „უმაღლესი ანუ ხელმწიფის საკრებულო გადაიქცა სამეფო საბჭოდ, რომელთანაც შეიქმნა სასამართლო, ე. წ. ზედა ანუ დიდი დარპასი“. იქვე, მეორეგან ნათქვამია: კილიკიის სომხურ სამეფოში „არსებობდა შემდეგი სახის სამსჯავროები:

1. სამეფო კარის სასამართლო — ზედა ანუ დიდი დარპასი...

წყაროებიდან ჩანს, რომ ზედა ანუ დიდ დარპასს თავმჯდომარეობდა მეფე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მთავართა მთავარი.

სმბატის სამართლის წიგნში აღნიშნულია ზედა ანუ დიდი დარპასის უფლებამოსილებანი, რომელიც მოიცავდა ტახტის მემკვიდრის დადგენას, სამეფო სახლის სამფლობელოების მემკვიდრეობის საკითხების გარკვევას, აგენტური

[23] როგორც ეტყობა, ეს ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა იყო სიტყვა დარპასისა, რადგან სახელმწიფო სამეფო დომენის გლეხობას „დარპასის გლეხები“ ეწოდებოდათ (იხ. **Հայ ժողովրդի պատմություն**, III, Ե., 1976, გვ. 719). არსებობდნენ ე. წ. „დარპასის ყმები“ თუ „დარპასის მონებიც“. მათ არ გააჩნდათ საკუთარი კერა, ეზო-გარემო, ცხოვრობდნენ ფეოდალის კარზე და შრომობდნენ მის პირად მეურნეობაში (იქვე; იხ. აგრეთვე **Ա. Գ. Սուքիասյան, Կիլիկիայի հայկական պետության և իրավունքի պատմություն** (XI—XIV դարեր), **Ե.**, 1978, გვ. 144). გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ქ. სისის სამეფო სასახლის შემორჩენილ ნანგრევებს დარპასს ეძახდნენ XIX ს-ის მიწურულსაც (იხ. **Ղ. Ալիշան, Սիսուան և Լևոն Մեծագործ, Վենետիկ**, 1885, გვ. 215).

[24] იხ. **Հր. Աճառյան, Հայերեն արմատական բառարան**, I, Ե., 1971, გვ. 634; **Ստ. Մալխասեանց, Հայերէն բացատրական բառարան**, I, Ե., 1944, გვ. 499; **Ժամանակակից հայոց լեզվի բացատրական բառարան**, I. Ե., 1969 (იხ. სიტყვები **դարբաս, դարբասել, դարպաս, դարպասել**); **Ա. Գ. Սուքիասյան**, დასახ. ნაშრომი, გვ. 160, 176; V. Langlois, Le trésor des chartes d'Armenie ou cartulaire de la chancellerie royale des Roupéniens, Venise, 1863, გვ. 188.

[25] იხ. მაგ., **Ղ. Ալիշան**, დასახ. ნაშრომი, გვ. 137; **Հայկական ՍՍՀ, Վարչա-տերիտորիալ բաժանումը, Ե.**, 1971, გვ. 84, 92.

[26] **ՀՍՀ**, I, **Ե.**, 1974, გვ. 656; **ՀՍՀ**, 3, **Ե.**, 1977, გვ. 312.

[27] იხ. მაგ., V. Longlois, დასახ. ნაშრომი, გვ. 188; А. Т. Сукиасян, История Киликийского армянского государства и права, Е., 1969, გვ. 147—148, 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობის ზედამხედველობას, მეფის ნებართვის გარეშე ციხეთა ან ქალაქის ამგები მთავრების გასამართლებას, გადასახადთა დადგენას, ნადავლის განაწილების თაობაზე წარმოქმნილი დავის გადაწყვეტას და სხვა საკითხებს.

გარდა ამისა, სამეფო კარის სამსჯავროს, ზედა ანუ დიდი დარპასის უფლებამოსილებას შეადგენდა მეფის ქვეშევრდომსა და უცხოელს შორის წარმოქმნილი დავის განხილვა, უკეთუ სადავო საკითხები ვერ გადაწყდებოდა სისის საარქიეპისკოპოსო სამსჯავროში“...[28] საზოგადოდაც, ზედა ანუ დიდი დარპასი „უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა დანარჩენი სასამართლოების მიმართ“[29]. დარპასი რქმევია ცალკეული ფეოდალების სასამართლოსაც[30].

1265 წელს შედგენილ სმბატ სპარაპეტის (მთავარსარდლის) სამართლის წიგნსა და ამავე ავტორის (იგი კილიკიის სომეხთა მეფის ძმა იყო) მიერ სომხურად თარგმნილ ანტიოქიის ასიზებში[31] ძალიან ხშირად იხსენიება სიტყვა დარპას სასამართლოს, უზენაესი სამსჯავროს მნიშვნელობით; ამაში სპეციალისტებს, ხსენებული ძეგლების მთარგმნელებს ოდნავადაც არ ეპარებათ ეჭვი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს ნათქვამის ნათელსაყოფად, აგრეთვე იმის საჩვენებლად, რომ დარპასს მოწვევა სჭირდებოდა და მასში არ შედიოდნენ მხოლოდ სამეფო თუ სამთავრო სასახლის კარზე მყოფი მოხელეები.

სმბატ სპარაპეტის სამართლის წიგნის მუხლი 1: „მეფე ვალდებულია ქრისტეს სამართლის მიხედვით განსაჯოს, მიუდგომლად, ქრთამის გარეშე, დაუზარებლად. მან ყოველი მიმძლავრებულისა და მომჩივანისათვის დარპასი უნდა შეჰყაროს[32] და სამართალი განაჩინოს“.

მუხლი 66: „უკეთუ ვინმე გმობს ქრისტეს, ამით იგი [უგულებელყოფს] ეკლესიას, ჯვარს, ზიარებას და ნათლობასაც... თუ ის ქრისტიანია, ეკლესია გამოიკვლევს [საქმეს] და დამნაშავეს გადასცემს დარპასს, რომელიც მას გაასამართლებს“.

მუხლი 70: „მათ შესახებ, ვინც ეურჩება ეკლესიისა და დარპასის ბრძანებულებებს.

უკეთუ ვინმე არ დაემორჩილება საეკლესიო სასამართლოს ან დარპასის გა-

---

[28] Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 740, 748.

[29] Ա. Գ. Սուքիասյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 176; ՀՍՀ, 1, გვ. 656.

[30] Հայ ժողովրդի պատմություն, III, გვ. 750.

[31] Смбат Спарапет, Судебник, Составление текста, перевод с древне-армянского, предисловие и примечания А. Г. Галстяна, Е., 1958; Судебник Смбата Спарапета (Гундстабля) 1265 г. Перевод со среднеармянского, предисловие и примечания А. Г. Сукиасяна, Е., 1971; არსებობს ამ ძეგლის გერმანული თარგმანიც (იხ. Karst J., Armenisches Rechtsbuch, II, Sempadscher Kodex, Strassburg, 1905). Assises d'Antioche, reproduites en francais et publiées au sixiéme centenaire de la mort de Sempad le Connétable, leur ancien traducteur arménien, Venise, 1876; Ассизы Антиохийские, Перевел с киликийского диалекта армянского языка А. А. Паповян, Բանբեր Մատենադարանի, 4, Ե., 1958. იხ. აგრეთვე სიცილიელებისადმი პრივილეგიების მიმნიჭებელი 1330 თუ 1331 წ. კილიკიის სომხური სამეფოს მეფის, ლევონ V-ის სიგელი (V. Langlois, დასახ. ნაშრომი, გვ. 186—189).

[32] ა. გალსტიანს სომხური դարպաս բռնէ უთარგმნია როგორც созывать судилище. საზოგადოდ, თარგმანში სომხური დარპას არსად არაა დატოვებული უთარგმნელად, იგი გადატანილია როგორც სასამართლო, უზენაესი სამსჯავრო, საერო სასამართლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტილებას... მის შესახებ მოსეს მეშვეობით ღმერთმა ბრძანა, რომ სიკვდილით უნდა დაისაჯოს".

ანტიოქიის ასიზების (უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებების) მთარგმნელის, სმბატ სპარაპეტისეული შესავალი: ...„რადგან ჩვენი ერი და სომხური დარპასი[33] ჩვეულებრივ ამ ასიზებით ,გადიოდნენ ფონს", ამიტომ მე იგი გადმოვიღეო სომხურად შეცდომებისაგან თავის დაღწევის მიზნით. „როდესაც ვთარგმნე, გავგზავნე იგი კვლავ ანტიოქიის დარპასში, სადაც შეუჯერეს (სათანადო ტექსტს) და ხელმოწერით დაადასტურეს, რომ (თარგმანი) საიმედო და ზედმიწევნითია".

ანტიოქიის ასიზების მესამე თავში ლაპარაკია დ ა რ პ ა ს ი ს მ ო წ ვ ე ვ ა ზ ე (შეკრებაზე), ნათქვამია, რომ გარკვეულ შემთხვევაში დარპასი ასამართლებს არსებული ადათობრივი სამართლის მიხედვით. მეოთხე თავშიც ნახსენებია დ ა რ პ ა ს ი ს მ ო წ ვ ე ვ ა (შეკრება), აგრეთვე დარპასის მზადყოფნა საქმის გასარჩევად. მეცხრე თავში საუბარია დარპასის მიერ გარკვეული სასამართლო საქმის განხილვაზე და ნათქვამია: „საჭიროა ვიცოდეთ, რომ ღმერთმა დ ა რ პ ა ს ი ჭეშმარიტი, მართალი სამართლის გასაჩენად დააარსა"[34]. მეთორმეტე თავში ლაპარაკია იმაზე, რომ თუ გარკვეული საქმის განხილვის დროს დარპასში არ არიან მთავრები, რომელნიც უნდა ესწრებოდნენ მის სხდომას, საქმე გადაიდება. გამოიყოფა საჭირო დრო დარპასის შესავსებად, დაინიშნება დღე, თუ როდის უნდა გამოიტანონ მსჯავრი.

მოქალაქეთა უფლებების ამსახველი ასიზების პირველ თავში ნათქვამია, რომ 15 წლის ვაჟები სრულასაკოვნად ჩაითვლებიან. გახდებიან რა 15 წლისა, ისინი წარსდგებიან დარპასში მოწმეების თანხლებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ამა თუ იმ ჭაბუკს ნამდვილად შეუსრულდა 15 წელიწადი. ამის შემდეგ ეს ყმაწვილი სარგებლობს სრულწლოვანი ადამიანისათვის მინიჭებული უფლებებით[35]. მეექვსე თავში აღნიშნულია, რომ ვინიცობაა ესა თუ ის მოწმე ერთხელ გამტყუნდა, მის ჩვენებას აღარასოდეს არ მიიღებს ა რ ც ე რ თ ი დ ა რ პ ა ს ი.

ჩვენ გვიძნელდება დაბეჯითებით თქმა იმისა, თუ როგორ გაჩნდა დარპასის ინსტიტუტი კილიკიის სომხურ სამეფოში, შედეგია ეს შედარებით ადრინდელი სომხური სახელმწიფოებრივი ტრადიციის გაგრძელება-განვითარებისა, თუ უცხოური გავლენისა. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: დარპასის შესახებ სომხური მასალების გათვალისწინება გვიკარნახებს, რომ საქართველოში „სახელმწიფო დარბაზის" არსებობა-საქმიანობის თაობაზე ჩვენამდე გადარჩენილ ქართულ წერილობით წყაროებს (აგრეთვე ეთნოგრაფიულ მასალებს) უფრო ფრთხილად უნდა მივუდგეთ და თუ ბევრი რამ ბუნდოვანია,

---

33 სომხური **դարպաս հայոց** სომეხთა დარპასადაც შეიძლება ვთარგმნოთ.

34 ცხადია, აქ დარპასი არ აღნიშნავს სამეფო კარს, სასახლეს საზოგადოდ, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ სასამართლო საქმეების გადასაწყვეტად როდი „დაუარსებია ღმერთს", ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოგვაგონდეს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი"... (ქართლის ცხოვრება, I, გამოცემული ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1955, გვ. 351).

35 რა თქმა უნდა, არც აქ იგულისხმება სამეფო ან თუნდაც სამთავრო სასახლე, რადგან ყოველ 15 წლის ვაჟ მოქალაქეს მისი ასაკის დასადგენად სასახლეში ვერ წარადგენდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯობებს ახალი მასალის ძიება, ვიდრე საკითხისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება.

როგორც ეტყობა, სწორედ „სახელმწიფო დარბაზის“ სხდომას უნდა განეხილა XI საუკუნეში ოპიზართა და მიჯნაძორელთა, ასევე აფხაზეთის კათალიკოსსა და იოვანე ქუთათელს შორის წამოჭრილი სადავო საკითხები, როდესაც „ვეზირთ და ერითმბილთ ლაშქართა“ გადაუწყვეტიათ, რომ „ქუთათელი უმართლეა“[36] და სხვა.

საფიქრებელია, „სახელმწიფო დარბაზი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოგჯერ გამსვლელ-გაფართოებულ სხდომებსაც ატარებდა. აქეთკენ უნდა მიგვანიშნებდეს სტეფანოს ორბელიანის ცნობები ორ სომეხ ეპისკოპოსს შორის ძვირფასი ჯვრის თაობაზე ამტყდარი შეხლა-შემოხლისა და დვინში გამართული სამსჯავროს შესახებ. ივანე ათაბაგსა[37] და მის მოხელეებს, ბუბაკსა და მარწვანს გარდა, საქმის გარჩევაში მონაწილეობა მიუღიათ ივანე ტბელსა და მემნა ჯაყელს, დიდ ჭყონდიდელს, „რომელიც მოსულიყო სამეფო (კარიდან)“, აგრეთვე ვარძიისა და პღნძაჰანქის წინამძღვრებს, გარეჯის დიდ მამამთავარს, გაგელსა და მაწნაბერდელს, სხვა მრავალრიცხოვან დიდებულებს. აქვე ყოფილან ტფილისის, ანისისა და დვინის ყადიები, სურმარის სახელოვანი შეიხი, ანისის დიდი ეპისკოპოსი, ეპისკოპოსები ბიჯნისისა და ჰახბატისა[38].

აღსანიშნავია, რომ სტეფანოსი ბუბაკსა და მარწვანს უწოდებს ივანე ათაბაგის დიდ-დიდთ (**մեծամեծս**), ხოლო ამავე დროს დიდგვარიანთა ხსენებისას იყენებს ქართულ სიტყვას — დიდებულს. ეტყობა, „მრავალრიცხოვან დიდებულებში“ იგი ქართველ ან გაქართველებულ სომეხ წარჩინებულებს გულისხმობს. ყურადღების ღირსია, რომ სტ. ორბელიანი საქართველოს შესახებ საუბრისას „დიდ-დიდ დიდებულთ“ (**մեծամեծ դէդէպուլս**) თითქოს განასხვავებს დანარჩენი დიდებულებისაგან[39]. თუ ეს ასეა, რადგან ხსენებული საქმის განმხილველთა შორის მემატიანე „სხვა მრავალ დიდებულსაც“ და არა დიდ-დიდ დიდებულთ ასახელებს, გამოდის, რომ, მართლაც, მრავალრიცხოვან ქართველ წარჩინებულთ უნდა მიეღოთ მონაწილეობა დვინის სამსჯავროში. რაც შეეხება „მსაჯულებად“ ყადიების, შეიხისა და სომეხი ეპისკოპოსების მოხსენიებას, საქმე ისაა, რომ მოდავე ეპისკოპოსები სომხები იყვნენ. იმ ხანებში (XIII ს-ის პირველ მეოთხედში) ქართველთა და სომეხთა შორის არსებული სარწმუნოებრივი უთანხმოებანი ერთობ გამწვავებულიყო. საქართველოს სამეფო კარი და ქართული ეკლესია დაბეჯითებით ცდილობდნენ სომეხთა მოქცევას ქალკედონიანობაზე, „ქართულ რჯულზე“; ივანე ათაბაგმა აღიარა კიდეც ქალკედონური მრწამსი, „გაქართველდა“. ყოველივე ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევდა სომხური მოსახლეობის ზოგიერთ წრეებში[40]. ალბათ, საზოგადოდაც არ იყო მიზანშეწონილი მონოფიზიტ სომეხ ეპისკოპოსთა დავა მხოლოდ ქალკედონიანთაგან შემდგარ სასამართლოს გაერჩია, მით უმეტეს, აღ-

---

[36] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 8—9, 91.

[37] იმხანად მისი რეზიდენცია დვინში იყო.

[38] **Ստեփաննոս Օրբելեան, Պատմութիւն նահանգին Սիսական, Թիֆլիս**, 1910, გვ. 355—356; ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო, თსუ შრომები, XXXIII, თბ., 1948.

[39] **Ստեփաննոս Օրբելեան**, გვ. 380, 381, 383, 386.

[40] შესაძლებელია, ესეც ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი გ ა რ ნ ი ს ი ს ბრძოლაში (1225 წ.) ჯალალ ად დინის მიერ საქართველოს მხედრობის სასტიკად დამარცხებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნულ ვითარებაში. ჩვენი აზრით, ამის გამო უნდა მოეწვიათ დვინის სამსჯავროში — საქართველოს „სახელმწიფო დარბაზის“ გამსვლელ-გაფართოებულ სხდომაზე მონოფიზიტები და მაჰმადიანებიც კი.

როგორც ზემოთაც ითქვა, ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა ფაქტობრივად „სახელმწიფო დარბაზის“ უფლებების თვალსაჩინოდ გაზრდას და ამდენად, მეფის ხელისუფლების მეტისმეტად შეზღუდვას მოითხოვდა. ამასთანავე, „სახელმწიფო დარბაზი“ ამიერიდან „მეფის სასახლეში აღარ უნდა ყოფილიყო მოთავსებული“[41]. ამ შეხედულების მიხედვით, უნდა მომხდარიყო „სახელმწიფო დარბაზის“ გარდაქმნა პარლამენტის სადარ დაწესებულებად. ეს თვალსაზრისი არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა. რახან ი. ანთელავა ამტკიცებს, რომ არავითარი „სახელმწიფო დარბაზი“ არ არსებობდა, იგი ამის გამოც ვერ მიიღებდა აღნიშნულ დებულებას. ი. ანთელავას აზრით, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ სიტყვები — ყუთლუ-არსლანმა, „მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა“—„პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონეა მეჭურჭლეთუხუცესის პროგრამის შინაარსის გასაგებად, „ამ ფრაზისათვის გვერდის ავლა ნებისმიერი მკვლევარისათვის შეუძლებელია“[42].

ი. ანთელავა ითვალისწინებს, რომ აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებში, ქართულ წყაროებისეულ „სპარსეთში“[43], ცენტრალური მმართველობა გაყოფილი იყო „სასახლედ“ (დერგაჰად) და „დივანად“ (კანცელარიად). დივანს სათავეში ედგა ვეზირი, რომელიც ფაქტობრივად მართავდა სახელმწიფოს სულთნის სახელით. ამგვარივე რამ უნდა მომხდარიყო ჩვენშიცო, უკეთუ ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნები შესრულდებოდა. ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა, ი. ანთელავას მიხედვით, მოითხოვდა „მეფის კარისაგან ცენტრალური მმართველობის აპარატის გამოყოფას, მის თავმოყრას საგანგებო შენობაში, „კარავში“ და არა პარლამენტური თუ პარლამენტურის მსგავსი რაიმე ორგანოს შექმნას“. უეჭველიაო, რომ ყუთლუ-არსლანის დასისეული „კარავი“ პრინციპში ჰგავდა აღმოსავლურ „დივანს“. ეს პრინციპი კი, მისი აზრით, „იყო ცენტრალური მმართველობის სამეფო კარისაგან გამოყოფა“[44].

ჩვენ არ ვაპირებთ დაწვრილებით განვიხილოთ ი. ანთელავას შეხედულება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ, მხოლოდ ზოგიერთ საკითხს შევეხებით. უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში, რომელთანაც პარალელს ავლებს ი. ანთელავა, ვეზირი თუ ფაქტობრივად მართავდა ქვეყანას, ამას თავისებური საფუძველი ჰქონდა და ყუთლუ-არსლანისეული „კარავი“ იმავე წანამძღვარს ვერ დაემყარებოდა მეფის სახელით ქვეყნის მართვისას. ცნობილია, რომ სელჩუკმა სულტ-

---

41 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171, 243.

42 ილ. ანთელავა, დასახ. წიგნი, გვ. 187, 193, 205.

43 ჩვენში რომ სხვადასხვა ჯურის მაჰმადიანებს „სპარსელებს“ უწოდებდნენ, ეს შენიშნული აქვს ჯერ კიდევ თ. ჟორდანიას (Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г., თბ., 1895, გვ. 23, შენ. 59); ბოლო ხანებში ეს საკითხი საგანგებოდ გამოიკვლია ვ. გაბაშვილმა, (იხ. მისი — აღმოსავლეთი XI—XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე, წიგნში: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968).

44 ი. ანთელავა, დასახ. წიგნი, გვ. 190—192 (ხაზგასმა ავტორისაა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებმა ხშირად წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ. ამის გამო ისინი, ჩვეულებრივ, ვერ ერკვეოდნენ თავიანთი უზარმაზარი სამფლობელოს ბიუროკრატიული მმართველობის საქმეებში, რაც იწვევდა ქვეყნის მართვის სადავეების ფაქტობრივად განათლებული, კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილი ვეზირის ხელთ გადასვლას[45].

ნიზამ ალ-მულქის აზრით, კარგი იქნებოდა ქვეყნის მმართველობაში დამკვიდრებულიყო შემდეგი წესი: როდესაც დივანი მიიღებდა სულტნის სიტყვიერ ბრძანებას, იქ უნდა შეედგინათ მოხსენება ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით. სულტნის ბრძანება უნდა შესრულებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელმწიფე მოისმენდა აღნიშნულ მოხსენებას. გარკვეული მიზეზების გამო, ამგვარი წესი ვერ დაინერგა, იგი არასოდეს ყოფილა გამოყენებული. აი, ნიზამ ალ-მულქის ამ განუხორციელებელ წინადადებას ჩამოჰგავს ასე თუ ისე ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნა მეფის ხელისუფლების შეზღუდვის შესახებ[46], ოღონდ მეორე პირველზე გაცილებით უფრო რადიკალურია. მაშასადამე, ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა ბევრად უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ცენტრალური მმართველობის გაყოფა იყო „სპარსეთში" „სასახლედ" და „დივანად". აქ ხომ მეტისმეტად ფრთაშეკვეცილი სახით ითხოვდა უკვე გამოყოფილი დივანის მეთაური ნიზამ ალ-მულქი იმის დანერგვას, რასაც ჩვენში გაცილებით უფრო მაღალ დონეზე, სამეფო კარისაგან ჯერ კიდევ გამოუცალკევებელი ცენტრალური მმართველობის პირობებში, ცდილობდა ყუთლუ არსლანის დასი. ერთი სიტყვით, ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა სახელმწიფოს მართვის აშკარად უფრო განვითარებული ფორმის დამკვიდრებას მოითხოვს და არა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში არსებული წეს-წყობილების გადმოტანას.

ი. ანთელავა იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც XII საუკუნეში, სახელდობრ, თამარის ხანაში „სავაზირო" არ წარმოადგენდა საგანგებო დაწესებულებას, ვაზირთა სათათბიროს, საკრებულო ორგანოს, რადგან XII საუკუნესა და XIII ს-ის პირველ ათეულ წლებში ვაზირი თითქოს მხოლოდ ერთია საქართველოს სამეფო კარზე. ესაა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომელიც სათავეში ედგა საქართველოს სამეფოს მთავრობას[47].

ყუთლუ-არსლანის თანამოსაგრეთა შორის არ ჩანს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. აშკარაა, ყუთლუ-არსლანის დასის მიერ მოთხოვნილი „კარავი" კიდეც რომ დადგმულიყო „ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა", „მუნ დასხდომილთა" მეთაური იქნებოდა ამირსპასალარად „კურთხეული" ყუთლუ-არსლანი და არა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. ამბოხებულთა მეთაურისათვის, მომავალი ამირსპასალარისათვის და მის „თანაშეფიცულთათვის" „კარავში" მწიგნობართუხუცეს- ჭყონდიდელის დამკვიდრება სასურველი არ უნდა ყოფილიყო იმის გამოც, რომ XII საუკუნეში „ამირსპასალარის ხელისუფლებას და მის გავლენას ზღუდავდა არა მარ-

---

[45] იხ. В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, Сочинения, I, М., 1963, გვ. 371.

[46] შდრ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 302—303 (სათანადო მონაკვეთის ავტორია შ. ბადრიძე); ილ. ანთელავა, დასახ. წიგნი, გვ. 191, შენ. 70.

[47] იხ. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 70—71; ილ. ანთელავა, დასახ. წიგნი, გვ. 150.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო მეფე სარდალი, არამედ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელიც“[48]. თუკი „უეჭველია, როგორც ი. ანთელავა წერს, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამის „კარავი“ პრინციპში ჰგავდა აღმოსავლურ „დივანს“, მაშინ როგორღა ავხსნათ ვაზირის, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის დარჩენა სამეფო კარზე, აღმოსავლური „დივანის“ ბადალი ჩვენი „კარავი“ უვაზიროდ გამოდგებოდა?

ვფიქრობთ, საგანგებო ყურადღების ღირსია, რომ ყუთლუ-არსლანის დასი განზრახული, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დაწესებულებისათვის საქართველოს დედაქალაქში, თბილისში ითხოვს კარავის და არა სასახლის, სახლის თუ მისთანათა დადგმას. მართლაც, რა შუაში უნდა იყოს კარავი? საქართველოს ისტორიის კვლევის თანამედროვე დონეზე, ცხადია, ნებისმიერ მეცნიერს გაუძნელდება თქვას, თითქოს XII ან წინარე საუკუნეებში, ზოგიერთი მეზობელი თუ შორეული, მომთაბარე ხალხის დარად, ქართველებიც განვითარების იმდენად დაბალ საფეხურზე იდგნენ, რომ დედაქალაქშიც კი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დაწესებულება კარავში იყო მოთავსებული.

სიტყვა კარავი ხშირად გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“[49], მაგრამ ორიოდე საეჭვო შემთხვევის გარდა, ყოველთვის სახელდახელოდ გამართული სადგომის აღმნიშვნელია. ამგვარადვე უნდა გავიგოთ „ვეფხისტყაოსნისეული“ კარავიც[50]. სულხან-საბას თანახად, კარავი საჩრდილობელია. მეორეგან „სახლის“ განმარტებისას საბა წერს: „კარავი ეწოდების სახლთა სამგზავროდ ნართა და ლართა მიერ შეკერილთა (შეკერულთა), გინა ქოხთა მალიად აგებულთა“. ამავე ლექსიკონში შეტანილია „კარავისაგან“ ნაწარმოები, თითქოსდა „მომთაბარე“ ცხოვრების წესის ამსახველი სიტყვები—აიკარვა, აღიკარვა (ე. ი. კარავი აიღო), დაიკარვა (კარავი დაიდგა). ილ. აბულაძის განმარტებითაც კარავი ტალავარია, ტალავარი კი ფაცხა, საჩრდილობელი, ფანჩატურია, ხოლო კარვის აღმართვას, „კარვის-დგმას“ კარვობა ჰქვია[51].

როგორც ეტყობა, ქართველ მემატიანეებს მშვენივრად მოეხსენებოდათ, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთი, მომთაბარე ხალხისათვის კარვები ერთადერთ საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენდა[52]. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, იქმნება საცდური ვიფიქროთ, რომ რაკი ყუთლუ-არსლანის დასი რაღაც „სპარსული“, ე. ი. მაჰმადიანურ ქვეყნებში ვითომც არსებული წესის შემოღებას ითხოვს, ეგების, სახელმწიფო დაწესებულების ღია ცის ქვეშ გაშლილ კარავში მოთავსებაც ხსენებული ქვეყნების ზოგიერთი, მომთაბარე ხალხისათვის დამახასიეთებელი წესების თუ ამ ხალხებში შემორჩენილი ტრადიციის გავლენით ხდებოდა; მაგრამ ეს ასე არ არის. ივ. ჯავახიშვილი ბრძანებს: „იმავე დანიშნულებისათვის, რისთვისაც დარბაზსა ხმარობდნენ ხოლმე, „კარავი“-ც არსებობდა... დარბაზობის სასახლეში გამართვის დროსაც, თვით ბიზანტიაშიც, მეფისა და კეისრისათვის კარავი იდგმებოდა და კარავ ქვეშ იყო კეისრის ტახ-

---

[48] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

[49] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 152, 164, 310, 319, 333, 341, 368; II, გვ. 9, 31, 64, 65, 86, 90, 96, 98, 131, 133, 139, 154, 213, 214, 231, 285, 291, 294 და, ალბათ, სხვაგანაც.

[50] იხ. ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით თბ., 1956.

[51] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი.

[52] იხ მაგ., ქართლის ცხოვრება, I, გვ. 339, II, გვ. 294.

ტი მოთავსებული. ერთი სიტყვით, კარავსა და დარბაზს თანაბარი მნიშვნელობა ჰქონიათ“[53].

სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილი არ მიუთითებს, თუ რას ემყარება, როდესაც სასახლეში კარვის დადგმის ჩვეულებაზე საუბრობს. ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, მართლაც, ხდებოდა თუ არა მსგავსი რამ, ჩვენ, მიუხედავად ერთგვარი ცდისა, ვერ გავარკვიეთ. რაც შეეხება ასეთი წესის არსებობას საქართველოში, ამას თითქოს მხარს უნდა უჭერდეს „კარის გარიგების“ ერთი ადგილი:... „დილას, რაჲ მეფე საწოლით გავიდეს, ფარეშთ-უხუცესსა—ჴელის ნოხნი, სანთელი, ფანარი, მაშხალა. და რაჲ პაპაკი აილოს, სარმუზა აცვია, ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა. მას კედლის ძირსა ჩაფლთ წახსნის, ანუ ფარეში გახსნის და შეუნახავს, და იგი ტახტსა ზედა გავა;

ანუ აქვს ცოტა [ცოცხი], გარეჯით ნაძლნობი, ანუ, თუ იგი არა იყოს, მანდილი გრძელი, და მეფეს გარდამოუკაზმავს [ფარეშთ-უხუცესი] წინა; და ხსვათა ნოხთა ფარეშნი გარდაჰკაზმენ.

ცხვრის ტყავის ცოცხი აქვს ტარიანი.

და აგრევე ხილობას ტახტი ოდესცა მოეკაზმოს, მას შიგან იგი ახლავს, ვითაცა ასწავლიან, დაფენა, კარავი, ხარგაი, ჩადრი, — ესე და ამისი კაწმა მას მართებს“[54].

ე. თაყაიშვილის თანახმად, ხილობა ნახვას, დარბაზობას ნიშნავს[55]. თუ ეს ასეა და თუ „კარის გარიგებიდან“ მოტანილი ნაწყვეტი მეფის სადმე დროებით ყოფნას კი არა, სამეფო სასახლეს გულისხმობს, რაშიც ეჭვის შეტანა თითქოს ძნელია, მაშინ, მართლაც, უნდა დავასკვნათ, რომ სამეფო სასახლეში არსებობდა რაღაც „კარავი“.

ვინიდან ყუთლუ-არსლანის დასისეული „კარავი“ ესოდენ დიდ ყურადღებას იპყრობს, ჩვენი აზრით, უნდა გავითვალისწინოთ 1177—1178 წლების, იმროინდელი საქართველოს საზღვრებში გადაწერილი ერთი სომხური ხელნაწერის ანდერძის (ჰიშატაკარანის) მონაცემებიც. ხელნაწერის გადამწერად და ანდერძის ავტორად დავით ქობაჲრეცის მიიჩნევენ. ანდერძში დიდი ადგილი ეთმობა 1176—1177 წლების, უფლისწულ დემნას და ორბელთა აჯანყებას, ვითარცა ხელნაწერის გადაწერის ნაწილობრივ მაინც თანადროულ, უმნიშვნელოვანეს მოვლენას.

დავით ქობაჲრეცის სიტყვით, ...„მეფის კარავი ორ ნაწილად გაიყო და მალე ქართველთა ქვეყნის დიდებულებმა (*մեծամեծք*) გადაწყვიტეს აჯანყება [მოეწყოთ] მეფის წინააღმდეგ“[56]. როგორც ვხედავთ, სულ რაღაც ექვსიოდე წლით ადრე ყუთლუ-არსლანის დასის მიერ „კარავის დადგმის“ მოთხოვნამდე, დავით ქობაჲრეცი იხსენიებს საქართველოს მეფის კარავს. თანაც, კონტექსტის მიხედვით, აქ იგულისხმება რაღაც დაწესებულება და არა მეფის დროებითი სადგომი. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სომხური *Վրան* არის სწორედ კარავი და მას ვერასგზით ვერ ვთარგმნიდით

[53] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238 (ხაზგასმა ავტორისაა).

[54] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 85; „კარის გარიგებაში“ იხსენიება „სამზარეულოს კარავიც“ (იქვე, გვ. 83), რომელიც თითქოს სასახლის რომელიღაც ნაწილშია მოთავსებული.

[55] ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, ტფ., 1920, გვ. 31.

[56] იხ. გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, წიგნში: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 262 (ჩვენი თარგმანი ოდნავ განსხვავებულია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეფო კარად; სამეფო კარის შესატყვისად სომხურში იხმარება ფართოდ გავრცელებული სიტყვა **արքունիք**.

დავით ქობაირეცისეულ და ყუთლუ-არსლანის დასისეულ კარვებს საერთო უნდა ჰქონდეთ ის, რომ ორივე მთაგანი უნდა გულისხმობდეს რაღაც დაწესებულებას და არა დროებით სადგომს. „მეფის კარავის“ წევრები აჯანყებულ დიდგვარიანებს გარდა, უნდა იყონ დასახელებულ ანდერძში ნახსენები გიორგი III-ის ხელისუფლების ის ერთგულნი, რომლებიც ამბოხებულთა ძლიერებით შეფიქრიანებულმა მეფემ ტფილისს მოიხმო ს ა თ ა თ ბ ი რ ო დ და მათი რ ჩ ე ვ ი თ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც მიიღო.

„მეფის კარავის“ ორ ნაწილად გაყოფის მიზეზი თუ არა, საბაბი მაინც უნდა ყოფილიყო თამარის თანამოსაყდრედ დასმის საკითხი. განდგომილთა დამარცხების შემდეგ თამარი მალე ხომ, მართლაც, გახდა თანამოსაყდრე. ცნობილია, რომ ქალის მეფობა იმხანად არაჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა და თამარის გამეფებაც დიდ სიძნელეებს წააწყდა. საამისოდ, როგორც ეტყობა, თვით გიორგი III-საც მოუხდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა, მაგალითად, უქლესიის მიმართ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემდეგი: **1.** დავით ქობაირეცის მიერ ხაზგასმით აღნიშვნა, რომ ქართველთა მეფე გაჭირვების ჟამს თბილისში ს ა თ ა თ ბ ი რ ო დ იხმობს ერთგულებს, მოქმედებს მათი რ ჩ ე ვ ი თ, **2.** ვარდანის საყურადღებო ცნობა, რომ 1180 წელს გიორგი III-მ მპარავთა საწინააღმდეგო კანონი „ერთობილთ ლაშქართა“ თანადგომით მიიღო[57], **3.** „ისტორიანი და აზმანისეული“ ცნობილი სიტყვები იმის თაობაზე, რომ გიორგი III-მ „გ ა ნ რ ჩ ე ვ ი თ ა და გ ა მ ო რ ჩ ე ვ ი თ ა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ, თ ა ნ ა დ გ ო მ ი თ ა ყოველთა პატრიარქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“[58]. ყოველივე ეს უნდა მოწმობდეს, რომ გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში „სახელმწიფო დარბაზის“ (იგივე „მეფის კარავის“?) უფლებები თვალსაჩინოდ გაზრდილა. ამ მიმართულებით შემდგომი, აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების მეტისმეტად შეზღუდვას.

მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ ჟამთააღმწერლის ის ცნობებიც, სადაც ნახსენებია მეფის კარავი. განძის ალყასთან დაკავშირებით, როცა მეფე ლაშა გიორგისა და დიდებულებს შორის თითქოს უთანხმოება ჩამოვარდნილა, ნათქვამია: „დიდებულნი მებრძოლნი და ლაშქარნი დაამტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა მეფისასა. ხოლო მეფე იგი ჰუნისაგან ჩამოჴდა და ევედრა, უმეცრებით ქმნულისათჳს შენდობა ითხოვა, და ესრეთ მივიდეს კ ა რ ვ ა დ მ ე ფ ი ს ა სიხარულითა“[59]. აშკარაა, როგორც ეს საზოგადოდ ხდებოდა ამგვარ შემთხვევებში, განძის ალყის ჟამს მეფისთვის დროებით სადგომად კარავი დაუდგამთ და ეს მ ე ფ ი ს კ ა რ ა ვ ი გარჩეულიცაა იქვე ნახსენები მ ე ფ ი ს კ ა რ ი ს ა გ ა ნ. მეორეჯერ მეფის კარავი მოხსენიებულია, როცა საუბარია მეფის ხშირ მიმოსვლაზე თავის საბრძანებელში[60].

---

[57] Հաւաքումն պատմութեան Վարդանայ վարդապետի, Վենետիկ, 1862, გვ. 131.

[58] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21.

[59] იქვე, გვ. 154.

[60] იქვე, გვ. 156; ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სატახტო ქალაქისაგან შორს მყოფ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათო ყაენთან წასვლისას დავით ულუმ „თჳთოეული თემის-თემისა ადგილი თთჳოეულსა კაცსა შევედრის, რომლისათჳს კახეთიცა პანკელსა თორღუას შევედრა... ჰგონა თორღუამან არღარა მოსლვა მეფისა, უკუდგა პანკისსა ციხესა, და თჳსად დაიჭირა კახეთი“... მაგრამ დავით ულუ სამშობლოში დაბრუნდა. „ვითარ მოიწია ჰერეთს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისისანი, ხოლო თორღუა შეშინებული უკუდგა პანკისს, ხოლო მეფე მოიწია ტფილისს, და იყო სიხარული ყოველთა მკჳდრთა საქართველოსათა. ხოლო თორღუას მოუწოდა მეფემან, და არა მოვიდა კარვად მეფისა შიშისათჳს. და მრავაგზის უწოდა, და ვერ ეძლო გულპყრობად მოსვლად“[61].

რაკი აქ თითქოს გარკვევითაა აღნიშნული, რომ მეფემ თბილისში მოსვლის შემდეგ მოუწოდა თორღუას კარვად მეფისა, იქნებ სამეფო კარი იგულისხმებოდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჟამთააღმწერელი თბილისში მეფის კარავს მხოლოდ ამჯერად ახსენებს, მაშინ როდესაც სამეფო კარის ღმნიშვნელად იგი იყენებს და თანაც საკმაოდ ხშირად „მეფის კარს“, „დარბაზს“[62]. ერთგან, როცა იგივე დავით ულუს თბილისში დაბრუნებაზეა საუბარი, ნათქვამია, რომ მეფე „მოვიდა პალატად ტფილისისა“[63], და არა „კარვად მეფისა“. ვინაიდან თორღვა მეამბოხე იყო და მას პასუხი უნდა ეგო ჩადენილი დანაშაულისათვის (როგორც ცნობილია, ბოლოს და ბოლოს იგი მოკლულ იქნა კიდეც), შესაძლოა, მისი მოხმობა „კარვად მეფისა“ ნიშნავდეს იმას, რომ მეფისა და ქვეყნის ორგული უნდა წარმდგარიყო სამეფო სამსჯავროს, იგივე „სახელმწიფო დარბაზის“ წინაშე.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვგონია, რომ „მეფის კარავი“ სამეფო კართან არსებულ დაწესებულებასაც ერქვა და ყუთლუ-არსლანის დასისეული „კარავიც“, უკეთუ მისი „დადგმა“ განხორციელდებოდა, ძირითადად მაინც სახელმწიფოს მართვის ადგილობრივი სისტემის შემდგომ, თვალსაჩინო განვითარებას მოასწავებდა. სამეფო სასახლისაგან გამოიყოფოდა ამ დროისათვის იქ უკვე არსებული დაწესებულება, რომელიც შესამჩნევად გარდაქმნიდა თავის საქმიანობას. მას აღმოსავლურ დივანთან საერთო ბევრი არაფერი ექნებოდა, რადგან ჩვენში გაცილებით უფრო დიდი უფლებების მქონე პოლიტიკური ინსტიტუტის შექმნა ივარაუდება. რაც მთავარია, მას ეს უფლებები, „სპარსეთისაგან“ განსხვავებით, ოფიციალურად მიენიჭებოდა.

რაც შეეხება „სპარსთა წესს“, ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ იგი არ იმსახურებს ისე დიდ ყურადღებას, როგორც ი. ანთელავა ფიქრობს. „ისტორიანი და აზმანის“ ავტორს ხომ საკმაოდ გაურკვევლად აქვს ნათქვამი: „მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა“. გავითვალისწინებთ რა, თუ რაოდენ ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა „სპარსი“ იმდროინდელ ქართულ და სომხურ წყაროებში, მემატიანის სიტყვებში შეიძლება უამრავი რამ ვიგულისხმოთ. ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ დღემდე, თუ ჩვენ რაიმე არ გამოგვრჩა, ოთხმა მკვლევარმა (ივ. ჯავახიშვილი, შ. ბადრიძე, გ. მჭედლიძე, ი. ანთელავა) შემოგვთავაზა „სპარსთა წესის“ განმარტება და ერთმანეთისა-

---

მეფეს ფრიად საპატიო სტუმარი მიუღია კარავში (იხ. გიორგი მცირე, ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ, წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 159).

[61] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 230—231.

[62] იხ. მაგ. იქვე, გვ. $154_{6}$, $155_{10}$, $157_{10-11}$.

[63] იქვე, გვ. 256.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან განსხვავებული ოთხი მოსაზრებაც გაჩნდა. „ისტორიანი და აზმანის“ თანახმად, ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა თამარმა და მისმა „ერთგულებმა“[64] ალიქვეს, როგორც „დასასრულისა ჴელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი“. ეტყობა, მემატიანემ სწორედ ამის გამო შეადარა ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა რაღაც „სპარსთა წესს“. ხოლო ამგვარი რამ, მეფის ხელისუფლების მეტისმეტად შეზღუდვა, ამა თუ იმ გვირგვინოსნის ფაქტობრივად ჩამოშორება სახელმწიფო მმართველობის საქმეებისაგან, სხვადასხვა დროს, ალბათ, თამარის ხანაშიც, არაერთ ქვეყანაში მომხდარა, მათ შორის „სპარსთა“ ქვეყნებშიც. ალბათ, არც ისაა გამორიცხული, რომ „სპარსთა წესში“ იგულისხმებოდეს თბილისის მმართველობა XI საუკუნესა და XII ს-ის პირველ მეოთხედში, როცა თბილისის ამირები ან მეტისმეტად სუსტი ხელისუფალნი იყვნენ და ქალაქის განმგებლობაში დიდ მონაწილეობას არ იღებდნენ, ანდა ერთპიროვნული მმართველი (ამირა) თბილისში საერთოდ აღარ არსებობდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით ხომ თბილისი, ვიდრე დავითმა არ გაანთავისუფლა, იყო „ოთხას წელ ქონებული სპარსთა“[65].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ ვასკვნით, რომ XI—XV საუკუნეების საქართველოში სამეფო კართან, მართლაც, არსებობდა ე. წ. „სახელმწიფო დარბაზის“ დაწესებულება, რომელიც გარკვეულ მონაწილეობას, სხვადასხვა დროს მეტსა თუ ნაკლებს, ღებულობდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ყუთლუ-არსლანის დასმა განიზრახა ეს დაწესებულება გაეტანათ სასახლიდან და გარდაექმნათ მისი სტრუქტურა თუ საქმიანობა, თვალსაჩინოდ, მკვეთრად უნდა გაზრდილიყო ყოფილი „დარბაზის“ უფლებები სამეფო ხელისუფლების მეტისმეტად შეზღუდვის ხარჯზე; ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნათა საფუძველი, ძირითადად მაინც, ადგილობრივია და არა გარედან შემოტანილი. მაინცადამაინც, ჩვენს ხელთ არსებული მასალები ამგვარი მოსაზრებების სასარგებლოდ უფრო მეტყველებენ, ვიდრე მათ საწინააღმდეგოდ.

---

[64] ვფიქრობთ, მიუღებელია ი. ანთელავას მოსაზრება, თითქოს „ისტორიანი და აზმანში“ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლასთან დაკავშირებით მოხსენიებული „ერთგულები და საკუთარნი“ თამარის მიერ გადაბირებული ყუთლუ-არსლანის „ერთგულებია“ (იხ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. წიგნი, გვ. 206) თამარის ისტორიკოსი, ალბათ, არ დაწერდა. რომ მის მიერ ესოდენ აუგად ხსენებულ ყუთლუს „ერთგულებს“ თამარი „თანამზრახველ“ ექმნა. ი. ანთელავას აზრს—თამარი თავის ერთგულებს უბრალოდ უბრძანებდაო, მათა „თანამზრახველობის“ მოპოვებისათვის საგანგებო ზომების მიღება არ დასჭირდებოდაო—სხვას რომ თავი დავანებოთ, დავით ქობაძრეცის მონაცემებიც არ უჭერს მხარს.

[65] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342.

ეროვნული ბიბლიოთეკა

А. П. АБДАЛАДЗЕ

# ИЗ ИСТОРИИ ГОСУДАРСТВЕННОГО СТРОЯ ГРУЗИИ XI — XV ВВ. («ДАРБАЗИ»).

Резюме

В современной грузинской историографии (И. П. Антелава и др.) отрицается существование государственного совета — «Дарбази» при грузинском царском дворе.

Автор предлагаемой статьи не разделяет такую точку зрения, полагая, что институт т. н. государственного «Дарбази» действительно существовал в Грузии в XI—XV вв.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა

ვიქტორ გუჩუა

## მთვარისმიერი ჰიჯრის ერის ჩვენს ერაზე გადაყვანის შესახებ

მუსლიმანური ქვეყნების ისტორიულ წყაროებში მრავალი ცნობაა დაცული საქართველოს ისტორიის შესახებ. თვით ქართულ წყაროებშიც ზოგჯერ ესა თუ ის ისტორიული მოვლენა დათარიღებულია ჰიჯრის ერით. ამიტომ საქართველოს ისტორიის მკვლევარმა უნდა იცოდეს ჰიჯრის წელთაღრიცხვის ჩვენს ერაზე გადაყვანის წესები.

ჰიჯრის კალენდარი შემოიღეს არაბებმა ჩ. ე. 638 წელს. ეს კალენდარი მთვარისმიერია. მისი საფუძველია სინოდური თვე (დროის ხანგრძლივობა ახალმთვარეობიდან მომავალ ახალმთვარეობამდე), რომლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 29,5 დღე-ღამეს. დღე-ღამის დასაწყისად ითვლება მზის ჩასვლის მომენტი. ყოველი თვე და ახალი წელი იწყება ვიზუალური ახალმთვარეობის დღეს. წელიწადი 12 თვისაგან შედგება და შეიცავს 354 დღე-ღამეს (29,5.12 = 354). იმისათვის, რომ თვეებში დღეების რაოდენობა მთელი რიცხვებით იყოს გამოსახული, ხდება 30 და 29 დღიანი თვეების მონაცვლეობა: 6 კენტ ადგილზე მდგომი თვე 30-30 დღიანია, ხოლო დანარჩენი 6 თვე, რომელთაც წყვილი ადგილები უკავიათ თვეთა თანმიმდევრობაში — 29—29 დღიანი. ამ გზით შენარჩუნებულია წლის ხანგრძლივობა—354 დღე-ღამე (30.6 + 29.6 = 354).

მთვარისმიერი თვის უფრო ზუსტი დაახლოებითი ხანგრძლივობა შეადგენს 29,53 დღეს[1]. ამ ანგარიშით წელიწადში იქნება 354, 36 დღე (29,53.12 = 354,36). ამრიგად, 1 წლის მანძილზე კალენდრის შეცდომა უდრის 0,36 დღ., 30 წელიწადში კი დაახ. 11 დღ. ამის გამო თვეებისა და ახალი წლის დასაწყისი არ დაემთხვევა ახალმთვარეობას. შეცდომის გასწორების მიზნით ყოველ 30 წელიწადში 11 წელიწადს უმატებენ თითო დღეს, ე. ი. 11 წელიწადი იქნება 355 დღიანი, თითოეული, დანარჩენი 19 წელიწადი კი — 354—354 დღიანი. 354 დღიან წლებს ჩვეულებრივი, ხოლო 355 დღიანებს ნაკიანი წლები ეწოდება. დამატებითი დღის ჩამატება ხდება ბოლო თვის ზულ-ჰიჯას დასასრულს და ამიტომ ეს თვე ნაკიან წელიწადში 30-დღიანია. მთვარისმიერი ჰიჯრის ამ 30-წლიანი პერიოდის ანუ ციკლის კალენდარს არაბული ციკლის კალენდარი ეწოდება (არსებობს ჰიჯრის 8-წლიანი ციკლის კალენდარიც, რომელსაც თურქული ციკლის კალენდარს ეძახიან). 30-იან ციკლში 11 ნაკიანი წლის შერჩევა ხდება წესით, რომლის მიხედვითაც ყოველი კალენდარული წლის დასასრულს შეცდომა არ უნდა აღემატებოდეს 0,5 დღეს. 1 წლის მანძილზე შეცდომა, როგორც ვნახეთ, შეადგენს 0,36 დღ. 2 წლის განმავლობაში ის იქნება—0,72 დღ.,

---

[1] შემდეგში „დღე“ „დღე-ღამე“-ის მნიშვნელობითაა ნახმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ე. ი. 0,5-ზე მეტი. ამიტომ 30-წლიან ციკლში პირველი დამატება ხდება მე-2 წლის დასასრულს და ეს წელი ნაკიანი იქნება. ამის შედეგად მე-2 წლის დასასრულს შეცდომა იქნება 1—0,72=0,28 დღ., მესამე წლის დასასრულს—0,36—0,28=0,08 დღ., მეოთხე წლის დასასრულს 0,08+0,36=0,44 დღ., მეხუთე წლის დასასრულს —0,44+0,36=0,80 დღ., ე. ი. 0,5-ზე მეტი და ამიტომ მეორე დამატება ხდება მე-5 წლის დასასრულს და ეს წელი ნაკიანია. ასეთი ანგარიშით 30-წლიან ციკლში ნაკიანია შემდეგი წლები: 2, 5, 7, 10, 13, 16, 18, 21, 24, 26 და 29. ციკლის დანარჩენი 19 წელიწადი ჩვეულებრივია. სულ 30-წლიან ციკლში არის 10 631 დღე (19.354+11.355=10 631).

რომ გავიგოთ, ნაკიანია თუ არა ჰიჯრის მოცემული წელი, საჭიროა წლის რიცხვი გავყოთ 30-ზე. თუ გაყოფის შედეგად ნაშთში მივიღებთ რიცხვთა ზემოაღნიშნული მწკრივის რომელიმე რიცხვს (2, 5, 7 და ა. შ.), ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული წელი ნაკიანია. მაგ., გავიგოთ, ნაკიანია თუ ჩვეულებრივი ჰიჯრის 798 წელი. 798-ის 30-ზე გაყოფით მიიღება ნაშთი 18. ოცდაათწლიან ციკლში 18 წ. ნაკიანია, მაშასადამე 798 წელიც ნაკიანია.

ჰიჯრის ერის დასაწყისად მიღებულია 1 წლის 1 მუჰარამი, პარასკევი დღე, რომელიც შეესაბამება ჩვენი ერის 622 წლის 16 ივლისს, პარასკევ დღეს. იულიანურ 621 წელში არის 155 ნაკიანი (621:4=155, ნაშთს მხედველობაში არ ვიღებთ) და 466 ჩვ. წელი, რაც ერთად შეადგენს 226 820 დღეს (466.365+155. .366=226 820. 622 წლის 1 იანვრიდან 15 ივლისამდე კი 196 დღეა ამრიგად, ჩ. ე. 1 წლის 1 იანვრიდან ჰიჯრის. ერის დასაწყისამდე (622 წ. 15 ივლისამდე ჩათვლით) გასულია 627 016 დღე.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ჰიჯრის წელთაღრიცხვის ჩვენს ერაზე ზუსტი გადაყვანა (რედუქცია).

მთვარისმიერი ჰიჯრის არაბული ციკლის თარიღის ჩვენს ერაზე გადასაყვანად საჭიროა:

1. 227 016-ს მივუმატოთ დღეთა რაოდენობა, რომელსაც შეიცავს ჰიჯრის ერით მოცემული თარიღი; II. მიღებულ დღეთა რაოდენობა გადავაქციოთ იულიანურ წლებად.

ამოვხსნათ ამოცანა კერძო მაგალითზე: რას უდრის ჩვენი ერით ჰიჯრის 703 წლის II შავვალი (ყაზან ყაენის გარდაცვალების თარიღი)[2]. I. **1.** გავიგოთ, რამდენი სრული 30-წლიანი ციკლი და მიმდინარე ციკლის რამდენი სრული წელიწადია გასულ 702 წელიწადში: 702-ის 30-ზე გაყოფით განაყოფში ვღებულობთ 23-ს და ნაშთში 12-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ გასულია სრული 23 ციკლი და მიმდინარე 24-ე ციკლის 12 წელი.

**2.** რამდენ დღეს შეიცავს 23 ციკლი და12 წელიწადი. როგორც ვიცით, ერთ 30-წლიან ციკლში არის 10.631 დღე, მაშასადამე, 23 ციკლში იქნება 10631. .23=244 513 დღ. რამდენი დღეა მიმდინარე ციკლის სრულ 12 წელიწადში. 12 წელიწადში არის 4 ნაკიანი და 8 ჩვეულებრივი წელი. 8 ჩვ. წელიწადში 8. 354=2832 დღეა, 4 ნაკიან წელიწადში კი—4.355=1420 დღ., ე. ი. სულ 23 ციკლსა და 12 წელიწადში იქნება 244 513+2832+1420=248 765...(1).

**3.** რამდენი დღეა 1 მუჰარამიდან 11 შავვალამდე (ჩათვლით). ეს იქნება 277 დღე . . . . (2).

---

[2] Р а ш и д а д-д и н, Сборник летописей, том III, 1946, გვ. 202.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



4. რამდენ დღეს შეიცავს სულ 702 წელიწადი და 11 შავვალი. ცხადია ეს იქნება (1)+(2)=248 765+277=249 042 დღ.

5. რამდენი დღეა ჩ. ე. 1 წ. 1 იანვრიდან ჰიჯრის 703 წ. 11 შავვალამდე ჩათვლით: 227016+249052=476058. დღ.

ამრიგად, დასმული ამოცანის პირველი ნაწილი გადაწყვეტილია—ჰიჯრის თარიღი გადაქცეულია იულიანურ დღეებად. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ 476058 დღე ვაქციოთ იულიანურ წლებად.

II. 1. გავიგოთ, რამდენ იულიანურ 4-წლიან ციკლსა და წელს შეიცავს 476058 ყლ. 1 იულიანურ 4-წლედში 3 ჩვეულებრივი და 1 ნაკიანი წელია და ამიტომ მასში 1461 დღ. იქნება (3.365+366=1461). 476058 გაყოფილი 1461-ზე გვაძლევს განაყოფში 325-ს და ნაშთში—1233-ს.

2. რამდენი წელია 325 ოთხწლედში: 325.4=1300 წ. . . . . (1)

3. რამდენი წელი და დღეა 1233 დღეში: 1233 გაყოფილი 365-ზე, იქნება 3 წელი და 138 დღე . . . . . . . . . (2)

4. რამდენი წელი და დღეა 476058 დღეში: გვაქვს (1)+(2)=1300+ +3=1303 წ. და 138 დღ., ე. ი. 1304 წლის 138-ე დღ. რადგან 1304 წელი ნაკიანია, მისი 138-ე დღე იქნება 17 მაისი. ამგვარად, ამოცანა გადაწყვეტილია: ყაზან ყაენის გარდაცვალების თარიღი—ჰიჯრის 703 წ. 11 შავვალი უდრის ჩ. ე. 1304 წ. 17 მაისს.

მთვრისმიერი ჰიჯრის წელთაღრიცხვის ჩვენს ერაზე გადაყვანის ზემოაღნიშნული წესი შეგვიძლია ჩავწეროთ ფორმულებით:

$$\text{I.}\quad S=227016+\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 10631+354\,m+355k+T,$$

$$\text{II.}\quad X=\left[\frac{S}{1461}\right]\cdot 4+\left[\frac{n}{365}\right]+1,$$ სადაც:

S არის დღეთა რაოდენობა ჩ. ე. 1 წ. 1 იანვრიდან ჰიჯრით მოცემულ თარიღამდე (ჩათვლით).

N — ჰიჯრის მოცემული წელი,

m — ჩვეულებრივ წელთა რაოდენობა $\left|\frac{N-1}{30}\right|$ წელიწადში[3],

K — ნაკიან წელთა რაოდენობა $\left|\frac{N-1}{30}\right|$ წელიწადში.

T — დღეთა რაოდენობა 1 მუჰარამიდან თვის მოცემულ რიცხვამდე ჩათვლით,

X — საძებნი იულიანური წელი,

n — $\left|\frac{S}{1461}\right|$ გამოსახულების მნიშვნელობა,

სიმბოლო, [] კვადრატული ფრჩხილები, აღნიშნავს განაყოფს.

II ფორმულა გვაძლევს მიმდინარე იულიანურ წელს; თვესა და თვის რიცხვს ვპოულობთ დღეთა რაოდენობით 1 იანვრიდან მოცემულ თარიღამდე (ჩათვლით) ე. ი. $\left|\frac{n}{365}\right|$-ის მნიშვნელობით.

[3] სიმბოლო II (სწორი ფრჩხილები) აღნიშნავს, რომ ვიღებთ მხოლოდ ნაშთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემოთ მოცემული დამხმარე ცხრილები საგრძნობლად აადვილებს აღნიშნული ფორმულებით, აგრეთვე კვირის დღის ფორმულით (იხ. აქვე, გვ. 11) სარგებლობას. ვაჩვენოთ ამ ცხრილებით სარგებლობის წესები 703 წლის 11 შავვალის მაგალითზე.

1-ელი ცხრილით ვგებულობთ $227016+\left[\frac{N-1}{30}\right].10631$ და $\left|\frac{N-1}{30}\right|$ გამოსახულებათა მნიშვნელობებს. ამ ცხრილის ზედა სტრიქონის პირველი რიცხვები (0,30, 60, 90 და ა. შ.) აღნიშნავენ წელთა რაოდენობას გასულ ციკლებში, ფრჩხილებში მოთავსებული პირველი რიცხვი ჩვეულებრივ, ხოლო მეორე—ნაკიან წელთა რაოდენობას მათში, ქვედა სტრიქონის რიცხვები უჩვენებენ დღეთა რაოდენობას სრულ ციკლებში 227016-ის მიმატებით. ცხრილის პირველი სტრიქონების პირველ რიცხვებში ვეძებთ N—1-ს, ან თუ ის არ არის, მასზე ნაკლებ უახლეს რიცხვს. ჩვენს მაგალითში ეს იქნება 690, რომლის ქვეშ ზის 471 529—დღეთა რაოდენობა 690 წელიწადში. ამრიგად, $227016+\left[\frac{N-1}{30}\right].10631=471529$ . . . . . . . . (1)

$\left|\frac{N-1}{30}\right|$-ის მნიშვნელობას ვგებულობთ 702-იდან 690-ის გამოკლებით, რაც გვაძლევს 12-ს. ამრიგად, $\left|\frac{N-1}{30}\right|=12$.

მიმდინარე ციკლის 12 სრულ წელიწადში დღეთა რაოდენობას ვგებულობთ მე-2 ცხრილით. ამ ცხრილში მოცემულია აგრეთვე ჩვეულებრივ და ნაკიან წელთა რაოდენობა 30-წლიანი ციკლის სრულ წლებში. ცხრილის გრაფაში „წლები“ ვეძებთ 12-ს. მის პირდაპირ m-ის, k-სა და $35m+355k$-ს გრაფებში ზის რიცხვები 8, 4 და 4252, ე. ი. 12 წელიწადში არის 8 ჩვ. და 4 ნაკ. წელი, დღეთა რაოდენობა კი შეადგენს 4252-ს. ამრიგად, $354m+355k=4252$ . . . . . . . (2)

მესამე ცხრილი გვაძლევს პასუხს კითხვაზე, რამდენი დღეა 1 მუჰარამიდან, ე. ი. წლის დასაწყისიდან რომელიმე თვის მოცემულ რიცხვამდე ჩათვლით. რამდენი დღეა 11 შავვალამდე ჩათვლით? ცხრილში შავვალის თვის გრაფაში ზის 266, რომელსაც ვუმატებთ 11-ს. ამრიგად, $T=277$. . (3)

ამრიგად გვექნება: $(1)+(2)+(3)=471\,529+4252+277=476058$

მე-4 ცხრილით ვპოულობთ $\left[\frac{S}{1461}\right]\cdot 4$ და $\left|\frac{S}{1461}\right|$ გამოსახულებათა მნიშვნელობებს. ცხრილის მნიშვნელებში ვეძებთ 476 058-ზე ნაკლებ უახლოეს რიცხვს. ეს არის 474 825, რომელსაც მრიცხველში შეესაბამება 1300, ე. ი. 474 825 დღე არის 1300 იულიანური წელი. ამრიგად, $\left[\frac{S}{1461}\right]\cdot 4=1300$...(1)

$\left|\frac{S}{1461}\right|$-ის მნიშვნელობას ვპოულობთ შემდეგნაირად: $476058-474825=1233$. ამრიგად, $n=1233$.

ამავე ცხრილით ვგებულობთ $\left[\frac{n}{365}\right]$ და $\left|\frac{n}{365}\right|$ გამოსახულებათა მნიშვნელობებს. ჩვენს მაგალითში $n=1233$. ცხრილში ვეძებთ 1233-ზე ნაკლებ უახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოეს რიცხვს. ასეთია 1095, რომელსაც მრიცხველში შეესაბამება 3, ე. ი.

$$\left[\frac{n}{365}\right] = 3 \text{ წ.} \quad . \; . \; . \; . \; . \; . \; . \; . \; . \; . \; . \quad (2)$$

ამრიგად, გვაქვს: $X = (1) + (2) + 1 = 1300 + 3 + 1 = 1304$ წ. $\left|\frac{n}{365}\right|$-ის მნიშვნელობას ვგებულობთ 1233-იდან 1095-ის გამოკლებით, რაც გვაძლევს 138-ს ე. ი. X არის 1304 წლის 138-ე დღე.

წლის 138-ე დღეს ვპოულობთ მე-5 ცხრილით. 1304 წ. ნაკიანია. ცხრილში ნაკ. წლების გრაფაში ვეძებთ 138-ზე ნაკლებ უხლოეს რიცხვს. ასეთია მაისის თვის გრაფაში 121, შემდეგ: 138—121=17 ე. ი. 1304 წ. 138-ე დღე არის 17 მაისი. ამრიგად, 703 წ. 11 შაავალი უდრის ჩ. ე. 1304 წ. 17 მაისს.

ამოცანის გადაწყვეტის მსვლელობა ასე ჩაიწერება:

703 წ. 11 შაავალი?

I. 702 − 690 = 12
690 ... 471 529
12 ... + 4 252
277
476 058

II. 476 058 − 474 825 ... = 1233
1233 − 1095 ... = 138
138 − 121 = 17 მაისი
1300 + 3 = 1303 + 1 = 1304 წ.

პას. 1304 წ: 17 მაისი

მოცემული ცხრილებით შეიძლება გადავწყვიტოთ შებრუნებული ამოცანა—ჩ. ე. თარიღი გადავიყვანოთ მთვარისმიერი ჰიჯრის თარიღზე. მაგ., რას უდრის 1304 წ. 17 მაისი ჰიჯრის ერით. მე-4 ცხრილით 1300 წელს შეესაბამება 474 825 დღ. იმავე ცხრილით 3 წელი არის 1095 დღ. მე—5 ცხრილით 17 მაისი არის 138 დღე წლის დასაწყისიდან. ამრიგად, სულ გვექნება 476 058 დღ. პირველ ცხრილში 476 058-ზე ნაკლები უახლოესი რიცხვია 471 529, რომელიც შეესაბამება 690 წელს. შემდეგ: 476 058—471 529=4529. მე-2 ცხრილში ვეძებთ 4529-ზე ნაკლებ უახლოეს რიცხვს. ეს არის 4252, რომელსაც შეესაბამება 12 წელი. შემდეგ 4 529—4 252=277, ე. ი. გვაქვს 590+12=702 წელი და 277 დღე, ანუ 703 წლის 277-ე დღე. მე-3 ცხრილში ვეძებთ 277-ს, ან თუ ის არ არის, მასზე ნაკლებ უახლოეს რიცხვს. ასეთია 260, რომელიც ზის შაავალის თვის გრაფაში. შემდეგ: 277—260=11. ამრიგად, 1304 წ. 17 მაისი ყოფილა 703 წლის 11 შაავალი.

ამოცანის გადაწყვეტის მსვლელობა ჩაიწერება ასე:

1304 წ. 17 მაისი?

I. 1 300 + 3 ... = 1303
474 825 + 1 095 + 138 = 476058

II. 476 058 − 471 529 ... = 4 529
4 529 − 4 252 ... = 277
277 − 266 = 11 შაავალი
690 + 12 = 702 + 1 = 703 წ.

პას. 703 წ. 11 შაავალი

მოყვანილი ფორმულები და ცხრილები თარიღებს გვაძლევს იულიანური კალენდრით (ძველი სტილით). გრიგორიანული თარიღის (ახალი სტილის) მისაღებად საჭიროა იულიანურ თარიღს მივუმატოთ:

1582 წ. 5 ოქტომბრიდან 1700 წ. 29 თებერვლამდე — 10 დღე,
1700 წ. 1 მარტიდან 1800 წ. 29 თებერვლამდე — 11 დღე,
1800 წ. 1 მარტიდან 1900 წ. 29 თებერვლამდე — 12 დღე,
1900 წ. 1 მარტიდან 2100 წ. 29 თებერვლამდე — 13 დღე.

ცხრილი 1

$227016+\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 10\,631$, $\left|\frac{N-1}{30}\right|$, $\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 19$ და $\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot n1$ გამოსახულებათა მნიშვნელობანი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| $\frac{0(0,0)}{227\,016}$ | $\frac{30(19.11)}{237\,647}$ | $\frac{60(38,22)}{248\,278}$ | $\frac{90(57,33)}{258\,909}$ | $\frac{120(76,44)}{269\,540}$ | $\frac{150(95,55)}{280\,171}$ |
| $\frac{180(114,66)}{290\,802}$ | $\frac{210(133,77)}{301\,433}$ | $\frac{240(152,88)}{312\,064}$ | $\frac{270(171,99)}{322\,695}$ | $\frac{300(190,110)}{333\,326}$ | $\frac{330(209,121)}{343\,957}$ |
| $\frac{360(228,132)}{354\,588}$ | $\frac{390(247,143)}{365\,219}$ | $\frac{420(266,154)}{375\,850}$ | $\frac{450(285.165)}{386\,481}$ | $\frac{480(304,176)}{397\,112}$ | |
| $\frac{510(323,187)}{407\,743}$ | $\frac{540(342,198)}{418\,374}$ | $\frac{570(361,209)}{429\,005}$ | $\frac{600(380,220)}{439\,636}$ | $\frac{630(399,231}{540\,267}$ | |
| $\frac{660(418.242)}{460\,898}$ | $\frac{690(437,253)}{471\,529}$ | $\frac{720(456,264)}{482\,160}$ | $\frac{750(475.275)}{492\,791}$ | $\frac{780(494.286}{503\,422}$ | |
| $\frac{810(513.297)}{514\,053}$ | $\frac{840(532,308)}{524\,684}$ | $\frac{870(551.319)}{535\,315}$ | $\frac{900(570.330)}{545\,946}$ | $\frac{930(589,341)}{556\,577}$ | |
| $\frac{960(603,352)}{567\,208}$ | $\frac{990(627,363)}{577\,839}$ | $\frac{1020(646,374)}{588\,470}$ | $\frac{1050(665,385)}{599\,101}$ | $\frac{1080(684,396)}{609\,732}$ | |
| $\frac{1110(703,407)}{620\,363}$ | $\frac{1140(722,418)}{630\,994}$ | $\frac{1170(741,429)}{641\,625}$ | $\frac{1200(760.440)}{652\,256}$ | $\frac{1230(779,451)}{662\,887}$ | |
| $\frac{1260(798.462)}{673\,518}$ | $\frac{1290(817,473)}{684\,149}$ | $\frac{1320(836,484)}{694\,780}$ | $\frac{1350(855,495)}{705\,411}$ | $\frac{1380(874,506)}{716\,042}$ | |
| $\frac{1410(893,517)}{726\,673}$ | | | | | |

ცხრილი 2

m-ის, k-სა და 354 m + 355 k-ს მნიშვნელობანი 30 წლიანი ციკლის წლებში (ვარსკვლავით აღნიშნულია ნაკიანი წლები)

| წლები | m | K | 354 m+ +355 K | წლები | m | K | 354 m+ +355 K | წლები | m | K | 354 m+ +355 K |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | 0 | 354 | 11 | 7 | 4 | 3893 | 21* | 13 | 8 | 7442 |
| 2* | 1 | 1 | 709 | 12 | 8 | 4 | 4252 | 22 | 14 | 8 | 7796 |
| 3 | 2 | 1 | 1063 | 13* | 8 | 5 | 4607 | 23 | 15 | 8 | 8150 |
| 4 | 3 | 1 | 1417 | 14 | 9 | 5 | 4961 | 24* | 15 | 9 | 8505 |
| 5* | 3 | 2 | 1772 | 15 | 10 | 5 | 5315 | 25 | 16 | 9 | 8859 |
| 6 | 4 | 2 | 2126 | 16* | 10 | 6 | 5670 | 26* | 16 | 10 | 9214 |
| 7* | 4 | 3 | 2471 | 17 | 11 | 6 | 6024 | 27 | 17 | 10 | 9568 |
| 8 | 5 | 3 | 2835 | 18* | 11 | 7 | 6379 | 28 | 18 | 10 | 9922 |
| 9 | 6 | 3 | 3189 | 19 | 12 | 7 | 6733 | 29* | 18 | 11 | 10277 |
| 10* | 6 | 4 | 3544 | 20 | 13 | 7 | 7083 | 30 | 19 | 11 | 10631 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხრილი 3

T-ს მნიშვნელობა (დღეთა რაოდენობა წლის დასაწყისიდან თვის პირველ რიცხვამდე ჰიჯრის კალენდარით)

| მუჰარამი | საფარი | რაბი I | რაბი II | ჯუმადა I | ჯუმადა II | რაჯაბი | შაბანი | რამადანი | შავვალი | ზულკაადა | ზულჰიჯა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| — | 30 | 59 | 89 | 118 | 148 | 177 | 207 | 236 | 266 | 295 | 325 |

ცხრილი 4

$\left[\frac{S}{1461}\right]\cdot 4$ და $\left|\frac{S}{1461}\right|$ გამოსახულებათა მნიშვნელობანი

| 600 | 700 | 800 | 900 | 1000 | 1100 | 1200 | 1300 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 219 150 | 255 675 | 292 200 | 328 725 | 365 250 | 401 775 | 438 300 | 474 825 |

| 1400 | 1500 | 1600 | 1700 | 1800 | 1900 | 2000 | 2100 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 511 350 | 547 875 | 584 400 | 620 925 | 657 450 | 693 975 | 730 500 | 767 025 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 8 | 12 | 16 | 20 | 24 | 28 | 32 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 365 | 730 | 1095 | 1461 | 2922 | 4383 | 5844 | 7305 | 8766 | 10277 | 11 682 |

| 36 | 40 | 44 | 48 | 52 | 56 | 60 | 64 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 149 | 14 610 | 16 071 | 17 532 | 18 993 | 20 454 | 21 915 | 23 376 |

| 68 | 72 | 76 | 80 | 84 | 88 | 92 | 96 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 837 | 26 298 | 27 759 | 29 220 | 30 681 | 32 142 | 33 603 | 35 064 |

ცხრილი 5

დღეთა რაოდენობა წლის დასაწყისიდან თვეთა პირველ რიცხვებამდე იულიანური კალენდრით

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვ. წელი | — | 31 | 59 | 90 | 120 | 151 | 181 | 212 | 243 | 273 | 304 | 334 |
| ნაკ. წელი | — | 31 | 60 | 91 | 121 | 152 | 182 | 213 | 244 | 274 | 305 | 335 |

ცხრილი 6

R-ის მნიშვნელობა

| R | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7(0) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | კვირა | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი |

როგორც დავინახეთ, ჰიჯრის თარიღის ზუსტი რედუქცია რთულია. ამიტომ როცა აუცილებელი არაა ასეთი სიზუსტე, შეიძლება დავკმაყოფილდეთ მარტივი ფორმულით, რომლითაც რედუქცია ხდება ჰიჯრით მოცემული წლისათვის თვისა და თვის რიცხვის მხედველობაში მიუღებლად. ეს ფორმულა ემყარება იმას, რომ მთვარისმიერი წელიწადი დაახ. 11 დღით ნაკლებია მზისმიერ წელიწადზე (365—11=354). ეს 11-დღიანი განსხვავება 33 წლის განმავლობაში 363 დღეს ანუ დაახ. 1 წელიწადს იძლევა. ცხადია, რომ N წლისათვის ჰიჯრის კალენდარი გაუსწრებს იულიანურ კალენდარს $\frac{N}{33}$ წლით, ამიტომ ეს უნდა გამოვაკლოთ N-ს და მიღებულს მივუმატოთ 621—წელთა რაოდენობა, რომელიც გავიდა ჰიჯრის ერის დაწყებამდე.

ამრიგად, ვღებულობთ ფორმულას:

$$X=621+N-\left[\frac{N}{33}\right],$$ სადაც

X—არის ჩ. ე. საძიებო წელი, N — მიმდინარე ჰიჯრის წელი და სიმბოლო []—კვადრატული ფრჩხილები, აღნიშნავს განაყოფს, ნაშთის მხედველობაში მიუღებლად.

ვნახოთ რას მოგვცემს ეს ფორმულა ჰიჯრის 703 წლისათვის: $621+703-\left[\frac{703}{33}\right]=1303$ წ. როგორც აღვნიშნეთ, N-ის 33-ზე გაყოფისას, ნაშთს მხედველობაში არ ვიღებთ და გარდა ამისა ჰიჯრის ერა იწყება 16 ივლისს და არა 1 იანვარს, რის გამოც აღნიშნული ფორმულით მიღებული პასუხი ზუსტი არ იქნება. ამიტომ ფორმულით მიღებულ პასუხს აღვნიშნავთ 2 რიცხვით: ჰიჯრის 703 წ.=ჩ. ე; 1303/1304 წწ. ზოგჯერ ეს ფორმულა გვაძლევს შეცდომას ±1 წლის ფარგლებში.

ჰიჯრის თარიღის ჩვენს ერაზე გადაყვანა თითქმის ყოველგვარი ანგარიშის გარეშე მარტივად წყდება სპეციალური სინქრონული ცხრილებით. უახლეს დროში ჩვენში დაბეჭდილი ცხრილებიდან აღსანიშნავია ვ. ციბულსკის ცხრილი[4]. ცხრილში მოცემულია ჰიჯრის 1—1421 წლების ყოველი თვის პირველი რიცხვის შესაბამისი ჩ. ე. წლები, თვეები და თვის რიცხვები კვირის დღის ჩვენებით. ვიცით რა ჰიჯრის თვეების პირველი დღის შესაბამისი ჩ. ე. თარიღი, ადვილია თვეთა სხვა რიცხვების თარიღის გაგება. ცხრილში 990 წლის 17 რამადანამდე (ჩ. ე. 1582 წ. 5 ოქტომბრამდე) თარიღების შესატყვისობა მოცემულია იულიანური კალენდრით, ხოლო 17 რამადანიდან (15 ოქტომბრიდან)— გრიგორიანული კალენდრით.

1940 წ. აკად. ი. ა. ორბელის რედაქციით გამოსული ცხრილი, რომელიც შეიცავს თარიღებს ჰიჯრის ყოველი თვის 1 რიცხვისათვის ჩ. ე. 1941 წლამდე, დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. 1961 წ. გამოვიდა ამ წიგნის მეორე შევსებული გამოცემა მასში დაშვებულია უხეში ხასიათის მრავალი შეცდომა. ცხრილში 1365 წლის 1 რამადანის შესაბამება 30 აგვისტო, ნაცვლად 30 ივლისისა[5]. ამას მოსდევს ამ საფუძველზე წარმომდგარი შეცდომები. არის

[4] В. В. Цыбульский, Современные календари стран Ближнего и Среднего Востока., М., 1964, გვ. 20—114.

[5] Синхронические таблицы для перевода исторических дат по Хиджре на европейское летосчисление, 1961.

სხვა ხასიათის ბევრი შეცდომაც[6]. ამის გამო ამ წიგნით სარგებლობა ჰიჯრის 1365 წ. 1 რამადანიდან შეუძლებელია.

იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ცხრილები ხელთ არა გვაქვს, უნდა მივმართოთ კომბინირებულ ხერხს—ამოცანა გადავწყვიტოთ არითმეტიკული ხერხით დამხმარე ცხრილების მეშვეობით. ამ მხრივ მეტად საინტერესო და მარტივია გ. დ. მამედბეილის ცხრილები[7]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცხრილების აღნიშნული გამოცემით სარგებლობა სიფრთხილეს მოითხოვს. ცხრილებით სწორ პასუხს ვერ ვღებულობთ ჰიჯრის პირველი 30 წლისათვის, აგრეთვე XVI საუკუნის უკანასკნელ 2 ათეული წლებისათვის. ცხრილში დაშვებულია ბეჭდური შეცდომებიც: II ცხრილის IIA-ში 1300 წლის ქვეშ წერია 25567, ნაცვლად 255 675-ისა. ამის გამო შეუძლებელია სწორი პასუხის მიღება 36 525 თარიღებისათვის. არის სხვა სახის ბეჭდური შეცდომებიც[8]. გ. დ. მამედბეილის ცხრილები აღნიშნული შეცდომების გასწორებით დაბეჭდა ვ. ციბულსკიმ თავის წიგნში (გვ. 119—121), ხოლო 1980 წ. ი. ერმოლაევმა[9].

ამ სტატიაში წარმოდგენილი ცხრილები შედგენილია გ. მამედბეილის მეთოდის საფუძველზე. თარიღთა რედუქციის არითმეტიკული ხერხის სიმარტივის თვალსაზრისით ისინი არ განსხვავდებიან გ. მამედბეილის ცხრილებისაგან, მაგრამ მათი უპირატესობა ისაა, რომ არ შეიცავს გამონაკლისებს[10]. გარდა ამისა, ჩვენი ცხრილებით, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, შესაძლებელია ჰიჯრის თარიღის კვირის დღის განსაზღვრა და ამით თარიღთა რედუქციის შემოწმება.

*

* *

ჰიჯრის წელთაღრიცხვის ჩვენს ერაზე გადაყვანით მიღებული პასუხის სისწორის შემოწმება შეიძლება კვირის დღის მიხედვით. 7-დღიანი კვირა გამოყენებულია როგორც მუსლიმანური, ისე ქრისტიანული ქვეყნების კალენდრებში. ორივე კალენდარში კვირის დღეები ერთმანეთს ემთხვევა: თუ ჰიჯრის რომელიმე წლის ნებისმიერი თვის რიცხვი კვირა დღეა, კვირა დღე იქნება აგრეთვე მისი შესაბამისი ჩვენი ერის თარიღიც როგორც იულიანური, ისე გრიგორიანული კალენდრით ჰიჯრის თარიღის კვირის დღის გაგება შეიძლება, თუ მოცემულია წელი, თვე და თვის რიცხვი.

კვირის დღის გასაგებად ამოსავალია ჰიჯრის პირველი წლის პირველი მუჰარამი, პარასკევი დღე, რომელიც შეესაბამება ჩ. ე. 622 წლის 16 ივლისს პარასკევ დღეს. როგორც ცნობილია, კვირის დღე მეორდება ყოველი 7 დღის შემდეგ: თუ 1 მუჰარამი პარასკევია, პარასკევი იქნება აგრეთვე 8, 15 და ა. შ. მუჰარამი. ამრიგად, ნებისმიერი თვის მოცემულ რიცხვს რომ 7-ის ჯერადი ნებისმიერი რიცხვი მივუმატოთ, კვირის დღე უცვლელი დარჩება. კვირის დღე

---

6 С. С. Селешников, Вред вместо пользы, журн. «Азия и Африка сегодня», 1962 № 12, გვ. 64.

7 Г. Д. Мамедбейли, Синхронические таблицы для перевода дат, Баку, 1961

8 В. В. Цыбульский, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

9 И. П. Ермолаев, Историческая хронология, Казан, 1980, გვ. 213—216.

10 В. В. Цыбульский, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123; И. П. Ермолаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიცვლება მაშინაც, როცა დღეთა მოცემული რაოდენობიდან გამოვრიცხავთ 7-ის ჯერად რიცხვებს. ამასთან, კვირის დღეს ვპოულობთ დღეთა რაოდენობის 7-ზე გაყოფით მიღებული ნაშთით. მაგ., 15 მუჰარამის კვირის დღის გასაგებად 15-ს ვყოფთ 7-ზე და მიღებული ნაშთი —1 უჩვენებს კვირის დღეს-პარასკევს. ასეთსავე შედეგს მივიღებთ, თუ 15-იდან გამოვრიცხავთ 7-ის ჯერად 13 დღეს: (15—-142)=|1 : 7|=1, ე. ი. პარასკევს. ანალოგიურად, ნაშთი 2 იქნება შაბათი, 3—კვირა, 4—ორშაბათი, 5—სამშაბათი, 6—ოთხშაბათი და 7—ხუთშაბათი. თუ გაყოფა უნაშთოდ სრულდება ნაშთად ვიღებთ 0-ს ან 7-ს. ჰიჯრის ჩვეულებრივ წელში 50 კვირა და 4 დღეა (50.7+4=354), ხოლო ნაკიანში 50 კვირა და 5 დღე (50.7+5=355). ჩვეულებრივი წლიდან 50 სრული კვირის გამორიცხვის შემდეგ რჩება 4 დღე, ნაკიანიდან კი—5. ამგვარად, რიცხვების 354-ის და 355-ის ნაცვლად ვიღებთ 4-სა და 5-ს.

ასეთი ანგარიშით ჰიჯრის 1 წლის ბოლო 354-ე დღე იქნება |4 : 7|=4, ე. ი. ორშაბათი. ახლა ვნახოთ, რა დღეზე მოვა 2—6 წლების 1 მუჰარამი. 2 წლამდე გასულია 1 ჩვეულებრივი წელი. მეორე წლიდან გვაქვს 1 დღე. ამიტომ 2 წლის 1 მუჰარამი იქნება 1+4=5; |23:7|=5—სამშაბათი; 3 წლამდე გასულია 1 ჩვ. და 1 ნაკ. წელი, ამიტომ 3 წლის 1 მუჰარამი იქნება 1+4+5=10; |10:-:7|=3—კვირა, ანალოგიურად, მე-4 წლისათვის გვექნება 2 ჩვ. და 1 ნაკიანი წელი, ე. ი. კვირის დღე იქნება 1+2.4+5=14; |14:7|=0(7). ხუთშაბათი, მე-5 წლისთვის—3 ჩვ. და 1 ნაკიანი წელი, ე. ი. კვირის დღე იქნება 1+3.4+5==18; |18:7|=4—ორშაბათი, მე-6 წლისათვის—3 ჩვ. და 2 ნაკიანი წელი, ე. ი. კვირის დღე იქნება 1+3.4+2.5=23; |23:7|=2—შაბათი.

აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ჰიჯრის თარიღის კვირის დღის მონახვის შემდეგი წესი: ჰიჯრის თვის მოცემულ რიცხვს მივუმატოთ გასულ ჩვეულებრივ წელთა რაოდენობა გამრავლებული 4-ზე და გასულ ნაკიან წელთა რაოდენობა გამრავლებული 5-ზე. ასე მიღებულ დღეთა რაოდენობა გავყოთ 7-ზე, ნაშთი უჩვენებს კვირის დღეს ანგარიშით 1—პარასკევი, 2—შაბათი და ა. შ. თუ ნაშთს აღვნიშნავთ R-ით, დღეთა რაოდენობას თვის მოცემულ რიცხვამდე ჩათვლით T-თი, ჩვეულებრივ წელთა რაოდენობას $m_1$-ით ხოლო ნაკიან წელთა რაოდენობას $k_2$-ით, მიღებული წესი შეიძლება ჩავწეროთ ფორმულით:

$$R=\left|\frac{T+4m_1+5k_1}{7}\right|.$$

დღეთა რაოდენობის 7-ზე გაყოფით მიღებული ნაშთების ზემოთმოყვანილი მნიშვნელობანი ჩვენთვის ერთგვარ უხერხულობას ქმნის იმით, რომ აქ ორშაბათი აღნიშნულია 4-ით და არა 2-ით, სამშაბათი —5-ით და არა 3-ით და ა. შ. იმისათვის, რომ ნაშთთა მნიშვნელობა ქართულ ენასთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ, საკმარისია ზემოაღნიშნული ნაშთები გავადიდოთ 5-ით. გვექნება პარასკევისათვის—1+5=6, შაბათისათვის—2+5=7, კვირისათვის 3+5=8; |8:7|=1, ორშაბათისთვის—4+5=9; |9:7|=2 და ა. შ. ამგვარად ვღებულობთ 7-ზე გაყოფის ნაშთებისა და მათი შესაბამისი კვირეულის დღეების ცხრილს (იხ. ცხრ. 6).

ამის გათვალისწინებით ზემოთმოყვანილი ფორმულის მრიცხველს უნდა მივუმატოთ 5 და მაშინ კვირის დღის ზემოთმოყვანილი წესი ჩამოყალიბდება ასე: ჰიჯრის თარიღის კვირის დღე რომ ვიპოვოთ, საჭიროა: თვის მოცემულ რიცხვს მივუმატოთ გასულ ჩვეულებრივ წელთა რაოდენობა გამრავლებული 4-ზე და გასულ ნაკიან წელთა რაოდენობა გადიდებული 1-ით გამრავლებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა



5-ზე, მიღებული გავყოთ 7-ზე. ნაშთი უჩვენებს კვირის დღეს ანგარიშით—1—კვირა, 2—ორშაბათი და ა. შ. ამრიგად, გვენქება ჰიჯრის თარიღის კვირის დღის ფორმულა $R=\left|\frac{T+4m_1+5(k_1+1)}{7}\right|$. მიღებულ ფორმულაში ცალკე გამოანგარიშებას მოითხოვს $m_1$-ისა და $K_1$-ს მნიშვნელობათა, ე. ი. ჰიჯრის მოცემულ თარიღამდე გასული ჩვეულებრივი და ნაკიანი წლების რაოდენობათა პოვნა. როგორც ვიცით, ჰიჯრის მოცემული წელი შეიცავს $\left[\frac{N}{30}\right]$ სრულ 30-წლიან ციკლსა და $\left|\frac{N-1}{30}\right|$ წელს, მასთან ყოველ ციკლში 19 ჩვ. და 11 ნაკ. წელია. ამიტომ $\left[\frac{N-1}{30}\right]$ ციკლში იქნება $\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 19$ ჩვ. და $\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 11$ ნაკიანი წლები. ზემოთ ჩვენ ჩვ. და ნაკიან წელთა რაოდენობა $\left|\frac{N-1}{30}\right|$ წელიწადში შესაბამისად აღნიშნული გვქონდა ასოებით $m$ და $k$. ამრიგად, გვექნება:

$$m_1=\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 19+m \text{ და}$$

$$K_1=\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 11+K.$$

თუ $m_1$-ისა და $K_1$-ის მნიშვნელობებს ჩავსვამთ ფორმულაში

$$R=\left|\frac{T+4m_1+5(K_1+1)}{7}\right|, \text{ გვექნება:}$$

$$R=\left|\frac{T+4\left(\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 19+m\right)+5\left(\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 11+K+1\right)}{7}\right|.$$

ასეთია მთვარისმიერი ჰიჯრის არაბული ციკლის თარიღის კვირის დღის საპოვნელი ფორმულის საბოლოო სახე.

ამ ფორმულით სარგებლობას გვიადვილებს დამხმარე ცხრილები. ვნახოთ, რა დღე იყო 703 წ. 11 შავვალი. T-ს მნიშვნელობას ვპოულობთ მე-3 ცხრილით $T=277$. გამოსახულებების—$\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 19$ და $\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 11$ მნიშვნელობებს ვპოულობთ 1-ელი ცხრილით. $N-1=703-1=702$. ცხრილის მრიცხველების პირველ რიცხვებში ვეძებთ 702-ზე ნაკლებ უახლოეს რიცხვს. ასეთია 690, რომელთანაც ფრჩხილებში მოთავსებულია 437 და 253—ჩვეულებრივ და ნაკიან წელთა რაოდენობა 690 წელიწადში. ამრიგად, $\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 19=437$ და $\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 11=253$; $\left|\frac{N-1}{30}\right|=702-690=12$. m-ისა და K-ს მნიშვნელობებს გვაძლევს მე-2 ცხრილი. მასში 30 წ. ციკლის წლების გრაფაში 12-ის პირდაპირ m-ისა და K-ს გრაფებში ზის 8 და 4—ჩვ. და ნაკიან წელთა რაოდენობა 12 წელიწადში ამგვარად, სულ გვექნება $437+8=445$ ჩვ. და $253+4=257$ ნაკ. წლები. ამ მონაცემების ფორმულაში ჩასმით გვექნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$R=\left|\frac{277+4\cdot 445+5\cdot 258}{7}\right|=\left|\frac{3347}{7}\right|=1.$$

მე-6 ცხრილით R=1, შეესაბამება კვირა დღეს. ამრიგად, 703 წ. 11 შავვალი ყოფილა კვირა. სწორედ ეს დღე აქვს დასახელებული რაშიდ ად-დინს და ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ცნობა ზუსტია.

კვირის დღის საშუალებით შეგვიძლია შევამოწმოთ თარიღთა რედუქციის სისწორეც. როგორც ზემოთ ვნახეთ, 703 წლის 11 შავვალი = ჩ. ე. 1304 წ. 17 მაისს. თუ 1304 წლის 17 მაისიც კვირა დღე იყო, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რედუქცია სწორია. მაგრამ როგორ შეიძლება გავიგოთ იულიანური კალენდრის კვირის დღე?

იულიანური თარიღის კვირის დღის გასაგებად ამოსავალია ჩ. ე. 1 წ. 1 იანვარი, რომელიც შაბათ დღეზე მოდიოდა. ამოცანა წყდება გარკვეული წესით მიღებულ დღეთა რაოდენობის 7-ზე გაყოფის ნაშთით. ნაშთების მნიშვნელობა ისეთივეა, როგორც № 6 ცხრილში. 1304 წლამდე გასულია 1303 წელი. 1303 წელიწადში არის 325 ნაკიანი წელიწადი, რადგან იულიანური კალენდრით ნაკიანია ყოველი მეოთხე წელი (1303:4=325,—ნაშთს მხედველობაში არ ვიღებთ). ცხადია, დანარჩენი 978 წელიწადი (1303—325=978) ჩვეულებრივი იქნება. როგორც ცნობილია, ყოველ ჩვეულებრივ წელიწადში 52 კვირა და 1 დღეა (52.7+1=365). ხოლო ნაკიანში—52 კვირა და 2 დღე (52.7+2=366). ამიტომ 978 წელში სრულ კვირათა ზევით მონარჩენებისაგან დაგროვდება 978 დღ., ხოლო 325 ნაკიან წელიწადში—650 დღ. ამ 650 დღიდან ნახევარი, 325 დღე, 978-ს რომ მივუმატოთ იქნება 1303 დღე. ამ ოპერაციის აზრი ის არის, რომ წლის აღმნიშვნელი რიცხვი (1303) ამით ვაქციეთ დღეების აღმნიშვნელ რიცხვად. ნაკიანი წლების დანარჩენი 325 დღე 1303-თან ერთად შეადგენს 1628 დღ. მიმდინარე 1304 წლის 17 მაისამდე (ამ უკანასკნელის ჩათვლელად) არის 137 დღე. ამრიგად, სულ გვექნება 1628+137= 1765 დღ. |1765| =1, ე. ი. კვირას. თუ ზემოთმოყვანილი გზით მიღებულ დღეთა რაოდენობას აღვნიშნავთ R-ით, მოცემულ წელს N-ით, ხოლო დღეთა რაოდენობას 1 იანვრიდან მოცემულ თარიღამდე ჩათვლით t-ი, მივიღებთ ფორმულას:

$$R=\left|\frac{N-1+\left[\frac{N-1}{4}\right]+t-1}{7}\right|.$$

ფორმულის გამარტივების მიზნით N—1-ისა და t—1-ის ნაცვლად ავიღოთ N და t. ეს, ცხადია, ჯამს გაადიდებს ორი ერთეულით და ამიტომ ნაშთების მნიშვნელობაც შეიცვლება. ეს რომ არ მოხდეს კიდევ უნდა დავუმატოთ 5. საბოლოოდ იულიანური თარიღის კვირის დღის საპოვნელი ფორმულა იქნება:

$$R=\left|\frac{N+\left[\frac{N-1}{4}\right]+t+5}{7}\right|.$$

t-ს მნიშვნელობას ვპოულობთ მე-5—ცხრილით მაგ., მერამდენე დღეა წლის დასაწყისიდან 17 მაისი. ცხრილში ნაკ. წლის სტრიქონში მაისის თვის გრაფაში ზის 121, ე. ი. 17 მაისი არის 1 იანვრიდან 121+17=138—ე დღე. თუ წელი ჩვეულებრივია, ის იქნება 137-ე დღე (120+17).

[11] Рашид ад-дин, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ ზემოთ დასმულ კითხვას: რა დღე იყო 1304 წ. 17 მაისი. სათანადო მონაცემების ფორმულაში ჩასმით გვექნება:

$$R=\left|\frac{1304+\left[\frac{1303}{4}\right]+138+5}{7}\right|=\left|\frac{1304+325+143}{7}\right|=\left|\frac{1772}{7}\right|=1, \text{ ე. ი.}$$

1304 წ. 17 მაისი იყო კვირა.

ამრიგად, ჰიჯრისა და მისი შესაბამისი იულიანური თარიღის კვირის დღე ერთმანეთს ემთხვევა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რედუქცია ზუსტია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ზემოაღნიშნული წესით ნაპოვნი კვირის დღე შეიძლება არ დაემთხვეს წყაროში აღნიშნულს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას წყაროს ცნობა ჩავთვალოთ შეცდომად; საქმე ის არის, რომ ჰიჯრის ერის დასაწყისად ყველგან და ყოველთვის 16 ივლისი (პარასკევი დღე) არ იყო მიღებული. ზოგჯერ ერის დასაწყისად იღებენ 15 ივლისს— ხუთშაბათ დღეს. ასეთ შემთხვევში 30-წლიან ციკლში მე-16 წლის ნაცვლად ნაკიანი იქნება მე-15 წელი. იმის დადგენა, თუ წყაროში ერის დასაწყისად რომელი დღეა მიღებული, შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დასახელებულია კვირის დღეც. გარდა ამისა, მთვარისმიერი ჰიჯრის კალენდარი ეყრდნობა ვიზუალურ და არა ასტრონომიულ ახალმთვარეობას. ვიზუალური ახალმთვარეობა, ანუ ნეომენია, ე. ი. ახალი ნამგალა მთვარის პირველი გამოჩენა დასავლეთის ცაზე მზის ჩავლის შემდეგ, დამოკიდებულია როგორც მეტეოროლოგიურ პირობებზე (ხილვადობის ხარისხი), ისე ადგილის გეოგრაფიულ კოორდინატებზე. დრო ახალმთვარეობიდან ნეომენიამდე შეიძლება მერყეობდეს 1—3 დღის ფარგლებში. ქრონოლოგიაში საშუალოდ მის ხანგრძლივობად მიღებულია 36 სთ. აღნიშნულის გამო ირღვევა კალენდარში 30 და 29 დღიანი თვეების მონაცვლეობის ზემოთაღნიშნული თანმიმდევრობის წესი. ამიტომ წყაროში დასახელებული კვირის დღისა და გამოანგარიშებით მიღებული კვირის დღეს შორის შეუსაბამობა ყოველთვის არ შეიძლება გამოდგეს წყაროს თარიღის შეცდომის საბუთად.

В. Г. ГУЧУА

## О ПЕРЕВОДЕД АТ ЛУННОЙ ХИДЖРЫ НА Н. Э.


### Резюме

В статье помещены формулы и вспомогательные таблицы, облегчающие точные переводы дат хиджры арабского цикла на н. э., а также формула нахождения дня недели по дате хиджры. Редукция дат производится по формулам:

$$\text{I. } S=227016+\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 10631+354\,m+355\,k+T,$$

$$\text{II. } X=\left[\frac{S}{1461}\right]\cdot 4+\left[\frac{n}{365}\right]+1.$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

где S — количество дней с 1 января 1-го года н. э. до даты хиджры включительно, N — данный год хиджры, m — число прошедших простых лет в текущем цикле, к — число прошедших високосных лет в текущем цикле, T — количество дней с 1 мухаррама до определяемой даты включительно, X — искомый юлианский год, n — значение выражения $\left|\frac{S}{1461}\right|$; символ [ ], обозначает, что берется только целая часть частного, символ | |, (прямые скобки) означает, что берется только остаток.

В формуле дня $R=\left|\frac{T+\left(\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 19+m\right)+5\left(\left[\frac{N-1}{30}\right]\cdot 11+k+1\right)}{7}\right|$

R — показатель дня недели, считая воскресенье 1-м, понедельник — 2-м и т. д., а остальные буквы имеют отмеченные выше значения.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980

ქრონოლოგია, ანუ ქრონოცისტიკა დამხმარე ისტორიული დისციპლინაა, რომელიც ადგენს ისტორიული ამბებისა და საბუთების თარიღებს. ის წარმოადგენს ისტორიული მეცნიერების მეტად მნიშვნელოვან სფეროს და ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაციის მკვიდრ დასაყრდენს, იგი მოწოდებულია ისტორიული განვითარების ერთიანი პროცესის სიღრმისეულად შეცნობისა და მეცნიერულად გაანალიზება-განზოგადებისათვის. სახელწოდება შედგენილია ორი ბერძნული სიტყვისაგან „ქრონოსი“ დრო და „ლოგოს“ სწავლა.

ქრონოლოგიური ცნობების სიმცირე და ისტორიული თარიღების სიღარიბე დამახასიათებელია ქართული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისათვის, რაზეც არა ერთ ქართველ ისტორიკოსს გაუმახვილებია ყურადღება. პირველი მკვლევარი, რომელიც საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიურად გამართვის ურთულეს საქმეს შეუდგა ვახუშტი ბაგრატიონი იყო. „ქართლის ცხოვრების“ ამ ჩრდილოვან მხარეზე ვახუშტი აღნიშნავდა: „უწყება ჯერ არს, უკეთუ ცხოვრებისა ჩუენისა ქორონიკონნი არიან იშვით“[1]. ვახუშტიმ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის მეცნიერული ქრონოლოგიის შემუშავების საქმეს და ამ დარგშიც დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ვახუშტის საქმის გამგრძელებლად შემდგომში გვევლინებიან თეიმურაზ ბატონიშვილი, მარი ბროსე, პლ. იოსელიანი და XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ილიას მეთაურობით თერგდალეულები, რომელთაც ახალ ქართულ ისტორიოგრაფიულ სკოლას ჩაუყარეს საფუძველი და მათ ნაკვალევზე თვალსაჩინო წარმომადგენელთა მთელი პლეადა შეიქმნა, როგორიც იყვნენ თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ა. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვანი. მათ შორის პ. კარბელაშვილს და ვინმე მესხს (ივ. გვარამაძეს) ასევე საპატიო ადგილი განეკუთვნებათ.

ქრონოლოგიის საკითხებს დიდ ყურადღებას აქცევდა XIX ს.-ის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ სუსტ მხარედ სწორედ ქრონოლოგიას თვლიდა, რის შესახებაც აღნიშნავდა: „ხრონოლოგია ქ. — ცხბში, სადაც საჭიროა ან სრულებით არ არის ნაჩვენები, ან ძალიან არეულია“[2]. დიმიტრი ბაქრაძე ამავე დროს მკვლევრებს მოუწოდებდა სიფრთხილით მოკიდებოდნენ წყაროთა ცნობებს ქრონოლოგიის შესახებ. „ჩვენის მანუსკრიპტების ქორონიკონებს — მიუთითებდა იგი — სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს გამომძიებელი. ჩვენ არაერთხელ შეგვინიშნავს, რომ გამოანგარიშება სოფლის დასაბამიდან ხუთასიან ქორონიკონს ყოველთვის არ ეთანხმება“[3].

დიდი ივანე ჯავახიშვილი იზიარებდა რა წინამორბედ მკვლევართა თვალსაზრისს ზემოხსენებულ საკითხზე, აღნიშნავდა: „ქართველ ისტორიკოსებს ქრონოლოგიური ცნობებისათვის მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებიათ“[4].

შემდგომში ქართველმა მეცნიერებმა ნ. მარმა, ა. ცაგარელმა, ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. კაკაბაძემ, გ. წერეთელმა, ნ. ბერძენიშვილმა, ს. ჯიქიამ და სხვებმა გამოაქვეყნეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ნაშრომები, ძეგლები და დოკუმენტური მასალები, რომლებშიც ფეოდალური საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის არა ერთი აქტუალური საკითხია განხილული, მაგრამ ეს პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში რომ კვლავინდებურად აქტუალურია,

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973, გვ. 5.

2 დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 214.

3 იქვე, გვ. 216.

4 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 193—194.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ნათლად ადასტურებს ის ცხოველმყოფელი ინტერესი ისტორიული კვლევის სფეროში, რომელიც ჩვენში დღესაც შეუნელებლად გრძელდება. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ისტორიკოსები ნ. შოშიაშვილი, ა. ბარამიძე, რ. კიკნაძე, ჯ. ოდიშელი, ვ. გუჩუა, გ. პაიჭაძე, ა. აბდალაძე, გ. ალასანია, გ.. მჭედლიძე, გ. ჟორდანია, შ. ხანთაძე და სხვანი, რომელთაც არა ერთი ნაშრომი მიუძღვნეს აღნიშნულ საკითხს.

1980 წელს გამომცემლობა—საბჭოთა საქართველომ" გამოსცა პროფ. ავთანდილ იოსელიანის ნაშრომი „საქართველოს ისტორიის ქრონიკები" (382 გვ.) რედ. ც. თოფურიძე.

იოსელიანს დიდი შრომა გაუწევია ტექსტების გამოცემისას. ამ მამულიშვილური საქმით, ერის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას საშუალება ეძლევა უფრო სწორად და ნათლად აღიქვას წარსული, რადგანაც „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა!" — ბრძანებდა დიდი ილია.

ა. იოსელიანი „ქრონიკების" გამოსაცემად მომზადებაზე რამდენიმე ათეული წელი მუშაობდა. ჯერ კიდევ 1947 წლის 14 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წაიკითხა მოხსენება აღნიშნულ საკითხზე.

სარეცენზიო ნაშრომში შესულია გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიის, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის 40-იანი წლებით იფარგლება, ამსახველი მასალები. ესაა „ქრონიკები", „დღიური წერილები", დოკუმენტური წყაროები და სხვა სახის მდიდარი ისტორიული მასალები, რომლებიც ახალ შუქს ფენენ საქართველოს XVII—XIX სს. პოლიტიკური, სოციალურ - ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების არა ერთ მხარეს და ამდიდრებენ ერის ისტორიაზე ჩვენს ცოდნას.

საქართველოს ისტორიის გვინფეოდალური პერიოდი, უაღრესად რთული საშინაო და საგარეო პირობებით ხასიათდება, სამეფო-სამთავროებად დანაწილებული ფეოდალურ-ბატონყმური საქართველო ძნელად უმკლავდებოდა გარშემორტყმულ მტრულ ძალებს კლასობრივი და შინაკლასობრივი გაფთრებული ბრძოლის ძნელ პირობებში.

XVIII ს-ის ქართული საისტორიო მწერლობა, მართალია, აღმავლობით ხასიათდებოდა, მაგრამ სამეფო კარის ოფიციალური ისტორიოგრაფია უძლური აღმოჩნდა აესახა და ჯეროვნად წარმოეჩინა მთელ ამ წინააღმდეგობათა კომპლექსი იმისათვის, რომ ჩვენი დროის მარქსისტული ახალი ისტორიოგრაფიისათვის ესოდენ საჭირო, მეცნიერულად ფასეული — ხალხის ყოფა ცხოვრების ამსახველი წყაროები სრულყოფით მოეწოდებინა.

სარეცენზიო ნაშრომში გამოქვეყნებული ქრონიკები თითქოს მოწოდებულია ამ ხარვეზის ერთგვარად შევსებისათვის და სწორედ ამაშია მათი ღირსებაც.

ნაშრომში ავტორის მიერ მთელი სისრულით არის გადმოცემული ქრონიკების სამეცნიერო მნიშვნელობა და მათი შედგენის ისტორიული პირობები. გაანალიზებულია ქრონიკების ნუსხათა ხასიათი და მათი შემადგენლობა, ნაჩვენებია თ. ჟორდანიასა და პ. კარბელაშვილის თანამშრომლობა და მათი ქრონიკების თავისებურებანი და სხვ.

სარეცენზიო ნაშრომი გამართულია ისტორიულ-ქრონოლოგიური და ლოგიკურ-ისტორიული მთლიანობის მიმართებითაც; გამოკვლევასთან ერთად ნაშრომს დართული აქვს სათანადო სამეცნიერო აპარატი — კომენტარი, განმარტებანი, შენიშვნები. გარკვეულია ზოგიერთი უზუსტობა (გვ. 24-25), შეჯერებული და შევსებულია ისინი შესატყვისი ისტორიული წყაროებით. ავტორს დიდი მუშაობა გაუწევია იმ მიზნით, რომ ქრონიკების ტექსტებს შენარჩუნებოდა შემდგენელთაგან მინიჭებული თავდაპირველი სახე და ხასიათი.

ნაშრომში ისტორიულ ქრონიკებთან შერწყმულია საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის პირველწყაროები და მასალები, რომელთა ერთი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

ნაშრომი ხელს შეუწყობს განვითარების ფართო გზაზე გამოსულ ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის წინსვლას — საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მეცნიერული ქრონოლოგიისა და მარქსისტულ-ლენინური პერიოდიზაციის დამკვიდრების საერთო საქმეს.

**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲝᲜᲦᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქრონიკა და ინფორმაცია

## ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

მიმდინარე 1982 წლის 4—7 მაისს შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მორიგი, XXVI სამეცნიერო სესია.

პლენარულ სხდომაზე სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა.

სესიაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: ისტ. მეცნ. დოქტორის ს. ჩხარტიშვილის „საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცკ-ის 1972 წ. 22 თებერვლის დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა"; ისტ. მეცნ. კანდიდატის ნ. ხაზარაძის — „სამეფო ხელისუფლება ფრიგიაში (ანტიკური მითოლოგიის მიხედვით)": ისტ. მეცნ. დოქტორის თ. პაპუაშვილის — „ქორეპისკოპოსის ინსტიტუტი კახეთის სამეფოში"; მეცნ. თანამშრომლის ქ. კახაძის — „დასავლეთ საქართველოს მეფეთა შესახებ XIII—XV სს-ში"; ისტ. მეცნ. კანდიდატის მ. სამსონაძის — „საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაციის საკითხი XVIII ს-ის პირველ ნახევარში"; ისტ. მეცნ. კანდიდატის ვ. ასათიანის — „სამხედრო მრეწველობის შექმნა საქართველოში დიდი სამამულო ომის პერიოდში"; ისტ. მეცნ. კანდიდატის ლ. ტუხაშვილის — „ეროვნული გმირი შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობაში"; ისტ. მეცნ. კანდიდატის გ. აფრასიძის—„ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციების საკითხებისათვის შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებში"; ფილოსოფ. მეცნ. დოქტორის გ. ყორანაშვილის — „ქართული ეთნიკური თვითშეგნების ისტორიიდან"; ისტ. მეცნ. კანდიდატის გ. წულაძის — „შობადობის სტიმულირების საკითხები (სოციოლოგიური კვლევის შედეგები)"; ისტ. მეცნ. კანდიდატის გ. რატიანის „დიდებულთა წოდების სოციალური რაობისათვის; ისტ. მეცნ. კანდიდატის ა. აბდალაძის—„ვაჰრამ პაჰლავუნის მოღვაწეობის შესახებ გრიგორ მაგისტროსის (XI ს.) ერთი ცნობის შესწავლისათვის" და ისტ. მეცნ. კანდიდატის ნ. ბრეგაძის — „ბერიკათა ნიღბები".

სესიაზე წარმოდგენილი ყოველი მოხსენების ირგვლივ იმართებოდა მეცნიერული კამათი. ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესიის მუშაობა შეაჯამა აკად. გ. მელიქიშვილმა.

**კახა კახაძე**

ფასი 1 მან. 30 კაპ.

ინდექსი 76197

ჩ 12/77

ეროვნული ბიბლიოთეკა